



საქსტაბის და
ანონსტაქსტაბის

№ 6 (24)

თბილისი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი

ქუჩის
საქსტაბის

საქსტაბის

NEW
1970
2015

მოგის ავტორები
დათო ყანაშვილი & ალექსანდრა ბალაძე

პოეზია
ლია ლიქოკალი
ვასილ გულაური

პროზა
გიორგი ოზანელი
ოთარ ჯირკველიშვილი
სალომე მხეიძე

საქსტაბის

ALEKSANDR GALPER



არქივი
ოთარ ჭილაძის და
დათო ბარბაქაძის
მიმართ

ახალი თარგმანები
კატრიკ ზიუსკინდი
ვიტოლდ მაგლოვსკი

საქსტაბის

ციფრული, ოფსეტური ბეჭდვა

- მაისურებზე, უნიფორმებზე ბეჭდვა
- სავიზიტო ბარათები
- ჩანთები, კალმები
- ჭიქებზე ბეჭდვა
- ეტიკეტები, სტიკერები
- ბლანკები, კონვერტები, ბლოკნოტები
- ავტომობილების გაფორმება
- პოსტერები, ბანერები
- ნიგნების გამოცემა

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები; დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები; ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები; პოსტერები ბლანკები; კონვერტები; ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა ნებისმიერი სირთულის ყუთები; ასევე ყუთებზე ბეჭდვა; ყველა სირთულის კვეთები; ეტიკეტები და სხვა თვითნებადი პროდუქტები; ბილეთები; აფიშები, ბანერები, ვიტრინების და ავტომობილების გაფორმება; საათების ბრენდირება; ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე ნატურალურ ტილოზე; პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა; მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ქურნალი გამომცემის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით



ქვეყანათა
სსსი

ნომრის ავტორები

დათო ყანჩაშვილი

თეა თოფურია – დიალოგი იორიკთან 3

დათო ყანჩაშვილი – ლექსები 9

ამონარიდები (გიორგი ლობჯანიძე, ცირა ბარბაქაძე) 14

დათო ყანჩაშვილი – სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს (მოთხრობა) 15

ალექსანდრე გალპერი

ალექსანდრე გალპერი – ლექსები 19

დავით ჩიხლაძე – გასტროლოგი დივანის კარტოფილის
გასტრონომიული მანიფესტი თბილისში 25

„შემიძლია ჩემი ყველაზე შემზარავი ფანტაზიები აღვწერო“

(ალექსანდრე გალპერის და შოთა იათაშვილის დიალოგი ფეისბუქით) 29

პოეზია

ლია ლიძოკელი 32

ვასილ ბულუშური 39

პროზა

გიორგი ოზაანელი – მწერალი და ცხოვრება 41

ოთარ ჯირაკვალიშვილი – მკვლევლობა სხვა საუკუნეში 47

სალომე მხეიძე – ორშაბათიდან ყველაფერი შეიცვლება 49

1

2

3

არქივი

თაობათა დიალოგი

(ოთარ ჭილაძის და დათო ბარბაქაძის მიმოწერა) 53

ახალი თარგმანები

პატრიკ ზიუსკინდი – მოთხრობები

(გერმანულიდან თარგმნა როზეტა დანელიამ) 66

ვიტოლდ შაბლოვსკი – ეს სიყვარულით, დაო

(პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშჩაკაშვილმა) 71

4

პროექტის ავტორი:
ვაჟა წონაძე

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე

გია ეძვერაძე

დათო ტურაშვილი

ეკა ქვიციანი

ზაზა შათირიშვილი

დავით ჩიხლაძე

გია ხაღური

ნომერზე მუშაობდნენ:

თეა თოფურია

დათო ყანაშვილი

ლელა კოდალაშვილი

დავით ჩიხლაძე

ლია ლიქოკელი

ვასილ გულუერი

გიორგი ოზანელი

ოთარ ჯირკვალიშვილი

სალომე მხეიძე

დათო ბარბაქაძე

როზეტა დანელია

ამბროსი გრიშჩაკაშვილი

ბამომცემლობა – „საუნჯე“

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje_saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: ბამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>

www.saungeo.ge

1

ნომრის ავტორები

დიალოგი იორიკთან

„Let me see. (takes the skull) Alas,
poor Yorick! I knew him, Horatio,
a fellow of infinite jest, of most excellent fancy.
He hath borne me on his back a thousand times,
and now, how abhorred in my imagination it is!“

Shakespeare, Hamlet



თვა თოფურია

ერთხელ ვფიქრობდი, ნეტა, რამდენი წლისაა იორიკი, რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია, ოცდახუთის? ოცდარვის?

მეორე დღეს ქუჩაში შემხვდა.

– ბიჭო, რამდენი წლის ხარ?

– ოცდაათის.

„ნეგატივში, რომელიც დედაჩემმა გაამჟღავნა, ვჩანვარ მე – ბორბლებიან ეტლში, და მხოლოდ ასაკის გამო არ მეთქმის ბავშვი, რომელსაც სიარული ჯერ კი არა, ვერასოდეს შეუძლია“.

1983 წლის 17 ნოემბერს დაიბადა, ჯერ კიდევ საბჭოთა თბილისში. თბილისში დაბადებული პოეტი იშვიათობაა, დათო ყანჩაშვილი (იგივე იორიკი) ერთერთია. საბჭოთა კავშირში კი დაიბადა, მაგრამ მის შესახებ უფრო მოყოლით იცის.

„ყველაზე ძველი კადრი, რაც მახსოვს – 9 აპრილის მეორე დღეს მამაჩემმა რუსთაველზე გამატარა.

მეეზოვე ფოთლებს რომ მოხვეტს და ერთ ადგილას მოაგროვებს, ისე ეყარა ფეხსაცმელები. პატრონები რომ ვიკითხე, მითხრეს, რომ ზოგი დაიხოცა, ზოგი ფეხსაცმლის გარეშე წავიდა სახლში“.

დრო რომ გავიდა და რუსთაველზე დახვავებულ ფეხსაცმელებს ათასი სხვა უბედურება დაემატა, დათოს უფროსი თაობის მიმართ პროტესტის გრძნობა გაუჩნდა, რადგან მათ „მოახერხეს“ და ეს ყველაფერი თავიდან ვერ აირიდეს.

„არავინ“ იწყებს გზის გავლას

„მამინ პურს ცელოფანში არავინ გიდებდა“.

მეთერთმეტე სართულზე ცხოვრობდა. ზედა სართულების ბავშვები ჩამოუვლიდნენ, შემდეგ თავის მხრივ, ყველანი ქვედა სართულებზე მცხოვრებ ბავშვებს ჩაუვლიდნენ. ძველ, დაჭმუჭნულ ცელოფანს პარკებს აილებდნენ და პურის რიგებისკენ გარბოდნენ. ეს ერთგვარი თავგადასავალიც იყო, ახლა რომ

30577



ლაშქრობაში ნახვიდე, ისეთი. ხალხი ღამის ოთხი საათიდან იკავებდა რიგს.

„ერთხელ იმდენად დიდი რიგი იყო, იქვე, კორპუსში მცხოვრებმა იფიქრა, მოდი, ცოტათი შევათხლებო და მთელი ვედრო გაყინული წყალი გადმოასხა ზევიდან. დეკემბერი იყო. ხალხი დაიხვეტა და სახლში წავიდა.“

პური ძალიან ძნელად მოსაპოვებელი რამ მეგონა, მანამდე არასოდეს მქონია შემთხვევა, მაღაზიაში მივსულიყავი და ჩვეულებრივად მეყიდა. რომ გავიზარდე, მერე მივხვდი, რომ ეს ასე არაა“.

რა გაყალიბებს იმად, რაც ხარ, თუნდაც იმ ადამიანად, ახლა, ამ ივლისის ცხელ დღეს, ლიტერატურულ კაფეში რომ ზის. დათო ამბობს, რომ მოქმედებს ყველა და ყველაფერი, რაც ცხოვრების გზაზე გხვდება, თუნდაც ის 90-იანელების რთული ბავშვობა, როცა (ისევ პურს დაეუბრუნდებით) თონის პური დიდი მონაგარია და შინ დამზადებული მამალო – ნუგბარი. ამ დროს სწავლობ, როგორ უნდა გადარჩე ისე, რომ სახე არ დაკარგო.

მამალოს რეცეპტი იორიკისგან:

ერთი კოვზი ძმარი და შაქარი უნდა აადულო. ჩაასხა მამლის ყალიბში (იყიდებოდა ყალიბები) და ჩაარჭო ასანთის ლერი. შემდეგ ვდებთ ცივ წყალში, რომ გამაგრდეს.

„შეიძლება იკითხო, გაჭირვების გარეშე არ შეიძლება ადამიანმა რაღაც ისწავლოს? მაგრამ როცა ფსკერზე ხარ, უფრო იბრძვი... აქედან რომ უყურებ, ეს ყველაფერი ხან ფილმს ჰგავს, ხან – ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების თანამედროვე ვერსიას... ძალიან მარტივი ფორმულაა ზღაპარში – არავინ [ადამიანი ისტორიის გარეშე], იწყებს გზის გავლას და სხვადასხვა პერსონაჟებთან ურთიერთობით გმირი ხდება“.

უფროსი და, ქეთი

„მე მყავს უფროსი და, ქეთი“ – ეს პასუხია კითხვაზე, თუ რატომ აირჩია ყურნალისტიკის პროფესია. ყურნალისტიკაზე ბიჭები იშვიათად აბარებენ.

„მე მყავს უფროსი და, ქეთი, ერთი წლით უფროსი. მოხერხდა ისე, რომ ჩემი და რამდენიმე საგანში მოამზადეს, მე – მხოლოდ ქართულში. ჩემი და მეხმარებოდა ინგლისურში, ისტორიაში... თან, რადგანაც

წერისკენ მქონდა მიდრეკილება და 90-იანმა წლებმა ჩემში გარკვეული პროტესტი გამოიწვია, ვფიქრობდი, რომ ყურნალისტიკა არის სფერო, სადაც რაღაცის თქმა შეგიძლია“

„...ომი მხოლოდ იმ ადგილს ჰქვია, სადაც სისხლია

სადაც ერაყელი გოგო მძიმე ჩანთით შედის ვაგონში

და ვაგონი იწყებს კაშკაშს,

ეს ადგილი იქნება ომი.

ეს ადგილი მოხვდება ეკრანზე

და დანანევრებულ და გასხივოსნებულ ერაყელ გოგოს ეკრანზე მთლიანს აჩვენებენ, უცნაური გამომეტყველებით... ინგლისელი პენსიონერები თავებს გადააქნევენ,

იტყვიან, რომ საჭიროა ბრძოლა

და სახლში დარჩებიან.

და ამერიკელი სენატორები იტყვიან, რომ საჭიროა ბრძოლა

და სენატში დარჩებიან.

და ფრანგი სტუდენტები იტყვიან, რომ საჭიროა ბრძოლა

და უნივერსიტეტში დარჩებიან.

და ამერიკელი ჯარისკაცები,

რომლებიც თვითმფრინავებში დარჩებიან,

გადაუფრენენ ერაყს,

და ეს ადგილი იქნება ომი.

ომი, რომელშიც არავინ წავა.“



თუმცა თავიდან ასეთი რამ დაამთავრა – ლიტდა-ოსტატება ინგლისური ენის განხრით. ერთი პერიოდი სკოლაშიც ასწავლდა და იქ მიხვდა, რომ ეს ის არ იყო, რაც ცხოვრებაში უნდოდა.

ვოკალური მონაცემებიც აქვს, დრამატული ბარიტონია. „ბევრი კონცერტი მქონდა კონსერვატორიის მცირე დარბაზში, მაგრამ პატარა ვიყავი, თვრამეტი წლის. მაშინ როკ-ჯგუფებს ვაკეთებდით, ვმღეროდით, ვხაოდით და ამიტომ თავი დავანებე“.

მას შემდეგ ბევრი სამსახური გამოიცვალა, რედაქციები და არასამთავრობო სექტორი, ერთი პერიოდი თავისი ჟურნალიც ჰქონდა. ახლა მედია-ორგანიზაცია „გოუ ჯგუფშია“ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს სწავლობს, კიდევ ერთი სამსახური აქვს – ახალი გამომცემლობა Nota bene.

ბოლოს ისევ დახე: ქეთევან ყანჩაშვილიც ლიტერატორია. მისი ნათარგმნია „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი“, ასევე „ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი“.

„სხვათაშორის, არასდროს გადავკვეთილვართ მე და ჩემი და ამ სფეროში. მას თავისი მეგობრები ჰყავს, მე – ჩემი. უცნაურია, მაგრამ ერთ წრეში თითქმის არასდროს ვართ“.

ათასამდე ფურცელი, რომელზეც რაღაც წერია

ამასწინათ საკუთარი ოთახის დალაგება გადანყვიტა და იმ პრობლემას გადაანყდა, რომელიც ზოგადად ისეთ ადამიანებს აქვთ, რომლებიც ბევრს წერენ. ოთახში უამრავი პატარა თუ დიდი ფურცელია, მთელი პარკებია ასეთი ფურცლების. ამ ფურცლების გადაარჩევის და დალაგების დრო თითქმის არასდროს არის. „გადავანყდი ძველ ჩანაწერებს და ვიცინე“. წერა ადრე დაიწყო. ზოგადად ასეა, თუ იწყებ, ადრე იწყებ.

დათო ყანჩაშვილს ლექსების ერთი ნიგნი აქვს „სიფხიზლის გამო“. ეს ნიგნი ლიტერატურულ კონკურს „საბაზეც“ იყო ნომინირებული.

„სიფხიზლის გამო“ ლექსიცაა, მაგრამე მე უფრო სხვა ლექსი მიყვარს, რადიკალურად განსხვავებული სათაურით: „ძილისპირული“. ეს გრძელი ლექსი თავიდან ბოლომდე მომწონს და ამიტომ თავიდან ბოლომდე მოვიყვანე, მისი ერთი ფრაზა კი – „ისიც გახსოვდეს – კილო მარილი გყოფნის სამი თვე, შაქარი კი, ჰა-ჰა, ერთ კვირას – უფრო მეტად სიტკბო გჭირდება“ – სულ მახსენდება, რამდენჯერაც შაქარს და მარილს ვიყიდო.

ძილისპირული

ტკბილად იძინე.

წინ სიკვდილია, რომელიც არ გაგიჭირდება

და მანამდე იძინე ტკბილად,
გასალვიძებლად მოვა არავინ.

და გახსოვდეს,

ის ლიფსიტა ხარ, რომელმაც ცურვა ვერ ისწავლა,

და იხრჩობი მუხლამდე წყალში.

რომ ძალიან ჰგავს აკვარიუმში სახლის ფანჯარას

და რა ხანია, აღარ იღება.

ისიც გახსოვდეს –

კილო მარილი გყოფნის სამი თვე,

შაქარი კი, ჰა-ჰა, ერთ კვირას –

უფრო მეტად სიტკბო გჭირდება

და... იძინე ტკბილად,

გასალვიძებლად არავინ მოვა

ამ ცივ ზამთარში,

რომელიც ჰგავს მომაკვდავ დედას,

რომელიც უკვე იმდენხანს კვდება,

ბოლო დროს ეჭვიც კი აიღო,

რომ დაიღალე მისი მოვლით

და იქნებ უკვე თავსაც უტყდები,

რომ გირჩევნია, მალე დასრულდეს.

და, რა თქმა უნდა, იძინე ტკბილად,

დაიტკბე ძილი,

დაუმატე ორი კოვზი შაქარი სიზმარს,

და მერე კი, გინდაც აგიხდეს,

ვერც იფიქრებენ, რომ მიწა გლიდა,

რომ მზე გწვავდა

და წვიმები გიხშობდნენ სუნთქვას,

რომ ქმრის მოსვლამდე თითქოს ფიქრი გაგექცა სხვასთან

და წვნიანი გადაგიმლაშდა,

რომ წყალი ასხი და განყალდა ოჯახიც ასე,

როგორც ის კერძი,

სიზმარ-სიზმარ რომ გიმლაშდება დღემდე და დარდობ.

და აკი ვამბობ,

იძინე ტკბილად,

ვინაიდან შენ სიფხიზლით ვერაფერს შეცვლი

და მეეზოვე

უკანასკნელ შემოდგომასაც ცოცხით გახვეტავს.

ხოლო თოვლი, რომელიც მოვა,

ახალ-ახალ ნაფეხურებს ამოიტვიფრავს

შენი სახლის კიბესთან ახლოს,

და იძინე, იძინე ტკბილად,

და თან გახსოვდეს, ეს ცხოვრებაც გაგენელა,

როგორც დედის ავადმყოფობა.

და როგორ ნატრობ, ან ზამთარი ამოიწუროს,

ან მომაკვდავი დედა მოკვდეს,

ან გაგელვიძოს.

და, რა თქმა უნდა, უსათუოდ იძინე ტკბილად.

მე შენს ზურგსუკან ვინყებ ხეტიალს.

გასალვიძებლად მოვა არავინ.

გასალვიძებლად არავინ მოვა.

შენც საკუთარ თავს ნუ გაალვიძებ,

იძინოს ტკბილად.

ამ ბოლო დროს ლექსებს სულ უფრო იშვიათად ვნერო, ამბობს. კიდევ ერთი თითქმის დასრულებული რომანი აქვს, დოკუმენტურ-მხატვრული. მთავარი რესპონდენტები პოლიტიკური პატიმრები არიან. რომანი სატირული ხასიათისაა.

„მინდოდა მკითხველისთვის მეჩვენებინა, როგორ ხედავს ერთი განვითარებადი ქვეყნის მოქალაქე მსოფლიოს, როგორ ესმის მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები, როგორ იღებს დემოკრატიას და ასე შემდეგ“, – ამბობს დათო, თან ამატებს, – „ძალიან დიდი დრო წაიღო“.

ეს რომანი ბევრი ფიქრისთვისაა, სხვადასხვა თემაზე ფიქრისთვის, მაგალითად: „ადამიანი ვერაფრით ვერ განსაზღვრავს თავისი ქმედების მეხუთე და მეათეხარისხოვან შედეგს. მეორეხარისხოვანი შედეგი შეიძლება ძალიან უწყინარი იყოს, მაგრამ მერე ისეთი რამ გამოიწვიოს“...

„ადამიანი უცებ აღმოჩნდა ზღვა ინფორმაციის წინაშე, ამიტომ ვინრო სპეციალობას იღებს და იმას მიყვება. გეუფლება განცდა, თუ როგორი სუსტია ადამიანი – დროის მონაკვეთში მოქცეული ბიოლოგიური არსება. ამ დროის მომენტში რასაც მოასწრებს, იმას მიიღებს და გასცემს“.

„ვარდისფერი ავტობუსი“

სადღაც ოცი წლისები თუ იქნებოდნენ. რამდენიმე ბიჭი ერთმანეთს ინტერნეტით შეეხმინა და „ვარდისფერი ავტობუსი“ დააარსეს. კითხულობდნენ სკვერებში, ტრანსპორტში, წიგნის მაღაზიებში. დათო ყანჩაშვილი (იორიკი), ალექსა ჩილვინაძე, შოთა დიღმელაშვილი (გაგარინი), სანდრო ლორთქიფანიძე, ზაზა კოშკაძე (კოშკა) – ბევრს წერდნენ, ხანდახან ყველანი ერთად ერთ ლექსს. ექსპერიმენტებს ატარებდნენ, საერთო წიგნიც გამოსცეს... დროთა განმავლობაში ბიჭები დაიშალნენ, თუმცა, თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში „ვარდისფერი ავტობუსი“ ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) წარმატებული კავშირი იყო. „ვარდისფერი ავტობუსის“ ბიჭები ნიჭიერები იყვნენ და კარგად წერდნენ.

„ჩვენ ღირსები ვართ, რომ ვიცოცხლოთ, ვინაიდან არაფერი ისეთი არ ჩაგვიდენია, რომ მშვიდად მოვკვდეთ.“

რაც გვეხერხება ყველაზე მეტად, დანიშნულება შეეცვალა და რა ხანია, არ გვემღერება, ხოლო თუ ვმღერით, მხოლოდ სხვებისთვის, ვინც ჩვენ შესახებ ყველაფერი მოყოლით იცის, იცის, როგორც სხვისი ამბავი.



ჩვენ ვმღერით მათთვის, ვისაც სიმღერა არ შეუძლია და ემღერება, ჩვენ სხვის სუფრასთან და სხვის ლხინთან ჩამომდგარები ერთი იმედით, იქნებ სადმე ჩამოგვაჯინონ, ვინ იცის, ლუკმაც გვინილაღონ. მაგრამ რატომღაც პურს ეცვლება ასეთ დროს გემო და ტუჩებიდან ვიკვნეტთ ღიმილს, მწარე ღიმილს, და ეს გემო სისხლის და პურის ყელზე გვადგება“.

„ტოჩკა“ და „ტოჩკას“ და

დათოს ორი გოგო ჰყავს, ქეთო და ნენე („ტოჩკა“), ექვსი და ხუთი წლისები. „ქეთო ძალიან გულჩვილია, ნენე – მებრძოლი... ნენე რომ გაჩნდა, მერე უფრო მივხვდი, რომ მამა ვარ. ორივე ძალიან კარგად ხატავს, მაგრამ რალაცნაირი შიში მაქვს, ასე მგონია, ხელოვნებასთან რომ ახლოსაა ადამიანი, მისი ცხოვრება უფრო რთული იქნება... ისეთ რალაცას იტყვიან ხოლმე... ჩემი და აგროვებს მაგათ გამონათქვამებს“.

შეგროვებულებიდან:

- ნენე, როგორ მოგწონს ახალი ტელევიზორი?
- ახალი არაა.
- ახალია, „ტოჩკა“, გუშინ არ მოვიტანეთ?
- ჰოდა, ძველდება ნელ-ნელა.

აკვიატებები

„შუალამისას,
როცა გვაკლდება ერთმანეთი,
როცა ვსრულდებით,
ყველაფერი ხდება თავიდან –
დღე ეტევა ჩემს ოთახში,
საკუთარ თავს ვალაგებ სახლში,
უნდა მივხედო,
მოვუდულო ფინჯანი ყავა, ჩამოვაჯინო,
შევურჩიო რამე საკითხად,
ღამით უნდა გავუზომო, სიყვარულმა
არ აუნოს“.

ბევრს ლაპარაკობს სახლზე, ინტერვიუში არა, სა-
კუთარ ლექსებში. იქ სახლი მეტაფორაა. „თუ რომე-
ლიმე დარგი შეიძლება ახლოს იყოს ადამიანის ქვეც-
ნობიერთან, ყველაზე ახლოს – პოეზია... ლექსებს
აქვთ ასეთი უნარი, ავტორის ქვეცნობიერიდან რალაც
წამოიღონ, რაც მერე ავტორს წინ დახვდება და წინას-
წარმეტყველებასავით იქნება“.

– თანამედროვე ადამიანს, გარდა იმისა, რომ არ
სცალია, ხომ არ ეშინია კიდევ წიგნის, რადგან წიგნი
ფიქრს და ანალიზს მოითხოვს?

– სხვებთან როგორ ხდება არ ვიცი, ჩემთან ინ-
ტერესი უფრო მეტი იყო ყოველთვის, ვიდრე შიში.
ყველაფერი მოქმედებს. ქუჩაში რომ გაივლის ადამი-
ანი, ხეებსაც თავისი ემოცია მოაქვს. საგნებსაც შეუ-
ძლიათ ემოციების შენახვა, მაგალითად, ბავშვობის
სათამაშოს რომ მიაგნებ, ზუსტად ის ემოცია გაქვს,
რაც ადრე გქონდა. მე ყოველთვის მაინტერესებდა,
რა არის ჩემში ისე დალექილი, რაც მე ცნობიერების
ღონეზე არ შემიძლია გავაანალიზო.

– რა ტიპის ადამიანი ხარ?

– ინტროვერტი და ექსტრავერტი ერთდროულად.
მეგონა, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მერე მივხვდი,
რომ ძალიანაც შესაძლებელია, იყო ენერგიული, მო-
ტივირებული და მეორე მხრივ, ჩაკეტილი, საკუთარ
თავში „მოკუნტული“, სამყაროს რომ ეჭვის თვალით
უყურებ.

– ძალიან ბევრს წერ ურთიერთობებზე, გიჭირს
ხალხთან ურთიერთობა?

– საერთოდ არ მიჭირს ურთიერთობა. შემიძლია
ნებისმიერი აღმსარებლობის, ნებისმიერი ინტერ-
ესების ადამიანთან გამოვინახო საერთო ენა. არ ვიცი,
ასე რატომ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ძალიან
დიდი იმედგაცრუებები მქონდა, რაც თავს სიკეთე
მივანწრე, გესლი გამოდგაო, რომ იტყვიან. მე მაქსი-
მალისტი ვარ, ბოლომდე ვიხარჯები. ამ იმედგაცრუე-
ბების მერე ჩემს თავს დავუსვი კითხვა, ნუთუ ამ ადა-
მიანის გამო მწყდება ასე გული? არა. მე განვიცადე

ჩემი არასწორი არჩევანი, საკუთარი შეცდომა.

ძალიან კომუნიკაბელური ვარ, უბრალოდ, ცოტა
ძნელად შევდივარ სიღმისეულ ურთიერთობაში,
სწორედ ამ იმედგაცრუებების გამო.

ისევ სახლზე და სიყვარულზე

– არის პერიოდი როცა არასერიოზულად უყურებ
ამ ყველაფერს, შემდეგ უფრო სტაბილურობა გინდა.
ერთი ლექსი მაქვს, როცა ადამიანი ხდება სახლი,
ეს ორი ადამიანის ერთმანეთში დაბინავებაზეა. ამას
სიყვარულის შემოდგომას ვეძახი.

თიკო ცხვედიანი, „ადამიანი ჩემს შესახებ“, იურის-
ტია და პროფესიული კუთხით პოეზიასთან არავი-
თარი შეხება არა აქვს. ეს ალბათ ყველაზე კარგი
შეხამებაა.

ზოგადად, სიყვარული ქოთნის ყვავილივითაა,
წყალიც უნდა, მოვლაც უნდა, სითბოც... ყველაფერი
უნდა, სხვანაირად შეიძლება გახმეს და შემანუხებე-
ლიც იყოს.

„სხვათაშორის ვიდგებით ჩვენ,
როცა შემოგვხედავენ მფრინავები
და იტყვიან, რომ სიყვარული ფრენას გავს,
როცა შემოგვხედავენ მოგზაურები და ივლიან,
რომ სიყვარული გზას გავს,
და შემოგვხედავენ მომაკვდავები და ამოიხრებენ,
რომ სიყვარული სიკვდილს გავს,
და შემოგვხედავენ ძაღლები და იყეფებენ,
რომ სიყვარული ერთგულებას გავს,
და შემოგვხედავენ უსახლკაროები და იცხოვრებენ,
რომ სიყვარული სახლს გავს,
და შემოგვხედავენ ახალგაზვიებულები და დაამთქნარებენ,
რომ სიყვარული სიზმარს გავს,
და შემოგვხედავენ ვარსკვლავები და იკაშკაშებენ,
რომ სიყვარული მონყვეტას გავს“...

არასამიკროფონო ლექსები

„ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის ხალხმრავ-
ლობა. დიდი აუდიტორია, მის წინაშე კითხვა. მგონია,
რომ ჩემი ლექსები მიკროფონთან წასაკითხი ლექსები
არაა, სახლში, ჩუმად უნდა წაიკითხო“.

აი, ეს, მაგალითად:

შენ საკუთარ თავთან გაჩერდი
და სადაცაა გაატარებ...
ის უკუსვლით შევა ოთახში,
რამდენიმე შემოდგომის ფოთოლს შეიტანს,
ჩამოჯდება ზურგიან სკამზე
და გთხოვს – ასე მარტო არ მოკვდე.

მარტო სიკვდილი სახიფათოა
მოკვდი სადმე ხალხმრავალ ადგილას,
მოკვდი სხვების თვალნინ,
იქნებ გიმველონ.

ან ეს:

ორი დღის დაღლილობა,
როგორც ქუჩაში უპატრონოდ გაგდებული სიყვარული,
ძალივით ფეხებს გამილოკავს
ერთგულების ყალბი სახელით.

დათო ამბობს, რომ ლიტერატურის დანიშნულება ზუსტად ის არის, დაგვახლოოს იმ ამბებთან, რომლისთვისაც ჩვენ სხვაგვარად დრო არ გვრჩება. ხშირად ადამიანს პერსონაჟის ტკივილი გაცილებით უფრო მიაქვს გულთან, ვიდრე, ვთქვათ, მეზობლის გაჭირვება.

დიალოგი იორიკთან

ეს სახელი ორგან გვხვდება, „ჰამლეტში“, სადაც იორიკი მასხარას თავის ქალაა და ლორენს სტერნთან – აქ იორიკი რწმენადაკარგულ მღვდელს ჰქვია. დათომ უფრო პირველის ხათრით დაირქვა. მასხარა ერთადერთია, ვინც სამეფო კარზე სიმართლეს ამბობს.

იორიკის სიმართლე ასეთია:

„მერამდენე ლამეა უკვე
თავს ვიმძინარებ
და ჩემი თავი მადგება თავზე,
როგორც ეჭვით შეპყრობილი საყვარელი,
რომელიც ცდილობს ჩემს გამოტეხვას“.


ან უფრო მოკლედ:

„...შენ განა ცხოვრობ, ზიხარ და ამბავს ჰყვები“...



* * *

ჭალის ანგელოზები
 ნეგატივებში დარჩენილი, გაუმჟღავნებელი ადამიანების თავს ზემოთ კრთებიან
 და ყურადღებას ამბობენ,
 ჭალის ანგელოზები, კიდეც უფრო შეუმჩნეველები, ვიდრე ნათურასთან მიფრენილი მწერები,
 უზარმაზარ ჩრდილს რომ ათრევენ და რალაციით ჰგვანან ნეგატივში დარჩენილ ადამიანებს,
 რომლებიც საკუთარ ჩრდილს შეფარებიან
 როგორც სახლს,
 როგორც თავშესაფარს,
 როგორც პლაცენტას, ემბრიონებივით მოკუნტულნი
 ამ გზით რომ ცდიან გადარჩენის უკანასკნელ გაბრძოლებას
 გამჟღავნების თავზარდამცემი შიშის ჟამს.
 და ასეთ დროს, ჭალის ანგელოზები,
 ჭალის უღონო ანგელოზები ძლივსლა ბჭუტავენ,
 ისინი არავის ეიმედება,
 არავინ უცქერის,
 და არავინ ითხოვს მათგან თუნდაც მცირეოდენ სინათლეს,
 რომელიც ვერც გაათბობს,
 ვერც შორეულ გზას გაუნათებს,
 მხოლოდოდენ საკუთარ თავს დაანახებს,
 სახეს და თვალებს.
 და ჭალის ანგელოზები,
 ეს ცოტასშემძლე
 და მბჭუტავი ანგელოზები,
 მწერებს შეტოვებულები,
 ყურადღებას ჩურჩულებენ
 და ამაოდ ელიან თუნდაც მცირე ყალბ მიზეზს,
 რომ აკაშკაშდნენ,
 რომ აენტენენ,
 და ნეგატივის სული შთაბერონ.
 მაგრამ ჩრდილი,
 ეს მსუბუქი და უსხეულო სამალავი,
 თავშესაფარი,
 საიმედო გასაქცევია უკანასკნელი გაბრძოლების ჟამს,
 როდესაც ჭალის ანგელოზები მწერებივით იხოცებიან
 და ცვივიან
 ნეგატივებში დარჩენილთა თავშესაფარში.



ის კი არ მიყვარს, შენში რაც არის


ის კი არ მიყვარს, შენში რაც არის,
 ის მიყვარს შენში, რაც არ არის,
 რაც უნდა იყოს.
 შენში – ეს ჩემთვის განკუთვნილი სიცარიელე,
 შესავსებად რომ დამიტოვე.

და რამდენჯერაც შემოგხედავ,

ვიხედები ფანჯრიდან სახლში,
რომელიც ჩემთვის შეგიძლია იყო –
და ამ დროს,
თვალს ნუ ხუჭავ,
ნურც ახამხამებ.

სიყვარულმა ასე იცის,
ადამიანი ხდება სახლი,
რომელშიც ცხოვრობ –
და რომელსაც შენში აცხოვრებ.

ყველაფერი კი იწყება – სიცარიელით,
შესავსებად, რომელსაც ტოვებ.



სპამი

ხანდახან, როცა სიზმარიც კი გაფრთხობს და შემდეგ
სახეზეც გრჩება, გაღვიძებულს, ქუჩაში გასულს,
სჯობია, თვალებს დააფარო ქუთუთოები
ან ხელისგული, ანდაც შენგან სადმე ნახვიდე –
შორიასლოს, და იფიქრო, იმაზე არა, როგორც ცხოვრობ – რამე ნამდვილზე.

სხვა შემთხვევაში,
გადარჩევის გარეშე უშვებ გონებაში ყველაფერ ისეთს,
მნიშვნელობას რომ ველარ უცვლი
და ჩვევებში იწყებს ჩაზრდას.
და ტექნოლოგიური სიახლეები,
ენაში შემოჭრილი ახალი ტერმინები,
ამინდი, რომელიც გგონია, რომ გამუდმებით რალაცას გკარნახობს,
ხიდი, რომელზეც ყოველდღე გადიხარ, და თან ფეხს ითრევ.
სიზმრები, რომლებიც ყოველდღამით რალაცაზე მიგანიშნებენ,
ყოველდღიური ქცევითი მეტაფორები,
სარეკლამო ბილბორდებზე გამოკრული ბედნიერება,
სიყვარულზე ნანერ ლექსებში რჩევების ძებნა,
და აშ.

აღუზიებად ქცეული სიმბოლოები,
ბოლო რომ არ უჩანთ,
რომლებმაც დაიკავეს მთელი ცხოვრება
და შენს შიშებზე, შენს ეჭვებზე დააშენეს ცათამბჯენები,
საიდანაც გადახედვას თავს ვერ არიდებ.
და ზიხარ სპამი შეტყობინებებით სავსე კომპიუტერთან,
გარშემორტყმული სპამი ადამიანებით,
გართული სპამი საქმიანობით,
დათრგუნული სპამი გრძნობებით,
სპამი ნიუსებით შეპყრობილი,
სპამ მეგობრებთან დროსტარებას მონატრებული
და სპამი ღმერთის იმედად მყოფი.
და მთავარია, ერთხელაც არ აღმოაჩინო,
რომ დიდი ხნის წინ შენც სპამად იქეცი.
თორემ დანარჩენ სპამებს კიდევ ეშველებათ,

მათთან ბრძოლა კიდე შეიძლება.
სპამი „შენ“ კი, რასაც შეეხება, ყველაფერს გაასპამებს.
ცხოვრება, ეს შორი და სახიფათო მოგზაურობა,
კიდევე უფრო საშიში ხდება, თუ არ იცავ საგზაო ნიშნებს.
თუკი ვერ ცნობ მინიშნებებს, რომლებიც გხვდება,
რომლებსაც გიხსნიან შემთხვევები,
ადამიანთა ქცევები,
ცვალებადი შეგრძნებები,
რომლებიც გაფრთხილებენ და გამუდმებით რალაცაზე მიგანიშნებენ.
და რაც მთავარია – ამოიცნო მათ შორის სპამები.
თორემ აირევი და ველარ გაარჩევ ისეთ მარტივ მოცემულობებს,
როგორიც არის – ენდო თუ არა ნისლიდან შენკენ გამოწვდილ ხელებს,
როცა ირგვლივ არავინ არის.
როცა შენც კი სადღაც შორს ხარ შეკეტილი საკუთარ თავში,
და შენ ნაცვლად სპამი „შენ“ ცხოვრობს.
ზოგჯერ სჯობს, თვალებს დააფარო ქუთუთოები,
ან ხელისგულები,
ანდაც ბალიში,
სულერთია,
და იფიქრო რამე ნამდვილზე,
რომელიც დიდი ხანია, გადაგავიწყდა.

* * *

როცა ოცნების ვინრო თოკზე ფრთხილად მიდიხარ –
ხელში ყოფითი პრობლემების უმძიმეს ჯოხით,
ქვემოთ მინიმუმ,
ოჯახი და მეგობრები უნდა ლელავდნენ,
ჩამოვარდნილს ხელები რომ შეგაშველონ...
შენ კი დროდადრო
გვერდზე დებდე თოკსაც და ჯოხსაც
და შენს თავში ჯერ სიარულს სწავლობდე და
შემდეგ ხეტიალს,
დაცემულმა ნამოდგომა რომ მოახერხო.
და ხელახლა დაინახო
ქალი – თავის სისხლს შეჩვეული,
კაცი – საკუთარ ჩრდილს დატოლებული,
ბავშვი ცნობიერის ნაპირთან ჩამომჯდარი – კენჭებს რომ ისვრის.
მაგრამ არა ამ დროში,
არა ამ სივრცეში, – სხვა დროს და სხვაგან.
ახლა ხომ დროც და მით უფრო სივრცეც
ერთგანზომილებიანი ტილოა,
ოთხგანზომილებიანი ამბავს რომ ჰყვება,
რომელშიც ქალს სისხლისფერი დაავიწყდა,
კაცი ჩრდილზე პატარაა,
და ბავშვი გამობერილი მუცელია –
საკუთარ ჩრდილს რომ ჯერ არა ჰგავს.
და როცა იმსგავსებს, საშრობივით შეინოვს გრძნობებს,
სიცოცხლეს რომ გაასინჯებს,
ნარჩენებს კი სევდად უქცევს,



და მხრებს სიმძიმედ შემოულაგებს.

რომელთაც ვერასდროს დაღვრის წყალივით,
არამედ ათრევს

და ოცნებების თოკზე გავლისას წონასწორობას დააკარგვინებს.

და მნიშვნელობა აღარა აქვს, რომელი ხარ, კაცი თუ ქალი,
ორივე შემთხვევაში ბავშვი ხარ გაზრდილი,
ჩრდილს რომ დაათრევს.

გახვალ ქალაქში, ერთმანეთი კიდევ მოგძულდათ,
მაინც ერთმანეთში დანანნალებთ,

შეცვლილ ადგილებში ისევ იკითხება ძველისძველი შეგრძნებები,
შესანახად ამ ადგილებს რომ მიაბარე.

და აიხედავ თავს ზემოთ და გული დაგწყდება,
რომ ამსიმძიმე ღრუბელმაც კი ისწავლა ფრენა,
სევდასაც რა ადვილად გაღვრის,

თუ მოგიხელთა,

შენ კი ვერც ფრენა ისწავლე და ვერც სევდის ნთხევა,

და მით უარეს, ვერ ისწავლე ზიდვა და თრევა –
არამედ წერა, და წერ ნახატს, რომელიც ჰყვება –

ქალაქს და მერე ერთმანეთში უგზო ხეტიალს,
ორივეს რომ მოგძულდათ, მაგრამ

მეტი არა ხართ,

სულ ეს არის, რაც თქვენგან არის,

რაც თქვენგან იყო.

და ასე ივლი, რადგან კარი არა აქვს წარსულს.

რომელიც შენში ჩამომდგარა, რომელიც გდევნის

მისგან გაქცევის უსასრულო მცდელობის გამო,

რომელსაც ახლაც აწარმოებ და არ გამოგდის,

ის რა ხანია, ჩრდილად გექცა, ველარც შორდები

და ერთადერთი, სიზმარივით თუ შეიბრუნებ,

შიგ რომ შეხვიდე, გამვლელივით, სხვა რაკურსიდან

ხელახლა მოყვე, მნიშვნელობა რომ შეუცვალო.

ბოლოს კი მიხვდე, რომ წარსულიც ცვალებადია

და სულ სხვა გხვდება, რამდენჯერაც შიგნით გაივლი,

ეს სიარულიც, თითქოს ერთი წიგნის კითხვას ჰგავს,

ყოველ ჯერზე წაკითხვისას რომ შინაარსს იცვლის –

რომელიც გყვება.

და შენც ეჩვევი წარსულის ცვლას, და ის კი შენ გცვლის,

რადგან ფეხებქვეშ გზაც სხვა ხდება, რომელზეც დგახარ,

რომლითაც უნდა გზა გაიგნო, რომლითაც ახლაც,

სადლაც ამ ლექსთან ჩამომდგარხარ და ფიქრს დაჰყვები.

როცა ოცნება ყავარჯნებს ჰგავს, როცა გვერდზე დებ,

და ათასჯერ წაკითხულ წიგნს კვლავ უბრუნდები,

და კითხულობ,

და კითხულობ

და ვერ ცნობ.

სხვანაირად გეკითხება,

უფრო სწორად კი, ამ კითხვაში იწერება

სულ სხვა ამბავი, რომელიც გყვება.

როცა წიგნში სიარულს იწყებ,

როგორც ქალაქში, ერთმანეთში როცა დადიხართ.

* * *

შენი მე სახლი ვარ,
შენი მე კედლები,
შენი მე კარები,
შენი მე ფანჯარა,
რომელშიც დგახარ და უყურებ ცხოვრებას,
ხელს როგორ ვერ განვდენს, ვერ გათოვს, ვერ გზარავს.
არამედ გარს გივლის, ჩრდილივით იზრდება,
ტალღებად აჯახებს ღამეებს მინაზე,
მაგრამ შენ სახლში ხარ, აქ სიმშვიდეა,
ჩვენ ერთმანეთში გადავირავთ.
ვერ შეგეხება ტკივილი, ეჭვი,
ნიღბის სიმძიმის კვალი სახეზე,
ჩვენ ის სახლი ვართ,
რომ არ შენდება,
რომელსაც ეძებ ხელის ხაზებზე.

* * *

ბოლოს ყველაფერი კითხვადი ხდება –
სიყვარული,
ცხოვრება,
ღმერთი,
და სხვაობას ველარ პოულობ.
ფურცლავ საკუთარ ნაფეხურებს,
და კითხულობ,
ადამიანი-სიტყვა სხვა სიტყვებთან როგორ ითქმობდი,
რა როლი გქონდა ფრაზებში და აბზაცებში,
რომლებშიც გაგრიეს.
კონტექსტთან ერთად მნიშვნელობა რომ გეცვლებოდა
და ჯიუტად როგორ გეგონა, რომ შენს თავს ნიშნავდი.
ადამიანები თენდებიან და ღამდებიან,
ადამიანები ზამთრდებიან –
და ნევხარ ძველი თოვლივით – არავის სახურავზე, რომ გადმოგბერტყონ,
არავის სახლის წინ, რომ ბავშვებმა მაინც იგუნდაონ
ან თოვლის პაპა გააკეთონ და გაგალიმონ.
ნევხარ ძველი თოვლივით საკუთარ სახლში,
და არ არის სიცივე, რომ გიშველოს,
არის სითბო, რომელიც ველარ გადაგარჩენს – წარსულისგან,
რომელსაც მუდამ ზურგს უკან ეძებდი
და ზემოდან დაგყურებდა, გახლართული ვარსკვლავების აბლაბუდაში.
ღამღამობით ძლივსლა ამბობ საკუთარ თავს, გულაღმა წეები,
და ფურცლავ ნაფეხურებს,
და მერამდენედ უყურებ საკუთარ თავს, ჯერ ახალგაზრდას.
იცი, როდის რა უნდა გადახდეს,
მაგრამ ღმერთივით ვერაფერს ცვლი, ვერ გადაარჩენ.
ბოლოს ყველაფერი კითხვადი ხდება,
და კითხულობ,
კითხულობ,
და ერთ სიტყვასაც ველარ ამატებ.



[...] აღსარების კილო თავისთავად განაპირობებს ამ კრებულის უმთავრეს სტილისტურ თავისებურებას – სადა, მაგრამ არა მარტივ პოეტურ ენას, რომლისთვისაც პრინციპულად უცხოა ყოველგვარი ზედმეტი მხატვრული სამკაული. ეს ენა ვერ ჰგუობს ზედაპირზე ამოტანილ შედარებებსა და მეტაფორებს, უფრო სწორად, შედარებისა და მეტაფორის ისეთ სახეს, სადაც აღმნიშვნელიც და აღსანიშნიც, როგორც ტრადიციულად ხდება ხოლმე, საერთოდ, ცალსახად და დეტალურად გამოკვეთილია.

აქ მეტაფორას, უმთავრესად, რამდენიმე დონე აქვს და მისი ერთ-ერთი დონე აუცილებლად გადაკვეთს ნათქვამის სინტაქსურ ველს. სინტაქსური თამაშების, სინტაქსის პოეტური სიღრმეების აქტუალიზება დათო ყანჩაშვილის ძირითად მხატვრულ იარაღს წარმოადგენს. [...]

საერთოდ, დათო ყანჩაშვილი ახერხებს ზუსტად გაიაზროს საკუთარი შეგრძნებები და მერე ასევე ზუსტი სიტყვები შეარჩიოს ამ შეგრძნებათა გადმოსაცემად. შემოძლია თამამად ვთქვა, რომ მას თითქმის არასოდეს გაურბის ფრაზა არასაგნობრივი, განყენებული სივრცეებისაკენ. ის ცხოვრების შვილია და ცდილობს, ცხოვრება გადმოსცეს მის ყველა, მრავალფეროვან განზომილებაში. [...]

საერთოდ, დათო ყანჩაშვილი ახერხებს ზუსტად გაიაზროს საკუთარი შეგრძნებები და მერე ასევე ზუსტი სიტყვები შეარჩიოს ამ შეგრძნებათა გადმოსაცემად. შემოძლია თამამად ვთქვა, რომ მას თითქმის არასოდეს გაურბის ფრაზა არასაგნობრივი, განყენებული სივრცეებისაკენ. ის ცხოვრების შვილია და ცდილობს, ცხოვრება გადმოსცეს მის ყველა, მრავალფეროვან განზომილებაში. [...]

დათო ყანჩაშვილს ეხმარება ის, რომ მხოლოდ თავის თავზე არ არის კონცენტრირებული და სამყაროს ან ყოველდღიურობას მხოლოდ საკუთარი ეგოს პრიზმიდან არ უყურებს. ამიტომაც არის მისი პირველი პოეტური კრებული ფასეული და ბევრი მკითხველი, განსაკუთრებით კი, მისი თაობის მკითხველები, სიფიხიზლის გამო დანერვილ ამ ლექსებში თავის თავთან უამრავ მსგავსებას იხილავენ. [...]

*გიორგი ლობჯანიძე
ნერილიდან „ლექსები სიფიხიზლის გამო“
რადიო თავისუფლება. 27.04.2014*

[...] ლექსში „სარდაფი“ დათო ყანჩაშვილი საკუთარ არაცნობიერში იქექება. სახლი, რომელიც მემკვიდრეობით ერგო, ცოდვიანია და ახლა ეს ცოდვები მან უნდა ზიდოს; მან უნდა აგოს პასუხი სარდაფში აღმოჩენილ მკვდარზე, სხვების მიერ ჩადენილ დანაშაულზე...

„ჩნდება შეგრძნება,
თითქოს დაგრჩა ანდერძით სახლი,
რომლის სარდაფიც
გამუდმებით უნდა ალაგო
და ვერ გაერკვე,
როგორ მოხვდა სარდაფში მკვდარი,
რომელიც ღამე
სადმე სხვაგან უნდა დამარხო...“

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოეტმა გაცნობიერებულად არ იცის, რომ ფსიქოლოგიაში სარდაფი არაცნობიერს შეესაბამება და მისი აღწერით არაცნობიერს აღწერს და „ალაგებს“ (ან ურევს დალაგებამდე). ამიტომ არის მნიშვნელოვანი შემდეგი სტრიქონები:

„და ეს წარსული,
როგორც ანმყოს ქვეცნობიერი,
გინდა-არ გინდა, ინყებს ტივიტის,
გაფრთხობს და გაბნევს,
ველარ იხსენებ რა გადაგხდა,
რა იყო მართლა
და რა გადმოგყვა ამ ანდერძით –
რა გაგიყალბეს“.

ასე გრძელდება სარდაფში (არაცნობიერში) ჩხრეკა, თვალთვლება, გაანალიზება. და რა ხდება ამის შემდეგ? დაკვირვებას მოსდევს გაცნობიერება, რაც ლექსში ამ სტრიქონებით გამოიხატა:

„და თავს იმშვიდებ:
„გამოსავალს მოვძებნი რამეს“,
მაგრამ ღამდება,
მთვარესავით გვესება სახლი,
ამჩნევ: სარდაფი უფრო სწრაფად ამოდის ზემოთ,
უკვე საწოლიც
ფორმას იღებს თითქოს სასახლის...“

მეტაფორა „სარდაფის ზემოთ ამოსვლა“ შეესაბამება სწორედ არაცნობიერი მოვლენების ცნობიერში ამოტანას. რა თქმა უნდა, მთელი ლექსი მეტაფორულია. არც მკვდარი შეიძლება გავიაზროთ პირდაპირი მნიშვნელობით... ეს არის ე.წ. კარმა, „სახლის სული“, რომელსაც ქმნიდნენ მანამდე, სანამ ამ „სახლში“ პოეტი გადმოვიდოდა საცხოვრებლად... იქნებ ამ არაცნობიერი შიშისა და სხვისი ცოდვების საკუთარ თავზე არალების გამო დათო ყანჩაშვილის პოეზიაში მნიშვნელოვანია, რომ ის ხშირად „გარბის სახლიდან“, „ანგრევს სახლს“... ამ მეტაფორებით ავტორი ცდილობს ძველის დაძლევას, სახლის კორექციას, ახლის აგებას... [...]

*ცირა ბარბაქაძე
ნერილიდან „სამყარო როგორც სახლი და სახლი
როგორც სამყარო“
„მასწავლებელი“. 04.06.2015*

სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს

დათო ყანჩაშვილი

ყაზბეგის 15-ში, მესამე სართულზე, 54 ნომერ ბინაში, 40 წელს გადაცილებული ლევან მოსიძე ცხოვრობდა. თუმცა, გადასახადებს ამ ბინაზე იგორ პოტრუხებსკი იხდიდა. იგორსა და ლევანს არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდათ, ერთმანეთს არც იცნობდნენ. ქუჩაში რომ შემთხვევით შეხვედროდნენ, ჩვეულებრივი უცნობებივით გვერდს აუქცევდნენ. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო მათი ქუჩაში შეხვედრა გამორიცხული იყო.

ეს უცნაური და ნაცნობობამოკლებული კავშირი კი იმით დაიწყო, რომ 40 წელს გადაცილებული მარტოხელა ლევანი უძილობამ შეანუხა. გულალმა დაწვებოდა ხოლმე, თვალს დახუჭავდა და ფიქრების პროექტორს ქუთუთოებზე მიმართავდა, რომ განვლილი ცხოვრების კადრებისთვის ეცქირა. ზოგიერთ მონაკვეთს უბრუნდებოდა კიდევ და გულდასმითაც აკვირდებოდა, თან რალაცეებს გაუგებრად ბუტბუტებდა.

რამდენჯერმე სცადა დაოჯახება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. საქმე საქმეზე მიდგებოდა თუ არა, რამე მიზეზს იპოვინდა და თავს დაიძვრენდა ხოლმე. ასეთ დროს თითქოს რალაცნაირ შევებასაც კი გრძნობდა, რომ მარტოობის ერთგვარ წესრიგს, რომლიც ლამის წესად ექცა, ვერავინ დაურღვევდა. ერთი შეხედვით, ცხოვრება აწყობილი ჰქონდა, ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიაში რიგითი ფინანსური მოხელიდან ფინანსურ დირექტორობამდე ტალახიანი და ქვალორლიანი აღმართი აიარა. რამდენჯერ შიგ ცხვირ-პირშიც მოხვედრია კარგა მოზრდილი ბელტი. კარგი შემოსავალი ჰქონდა, სახლი – გამოტენილი თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ყველა ეგზემპლარით. რეკლამებში ნაჩვენები მანქანაც ჰყავდა და აგარაკიც შეიძინა, რომელზეც არასდროს დადიოდა. რამდენჯერაც დააპირა, შიშმა შეიპყრო, რომ იქ კიდევ უფრო დიდი და სახიფათო მარტოობა ჩასაფრებოდა. არ ჰყავდა მეგობრები. არ ყავდა საყვარელი. უკანონო შვილიც კი არ ჰყავდა. ან როგორ უნდა ჰყ-

ოლოდა? ფიზიკურ ურთიერთობებს გაურბოდა და სულიწმინდა კიდე ეს არ იყო. მთელ დროს სამსახურში ატარებდა. ნათესავებთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, მათ გახსენებაზე მხოლოდ დახმარების თხოვნები ახსენდებოდა.

და აი, გაელვია ლევანს ამ ღამითაც, თავში ათასი ეჭვი და შიში უტრიალებდა, სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარა გამოაღო და ინსტინქტურად მოპირდაპირე კორპუსის ფანჯრებს დაუნყო თვალთვლიერება. კორპუსის ყველა ბინადარზე ყველაფერი იცოდა. ვინ რითი ცხოვრობდა და ვინ რა ტიკიტომარაც იყო. სხვების ცხოვრება ყოველთვის აინტერესებდა, რადგან საკუთარში არაფერი საინტერესო არ ხდებოდა. ღრმა ნაფაზმა ხველა დაანყებინა, ფანჯრიდან გადააპურჭყა და უეცრად, მესამე სართულზე, იმ ბინაში, რომელშიც უკვე დიდი ხანი იყო არავინ ცხოვრობდა, ქალის ლანდს მოჰკრა თვალი, რომელიც თითქოს მას უყურებდა. ლევანმა სიგარეტის ნამწვი გადააგდო, ფანჯარა დახურა და საწოლზე წამოწვა. „გადმოსულა ვილაცა“, ჩაილაპარაკა.

მეორე დღეს, როდესაც მანქანის სახურავიდან ფოთლებს ყრიდა, სხვათაშორის ჰკითხა სადარბაზოდან გამოსულ მეზობელს, „ვინ გადმოვიდა მესამეზე, სამიანში?“

მეზობელმა თავი გაიქნია, „არავინ, ვინ უნდა გადმოსულიყო? არეშიძეები არ ყიდნიან ბინას, რამდენი ხანია, საზღვარგარეთ არიან, ადრეც იყვნენ მყიდველები მოსულები, მაგრამ ვერაფრით დაუკავშირდნენ.“

ლევანს უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, იმ ქალის ლანდმა ახლა უფრო შეაშინა, ვიდრე გუშინ. „იქნებ მომეჩვენა? – ფიქრობდა ლევანი, – იქნებ ნერვები ვერ მაქვს წესრიგში? რამე დამამშვიდებელი უნდა მივიღო.“

სამსახურის შემდეგ ლევანი ექიმთან მივიდა. რომელთანაც საკუთარი შფოთვების მხოლოდ მცირე ნაწილი გათქვა და კარგა მძლავრი ანტიდეპრესანტივის რეცეპტიც გამოიმუშავა. დალევაც დაიწყო. თითქოს ძილიც მოუნესრიგდა და ის იყო, სიმშვიდე დაიბრუნა, რომ ერთ ღამეს ტელეფონის გაბმულმა ზარმა, საძილე აბებით ძლივს ჩაძინებული ლევანი საწოლიდან წამოახტუნა. „ვინ უნდა იყოს“ – გაიფიქრა. საათს შეხედა. ღამის ოთხი სრულდებოდა, ასეთ დროს არავინ რეკავდა ხოლმე. „იქნებ, რაიმე ცუდი მოხდა?“ – გაიფიქრა. ცოტათი კმაყოფილებაც იგრძნო, რომ ვინმესთვის საჭირო გახდა. მაგრამ ვერავინ გაიხსენა გონებაში ისეთი, ვისაც რაიმე ცუდის შემთხვევისას შეიძლებოდა მისთვის მიემართა.

– გისმენთ.

– ანი მინდა. – გაისმა 20 წლამდე ბიჭის ხმა.

– სხვაგან მოხვდი, – უპასუხა ლევანმა და დასევდიანდა.

„ახლა დარეკავს ანისთან, მთელი ღამე ილაპარაკებენ, მერე შეხვდებიან, ერთმანეთს აკოცებენ, მერე შვილები ეყ-



ოლებათ..“ ლევანს გული აუჩუყდა, უეცრად გაახსენდა შვიდი-ოდე წლის წინათ რომ ვილაც ჩასუქებულ ნანას თუ ნინას რომ ურიგებდნენ, შემდეგ ფიქრი გაექცა და უეცრად წარმოუდგა თვალწინ რა მოხდებოდა, ცოლად რომ შეერთო. მივიდოდა ხოლმე სახლში, ნანა თუ ნინა კარს გაუღებდა, გასუქებული და ფორმადაკარგული კი იქნებოდა, სამაგიეროდ, ფეკილით დასვრილი წინსაფარი ეკეთებოდა, ლევანის საყვარელ ხორცის ბლინებს გამოიტანდა, მერე გამოსხავდა მონესრიგებულად ჩაცმულ ბავშვებს, რომლებიც მწყობრი ნაბიჯით გაეშურებოდნენ მამისაკენ და რიგრიგობით აკოცებდნენ ლოყაზე. „აბა, ბავშვებო, მამას ძილინებისა უთხარით“ ეტყოდა დედა ბავშვებს, ბავშვებიც ერთხმად იტყოდნენ „ძილინებისა მამიკო,“ და მწყობრი ნაბიჯითვე გაეშურებოდნენ საძინებლისაკენ. ლევანი სამზარეულოს მაგიდას მიუჯდებოდა. ხორციან ბლინებს ერთმანეთის მიყოლებით ჩაიყრიდა პირში. ლევანმა ბლინების გემოს წარმოდგენაც კი სცადა და უეცრად მოეჩვენა, რომ მარილი აკლდა, შემდეგ გული მოუვიდა და წარმოდგენა სასწრაფოდ შეასწორა. ცოლი იქვე იდგებოდა მოლიმარი სახით, შემდეგ ჩაისაც დაუსხამდა. ლევანი ფიქრით ისე გაერთო, რომ ანაზღად ყბები აამუშავა, თითქოს მართლა ხორციან ბლინებს ლეჭავდა. სახე გაბადრული ჰქონდა, შემდეგ სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარა გამოალო, გააბოლა და უეცრად ტანში გასცრა. სახლში, რომელშიც არავინ ცხოვრობდა, ისევ ქალის აჩრდილი ჩამომდგარიყო და ხელი მისკენ ჰქონდა გამოშვრილი. თითქოს მიზანში ამოეღო. ლევანს მუხლები მოეკეცა, იატაკზე დაჯდა და ცივმა ოფლმა დაასხა. მერე მალულად, ისე, რომ არ წამომდგარა სანოლამდე მიხობდა, შიგნით შეძვრა და თავზე საბანი გადაიფარა.

დიდხანს არ დაეძინა, მხოლოდ გამთენიისას ჩასთვლიმა. მეორე დილით სწორედ იმ სახლს მიაშურა, საიდანაც წინა ღამით ქალის აჩრდილმა შეაშინა. გამალებით აბრახუნებდა კარზე. იმდენი ქნა, სანამ ხმაურმა მოპირდაპირე ბინაში მცხოვრები მეზობელი არ შეანუხა.

„უი, თქვენ ხართ, ბატონო ლევან?“ – გაუკვირდა მეზობელს, – „ამ ბინაში, უკვე რამდენი ხანია, არავინ ცხოვრობს“.

– იქნებ ცხოვრობს და თქვენ არ იცით? – უკმეხად მიუგო ლევანმა და კარზე ბრახუნი განაგრძო.

მეზობელმა გაკვირვებული სახით დახურა კარი. ლევანი გრძნობდა, რომ უკვე ისტერიკაში იყო. სამსახურში დარეკა და ერთკვირიანი შვებულება აიღო. შემდეგ მალაზიაში გაეშურა, სათვალთვალო დურბინი და ფოტოაპარატი იყიდა და მომდევნო რამდენიმე ღამე ფანჯარასთან შეიარაღებულ თვალთვალში გაატარა. მაგრამ ქალის აჩრდილი აღარსად ჩანდა. მეოთხე ღამეს, ყველაფერი ნერვებს და წამლებს დააბრალა, ბინოკლი გადადო და მშვიდად დაიძინა.

რამდენიმე კვირა ისე გავიდა, ლევანს თითქმის გადაავინყდა მოპირდაპირე სახლის ფანჯარაში გამოცხადებული ქალის აჩრდილი. საკუთარ მდივანს არმიყიც კი დაუნყო, მართალია, ფლირტში დახელოვნებული არ იყო, მაგრამ ყავაზე დაპატიჟება არ აღმოჩნდა ძნელი საქმე. შემდეგ კი გაათამამდა და სახლშიც მიიპატიჟა. კონიაკის ჭიქების ჭახუნს სანოლი ოთახი და სქელი საბანი მოჰყვა. ლევანი ლოშინდა მდივანს, რომელსაც

ჩაცმულს არ ეტყობოდა, რომ დიდი მუცელი და თმინანი ზურგი ჰქონდა, მაგრამ ახლა რალას იზამდა? აგრძელებდა დაწყებულ საქმეს და თან ფეკილით დასვრილ წინსაფარზე ფიქრობდა. ღამის 5 საათი იქნებოდა, როდესაც მდივანმა გააღვიძა, უნდა წავიდეთ. კაცს წინააღმდეგობის განევა არც უფიქრია. ტაქსი გამოუძახა და მხოლოდ კარამდე მიაცილა. შემდეგ სიგარეტს მოუკიდა და ფანჯარა გამოალო.

ქუჩა ცარიელი იყო, ლევანი კი კმაყოფილი, მდივანთან რომანი გააბა, მოჩვენებები აღარ ჰქონდა, და, ნუ, არც ისეთი მსცოვანი იყო, ცოლის მოყვანა რომ ვერ მოესწრო. წარმოიდგინა ხორცის ბლინები და მწყობრი ნაბიჯით საძინებლისკენ მიმავალი ბავშვები... და უეცრად მოპირდაპირე კორპუსის სადარბაზოდან გამოსული ორი მამაკაცი შენიშნა, რომლებიც უზარმაზარ ჩანთას მოათრევდნენ, თან აქეთ-იქით საეჭვოდ იყურებოდნენ, თითქოს ამონებდნენ, ვინმე ხედავდა თუ არა. მერე ერთმანეთს რალაც გადაულაპარაკეს და ჩანთა დაბლა დადეს. ლევანი თავპირისმტრევით გავარდა კარადისკენ, სადაც ბინოკლი ეგულეობდა და მკვირცხლადვე დაუბრუნდა სათვალთვალო ადგილს. სიბნელეში უცნობების სახეები ცუდად იჩივოდა, ამიტომ მზერა ჩანთაზე გადაიტანა, საიდანაც გარკვევით მოჩანდა ადამიანის მაჯამდე გადმოვარდნილი ხელი. ბინოკლი ხელიდან გაუვარდა, მოიკუნტა, ფანჯრის რაფის ქვეშ იატაკზე დაჯდა, მერე ტელეფონამდე მიფორთხდა და პოლიციაში დარეკა.

– დარწმუნებული ხართ, რომ ქალის ხელი იყო? იქნებ სიბნელეში ვერ გააჩრჩიეთ კარგად? – ეკითხებოდა პოლიციელი.

– არა, დარწმუნებული ვარ, ქალის ხელი იყო! – იმეორებდა აღელვებული ლევანი.

ჯერ გათენებულიც არ იყო და ეზო უკვე სავსე იყო პოლიციელებითა და მეზობლებით.

– ბატონო ლევან, მთელი სადარბაზო გავჩხრიკეთ, არანაირი კვალი არ არის, მეზობლებსაც არაფერი გაუგიათ, – უთხრა ლევანს სადარბაზოდან გამოსულმა ერთ-ერთმა პოლიციელმა. ნამძინარევი მეზობლები ეჭვის თვალთვალს უყურებდნენ.

– ბატონო ლევან, აქამდეც ხომ არ შეგინინანავთ რამე საეჭვო?

– აი, მოპირდაპირე სახლიდან, არავინ რომ ცხოვრობს...

ლევანი უცებ გაჩუმდა, მიხვდა, რომ ახლა ამ წინადადების დამთავრება და მისი გიჟად შერაცხვა ერთი და იგივე იქნებოდა.

– მერე? – ჩაეკითხა პოლიციელი,

- არაფერი - უთხრა ლევანმა და სახლისკენ წავიდა.

მდივანმა, რომლის ძმისშვილიც ბანკში მუშაობდა, ლევანს იმ სახლის გადასახადების ამონაწერი მოუტანა, რომელშიც არავინ ცხოვრობდა.

- აი, ეს ვილაც იგორ პოტრუხებსკია, ეს კაცი კიდეც 9 სხვა ბინაზე იხდის გადასახადებს, აქ ამ სახლების მისამართებიცაა, - დააყოლა მდივანმა.

ლევანმა ამონაწერი სწრაფად ჩამოართვა.

- რა ხდება ლევან? მოხდა რამე? რალაც ცუდად გამოიყურები.

- არაფერია, მერე აგისხნი რა, - თქვა კაცმა და მანქანისკენ წავიდა.

ლევანი ყველა იმ მისამართზე მივიდა, სადაც იგორი გადასახადებს იხდიდა, ყველგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო მეზობლებისგან, „ამ სახლში არავინ ცხოვრობს“. ლევანი ხვდებოდა, რომ რალაც ხდებოდა, რალაც ისეთი, რაც მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლო, გარდა იმისა, რომ ისევ იმ ბინისათვის ეთვალთვალა, მისი სახლის მოპირდაპირე მხარეს.

ერთთვისანი თვალთვალისა და უძილო ღამეების შემდეგ, ლევანმა დაასკვნა, რომ ყოველ ორშაბათს, დილის 5 საათზე, მოდიოდა შავებში ჩაცმული უცნობი, შავი პარკით ხელში, დაახლოებით 3 წუთით შედიოდა სადარბაზოში და შემდეგ უკან ბრუნდებოდა.

მომდევნო ორშაბათს, დილის ხუთ საათზე, ლევანი მოპირდაპირე კორპუსის სადარბაზოში შევიდა და სახლის კარზე, რომელშიც არავინ ცხოვრობდა, ფრთხილად დააკაკუნა. ლევანს ხელში დანა და ფანარი ეჭირა. ერთიანად ოფლში ცურავდა, მთელი სხეული შიშისგან უთრთოდა, უეცრად კარს მიღმა ნაბიჯების ხმა გაისმა, ლევანს გული შეეკუმშა, ნაბიჯების ხმა თანდათან ახლოვდებოდა, და ბოლოს კარებთან გაჩერდა. ლევანი არ სუნთქავდა. უცებ კარი გაიღო, ლევანი კარს მიაწვა და ჩაბნელებულ სახლში შევარდა. ვილაცას დაეჯახა და ნააქცია, მერე ფანარი მიაწათა და დაინახა ხანშიშესული ქალი, რომელიც შეშინებული და გაოგნებული თვალებით შეჰყურებდა ლევანს, რომელსაც დანა მოემარჯვებინა.

ქალმა ხელი ოდნავ ასწია, ხელი მასაც უთრთოდა. „დამშვიდდი, ნუ გეშინია“ - აღმოხდა ქალს. გაჭირვებით წამოდგა, ისე, რომ კაცს თვალს არ ამორებდა. შემდეგ სანთელი ანთო და იქვე მდგარ პატარა მაგიდაზე დადო.

ლევანს ხელით ძველ სავარძელზე მიანიშნა და თვითონაც დაჯდა. ერთხანს ჩუმად ისხდნენ, შემდეგ ლევანმა დაარღვია დუმილი, "რა ჯანდაბა ხდება აქ?"

- ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, - თქვა ქალმა.

- იცოდი? საიდან იცოდი? - გაოცდა კაცი.

- იმიტომ, რომ შენც მარტო ხარ და დახმარება გჭირდება.

- მეც მარტო ვარ - რას ნიშნავს? ან შენ ვინა ხარ?

- მე... მე მარტო ვიყავი და ახლა ღმერთთან ვარ...

- სულ ეგ არის? არა, აქ რალაც ხდება, - ლევანმა ოთახი მოათვალიერა, - აქ მოკლეს ის ქალი?

- არა, აქ არავინ მოუკლავთ, ის ჩემი და იყო, სიმსივნით გარდაიცვალა, უბრალოდ, დასამარხად წაიღეს.

ლევანი ძალიან დაბნეული იყო,

- რას ნიშნავს წაიღეს? მერე პანაშვიდი, ან დასაფლავება... ან რატომ ჰგონია ხალხს, რომ აქ არავინ ცხოვრობს?

- იმიტომ, რომ ასე უკეთესია. ძნელია ამის ახსნა, ეს სამყარო, გარეთ... მას ყველაფერი მიაქვს. ყველაფერი ის, რაც ღმერთმა თავის მსგავსი მოგანიჭა. ეს ყალბი ურთიერთობები... ცრუ საქმიანობები, რომლითაც თავს ვირწმუნებთ, თითქოს რაიმე საჭიროს, მნიშვნელოვანს ვაკეთებთ, იქ ღმერთს შორდები... შორდები საკუთარ თავსაც. მექანიკური თოჯინები დადიან სამსახურამდე და სახლამდე, მთელ დროს ამ დიდ შეჯობში ხარჯავენ, რომ სხვებზე მეტი ჰქონდეთ, სხვებზე უკეთესი კომფორტი მოიწყონ, ბევრი უმნიშვნელო და ბრჭყვიალა ნივთი შეაგროვონ, რომელიც არაფერში გარგია, რომლითაც თავს ირთობ, და ივინყებ ყველაფერ მთავარს და მნიშვნელოვანს. როგორც კი გარეთ გადიხარ, ერთგები ამ ატრაქციონში, წყდები რეალობას. შორდები საკუთარ თავსაც და ღმერთსაც.

- ადამიანები... - აღმოხდა ლევანს.

- ადამიანები, - გაიმეორა ქალმა. - რას გაძლევენ ადამიანები? რას ელოდები მათგან, თანაგრძნობას? პატივისცემას, რომ საკუთარი პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილო? ადამიანი, რომელიც უნდა გადარდებდეს, ეს შენ ხარ. საკუთარ თავს არ უნდა დაშორდე, იქ, გარეთ, ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ შენს თავთან ურთიერთობის დრო არ დაგრჩეს, ათას სისულელეზე იფიქრო, ცრუ პრობლემებზე, ყოველდღიურ წვრილმანებზე, რაც სინამდვილეში უმნიშვნელოა. ჩვენ ვწყდებით რეალობას, როდესაც იქ, გარეთ, ამ ფანტომურ პროცესებს ვიღებთ, როგორც სინამდვილეს. განა ღმერთს სჭირდება შენგან, რომ სამსახურში კარიერა გაიკეთო? ან თვეობით სამსახურში დახარჯული დროის შემდეგ დაგროვილი ფულით მორიგი უსარგებლო ნივთი მიიტანო სახლში, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ყიდულობ, რომ სხვებს დაანახო?

- და რა საჭიროა ამისთვის სახლში გამოკეტვა, გგონია, ვინმე დაგიშლის ისე ცხოვრებას, როგორც შენ გინდა?

ქალს გაეღიმა.

- სადაც უნდა ნახვიდე, ეს ქაოსი ყველგან მოგწვდება. თავისი წესებითა და მოვალეობებით. ადამიანთა ენებითა და მზერებით. მორიგ მსხვერპლად იქცევი, რომელსაც ხალხი მორალის სახელით გაასამართლებს და სხვად, უცხოოდ შერაცხავს. და შემდეგ ამ უცხოს სახელი უნდა ზიდა. ხანდახან შეიძლება ფიქრიც გაგექცეს და დროც ამაზე ფიქრში. ყველაზე უსა-

ფრთხო ადგილი სწორედ ის არის, რომელიც არ არსებობს. ყველაზე უსაფრთხო ადამიანიც ის, რომელიც აქ არ არის, არამედ სხვაგან. თვალში არავის ხედება და ძებნასაც არავინ უწყებს, რადგან ჰგონიათ, რომ სადმე სხვაგან მონანილებს ამ ფერხულში, რომელიც ადამიანმა საკუთარ თავს დაუნესა. როგორც კი მიხვდებიან, რომ ამ ყველაფერზე უარს ამბობ, მაშინვე ძებნას დაგინებენ. მაშინვე სახელებს დაგარქმევენ, საკუთარი ზიზლისა და დაცინვის ობიექტად გაქცევენ. შენ დროის მოპარვას დაინწყებენ,

ლევანი გაოცებული უსმენდა ქალს, რომელიც რაღაც თავისუფლებაზე ლაპარაკობდა, ადგილზე, სადაც ვერავინ დანახავდა, ვერავინ შეამჩნევდა, სადაც გარესამყარო ვერ შემოაღწევდა, და თან არსად წასვლა არ იყო საჭირო.

- კი, მაგრამ, რითი ცხოვრობ? - იკითხა ლევანმა.

- ორგანიზაცია რომელიც მეხმარება, მაძლევს იმის საშუალებას, რომ სახლიდან გაუსვლელად მივიღო ყველაფერი, რაც მჭირდება. ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი სახლი მათ დარჩებათ. მაგრამ ღმერთი გეუბნება, რომ შენი ულუფა შენი ოფლით უნდა მოიპოვო, ამიტომ ყველაფერს ვაკეთებ, რაც ხელიდან გამომდის, ვქსოვ, ვკერავ, კვირაში ერთხელ მოდის იგორი, მიაქვს ჩემი ხელნაკეთები, აბარებს და ყიდულობს ყველაფერს, რასაც ვაბარებ.

- ეს სიგიჟეა, - თქვა ლევანმა.

- რა თქმა უნდა, ეს სიგიჟეა, ვილაცისთვის უნდა იყოს კიდევ, ჩემთვის ეს სიმშვიდეა. აი, შენ, რამდენიმე წელიც და გამოგიჩნდებიან შორეული ნათესავები, რომლებიც იკამათებენ, რომელს ეკუთვნის შენი ბინა, გულს აგირევს მათი ანგარებიანი ყურადღება. სადაც წახვალ, ყველგან დაგხვდება თვალები, რომელშიც ამოიკითხავ, „მარტოა და რაში სჭირდება ამდენი რამე.“

- არა, მე ეგ არ მემუქრება, - თქვა ლევანმა და შეეშინდა.

- ხო, რა თქმა უნდა, - გაიღიმა ქალმა.

- არც არავინ მყავს, რომ ვინმესთვის რამის დატოვების გამო ან ფული ვაგროვო, ან რამე ქონება შევიძინო.

- აქ ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება, - ქალმა გადმოაწყო ძველი ალბომები, გადმოიღო გაცრეცილი სათამაშოები, - აი, ეს კი, ეს ის სამყაროა, რომელსაც მე ვქმნი, თქვა და ლევანს ხის პატარა თოჯინებიან მაგიდაზე მიუთითა, სადაც მთელი ქალაქის მაკეტი იყო გაკეთებული. ამას იგორი წაიღებს მომავალ კვირას გასაყიდად.

ლევანი ჩუმად იდგა, გაოცებისაგან არ იცოდა, რა ეთქვა. ალბათ ყველაფერს ელოდა, ამის გარდა.

- და ბევრნი ხართ ეგეთები? - იკითხა ბოლოს.

- საკმაოდ, შენ ბევრი სახლი იცი ისეთი, რომელშიც არავინ ცხოვრობს? ხანდახან ერთმანეთს წერილებს ვწერთ, მე, მაგალითად ნონას ვწერ წერილებს, ნონა 84 წლის არის, საოცრად ხატავს, მისი ნახატები არაერთ გალერეაშია გამოკიდული, თუმცა, არავინ იცის, რომ ეს ნონას დახატულია. ნონამ იცის, რისთვის ცხოვრობს. შენ არ იცი. ოდესმე გიფიქრია, რას გააკეთებდი, მუშაობა რომ არ დაგჭირვებოდა არსებობისთვის? ჩვენ ისე ვცხოვრობთ, არ ვსვამთ კითხვას, რისი გაკეთება გვინდა, რა გვინდა, ვინ ვართ, ვინ გვინდა რომ

ვიყოთ... გარესამყარო სხვადასხვა როლებს გთავაზობს, რომელსაც თავისი ფასი აქვს. მე არავინ მინდა ვიყო იმის გარდა, რაც ისედაც ვარ. საკუთარ სულს ვუფრთხილდები, მე ახლოს ვარ ღმერთთან.

ქალმა კედლისკენ გაიშვირა ხელი, სადაც უამრავი ხატი ეკიდა.

- აი, როდესაც მარტო რჩები ღმერთთან და საკუთარ თავთან, მაშინ ყველაფერი იცვლება...

ახლა ველარავინ გახდება შენიანი... ყველა, ვინც შენიანი იყო, აღარაა, ერთადერთი, ვინც მთელი ცხოვრება შენთან იყო, ვისაც ვერ ამჩნევდი, ვინც დაგრჩა - ღმერთია. მასთან უნდა დარჩე, მასთან უნდა განაგრძო ცხოვრება... ეს არის ნათელი, ეს არის ის სიმშვიდე, რაზეც ადამიანებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, რაც იმქვეყნიური ნეტარება ჰგონიათ...


ლევანმა ქალი ხელით უხეზა და განია და კარიდან გავიდა.

უკვე გათენებულიყო. მიდიოდა სახლში, თავი გატენილი ჰქონდა ათასი აზრით, ხელში ისევ ანთებული ფანარი და დანა ეჭირა, ქუჩაში ფეხით მოსიარულეები გაოცებულ მზერას აყოლებდნენ. ლევანმა უცებ იგრძნო, რომ სხვა იყო, მათგან განსხვავებული.

რამდენიმე კვირის შემდეგ, მდივანი ლევანის კართან იდგა და კარზე ძლიერად აკაკუნებდა. ცოტა ხანში მოპირდაპირე კარი გაიღო და მეზობელმა ვინაობა ჰკითხა.

- მე ბატონი ლევანის მდივანი ვარ, რამდენიმე დღეა, სამსახურში არ გამოჩენილა. ხომ არ იცით რამე?"

- ლევანი საზღვარგარეთ წავიდა, რა ხანია, ამ სახლში უკვე არავინ ცხოვრობს. - თქვა მეზობელმა და კარი დახურა.



ალექსანდრე გალპერი



АЛЕКСАНДР ГАЛЬПЕР

ალექსანდრე გალპერი 1971 წელს დაიბადა უკრაინაში, ებრაელების ოჯახში. მაინცდამაინც წიგნების გარემოცვაში არ უცხოვრია და არც გამოფენებსა თუ კონცერტებზე სიარული უწევდა. მისმა ბავშვობამ ძირითადად ხულიგანი ბიჭების წრეში, ჩხუბში, საქმეების გარჩევებსა და შემთხვევით თავგადასავლებში გაიარა.

18 წლისა კი გადასახლდა ამერიკაში, სადაც დღემდე ცხოვრობს. ლექსებს წერს ინგლისურ და რუსულ ენებზე, სცემს წიგნებს და, რაც მთავარია, საგასტროლოდ დადის სხვადასხვა ქვეყნებში, რათა მკითხველს თავად ნაუკითხოს თავისი შემოქმედება. ხშირად აწყდება უკმაყოფილებას კონსერვატორი მსმენელის მხრიდან, რადგან ბევრს არ მოსწონს მისი არანორმატიული ლექსიკა თუ ეკლექტური აბსურდი.

გალპერი ჩვენი საუკუნის გამოფიტულ, მომხმარებლურ სამყაროში შემოგდებული ადამიანის ბედზე წერს, თან ისე, რომ არავის გულს არ უჩუყებს და სენტემენტალურ განცდებს არ ალუძრავს. პირიქით, მკითხველთა ნაწილი შეიძლება გააღიზიანოს კიდევ მისმა გამომწვევმა ტონმა, საკითხებისადმი სარკასტულმა მიდგომამ.

შეიძლება ითქვას, რომ ირონია, რომელიც ხშირად აბსურდში ზავდება, გალპერის მთავარი ინსტრუმენტია წერიტი განწყობილებების გადმოცემისას. სწორედ ეს აყენებს მცდარ გზაზე მკითხველს და აფიქრებინებს, რომ ავტორი გულგრილი ცინიკოსია. ეს, ცხადია, მცდარი აზრია, რადგან რეალური გალპერი, უბრალოდ, ამ ფორმით

გადმოგვცემს თავის გულისტკივილს. მას სურს, საზოგადოებრივი ნიჰილიზმი მამხილებლობით გაარღვიოს და ასე იმოქმედოს მის გარქოვანებულ რეცეპტორებზე.

გალპერი ერთგვარი პოეტი-პროვოკატორიცაა. ის მოულოდნელი ფრაზებით აბნევს მკითხველს, ერთბაშად გადადის სიმარტივიდან სიმბოლურ თხრობაში, ან უბრალოდ, ყველაფერი „დაჰყავს“ ტრივიალურ დასკვნამდე, რადგან სწორედ ეს შეესატყვისება რეალობას.

ის თამაშობს თემებით – სექსი, გასტრონომია, პოლიტიკა... შეგნებულად აღიზიანებს ტაბუების მოყვარულ საზოგადოებას და ასე ცდილობს, უთხრას მას სიმართლე.

ერთნი პოლიტიკურ ავტორად თვლიან, მეორენი იუმორისტად, ზოგს ანარქისტი ჰგონია, ზოგს კი გარყვნილი. რეალურად კი ალექსანდრე გალპერი ამ ყველაფრის ერთგვარ ანარქულს ქმნის თავის ლექსებში. ის მომხმარებლური საზოგადოების კრებით პორტრეტს გვიხატავს ისე, რომ პირველ რიგში, საკუთარ სახეს უსვამს ბასრ იარაღს – პირველ რიგში, საკუთარ თავს არ ინდობს.

ალექსანდრე გალპერი ამ ცოტა ხნის წინ თბილისში იყო და მწერალთა სახლში შეხვდა მკითხველს. მართალია, მისი ვიზიტი წყალდიდობის დღეებს დაემთხვა, მაგრამ ვისაც ძალიან აინტერესებდა, მაინც მივიდა მის მოსასმენად. ასეა ყოველთვის – პოეზია მშვიდობიანი საქმიანობა ჩანს ერთი შეხედვით. რეალურად კი მას დრამატული მოვლენების ფონზე უწევს ცხოვრება...

გამოგონება

ტყვიანაგაუმტარი სილიკონის ძუძუები
საეჭვო უბნებში სასეირნოდ,
ტიტანური ფილტვები
დღეში სამი კოლოფი სიგარეტის მოსაწევად,
სულ მუდამ ამდგარი რეზინის ასო
მახინჯი ხელმძღვანელი ქალების გასაჟიმიად
და სამსახურებრივი წინსვლისთვის,
ხელოვნური ღვიძლი, რომელიც გაძლევს საშუალებას,
არაყი კასრებით სვა,
რეაქტიული ვიდეორგოლები აზიელთათვის,
ამერიკულ ბომბებს რომ გაექცნენ,
მარტოხელა კაცებისთვის – გასაბერი ქალები,
სახეების მაგივრად რომ ტელევიზორის ეკრანები აქვთ,
სადაც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს გადმოსცემენ,
მარტოხელა ქალებისთვის – თმის საშრობები,
იმავედროულად ვიბრატორის ფუნქციასაც რომ ითავსებს,
მთვარის შუქზე რომანტიკული საღამოებისთვის კი –
პარალონის ბულბულები და ფოსფორის ვარსკვლავები.

ნამდვილი გალპერი

ხანდახან მგონია
რომ ნამდვილი
საშა გალპერი კი არა
მისი კლონი ვარ
მე რომ რეალური გალპერი ვიყო
სულ სხვა ქალები მეყვარებოდა
(ანდა სულაც ქალები კი არა...)
ვივლიდი სულ სხვა დემონსტრაციებზე
მივცემდი ხმას
ჭუჭყიანი და გაოფლილი შოფერი კი არ ვიქნებოდი
რომელსაც დაფეხვილი ბებრები გადაჰყავს
არამედ კოლეჯში მომუშავე ლიტერატურის

გამონკეპილი პროფესორი
შემცირებაში მოყოლის შიშით
კლონირებული გალპერის ცხოვრების შესახებ
წიგნებს რომ აცხობს
და სტუდენტ გოგობს
ტყუილებით აბამს
ამ მუტანტს პირადად ვიცნობო.

* * *

მე უკანასკნელი ნამდვილი ანარქისტი ვარ.
დამანახეთ პრეზიდენტი და მერნმუნეთ,
ის გასროლის გარეშე მოკვდება,
როცა მისი ცოლი ჩემით მოიხიბლება.
გეუბნებით, ზენოლის ამ სიმბოლოს საბოლოოდ გავანადგურებ,
როცა ასოს პირში მივცემ მის ქალიშვილს.
ჯანდაბაში წასულა ყველა ხელისუფლება მსოფლიოში,
ჯანდაბაში წასულა სულელური ფოსტა,
ბებრული, მოსაწყენი გასართობი – პენსია და
იარაღი, რომელსაც უაზროდ აჟღერებენ ჯარი.
თანახმა ვარ, ვუხადო გადასახადები სახელმწიფოს
მხოლოდ საროსკიპოების შესანახად.

მხატვარ შ-ს თვითაქველოგაზე

ინექი ახლა მიწაში და ნუ ხმაურობ –
შენს საცოლეს მე ვეფერები
ტურებს ვუკოცნი
ვგრძნობ რა სასტიკად მეტმასნება
როცა ასოს ვუყოფ
მესმის ტაბურეტის გაფრენის ხმა

ყოჩაღ რომ ჯვარი თოკზე დაინერე
და მიეცი საშუალება სხვას
ეთამამა ზამბარებიანი ძუძუებით
დედამ სასონარკვეთილმა დაიკვივლა
და ზღურბლთან გამეშდა
ო როგორ გადავიხლართეთ მე და საცოლე
საწოლიდან ზღვა ოფლი იღვრება
რატომ ერთი-ორი წლით ადრე არ მიხვდი
რომ ცხოვრება ყლეობაა?



სიყვარული

სიყვარული გამომშრალი ძეხვი არ გეგონოთ,
არც აყროლებული ქაშაყი,
ან მძიმე, ლაქებით შეფერილი საზამთრო.
სიყვარული – ეს ფრანგული ხახვის სუპია,
კიევიური კატლეტები, პირში რომ დნება,
დაუვიწყარი ციმბირული პელმენები.

სიყვარული ბლაგვი ჩაქუჩი არ გეგონოთ,
ან იაფფასიანი სახრახნისი, თუ სულელური სოლი,
სიყვარული – ეს მოზანზარე ელექტრობურლია,
დურგლის მხიარული დანადგარი.
ანდა ჩუმი და ერთგული სარჩილავი.

პოეტის სიკვდილი

პუშკინი მოკვდა, როცა ცოლის ღირსებას იცავდა.
მანდელშტამი საკონცენტრაციო ბანაკში ამოაღპო ტირანმა
თავისუფალი აზროვნების გამო.
ვისოცკი გადათვრა, ვერ გაუძლო საყოველთაო სიყალბეს.
გალპერი კი ღორმუცელობისგან მოკვდება
როცა „ბურგერ-კინგ“-ში ნახევარ ფასად გაძლება სენდვიჩებით.

ხელმოცარულთა ცეკვა

ჰოპა, ჰოოპა, ჰოოოპა,
ცეკვავენ ხელმოცარულები.
ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი,
ფული თითებს შორის გვიქრება.
ჰოპა, ჰოოპა, ჰოოოპა,
რასაც არ უნდა შევეხოთ, ყველაფერი ჰაერში იფანტება.
ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი,
ქალები გაგვირბიან, როგორც კეთროვანებს.
ჰოპა, ჰოოპა, ჰოოოოპა,
თავის ჩამოხრჩობაც კი არ შეგვიძლია ადამიანურად.

ოდა პენის

დაბადებიდან დამდეგ.
სადაც მე, იქაც – შენ.
ახლა კი პირიქით. სადაც შენ – იქაც მე.
გჩრიდი რუსულ, ებრაულ, სომხურ საშოებში.
გტენიდი თეთრ და შავ ტუჩებში.
შენ ყველაფერს მდუმარედ იტანდი.
თუმცა კი ავადმყოფობების
კბილებზე ნაკლებად არ გეშინოდა.
და პანიკურად გაურბოდი შეხვედრას
მამაკაცის უკანალთან.
რამდენი მანერვიულე.
რამდენჯერ მინდოდა მომეჭერი და
ძაღლების ლუკმად მექციე.
მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა,
უფრო იმაზე ვოცნებობდი რომ
სამჯერ უფრო დიდი ყოფილიყავი და
არ მცოდნოდა სიტყვა „დავარდნა“.



წერპიანი გომონა

ნუ განუხებს, ლამაზო, მამაკაცის ჰორმონების ზემი.
არც მე ვარ მსოფლიოში ულამაზესი.
მე სულ მკიდა, შენ რომ სახეზე თმა ამოგდის.
მე ამისთვის არ მიყვარხარ.
ჩვენ წავალთ ჩემთან, სახლში,
გაგაცნობ დედაჩემს და ვეტყვი:
ესაა ჩემი ერთადერთი და
ცოლად უნდა მოვიყვანო.
ცხადია, ყოჩალი კავალერისტივით წვერის ვარცხნას და
ულვაშების წინკვანას თუ გადაეჩვევა.

* * *

მე მოვეკვდები დღეს, 2.30-ზე გრინვიჩის დროით.
შეუკვეთეთ მარხილი სასაფლაოზე,
დაუძახეთ ნეკროფილ გოგოს.
დაე, დატკბეს ჩემი სხეულით.
მე ხომ გოგონებისთვის ყველაფერი მემეტება.

გიგ გომოს

ნუ გაჰყვირიხარ, თითქოს ჩემ გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია.
ისეე დაგიგვიანდა წამლის მიღება.
აჯობებს, მომიყვე, როგორ დაკარგე ქალიშვილობა საგიჟეთში,
როგორ დაგდევენენ შპრიცებით შეიარაღებული ექიმები.
და გიმტკიცებდნენ, რომ აქ სიყვარული აკრძალულია.

* * *

რუსეთი კლავს თავის პოეტებს.
ამერიკა კი ზრუნავს მათზე.
როგორც გოჭებს, ისე კვებავს
პროფესორთა სავარძლებში ჩათბუნებულებს.
სანამ დიდი ღორები არ გახდებიან.
რომ მერე
სოლიდური გამომცემლობების ხორცკომბინატში გადენოს.

ვამპირები

მიშველეთ, მიშველეთ – ვამპირებმა
თეთრ სახლში ხელთ იგდეს ძალაუფლება.
აზიაში რეჟიმებს ხელთათმანებივით იცვლიან.
კოვბოებს ესვრიან,
ცაში სუპერმენებთან იბრძვიან.
ხალხს შხამიანი მაკდონალდსისკენ ექაჩებიან,
მათი კბენის მერე კაცებს მხოლოდ კაცები უყვარდებათ და
ქალებს მხოლოდ ქალები.
საფრანგეთში ვამპირები ბაყაყებს ჩანგლით მიირთმევენ,
ისრაელში მაცას ახრამუნებენ,

რუსეთში ხის კოვზებით ხვრეპენ ბორძს,
ააშენეს და მერე ისევ დაანგრის ბერლინის კედელი.
ნამართვეს ცოლი. დანერეს ეს ლექსი
და ახლა ჩუმად უსმენენ.

მადლიერება

ჩვენი შვილები მადლობას გვეტყვიან, რომ
ცისფერები არ ვიყავით
და მივეცით საშუალება, დაბადებულიყვნენ
და ნავთობის მოსაპოვებლად, მამაცურ ბრძოლაში დაღუპულიყვნენ.

ჩვენი შვილიშვილები სიხარულისგან იქვითინებენ,
რომ ჩვენ ტრანსსექსუალებად არ ვიქეცით
და მივეცით საშუალება, დახოცილიყვენ
ნარკოტიკების ქარბი მოხმარების გამო.

ჩვენი შვილთაშვილები ადგილზე იცმუკებენ
კმაყოფილებისგან, რომ ჩვენ არ შევუერთდით
რელიგიურ ფანატებს და
არ ჩავიტარეთ ყვერების ამპუტაცია.
მივეცით შანსი, მოვლენოდნენ ამ სამყაროს
და სული ამოხდომოდათ უკურნებელი სენისგან,
რომელიც 88 წლის მერე გაჩნდება.

დიდება ნატარ ავგუსტინეს

ნეტარი ავგუსტინე გაჰყვიროდა, რომ სექსი ცოდვაა,
რომ ეს სულიერებაზე უარის თქმას ნიშნავს.
მაგრამ თუ ვერ ითმენთ, მაშინ მიდით,
იჟიმავეთ, მხოლოდ ზიზლით უნდა აივსოთ და
ყოველი ორგაზმის მერე კი
წარმოიდგინოთ, რომ უკანასკნელი ნაძირალა ხართო.

მუჰამედი და მოსე ამტკიცებდნენ, რომ
ყველა ცამეტ წელს გადაცილებული
მამაკაცი უნდა დაქორწინდეს.
რომ მაგალითი უნდა აიღონ
რუხი და შტერი კურდღლებისგან
და დღე და ღამე ბავშვები აკეთონ.

მე კი მეგონა, რომ ყველა
მამრობითი სქესის არსება, ჩემ გარდა,
უნდა იყოს დიდი ავგუსტინეს სწავლების მიმდევარი.
მაშინ მე დანამდვილებით ვილაც ჩამივარდება ხელში და
ვიცხოვრებ გამანაყოფიერებელი მამრის
სახელმობხვეჭილი ცხოვრებით,
როგორც მუჰამედი და მოსე ოცნებობდნენ.

თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო
ლელა კოდალაშვილმა

გასტროლოგიური დივიანის კარტოფილის გასტრონომიული მანიფესტი თბილისში



დავით ჩიხლაძე

გასული საუკუნის დასაწყისში დიდი მოვლენა ის იყო, რომ თბილისის რუსი ფუტურისტი და ავანგარდისტი პოეტები სტუმრობდნენ ხოლმე, მოინახულებდნენ ქართველ ძმებს, გამართავდნენ საერთო ბალაგანს და თბილისის მგოსნებს დიდ იმედებს უსახავდნენ მსოფლიო პოეზიის ჯერ არნახული გზებისა და პორიზოტების შესახებ. აქედანაც ნაკლები პოეტები როდი დახვდებოდნენ ხოლმე – ქართველი სიმბოლისტები და დადაისტები, „ცისფერი ყანების“ ორდენი, გალაკტიონი, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ილია ზდანევიჩი და სხვ.

ასი წლის შემდეგ, ეს ისტორიული ტრადიცია კვლავაც განახლდა – 2015 წლის ივნისში თბილისის ესტუმრა გამოჩენილი ავანგარდისტი რუსი პოეტი საშა გალპერი – ოლონდ უკვე არა რუსეთიდან და არც უკრაინიდან, სადაც ის დაიბადა და ახალგაზრდობა გაატარა, არამედ ამერიკიდან, კერძოდ კი, ნიუ-იორკის რაიონიდან, რომელსაც ის თავის კოლეგა-მეგობრებთან ერთად ბრუკლინის ციმბირს უწოდებს. გარდასულ პოეტურ დიდებათა მოტრფიალეთათვის მარტო ეს განსხვავება როდი აღმოჩნდებოდა თვალშისაცემი –

საყურადღებო ისიც იყო, რომ არანაირ არ-
ნახულ გზებსა და მოლოდინებზე ამჯერად
საუბარი აღარ ყოფილა. მართალია, საბჭოთა
კავშირი უკვე კარგა ხანია, დაინგრა, მაგრამ
ხელოვნებისთვის უკეთესი თავისუფლების
მოლოდინში ის პოეტური დიდებაც თან გაი-
ყოლა, რის გამოც ასეთი გასტროლები და
თავყრილობები ღირებულებას იძენდა და
სწორედ ამის შედეგად ავანგარდისტ პოეტ
საშა გალპერს თბილისში უკვე აღარავინ ელო-
და. ასეთი აუდიტორია შეიძლება ყოფილიყო
ნიუ-იორკში და მოსკოვში, მაგრამ თბილისის
ავანგარდისტული ბოჰემა დაინყებას მიე-
ცა და ის სხვადასხვა ინფანტილურმა ლიტ-
ერატურულმა კონკურსებმა და ევროპული
ყიდის ქართული ღვინოების სადგეუსტაციო
შეკრებებმა ჩაანაცვლა. რუსი ფუტურისტები-
სგან განსხვავებით, საშა გალპერს აქ პოეტ-
ურად მკვდარი თბილისი, შემზარავი წყალ-
დიდობა ადამიანებისა და ზოოპარკის უმანკო
ცხოველების მსხვერპლით და ქალაქის ნიშ-
ნებს ყოვლად მოკლებული უცხო დასახლება
დახვდა.

თანამედროვე რუსულენოვანი პოეტური
კონტექსტისათვის საშა გალპერი იმით არის
საყურადღებო ფიგურა, რომ მან შესანიშნა-
ვად იცის ის კულტუროლოგიური ნიშნები,
რაც დღევანდელი დანახვისა და მის რე-
ალობასთან ზუსტი შეპასუხებისთვის არის
საჭირო. სსრკ-ს გაქრობის შემდეგ ერთად-
ერთი, რაც საქართველოს ყოფილ საბჭოთა
კავშირის ქვეყნებთან და რუსეთთან ისევ
აკავშირებს, სწორედ კულტუროლოგიური
განვითარების მსგავსებებია. მნიშვნელობა
არა აქვს, ამერიკაში უკრაინიდან გადახვალ
საცხოვრებლად თუ საქართველოში ეცდები
ამერიკული ცხოვრების წესის შემოტანას, შე-
დეგი ერთი იქნება – ქართველ და რუს პოეტს
მანინც უფრო მეტი რამ ექნებათ საერთო და
მათი სათქმელი თუ სასაუბრო კონსტრუქციე-
ბი ორივესთვის გასაგები იქნება.

ასე რომ, საშა გალპერს აქ ავანგარდის-
ტები არ შეხვედრიან და მან ეს წინასწარვე
კარგად იცოდა. მასთან შეხვედრა საქართვე-
ლოს მწერალთა კავშირის ისტორიულ შენო-
ბაში შედგა, რომელიც რამდენიმე წლის წინ
მწერალთა სახლად გადააკეთეს, სადაც ორმა
ათეულმა მსმენელმა თუ მოიყარა თავი. ყვე-
ლას გვეგონა, რომ საბჭოთა კავშირის დან-
გრევის შემდეგ თავისუფლება და ინოვაცია

მეტი გვექნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ სხვა რამე-
ბი ვამჯობინებთ პოეტურ ძიებებს. მაინც რა არის ის, რაც
ჩვენ ავირჩიეთ, იკითხავს გალპერი. მოკლედ რომ ვთქვათ,
ჩვენ დაუცველ და შეშინებულ ხალხად დავრჩით (აქ მარტო
საქართველოს არ ვგულისხმობ) და ამიტომაც, ესთეტიკური
იდეების და იდეალების სანაცვლოდ ავირჩიეთ კომფორტი და
გაციხული პროდუქტების სუპერმარკეტი.

საშა გალპერი ამას მიხვდა დიდი ხნის წინ, რომ აღარსად
არის პოეტური დიდება, სამაგიეროდ, არის სწრაფი კვების
ობიექტები, რომლებიც ძალზე ბევრ ადამიანს სრულიად გუ-
ლუბრყვილოდ ჭეშმარიტი პოეზიის გამოვლინებად მიაჩნია.
აბა, რალა საჭიროა აშულების ემოციურად საშიში ბაიათები,
როცა არსებობს წი-ფი, კონდინციონერი, კალორიებით აღ-
სავსე ბიგ მაკი და მათგან მოგვრილი იდიოტური სიმშვიდე.

ამიტომაც, საშა გალპერი აღარ მიედ-მოედება და პირდა-
პირ გვამცნობს, რომ ის ამ სწრაფი კვების მასალიდან პო-
ეზიის შექმნას აპირებს. საერთოდ, ასეთი განწყობა უცხო
არ უნდა იყოს ამერიკაში წასული ემიგრანტისთვის, რადგან,
ზოგადად, ეს ამერიკული მოვლენაა და მას იდიომატური
დასახელებაც აქვს – “ქაუჩ ფოთეითო” (დივანის კარტო-
ფილი), რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე დასავლელი
ადამიანისთვის სასირცხვილო და არაადამაჯერებელია მაღალ
იდეებზე – მათ შორის, პოეზიაზე, ან, თუნდაც, პოლიტიკაზე
საუბარი და სრულიად საკმარისია ტელევიზორის წინ დივანზე
ჯდომა კარტოფილის ჩიპსების ტომარასთან ერთად. აი, ეს
არის ერთადერთი, რაზედაც ახალგაზრდა, არაძველმოღურმა
ამერიკელმა ხმამაღლა შეიძლება ილაპარაკოს, რადგან სხვა
ყველაფერი უკვე დიდი ხნის დადგენილი და დამთავრებულია.

საშა გალპერის პროტოტიპიც სწორედ „ქაუჩ ფოთეითო“
არის. ის მას საერთოდ არ ებრძვის, არც დასცინს, პირიქით,
სრულიად ლებულობს მას, როგორც თანამედროვე პოსტ-
მოდერნისტული იკონოგრაფიის გარდაუვალ გამოვლინებას.
ასეთი „ზნედაცემული“ ადამიანების შეწუხება ხომ ასე თავის
მომაბეზრებელია ყველასთვის და, ამდენად, ზნედაცემულო-
ბის უარესი გამოვლინებაა. დღეს პოეტს აღარც რუპორი
სჭირდება და არც ტრიბუნა. მას დარჩენია მხოლოდლა
ჭამა და, თუ არ დაეზარება, ხანდახან ხორციელი, წამიერი
სიყვარულიც შეიძლება, თუ ისიც ფასტ ფუდის მსგავსად
დაუყოვნებლივ იქნება ხელმისაწვდომი. აი, მაგალითად:

„სიყვარული გამომშრალი ძეხვი არ გეგონოთ,
არც აყროლებული ქაშაყი,
ან მძიმე, ლაქებით შეფერილი საზამთრო.
სიყვარული – ეს ფრანგული ხახვის სუპია,
კიევური კატლეტები, პირში რომ დნება,
დაუვინყარი ციმბირული პელმენები“.
(თარგმანი ლელა კოდალაშვილის)

აქ ჩანს საშა გალპერის ოპტიმიზმი: თურმე სიყვარული
ძეხვი არ ყოფილა და კატლეთი მანინც აღმოჩნდა. ამერიკაში

ყოფნის დროს რამდენჯერმე შეეხვდი პოეტების ჯგუფს, სადაც სამა გალპერი მოღვაწეობს. ისინი საკუთარ ჟურნალსაც გამოსცემენ, რომელსაც „ნოვია კოჟა“ ჰქვია და მის ერთ-ერთ ადრეულ ნომერში თანამედროვე ქართველ პოეტთა ლექსებიც წარვადგინეთ შოთა იათაშვილთან თანამშრომლობით. ჟურნალის რედაქტორია სამა გალპერის მეგობარი პოეტი, იგორ სატანოვსკი, რომელსაც კარგად იცნობენ ნიუ-იორკსა თუ მოსკოვში. ერთხელ, როდესაც ამ პუბლიკაციის დაგეგმვას ვინყებდით, იგორმა მკითხა, თუ ორი სიტყვით როგორ დავუხსასიათებდი დღევანდელ ქართულ პოეზიას. შევეცადე, რაღაც ამეხსნა, იმ მომენტში არანაირი ნიმუში ხელთ არ მქონდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ის საკმაოდ კარგად ერკვეოდა სტუაციანში, მომიბრუნდა და მიუბნება – მე გეტყვი, როგორი შეიძლება იყოს თანამედროვე ქართველი პოეტი: მე წარმომიდგენია, რომ მას დიდ საიმოვნებას ანიჭებს სადმე სკვერში ან ბაღში ძილი, უსახლკაროსა თუ გარდასული ეპოქის ჰიპების მსგავსად, ეს მისთვის თავისუფლების გამომხატველი ჟესტიც შეიძლება იყოს, იღლიაში კი როლან ბარტის (ფრანგი კრიტიკოსი, ჰიპების თანამედროვე და 70-იანი წლების სემიოტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი) რომელიმე წიგნი აქვს ამოჩრილი, ხოლო მისი ლექსები განთავისუფლების მოწოდებებით არის აღსავსე. რა გაეწყობოდა – ეს სრულიად მოულოდნელი განაცხადი სრული სიმართლე იყო. მერე მთხოვა, დავეკვირვებოდი და მათთან შემედარებინა ის რუსულენოვანი პოეტები, რომლებიც მის გარემოცვაში გავიცანი.

რუსულენოვანი პოეტები, რომლებიც ბრუკლინში იყრიდნენ თავს – იგორ სატანოვსკი, სამა გალპერი, მიხაილ მაგაზინიკი, დიმიტრი რომედნიკი და სხვები – ერთგვარად ცინიკოსი პოეტები იყვნენ. საკუთარი ლექსებით ისინი მოხდენილად დასცინოდნენ ყველაფერს გარშემო და, ცხადია, ეს უკვე თვით პოეზიის დაცინვაც გამოდიოდა.

მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ამ ყველაფრის ნამდვილი ესთეტიკური მიზანი? ისინი ქმნიდნენ ანტიპოეზიას – არა ლოზუნგებით და პათეტიკური შეძახილებით, არამედ მოხერხებული შინაარსობლივი თუ ფორმალური სვლებით და სწორედ ასეთი ოსტატობითა და მოხდენლობით ცდილობდნენ თავი გადაერჩინათ როგორც პოეტებს და მათი თანამედროვე

ბიურგერებიდან ისინი გიჟებად არავის მიეჩნია. ამერიკელი „ქაუჩ ფოთეთოსთვის“ ხომ სიგიჟეც მხოლოდღა ძველმოდურობის ნიშანია, როდესაც არ იცი, რომ უბრალოდ, პირადი ფსიქიატრი უნდა გყავდეს.

ისე, მართლაც რა საჭიროა ფუტურისტული ლექსები, როდესაც გვაქვს ასეთი მხიარული და ლაკონური ამერიკული იდიომები, როგორცაა, ვთქვათ, დივანის კარტოფილი?! ლაკონურობა, ცინიზმი, ბუტაფორული მხიარულება, გასტრონომიული პოეზია და თვითმფრინავით მოგზაურობა – განა ეს ყველაფერი ერთად ფუტურისტული პოეზიის მიზანი არ იყო, რასაც მარინეტი და ჩიჩერინი ასე ესწრაფოდნენ?

სამა გალპერი გასტროლიორი პოეტიცაა, ის ქვეყნებში კი არ მოგზაურობს, არამედ სხვადასხვა სასადილოებში, რესტორნებსა და საკონდიტროებში. ეს მის პირად რუკაზე ყველაზე ძვირფასი და წმინდა პუნქტებია და მხოლოდ მათი ხათრით თუ მიატოვებს ცოტა ხნით თავისი სახლის სამზარეულოს. მას სურს, რომ მღეროდეს საკვების შესახებ და ამაში არაფერია ცუდი. შეგვიძლია, ერთი უძველესი ლიტერატურული ძეგლიც გავიხსენოთ, ინდური წმინდა წერილების კრებული, რომელთაც უპანიშადები ჰქვია:

მე სურსათი ვარ (ობიექტი ვარ), მე სურსათი ვარ,
 მე სურსათი ვარ!
 მე სურსათის მჭამელი ვარ (სუბიექტი ვარ),
 მე სურსათის მჭამელი ვარ, მე სურსათის მჭამელი ვარ!
 მე პოეტი ვარ (ის ვინც ამ ორს აერთიანებს),
 მე პოეტი ვარ, მე პოეტი ვარ!
 „ტაიტირია უპანიშადი“

დაუჯერებელია, მაგრამ ეს დიდტანიანი და უალრესად რთული მეტაფიზიკური ნყობის რელიგიური ტრაქტატი „ტაიტირია უპანიშადი“ აბსოლუტის, სამყაროს საზრისისა და სამყაროში ადამიანის დანიშნულების ძიების შემდეგ მოულოდნელად ზუსტად ამ სიტყვებით მთავრდება.

აქედან გამომდინარე, სამა გალპერს მაღალი ჭეშმარიტების მიკვლევაში „ბურგერ კინგის“ და „მაკდონალდის“ რესტორნების ქსელიც აშკარად დაეხმარა, სადაც მან, პოეტმა, მეშჩანებისთვის განკუთვნილი მოწყენილი დღეები მათთან ერთად ბეჯითად გაატარა, ამ ხნის მანძილზე უამრავჯერ გადაიხადა 10-15 დოლარი მრავალსართულიან ჰამბურგერსა და ყინულოვან კოკა-კოლაში და სამყაროს საზრისსაც მიაგნო: ის შედგება მსუყე საკვებისა და შემდეგ სიმღერისაგან ამ საკვების შესახებ, რათა პოეტმა სხვებსაც ამცნოს, რა კარგია ცხოვრება.

ზუსტად ასეთი მოტივებით იწყება ჟილ დელიოზისა და ფელიქს გვატარის ერთობლივი ფილოსოფიური წიგნი „ანტი-ოიდიპოსი: კაპიტალიზმი და შიზოფრენია“, მხოლოდ აქ მეტი აქცენტია იმაზე, რომ ჩვენც საკვები ვართ ვილაცისთვის და არა მხოლოდ საკვების მომხმარებლები. ამ რთული ფილოსოფიური პოსტულატის გასაგებად ძალზე მარტივი

ილუსტრაცია მოიპოვება – დღევანდელი ციფრული ფოტოგრაფიის ეპიდემიის დროს, როდესაც სურათით ტკობის მოთხოვნილებამ ლამის უკვე სურსათის ბიოლოგიური მოთხოვნილებაც კი ჩაანაცვლოს, ჩვენ სიამოვნებას ვიღებთ და ვკმაყოფილდებით არა ნამდვილი ურთიერთობებით, არამედ სურათებით. ზუსტად ამგვარადვე, მხოლოდღა ჩვენი ფოტოებით კმაყოფილდებიან სხვებიც, სახლიდან გაუსვლელად.

დავადგინეთ, რომ სურათების კულტურა სიმარტივეს ემსახურება, თვით ყველაზე პოპულარული რესტორნებიც მენიუს კედელზე გაკრული დიდი ფოტოების სახით წარმოადგენენ ხოლმე. კიდევ უფრო მეტი სიმარტივის და იოლი აღქმადობის ზუსტად ასეთივე მიზნებით საშა გალპერის წიგნები ზოგჯერ კომიქსების წიგნის ფორმასაც იღებს. ასეთია მისი ფართოგვერდებიანი „ტრუბკა“, რომლსაც ყდაზე შავ-თეთრი შტრიხებით მაკდონალდსის რესტორანი აქვს დახატული და მასში პატარა-პატარა მხიარული სურათებით არის აღწერილი საშა პოეტი გალპერის ნიუ-იორკული თავგადასავალი.

ეს ყველაფერი მაიაკოვსკის დროსაც იყო, სწორედ მაშინ დაიწყეს კედლის გაზეთებ-

ის ხატვა ავანგარდისტმა პოეტებმა და მხატვრებმა. ვინმე დაგვაჯერებს, რომ საშა გალპერს სსრკ საერთოდ არ მონატრებია? – მაშინ რატომ ჰქვია მის ერთ-ერთ ლექსების კრებულს „თევზის დღე“ და არა ვთქვათ, „თევზის ფილეს დღე“, მაკდონალდსის თევზის ბურგერის „ფილე-ო-ფიშ“ კვალობაზე?! თევზის დღე ხომ საბჭოთა კავშირის ენაზე ხუთშაბათს ნიშნავდა, რადგან ტრადიციისამებრ, ხუთშაბათობით საზოგადოების ყველა ობიექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით თევზის კერძების მენიუთი იწონებდა ხოლმე თავს. ან რად ჩამოვიდა ის ასი წლის დაგვიანებით თბილისში სიმბოლისტიკის საძებრად, როდესაც სწრაფი კვების ობიექტები ყველგანაა?

ის, რასაც საშა გალპერი თბილისში ეძებდა, სინამდვილეში თვითონვე ჩამოიტანა – ავანგარდისტული სულისკვეთება პოეზიის. მისი ვიზიტი კი ძალზე უცნაურ მოვლენად დარჩება თბილისის მკვდარი ლიტერატურული ცხოვრების მატეიანეში, რადგან დღეს რომელი ჭკუათამყოფი პოეტი წარმოიდგენდა აქ, რომ თურმე ავანგარდისტი პოეტი საშა გალპერი ამერიკიდან მხოლოდღა იმისთვის ჩამოვიდა, რომ თბილისში „მაკდონალდსა“ თუ „ბურგერ კინგში“ ნახევარ ფასად ნაყიდი სენდვიჩებით ღორმუცელობას აპირებდა და მეტი არანაირი განსაკუთრებული მანიფესტების განცხადება არც სურდა. ნყალიდობით გამოწვეული ქაოსის მიუხედავად ლიტერატორთა და პოეზიის მოყვარულთა მოკრძალებული ჯგუფი მას მაინც დაუუდარაჯდით და მწერალთა სახლში გამართულ შეხვედრაზე მივაკითხეთ – ისედაც ხომ ძნელი მოსახელთებელია პოეტის გზები.



„შეიძლება, ჩემი ყველაზე შემზარავი ფანტაზიები აღვწერო“

ალექსანდრე გალპერის და შოთა იათაშვილის დიალოგი ფეისბუქით

16 ივლისი, 2015 წელი

ალექსანდრე გალპერი. სახლში ვარ.
შოთა იათაშვილი. დავინწყით?

ა.გ. რატომაც არა?

შ.ი. როგორ ფიქრობ, როგორ უნდა დაინწყოს საუბარი ორმა პოეტმა? რა შეიძლება ჰკითხოვს ერთმა მეორეს დასაწყისში? არადა, ხომ ბევრი ასეთი საუბარი წაგვიკითხავს, სხვადასხვა ეპოქისა და მიმართულების პოეტების...

ა.გ. აქ ორი ასპექტია. ადამიანური და ესთეტიკური. საკმაოდ ბევრი შესანიშნავი და სასიამოვნო პოეტია, რომელთაც მიყვარს დალევა, მაგრამ არ მესმის, რას აკეთებენ ისინი და რატომ. და არიან ესთეტიკურად ახლოს მყოფნი, რომელთაც ვერიდები ადამიანური თვისებების გამო. როცა სხვა პოეტს გავიცნობ, ვცდილობ გავიგო, რანაირი ადამიანია ის, ხოლო ამის შემდეგ კი ვარკვევ – თუ სად იმყოფება იგი ლიტერატურული თვალსაზრისით.

შ.ი. მე მგონი, ნებისმიერ შემთხვევაში, არ ღირს პოეზიით დაწყება. ამიტომ მოდი, ნელ-ნელა მივუახლოვდეთ ამ თემას.

ა.გ. ამიტომ, ჯერ სჯობს, დავლიოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი დამოკიდებულება აქვს ადამიანს ალკოჰოლთან. ერთნაირად ცუდია, როცა საერთოდ არ სვამს პოეტი და როცა ლოთია.

შ.ი. კარგი, მაშინ მე სამზარეულოში გავალ და ლუდს დავისხამ, შენ კი დაიწყე ამ თემით.

ა. გ. წავალ, მეც შევხედავ, რა მაქვს მაცივარში... არაყი, ვისკი და კონიაკი მქონია.

შ.ი. მე უკვე შენს წიგნს ვფურცლავ, სადაც ყოველთვის მოიძებნება ალკოჰოლი. და საერთოდ, პოეზია ალკოჰოლის გარეშე წარმოუდგენელია, არა?

ა. გ. რთული საკითხია. ზოგიერთ პოეტს არავითარი დამატებითი გამაღიზიანებელი არ სჭირდება და შედეგებს ამის გარეშე ქმნის. ზოგიერთს კი სირჩის გარეშე არაფრის დაწყება არ ძალუძს.



შ. ი. არა, მე ამაზე არ გელაპარაკები. მე იმას ვამბობ, რომ ლექსებში მუდამაა ღვინო, აბსენტი, კონიაკი... ფხიზელ პოეტებსაც კი არ შეუძლიათ ამის გარეშე წერა.

ა. გ. ჩემს პოეზიაში, სადაც დიდ როლს თამაშობს ბიოგრაფია, ჩემი შიშები და პარანოია, ალკოჰოლი განმათავისუფლებელ როლს ასრულებს.

შ. ი. აი, სპარსულ პოეზიაში სულ მოედინება ღვინო, მაგრამ იქ ღვინო მეტაფორულია. როცა ლექსს წერ, და იქ ადამიანები მთვრალეები არიან, და მეტიც, ხომალდიც კი შეიძლება იყოს მთვრალი, როგორც რემბოსთანაა, ეს უკვე სულ სხვა რამაა, იქ სულ სხვა რამ ირთვება.

ა. გ. ომარ ხაიამთან ღვინო ფილოსოფიურ-მისტიკურ როლს ასრულებს. ჩემთან კი ღვინო ფსიქიატრიულია.

შ. ი. ჰო, ყველასთან სხვადასხვანაირადაა და ეს ძალიან საინტერესოა.

ა. გ. საქმე ისაა, რომ მე გავიზარდე ძალიან მძიმე პირობებში. ვგულისხმობ ბავშვურ ფსიქიკას. მილიონობით ტრავმა მაქვს. და ალკოჰოლს ეს ტრავმები

გარეთ გამოჰყავს. და მე იმდენად ძლიერი ადამიანი ვარ, რომ ამ ტრავმებს უკვე დავცინი.

შ. ი. მოდი, რაკი ამ თემასთან მივედით, მოყვევი მოკლედ შენს ცხოვრებაზე, ყველაზე მთავარზე, რამაც პოეზიისკენ გიბიძგა.

ა. გ. მე ჩვეულებრივ საბჭოთა ებრაულ ოჯახში დავიბადე. მშობლები სულ ჩხუბობდნენ მამაჩემის ლოთობისა და მექალთანეობის გამო. ხშირად მათი ყვირილის ფონზე ვიძინებდი და ვიღვიძებდი.

შ. ი. და როცა ამერიკაში გადახვედით, ეს გაგარძელდა?

ა. გ. არა, ამერიკაში დედასთან ერთად გადავედი. მამა დარჩა და ჩემზე პატარა გოგონა მოიყვანა ცოლად.

შ. ი. და ლექსები? როცა წერა დაიწყე, ჰგავდა ეს ლექსები რაიმეთი იმას, რასაც ახლა წერ?

ა. გ. პირველი ლექსი პირველ თუ მეორე კლასში დავწერე სკკპ-ს წამყვან როლზე. უბრალოდ, ეს მოდიოდა ყველა ეკრანიდან და ჩემმა ბავშვურმა ტვინმა ასეთი რეაგირება გააკეთა.

შ. ი. არა, მე უფრო ის მაინტერესებს, როცა შენ დაიწყე გაცნობიერებულად ლექსების წერა, მაშინ როგორ ხედავდი პოეზიას.

ა. გ. ამერიკაში, ბუკლინის კოლეჯში რომ ჩავაბარე, ჩვენი რუსულენოვანი ბოჰემური „ტუსოვკა“ გაგვიჩნდა. ვურთიერთობდი მათთან, ვურთიერთობდი და ასე 1996-1999 წლებში დამეწყო. ჯერ ვწერდი მოთხრობებს ინგლისურად, მერე ნელ-ნელა გადავედი რუსულზე და ლექსებზე.

შ. ი. და გინსბერგი?

ა. გ. ის იმ დროს ბრუკლინის კოლეჯში ასწავლიდა. და სულ მუდამ ვხედავდი სხვადასხვა შეკრებებზე. ერთხელ მისი ლექციის ორგანიზებაც კი გავაკეთე რუსული ლიტერატურის გაკვეთილზე.

შ. ი. შენ მისი პოეზია გიყვარდა. ამიტომ ჩაენერე მის ჯგუფში თუ ეს რალაცნაირად თავისთავად მოხდა?

ა. გ. „ტუსოვკის“ ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო. მისმა პოეზიამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, თუმცა, ჩვენ მაინც ძალიან განსხვავებულები ვართ. შესაძლოა, ის, რაც ჩემს პოეზიაში გამოხტება ხოლმე გეების შესახებ, გინსბერგიდანაა. გინსბერგმა მასწავლა, ესთეტიკურად არ მეშინოდეს ჩემი სექსუალურობის. მასთან ეს გეებზეა, ჩემთან ქალებზე.

შ. ი. და შენ შეგიძლია დაასახელო ის პოეტი ან პოეტები, რომლებიც ესთეტიკურად ყველაზე ახლოს არიან შენთან? არაა აუცილებელი, რომ თანამედროვე იყოს, კლასიკოსებს შორისაც ხომ მუდამ იძებნებიან უფროსი ძმები.

ა. გ. ახლანდელ რუსულ ლიტერატურაში როდინოვი და ლესინი. ამერიკულში – ბუკოვსკი. ფრანგულში – არტო.

შ. ი. არტო რატომ?

ა. გ. ემიგრანტს განსაკუთრებული მსოფლხედვა აქვს. მე ვკითხულობდი ამერიკულ-ინგლისურ ლიტერატურას და მისი 99% არ მესმოდა. ვკითხულობდი რუსულ ლიტერატურას და უკვე აღარც ის მესმოდა. ანუ, მე არტოსთან მახლობლებს თანამედროვე ცივილიზაციის გაუგებლობა. როცა ადამიანს არ ესმის, სადაა ის და ვინაა, რომელიღაც ლექსი, სადაც ბრწყინვალე რითმაა და მეტი არაფერი, უბრალოდ აცოფებს. მე-20 საუკუნიდან ლიტერატურა, განსაკუთრებით დასავლეთში, გართულების გზით წავიდა. მე არ ვამბობ, რომ საჭიროა დემიან ბედნივით მილიონებისთვის გასაგები კომუნისტური ბოღვა წერო, მაგრამ 10 ყველაზე ჭკვიანი კრიტიკოსისთვის წერაც არაა სწორი.

შ. ი. შეიძლება, ვიღაც ცდილობს ხელოვნურად რალაცის გართულებას, მაგრამ მე ვფიქრობ, აქ მაინც მთავარი პოეტის ნატურაა. როგორიც ხარ, ისე დაწერ. თუ ასე არ იზამ, ცუდად გამოგვივა.

ა. გ. მე ვიტყვოდი, რომ არსებობს ორი გალპერი. სასაცილო „ფსიხი“ გალპერი და ფილოსოფოსი გალპერი. ყველამ უკვე შეიყვარა სასაცილო „ფსიხი“ გალპერი, ხოლო ფილოსოფოსი გალპერი ჯერ კიდევ არაა გააზრებული.

შ. ი. იმიტომ, რომ სასაცილო „ფსიხი“ ფარავს ფილოსოფოსს?

ა. გ. ჩვენს დროში, როცა ლიტერატურა ნაღველთან და მონყენილობასთანაა ასოცირებული, სასაცილო გალპერი შეიძლება უფრო აქტუალური იყოს. ვინ იცის, რომელი ჩემი ლექსები დარჩება. შესაძლოა – სასაცილო, შესაძლოა – ფილოსოფიური. შესაძლოა – არანაირი.

შ. ი. შესაძლოც – ისიც და ისიც.

ა. გ. ღმერთმა უწყის.

შ. ი. შენ პოეტი-მარგინალი ხარ? მეინსტრიმულ დინებაში აშკარად არა ხარ. მაგრამ არც ესაა ცუდი. ძალიან ბევრი ქრება მეინსტრიმიდან, ხოლო ისინი, რომლებიც მარგინალები იყვნენ, რალაც დროის შემდეგ მეინსტრიმში გადადიან.

ა. გ. რუსული პოეტური ტრადიციისათვის, ცხადაა, მარგინალი ვარ. ამერიკულისთვისაც, მაგრამ სხვა მიზეზის გამო. აქ ჰეტეროსექსუალები გეებზე იუმორით არ წერენ. მაშინვე ჰომოფობებად გამოაცხადებენ და ჟანგბადს გაუთიშავენ.

შ. ი. რუსული პოეტური ტრადიციაა, მაიაკოვსკიც, ხარმსიც და ბროდსკიც. მე მგონია, მე-20 საუკუნის დასაწყისში რომ გეცხოვრა, უკეთ გაგიგებდნენ და მეინსტრიმში იქნებოდი.

ა. გ. არა მგონია. რუსი პოეტი სვამს, თხრილში იძინებს, მერე მიაქვთ სახლში, და ის წერს ანგელოზე-

ბზე და ეკლესიებზე, და არა იმაზე, რომ სულ ცოტა ხნის წინ გალენილი მთვრალი ლამის გაიყინა ქუჩაში. ბევრი ცნობილი რუსი პოეტი იყო ბისექსუალი, მაგრამ მათ შემოქმედებაში ეს არ გამოჩნდა. ამაზე წერა რუსეთში არ ღირს. რუსეთის ბედზე ღირს წერა, მაგრამ საკუთარ სექსუალობაზე – არა.

შ. ი. და ეს დღემდე ასე რჩება?

ა. გ. სამწუხაროდ, კი. უფრო მეტიც. პუტინის რუსეთმა მე-16 საუკუნისკენ აიღო კურსი! დროის მანქანას მოაჯდა. აქეთ კიდევ ეს ამერიკული პოეზია სამინლად აკადემიურ-ინტელექტუალურია.

შ. ი. ჰო, როცა ვერა პავლოვა ჩვენს ფესტივალზე ჩამოვიდა, გვკითხა, შეიძლება თუ არა პუბლიკის წინაშე ისეთი ლექსების წაკითხვა, სადაც უცნაურო სიტყვებიაო. გვკითხა იმიტომ, რომ ორგანიზატორებისთვის ზიანი არ მიეყენებინა.

ა. გ. რუსეთში დღეს ასეა, რომ პოეტს შეუძლია, სულ დედის ტრაკის გინებით ილაპარაკოს, მაგრამ როგორც კი საწერად ჯდება, ანგელოზი ხდება. მაგრამ ამ ლექსებს ვერავენ ვერ კითხულობს, რადგან ცხოვრებასაა მონყვეტილი. და თუკი მაინც შენსას აკეთებ, ეს უკვე არალეგალურია და ამის გამო თითქოს კიდევ ცხოვრობ.

შ. ი. იქნებ კარგიცაა, როცა არალეგალურია? ეს ხომ არალეგალურ ლიტერატურას ძალას აძლევს, მის მიმართ ინტერესი იზრდება. ადამიანი ხომ ასეა მოწყობილი.

ა. გ. აკრძალული ნაყოფი ტკბილია?

შ. ი. ჰო.

ა. გ. უბრალოდ, ასეთი პოეტები ავტომატურად აგებენ იმ პოეტებთან, რომლებიც იმ ქვეყნიდან არიან, სადაც არაა ასეთი აკრძალვები. ტანჯვებს ისევე შეუძლია ლექსის გაუმჯობესება, როგორც გაუარესება.

შ. ი. პრინციპში, ყოველივე ეს ძალიან არასერიოზულია, მე ასე ვფიქრობ. ასეთი აკრძალვები ლიტერატურას ვერ გააჩერებს. პუტინი მაინც ვერანაირად ვეღარ გახდება სტალინი და ვერ მოახერხებს ლიტერატურის კონტროლირებას.

ა. გ. სხვა რალაცის თქმა მინდოდა. აი, გინსბერგს და კავაფისს ბევრი ლექსი აქვთ გეი სიყვარულის აკრძალულობაზე. რაც დრო გადის, ასეთი ლექსები სულ უფრო რთულად გაიგება და აღიქმება. გეი წყვილები ქუჩებში ახლა დაუფარავად კოცნაობენ. ანუ ასეთი ლექსები მკითხველზე ზემოქმედების უნარს უკვე კარგავენ.

შ. ი. იმიტომ, რომ ადამიანები პოეზიას თემატიკითა და აქტუალურობით აღიქვამენ. ისინი იშვიათად გრძნობენ ესთეტიკას და კონტექსტს.

ა. გ. ასეა თუ ისე, მე საკმაოდ საინტერესო მდგომარეობაში ვარ. ვწერ რუსულად ამერიკაში.

თავისუფალი ვარ ამერიკული და რუსული კრიტიკისგანაც. არავითარი შეზღუდვა არა მაქვს. ამიტომ შემოიძლია, ჩემი ყველაზე შემზარავი ფანტაზიები აღწერო.

შ. ი. მოდი, რაკი ასეა, შეეცადე, მოკლედ აღწერო შენი პოეზია, შენი ყველაზე შემზარავი ფანტაზიები.

ა. გ. კარგი. თუ ასეა, მე გავზრდი გალპერების რაოდენობას.

1. იუმორისტულ-გასართობი
2. ფსიქიატრიული
3. ფილოსოფიური
4. ზემოთ ჩამონათვალის კომბინაცია

შ. ი. რუსეთის ბედზე არ წერ?

ა. გ. რა თქმა უნდა, ვწერ. ამის გარეშე, აბა, როგორ? თუმცა, ეს შეიძლება მიეკუთვნოს ფილოსოფიურ-პოლიტიკურს, სოციალურ-სატირულს.

შ. ი. პოეტი გალპერი შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს?

ა. გ. რა ვიცი, თუ ხვალ მილიონს მოვიგებ ლატარეაში, ჩემი გარემო პირობები შეიცვლება და შესაბამისად, ალბათ, ჩემი პოეზიაც.

შ. ი. ბურჟუული ლექსების წერას დაიწყებ?

ა. გ. ბევრი ამბობს, რომ ასეთი ლექსები მე უკვე მაქვს. ბევრი ცდილობს, ურთიერთსაწინააღმდეგო კატეგორიებში მომამწყვდიოს. ბურჟუა და ანარქისტი, ებრაელი და ანტისემიტი, გეი და ჰომოფობი, ამერიკელი და ანტიამერიკელი.

შ. ი. ეს კარგია. ეს ნიშნავს, რომ ერთფეროვანი არა ხარ, რომ შენს პოეზიაში მუდამ არის პოლუსები.

ა. გ. მე რომ ვიყო ლიტერატურის პროფესორი ამერიკაში, ვერ შევძლებდი ასე წერას. სამუშაოს დაკარგვის და ფსკერზე აღმოჩენის შემეშინდებოდა. მაგრამ როცა ფსკერზე ხარ, რისი უნდა გეშინოდეს...

შ. ი. მე მაინც გისურვებ, მოიგო მილიონი. შენ აღარ შეიცვლები, მაინც წინააღმდეგობრივი დარჩები. და მეც არ დამივიწყებ და ძვირფას ფრანგულ შამპანურზე დამპატიყებ, არა?

ა. გ. როცა მე ფული მიჩნდება, ყველა ჩემი მეგობარი კარგად გრძნობს თავს.

შ. ი. მე მაქვს ლექსი „ფული“. ფული ხშირად არა მაქვს, მაგრამ ლექსი „ფული“ მაქვს და მუდამ მექნება.

ა. გ. მდიდრები ლექსებს არ წერენ. მათ ამისთვის დრო არა აქვთ.

შ. ი. არა, მილიონერი გალპერი მაინც დანერს ლექსებს. ასე რომ, წარმატება ლატარეაში!

ა. გ. ჰო, ალბათ მე უკვე ჩამოყვალბიდი. არაფერი აღარ შემეცვლის. მაღლობა, შოთა!

2 ჰოეზია

ლია ლიქოკელი

მზისა და ვარდების თვეში

მზისა და ვარდების თვეში,
ჭრელი კაბების ქარში და კოცნაში
ვზივარ ქუჩაში, ტროტუარზე
და ვტირი დაკარგული ორასი ლარის გამო.
ორასი ლარის გამო, რომელიც ჩაყლაპა რომელიღაც ჩემზე ჭკვიანმა აპარატმა.
ვტირი ორასი ლარის გამო, რომელიც იყო პური და წყალი,
თავზე ჭერი და სანოლი,
ელექტროენერგია და დედაჩემის ძვლები –
სამუშაო საათების ფრჩხილებში ჩასმული დედაჩემის,
რომელმაც ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში
მხოლოდ ერთხელ ისარგებლა კუთვნილი შვებულებით –
როცა იფიქრა, რომ დედამისი მალე მოკვდება
და ერთი კვირა მაინც მასთან უნდა გაატაროს.
ვზივარ და ვტირი ორასი ლარის გამო,
რომელიც არის ჩემი სირცხვილი,
ვერგაზრდილი და უსარგებლო შვილის სირცხვილი,
დედის მუცელზე მინებებული გაუმადლარი წურბელას სირცხვილი,
ჩემი გაფუებული სხეულის სირცხვილი,
რომელსაც სცივა და ათასი ძონძით უნდა დაფარო,
რომელსაც შია, ვერაფრით ამოივსო –
ყოველთვის შია და ყოველთვის ფიქრობს,
რომ თუ ამ თვეში ნაკლებს შეჭამს,
უკეთესი შვილი იქნება,
უფრო ნაკლებ ღამეს გაათენებს დედამისი.
უფრო ნაკლებად ასტიკვდება ფეხები.
უფრო მეტი დრო დარჩება ცხოვრებისთვის
და ნაკლები –
ყელზე ნაოჭების – სიკვდილის ბილიკების დასათვლელად.
ვზივარ და ვტირი ორასი ლარის გამო,
და ვტირი, რომ ჩემი ვალუტა – უმწეობა და ცრემლი ვერაფერს იყიდის;
რომ ჩემი სამსახურის წყალობით გამომუშავებული რამდენიმე ლარი დღეში
ჰგავს ქინძისთავებით დათვების ხოცვას;
რომ ერთადერთი, რაც შემიძლია,
არის ლიტერატურად გასაღებული იაფი წუნწინი,

რომელშიც არავინ არაფერს იხდის,
და საბოლოოდ მთავრდება სამსახურის გზაზე,
ავტობუსებში დატოვებული მკვდარი ლექსების ემბრიონების ტირილით.

ვტირი და ვფიქრობ, რომ იქნებ ავდგე და ვიყიდო მწვანილი და გავყიდო ძვირად,
ეკლესიებთან ნაკურთხი სანთლები, სალექი რეზინა და სიგარეტი ჩამოვატარო;
იქნებ მოვიჭრა ფეხი ან მკლავი და ქუჩაში გავწვე და გამვლელებს ფეხები დაეუთვალო,
და დავწყველო ყველა, ვინც არაფერს გაიმეტებს,
ან იქნებ უბრალოდ ავდგე და გავბოზდე,
მაგრამ ლამაზიც არ ვარ
და ჩემს სხეულში ბევრს არავინ გადაიხდის.
და სანამ ვზივარ და ვტირი, ჩამოიარეთ და მკითხეთ,
რა მჭირდება ბედნიერებისთვის,
და გიპასუხებთ, რომ მინდვრები და ვაშლის ბაღები,
ყელზე საყვარელი კაცის თითები,
სხვა ქალაქები და თავისუფლება,
და არ ვიტყვი, რომ მჭირდება ფული,
ჯიბეში ჩასატენი და ბალიშში ჩასატენი, ჩვეულებრივი ფული,
რადგან ყველაფერი არის თვლით და წონით,
და თავისუფლებაც კი იმდენი გექნება,
რამდენის ყიდვასაც შეძლებ.
და ვზივარ ქუჩაში, ტროტუარზე და ვტირი ორასი ლარის გამო,
ვტირი, როგორც დაკარგულ სიყვარულს,
ვტირი, როგორც მზეში და ვარდებში მიტოვებული ქალი,
როგორც ტირიან ადამიანის სიკვდილს,
როგორც ტირიან საკუთარ თავებს
ღვინოში ჩასალბობი დარდით გატენილი,
სიმარტოვეში დამხრჩვალ ლატაკი პოეტები,
და ჩემი ტირილი,
ჩემი გამხდარი, ორასლარიანი ტირილი
მზისა და ვარდების თვეში,
მზისა და ვარდების მხარეში,
გდია ქუჩაში, ტროტუარზე,
როგორც ჩამოფასებული,
ათასგზის ფასდაკლებული ცხოვრება.

მინდა, მაღლობა გადაგიხადოთ

მინდა მაღლობა გადაგიხადოთ.
მაღლობას ვუხდი დედაჩემს, რომელიც ისე მაჩენდა,
არ იცოდა ჩემი სქესი
და ფიქრობდა, რომ ბავშვი ბავშვია,
აჭმევ, საფენებს გამოუცვლი, სიარულს და ლაპარაკს ასწავლი,
გაიზრდება და თავს მიხედავს,
დაბერდება და მოგივლის.
მაღლობას ვუხდი მამაჩემს,
რომელსაც ვუყვარდი მიუხედავად ჩემი სქესისა
და ფიქრობდა, რომ მთავარია, კარგად ვისწავლო,
და არაფერი ჩავიდინო ისეთი,

სოფელში გავლის და ხალხისთვის თვალელებში შეხედვის შერცხვეს.
მადლობას ვუხდი ჩემს ძმას, რომელიც ჩემზე გვიან დაიბადა,
ჩემზე ადრე დაიწყო ცხოვრება,
ჩემზე მეტად უყვარდათ ნათესავებს,
მერე ადგა და წავიდა ერთ შორეულ ქვეყანაში
და გაიყოლა ყველაფერი, რასაც ერქვა ჩემი სახლი და ჩემი ოჯახი.
მადლობას ვუხდი ჩემს პირველ მასწავლებელს,
რომელიც ფიქრობდა, რომ თუ ხელებში ხშირად ჩამარტყამს,
უფრო კარგად დავნერ და უფრო კარგად მოვყვები გაკვეთილებს.
მადლობას ვუხდი ჩემს პირველ შეყვარებულს,
რომელიც მთელი სკოლის გასაგონად იცინოდა,
როცა საშინაო დავალების რვეულიდან ამოხეულ ფურცელზე დაწერილ
ჩემს სასიყვარულო წერილებს კითხულობდა.
მადლობას ვუხდი ჩემს პირველ მეგობარს,
რომელიც გათხოვდა, შვილი გააჩინა,
ვერაფრით ისწავლა საქმლის კეთება, ქმრისთვის მოფერება
და ყველა შეხვედრისას ტირის და მეუბნება, რომ ასეთია ცხოვრება
და მეც ასე ვიქნები.
მადლობას ვუხდი ჩემი სტუდენტობის მეგობრებს,
რომლებმაც ვერაფერი დაიმახსოვრეს ჩემზე გარდა იმისა,
რომ ერთი სოფლიდან ჩამოვედი და სულ დედაჩემი მენატრებოდა.
მადლობას ვუხდი ჩემს პირველ სამსახურს
იმ დღისთვის, როცა ვთქვი, რომ აქ აღარ ვიმუშავე
და ყველამ შვებით ამოისუნთქა.
მადლობას ვუხდი ჩემს ახლანდელ თანამშრომლებს,
რომლებმაც ზუსტად იციან, რომ მე ვარ სკამი
და თუ გადამდგამ, ან გამომცვლი, ამით არაფერი შეიცვლება.
მადლობას ვუხდი ჩემს პირველ კაცს,
რომელმაც მითხრა, რომ მთავარია, არ შემიყვარდეს
და როცა წავა, არ ვიტყვი, არ შევანუხო და უკან არ გავეკიდო.
მადლობას ვუხდი ჩემს პირველ ქალს,
რომელმაც მითხრა, რომ მე ვარ ყველაზე სექსუალური
იმ ქალებს შორის, ვინც ჰყოლია,
მაგრამ რომ არ ვწერდე, ვერავინ შემატყობდა,
ცოცხალი ვარ თუ მკვდარი.
და მადლობას ვუხდი ყველას,
რომლებიც ჩემთან დასაწოლად მოდიოდნენ გალესილი დანებით,
წასვლისას ყელში მიყრიდნენ და მე ვეუბნებოდი,
რომ ეს იყო ყველაზე კარგი კოცნა და არასოდეს დამავიწყდება.

და მადლობას ვუხდი ყველას, ვინც არის ახლა ჩემს ცხოვრებაში:
მეგობრებს, რომლებსაც შეუყვარდათ
და ჩემთვის აღარ სცალიათ;
მეგობრებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მე ცუდად გამზარდეს
და ჭკუა უნდა დამარიგონ;
მეგობრებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ხშირად უნდა დამცინონ,
რომ თავში არ ამივარდეს, როცა სხვები მაქებენ;
მეგობრებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მე ძალიან სუსტი ვარ,
მაგრამ უნდა მესმოდეს, რომ ზურგით ვერავინ მათრევს
და ყველაფერი ჩუმად უნდა გადავიტანო.

და არმეგობრებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩემი ადგილი უნდა ვიცოდე, რადგან არაფერია ჩემში საინტერესო და განსაკუთრებული და საკუთარ თავზე ასეთი წარმოდგენა არ უნდა მქონდეს.

და მადლობას ვუხდის ყველას, ვინც მთხოვს, მოვუყვე ჩემს ცხოვრებაზე და იმასსოვრებს მხოლოდ ჩემი თმის ფერს და ფიქრობს, რომ ჩემში ყველაზე მნიშვნელოვანი არის ჩემი დაბადების ადგილი.
და მადლობას ვუხდის ყველას, ვინც ამბობს, რომ ვუყვარვარ, ან არ ვუყვარვარ, მაგრამ არაფერი იცის ჩემზე და თუ მოვკვდები, იტყვის: რა ნიჭიერი იყო, კიდევ რამდენს მოასწრებდა, ახლა რომ არ მომკვდარიყო.

მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, მადლობას გიხდით და ვამბობ: მე არ ვტირი, როცა მტკივა, მე ცხოველი ვარ. ცხოველი, რომელსაც საკუთარი ქრილობების გალოკვა შეუძლია, და როცა სიკვდილის დრო დაუდგება, სახლიდან მიდის და ისე კვდება, სულ ვერავინ დაინახოს.

მე ვნახე სიკვდილი ერთხელ

მე ვნახე სიკვდილი ერთხელ. იყო ზაფხული და რომელიღაც რელიგიური დღესასწაული. მოხდა უბედური შემთხვევა: მალალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი გზას აცდა და მდინარეში ჩავარდა. მდინარე იყო ადიდებული და მთებში გაბმული წვიმებით სავსე. მსხვერპლი იყო დიდი: რამდენიმე ადამიანი. ბავშვებიც. გარდაცვლილებს შორის იყო ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი რამდენიღაც თვის შვილი, რომელიც ირწეოდა მდინარეში და ხედავდა, როგორ ამოიყვანეს წყლიდან მისი დედა და მამა, ხელი დაუჭინეს და წავიდნენ. იყო რომელიღაც რელიგიური დღესასწაული, მაგრამ არავინ წასულა სალოცავად: ჩვენ, დანარჩენი ადამიანები, რომლებიც გზას არ ავცდით, წავედით წყვილის სანახავად და ჩავდექით ტირილის რიგში.

წესია: მიცვალებულს აწვენენ მაღალ ტახტზე,
რომ ყველამ კარგად დაინახოს
და ეჭვიც არავის შეეპაროს, სწორედ ის არის მკვდარი
და არა სხვები, გარს რომ უვლიან თავების კანტურით.
მაგრამ ისინი იყვნენ ორნი,
სამუდამოდ ხელჩაკიდებულები,
და ყველა ტახტი ცულის ტარზე ვინრო აღმოჩნდა.
და ყველაზე განიერი ოთახის ცენტრში დადგეს სანოლი.
გაშალეს ახალი თეთრეული.
ჩააწვინეს.

სანოლი იყო ხის,
მარტივი ორნამენტებით თავ-ბოლოზე.
და ნამდვილად ფართო.
ისინი იწვნენ მშვიდად, ნიკაპამდე ზენრებაფარებულები,
და იფიქრებდით, რომ არაფერი დამთავრებულა.
ჩვენ ვიდექით მორცხვად,
ისე, როგორც ბავშვობაში რომელიღაც დილას
მშობლების საძინებელში შემთხვევით შეხედვისას.
და ვყვიროდით ჩუჩულით მათი ლურჯად დახუჭული თვალების ჩრდილში.
სანოლი იყო ნამდვილად ფართო,
და სხეულებს შორის ცარიელი ადგილი გაფიქრებინებდათ, რომ სადაცაა
ბავშვები შემოცვივდებიან და შუაში ჩაუნვებიან.
მაგრამ ბავშვი არ იყო:
მდინარემ დაიტოვა გასაზრდელად.

სამი დღის შემდეგ გაშალეს მინა.
გადააწვინეს.
მინა იყო ნამდვილად ფართო
და გაფიქრებინებდათ, რომ ყველა დავეტევიო.
მერე დაჭედეს ცხენები
და ძუაგამოკვანძულები აჭენეს მათ სახელზე.
დააცხვეს ქადები. დაღვარეს ღვინო.
თაფლის სანთლებს არჭობდნენ მინაში
და უყურებდნენ ერთმანეთს ეჭვით,
კიდევ ხომ არავინ დარჩათ დასამარხი.
მთელი დარჩენილი ზაფხული
ცხოვრება იყო ადიდებული
და მიცვალებულებით სავსე.
ჩვენ ვიყავით ადიდებულები
და რომელიღაც მდინარიდან ვერამოყვანილის
თევზებგამობმული ყვირილით სავსე.
ჩვენ გვესმოდა ნეკნების მტვრევის ხმა მინიდან
და მდინარეებს ჩამოჰქონდათ ახალ-ახალი რელიგიური დღესასწაულები,
როცა არავინ მიდის სალოცავად.
როცა მინაში არჭობენ სანთლებს.
როცა არავინ იცის,
რომელი მდინარიდან გადავარდება
და რომელ გზაში დაიხრჩობა
ძუაგამოკრული ცხენების ჭიხვინში.

მე ვნახე სიკვდილი ერთხელ.
ის იყო ნამდვილად ფართო,
ისეთივე, როგორც ცხოვრება,
და ვიფიქრე, რომ ყველა დავეტევიტ.

* * *

იმ დროს, ბავშვი რომ ვიყავი, ზოგჯერ ავად ვხდებოდი.
ავად როცა ვხდებოდი, საჭმელს აღარ ვჭამდი.
დედაჩემი, რომელიც იმ დროშიც დედაჩემი იყო,
ფეხაკრეფით მოდიოდა ჩემს სანოლთან
და მეუბნებოდა, რომ რასაც ვინატრებდი, იმას მომიმზადებდა.
მე სულ ერთი სურვილი მქონდა – შემწვარი ყველი და ატმის კომპოტი.
გადიოდა წლები, ვხდებოდი ავად,
მაჭმევდა დედაჩემი შემწვარ ყველს,
და ატმის კომპოტს სულ ერთნაირი ფინჯნით მიდგამდა სანოლთან.
მე სულ ერთნაირად ვუყურებდი ჭერს
და ვფიქრობდი, რომ ჭერზე მიხატული უშნო ყვავილები
წინა ავადმყოფობის მერე შესამჩნევად დაპატარავდნენ.
ავად ყოველთვის ზაფხულში ვხდებოდი
და ყოველთვის ერთნაირად ჟივჯივებდნენ მერცხლები
ფანჯრის კუთხეში მიშენებულ ბუდეში.
ზოგჯერ იცვლებოდა ჩემი ავადყოფნის ოთახი,
მაგრამ მერცხლები ყოველთვის იყვნენ:
ყველა ფანჯარაში ჰქონდათ ერთი სათადარიგო ბუდე
ჩემი ავადმყოფობისთვის,
როგორც დედაჩემს
ჩემთვის გადანახული ერთი ქილა ატმის კომპოტი.

ზოგჯერ ახლაც ვხდები ავად.
და როცა ამ დროს დედაჩემი მიჩეკავს,
ვეუბნები, რომ კარგად ვარ,
უბრალოდ, მასთან დარეკვა დამავინწყდა.
მერე საბანს თავზე ვიფარებ,
ჩემი უუშნოყვავილო ჭერი რომ არ დავინახო,
და ვფიქრობ:
განა ბავშვი აღარ ვარ, უბრალოდ, ატმის კომპოტი აღარ მიყვარს
და ათასი წელია, ყველი ჩემთვის აღარავის შეუწევას.
დედაჩემი კი, რომელიც ისევ დედაჩემია,
სახლში, რომელიც ჩემი სახლი აღარ არის,
ისე ფეხაკრეფით დადის,
თითქოს რომელიღაც ცარიელი ოთახი ავად გაუხდა.
მერე მერცხლის ბუდეებს ითვლის,
და არ ამბობს, რომ წლიდან წლამდე თითო ბუდე აკლდება.

ჩვენ გყავდა ძალი

ჩვენ გყავდა ძალი.

ჰქონდა დიდი თავი, დიდი ფეხები და დიდი ბენჯი.

ასეთი ძაღლები ჰყავდათ მეცხვარეებს.

ჩვენ არ ვიყავით მეცხვარეები. ვცხოვრობდით სოფლის შუაგულში,

გვედგა პანტა და კაკალი

და რამდენიმე ვაშლის ხე ეზოს ბოლოში.

ასეთ ძაღლებს უყვართ ზამთარი.

ავიდოდა სახურავიდან გადმოყრილი თოვლის გორაზე,

განვებოდა და უყურებდა სოფელს.

ლამლამობით უყეფდა მგლებს, დღისით უყეფდა ადამიანებს, –

ზოგჯერ არ უყვარდა ისინი. განსაკუთრებით ზოგიერთი მეზობელი.

ჩვენ კი ერთმანეთი გვიყვარდა.

დამადებდა მუხლებზე თავს,

დავადებდი ხელს თავზე

და მისი მძიმე თავი ყოველთვის იყო ჩემს პატარა ხელზე მსუბუქი.

გადიოდა წლები და უფუჭდებოდა ხასიათი.

სოფელში ამბობდნენ, რომ ჩვენი ძაღლი გაავდა

და საშიშია გავლა ჩვენს სახლთან, –

ლობე არც ისე მაღალია და შეიძლება გადახტეს.

მერე გადახტა.

ჯერ იყო სიჩუმე.

მერე სოფელი იდგა და გვიყურებდა ჩვენ

და თოვლიან ორლობეში ძაღლის ნაფეხურებს უყეფდა.

და სახლში თქვეს, რომ უკვე დროა.

მამაჩემმა აიღო თოფი,

ჩადო ორი ტყვია

და წაიყვანა ეზოს ბოლოსკენ.

გადის წლები და

ვუყურებ ადამიანებს სოფელში და სოფელს ადამიანებში

და ვხედავ ზამთარს.

ლამლამობით ვუყეფ მგლებს, დღისით ვუყეფ ადამიანებს.

მაღალი ლობე ჩემი თავის გარშემო ზოგჯერ საკმარისად მაღალი არ არის.

სადაცაა, ვინმე იფიქრებს, რომ უკვე დროა,

და სახურავიდან გადმოყრილი თოვლის გორაზე განოლილი ძაღლი

გადმოხტება იმ თავისი განელილი სიმარტოვიდან.

მერე ზურგს უკან რჩება სახლი,

და ყველაფერი, რაც იცხოვრება.

და ჩემი ნახტომის სიჩუმეში დგება სოფელი,

და ყვირის, რომ მუხლებზე მიდევს ძაღლის თავი,

მკვდარი ძაღლის მოჭრილი თავი,

და არა ბავშვობა.

და არა სიცოცხლე.

და მე თვალებს ვხუჭავ და ვხედავ:

მამაჩემი იღებს თოფს,

დებს ორ ტყვიას

და მივყავარ ეზოს ბოლოსკენ.

იქ, სადაც გვიდგას ვაშლის ხეები.

(არა)საგავშვო ლექსები +18

ვასო გულეური

ქალბატონი გიურზა და ქალბატონი ანკარა

ქალბატონი გიურზა

სწერს ქალბატონ ანკარას:

– გთხოვთ, გვესტუმროთ, გაჩვენებთ ჩვენს ტყისპირა აგარაკს!

– ქალბატონო გიურზა, – უპასუხა ანკარამ.

– დავიფიცე, თქვენს სახლში კუდიც არ დავაკარო.

შარშან, როცა ვეწვიე თქვენს ზღვისპირა აგარაკს, თქვენი ქმარი საეჭვოდ მიყურებდა აშკარად!


ჩემი ქმარი, არ იცით? ისე ეჭვიანია!.. გზაში მეჩხუბებოდა, თითქოს ჩემი ბრალია,

თქვენს ქმარს სხვა გველებსკენ რომ გაუბრუნებდა თვალები... თქვენს აგარაკს სათოფედ აღარ გავეკარები!

პეპელა

ჭუპრობიდან გამოვიდა, ახლა უკვე ყმანვილია. უკვე დროა, დავაუკაცდეს – ამ ცხოვრების ნაწილია.

ყვავილებზე ფრთათეთრ პეპლებს გადახედა მედიდურად და წითელი ფარნის ტოტზე ლამის პეპლებს მიაშურა.



მკვინარა ულაყი

თავი იმდენი იქო ულაყმა, რომ ფაშატს ტვინი გამოულაყა.

– მე ვარ ცისფერი სისხლის ტაიჭი, მოზომილი მაქვს ყველა ნაბიჯი.

მოხდენილი და კობტა – გავლაში, გამორჩეული მთელ ჩვენს თავლაში.

ჩორთით დავდივარ – თითქოსდა ვცეკვავ, ჩემი ჭიხვინი ზარივით რეკავს.

არც ჭენებაში არ მყავს ბადალი, არავინ არის ჩემი სადარი...

ფაშატმა უთხრა: – ნუ მიხნავ ტვინსო, შენზე დიდი აქვს მეზობლის ვირსო!

კამეჩს ღორი შეუყვარდა

შეუყვარდა კამეჩს ღორი,
გამოუტყდეს, ვერა ბედავს.
ფიქრობს მაინც – ქვრივი არის
და თორმეტი გოჭის დედა.

სულ ახლახანს დაკლეს მისი
ქმარი, ყოფა გაუმწარეს.
ნიშადურით აბრუნებდნენ,
ეზოში რომ წვაკვდნენ მწვადებს.

მაგრამ, რა ქნას – შეეგუა,
იცის კარგად, რომ ც'ესტ ლა ვიე!
ახლა გოჭებს უნდა გაზრდა,
აიყვანა ხელში თავი.


იქნებ, ვინმეც გამოუჩნდეს,
მწუხარებას ვინც ჩაუქრობს...
ჯერ თავადაც ფერზე არის,
როგორ გაძლოს დიდხანს უქმროდ?

ჰოდა, კამეჩს ეს რომ უთხრეს,
მაჭანკლობა სთხოვა კატას.
მოსაკითხად დედა ღორთან
სიმინდსა და პანტას ატანს.

კატამ უთხრა – გამიგია,
რომ ბრმა არის სიყვარული.
მაგრამ მაინც მიკვირს, კამეჩს
ღორზე შეგივარდა გული?

– გემოვნება მსგავსი გვაქვს და
თუ გამომყვა ახლა ცოლად,
არასოდეს მომწყინდება
მასთან ერთად ლაფში წოლა.

თანაც, ნახე, ფერხორციანს
თეძოები როგორ მიაქვს...
და მთავარი – მაგას ძუძუ
განა ოთხი, თორმეტი აქვს!



თაფლობის თვე

თაფლობის თვე აქვს ფუტკარს.
ცოლი შეირთო. რა ქნას,
ახლა დრო არის ტკობის,
არსად არ წავე საქმე.

სულ აღარ ახსოვს ბუტკო,
აღარც მტვერი და ცვილი.
აჩქარებული სუნთქავს –
დღედაღამ უნდა ცოლი.

სხვებმა მიხედონ თაფლის
შეგროვებას და შოვნას,
თაფლობის თვე აქვს, ახლა
სხვა იარაღით შრომობს...

სულ სხვა ბუტკოში ასობს
ნესტარს კი არა, ასოს.

ნახატები ავტორის

3 პროზა

მწერალი და ცხოვრება

გიორგი ოზანელი

ლამის პერანგის ბალადა

ქალმა გარეცხა პერანგი,
მიჰკიდა ბოსტნის კარზედა,
ჩამოიარეს ბიჭებმა,
მოჰპარეს იმავ ნამზედა!
– ვაიმე, ჩემო პერანგო,
ძვირად ნაყიდო სხვაზედა;
მიჩვენა შენი წამლები,
გადავიწვინო მკლავზედა!

ხალხური

პეკინის ქუჩაზე არსებული „ნიგნის სახლიდან“ გამოსულმა ჯემალ მეხრიშვილმა პირდაპირ გადაყვლა გადალმა, იოსებბიძის ქუჩაზე მდებარე ნიგნის გავრცელების ბიურო „ბიბლუსისკენ“, რათა ბარემ იქაც გაეგო თავისი ნიგნების გასაღების ასავალ-დასავალი. ვერაგი აპრილი იდგა!..

ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის წინ რომ მიდიოდა, მეორე სართულზე სარეცხის მფენი ქალის თავშეკავებული ნამოკივლება, მწერლის ზეახედვა, მკლავების ელვისებური გაშვერა და ზედ მანდილოსნის სველი ლამის პერანგის დაფერთხებაც ერთი იყო!!!

– გთხოვთ, ძირს არ ჩამიგდოთ!.. ახლავე!.. – მუდარით ჩამოსძახა კისერნამოძაბულმა ახალგაზრდა დიასახლისმა და ვინრო აივნიდან გაუჩინარდა.

მშვენიერ ქალთან პირისპირ ამაღლელებელი შეხვედრის მოლოდინით გულაჩქარებული ოზანელი ასევე გაქვავდა – მარგილებივით გაშვერილ მკლავებზე უთანაბროდ ჩამოფენილი, ვნების აღმძვრელად დანინ-ნკლულ-დაჩითული გრძელი პერანგით, მზის აღმაცერ ანაშუქზე წყლის მსხვილი, სუფთა წვეთები ერთმანეთის



მიყოლებით ოქროს მარცვლებივით რომ სწყდებოდა!

წამი წამს მისდევდა, ქალი კი არა და არ ჩანდა! არადა, მწერალს მონური მორჩილებით გაშვერილი, სველი პერანგით შემძიმებული მკლავები ჩამოეღალა. ეგეც არ იყოს, სისველემ უკვე კოსტიუმის სახელოები გაუჟივა და პერანგამდეც ჩაატანა!

მოულოდნელად ქალი ისევ გამოჩნდა აივანზე! გახეტებულ უცხო მამაკაცს ღრმადეკოლტიანი მკერდით დაბალ რიკულებზე ისე გადმოიუნვა, რომ ცალ მხარზე შავი ბრეტელი გამოუჩნდა და ალერსგარეული ხმამინაზებით ხელახლა ჩაუნიავა.

- გეხვეწებით, არ დააგდოთ!
- ქალბატონო, - ხუმრულად შეეპასუხა გაკვირვებული მწერალი, - პერანგი სავსე რომ იყოს, რად მინდოდა თქვენი ხვეწნა-კარნახი - მე ვიცი, მაშინ რასაც ვიზამდი და როგორც მოვიქცეოდი, მაგრამ ეს ცარიელი, თანაც სველი ღამის პერანგი ასე შტერულად როდემდე მეჭიროს?!

ქალს მარილიან პირისახეზე ნელტკბილი ღიმილი გადაელვარა, რაკი მიხვდა, თავისი პერანგის გადამრჩენ მამრს გასაგებად ვერ აკვალთანებდა. ამიტომ შეცდომა უმალ გამოასწორა.

- ბავშვი ჩამოვაგზავნე!.. ახლავე მოვა!.. აგერ, ისიც!.. მიდი, დედიკო, მიდი, ნუ გერიდება!.. მადლობა უთხარი ძიას!..

მიმპატიჟებლური იდუმალეობით სავსე ღამის პერანგი ექვსიოდე წლის დამორცხვებულ გოგონას მწერალმა სათუთად გადააბარა და მადლიერების ღიმილით სახეგანათებულ მის დედიკოს გამოსასალმებლადლა შეუჭვრიტა. მერე ცხვირსახოცი ამოიღო და თავისი გზა ხელების მშრალეობა-მშრალეობით განაგრძო...

ოპტომეტრიული¹ ინციდენტი

ერთი ადამიანისთვის სხვა რომელიმე უცხო პროფესია-საქმიანობასთან დაკავშირებული შაბლონური ტერმინით ნაგულისხმევი მნიშვნელობის უცოდინრობამ ან იმავ ნამიერმა მიუხვედრელობამ, ხოლო მეორის მიერ ამგვარი სიტყვის როყოდ ნამოძახებამ შეიძლება სრულეობით უცნობი ორი პიროვნება უცებ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეატაკოს!

ამაში ახლავე დარწმუნდებით!

2001 წლის აგვისტოს შუადღის პაპანაქებაა. თბილისის სანახევროდ დაცლილა. დაღონებული ჯემალ მეხრიშვილი პუშკინის ქუჩაზე მდებარე სათვალეების პატარა, ჭერდაბალ მალაზიაში ალაღბედად შეჩერჩეტდა და მუშტარდანატრებულ ოპტომეტრისტ ჯირკუტანა მამაკაცს გულღიად გაენდო: ერთი ხელმოკლე მწერალი ვარ... გუშინ სათვალე ტროტუარზე წამომივარდა და ცალი მინა დაემსხვრა!.. ჰოდა, იქნებ ჩემი შესაფერი ფასისა და ხარისხის მინები შემირჩიოთო.

დამხვდურმა კლიენტს სულ ჩაყოლით გამოჰკითხა ვინაობა და სადაურობა. მის ქიზიყელობაზე თავისებურად გაეღიმა და მწერლისადმი უცებ განსაცვიფრებელი ნდობა გამოიჩინა: დაკეტვაც არ მინდოდა - ვაითუ ამ ისედაც მკვდარ სეზონში მუშტარი დაეკარგომეთქი, არადა, საათის გამოსატანად „პირიმზეში“ ვარ ჩასარბენი! ჰოდა, ძალიან თუ არ გეჩქარებათ, ცოტა ხანს იყავით აქა, მეც მალე მივალ და მოვალ და მერე

საუკეთესო გერმანულ მინებს ჩაგისვამთო!

- აი, დაბრძანდით ჩემს მაგიდასთან და თუ ვინმე გამოჩნდა, არ გაუშვათ - ახლავე მოვა-თქო!

ხელოსანი გზას ფეხაჩქარებით გაუდგა. მწერალიც კრძალვით მიუჯდა სხვის მაგიდას და ერთოთახიანი ხრუშჩოვულა სოროს ბინადრის კვალობაზე მაშინვე საფიქრალში ჩაიძირა: რა იქნებოდა, ერთი ამხელა კაბინეტი მინც ჰქონოდა! ო, თავის ხელით დაპატარავებულ თაროებს ისე შემოიმწკრივებდა, რომ ყველაზე აუცილებელ ნიგნებსა და ნივთებს მაგიდიდან წამოუდგომლად მისწვდენ-ასწვდენ-გადასწვდენოდა! ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებს აი, ამ კუთხეში ჩარახმავდა, ხოლო...

ეექვ, აკი ჰქონდა მყუდრო კუთხე, პირველმა მეუღლემ იზოლირებული საძინებელი კაბინეტად რომ დაუთმო, მაგრამ ვერ შეიშენია - ერთ დღესაც დაჰკრა ფეხი და ის ცოლ-შვილი სამუდამოდ მიატოვა!..

ოპტომეტრის ამ პანია, ჰაერდახშულ ბუდრუგანაში უცებ სულის შემხუთავი თვალახელა დაეუფლა! მწერლობას ფანატიკურად თავმიცემული, მაშინ უღმობლად ცდილობდა ოჯახში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას, რათა ყველა და ყველაფერი მხოლოდ მის ნება-სურვილს, უფრო სწორედ, სამწერლო ინტერესებს დაქვემდებარებოდა!!!

ოოო, ახლა ყველაფერს რომ ნათელი ეფინებოდა, მაშინ რა შეუძლებელი იყო ამ უმარტივეს ჭეშმარიტებაში გარკვევა: ცხოვრებაში ყველას თავისი ინტერესებისა და გატაცებების სფერო ფარგლავს და რაც შენთვის ერთადერთსა და სამკვდრო-სასიცოცხლო მიზანს წარმოადგენს, შეიძლება, ის სხვას ჩირად და ჩამიჩადაც არ მიაჩნდეს! ამას მაშინვე რომ მიმხვდარიყო და ჯალაბსაც გაგებით მოჰკიდებოდა, ბედის ჩარხი იქნებ სულს სხვანაირად წასტრიალებოდა! ვინ უშლიდა, მწერლობას თვითონ მთელი გატაცებით მისცემოდა, მაგრამ ნამდვილი დესპოტიზმი იყო ოჯახის წევრებისთვისაც ამ იდეით სუნთქვა მოეთხოვა და ლიტერატურის გულისთვის გამაოგნებელი მინიმალისზმით ცხოვრება მათთვისაც დაეძალებინა!..

არადა, მეუღლის სამსახურიდან ახალმიღებული რა დიდებული ცხრასართულიანი ჩეხური პროექტით აშენებული ბინა იყო: თანაც, თბილისის ყველაზე მაღალ ადგილას, შატილად წოდებულ ნუცუბიდის პირველ მიკრორაიონში!..

მწერლის გავარვარებულ მოგონებებში უცებ ერთმანეთში აილინთა დაუფინყარი, ახლა კი გონების მსუსხავი სურათები: მერვე სართულის ხალვათი აივნიდან ხელისგულივით მოჩინარი მთელი თბილისი და შორეულ სილურჯეში მთრთოლავი კრწანისი... თითქოს ერთმანეთში არეული სამეხო ღრუბლების დასამშვიდებლად მთანმინდის პლატოზე უზარმაზარი შპრიცივით აშვერილი ტელეანძა... ხელის განვდენაზე განაბული წყნეთი... იმედის აღმძვრელი უნივერსიტე-

¹ ოპტომეტრია - სათვალეების (ლინზებისა და ჩარჩოების) კეთების საქმე.



ტის გუმბათოვანი მალლივი კორპუსები... სხალდიდისა და ნახშირგორას დაბურული მიდამოები... კორპუსებ-გალმა უკაცრიელი ფერდობების გაუვალ ბარდნარებში ტანჯვა-წვალებით მოწყობილი თავისი საზაფხულო სამალავ-„კაბინეტები“... ო, ღმერთო, ეს ყველაფერი მართლა ცხადი იყო თუ სიზმარი?!

კაბინეტში მოულოდნელად ხოხობივით შემოფრთხი-აღდა სიცხისა და სწრაფი სიარულისაგან სახეატკრე-ცილი, თვალშეხედული ახალგაზრდა ქალი.

- ვერ გამიგანივრებთ?

მტანჯველი მოგონებების ბარდნარიდან ამოფრთხ-ენილმა მწერალმა ხეტად იკითხა.

- რას?

ნამჯისფრად თმაშელებილმა, თეთრმკლავება მან-დილოსანმა მზის ვეებერთელა, შავი სათვალე ხელახლა აუქნია.

- სათვალეს, სხვა რას?! - თავისებურად ახლა ქალი გახეტდა, მაგრამ რაკი უცებ მოეჩვენა, რომ დამხვედრ-მა სპეციალისტმა მოგონილი სერიოზულობით შემო-ტრიალებულ თავის უკუკითხვაში უწმანური მინიშნება შემოაპარა, კრიალა თვალეებში შეურაცხყოფის ნაპერ-წკლებმა დაუკვესა.

- ვის უნდა გაუგანივრო, შე გათახსირებულო, ვინა გგონივარ?! - აღშფოთებულ ქალს აბორცვილი მკერდი ზღვის ტალღებივით აუდ-ჩაუდიოდა, - ჰმ, მიჩვეული კი იქნები!... მამ, რაღას უცდი - გადაკეტე კარი და გააფარე ფარდა!.. უუუ!.. ამ შენს სათვალეებს სულ თავზე გადაგამტვრევ!

მწერალი გაანჩხლებულ ქალს მკლავგაშლით წამო-უდგა და გადაელობა, კედელზე მიმაგრებულ, უცხო-ური მზა სათვალეებით გამოჭედილ თაროს რომ ვერ მისწვდომოდა.

- ქალბატონო!

- მე შენ გიჩვენებ ქალბატონს!.. - ბრაზმორევით შეუძახა, - ერთი როგორ გამიგანივრებ!.. უპატრონო ხომ არა გგონივარ?!. ქმარი ქვევით, „მერსედესში“ მიცდის - ახლავე ამოვიყვან და შენ თავს აქავე ჩა-ვაცხრილინებ!.. დამაცადე!

ქალმა კაბის ფართო ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოაქანა და აკანკალებული თითით ნომრის აკრე-ფას შეუდგა. ღმერთმა უწყის, მისი ქმრის მობილური ტელეფონი იყო დაკავებული თუ თავტანდაკარგულ ქალს ციფრები ეშლებოდა - ყოველი ცდა უშედეგო გა-მოსდიოდა! ეტყობა, თან დამნაშავეს საქციელიც აცბ-უნებდა: ბოდიშსაც რომ არ უხდიდა და კარს მომდგარ სასიკვდილო საფრთხეს გასაკვირი სიმშვიდით უცდიდა!

სწორედ ამ დროს გარემონტებული ვეებერთელა ნიკელის საათით მაჯადამშვენებული ოპტომეტრიც მოვარდა. ქალის გარეგნობით მოხიბლულმა, მოკლე, შებანჯგვლული მკლავები საქმიანად მიმოაქანა.

- აბა, რა ხდება?!

მწერალი მაგიდიდან გამოვიდა, პატრონი თავის

ადგილას რომ მიეშვა. შემცბარი ქალი უცებ მიხვდა: ხელოსანი ეს კი არა, თურმე ის ყოფილიყო! ქმართან დარეკვა უმალ გადაიფიქრა და მობილური ტელეფონი უკანვე ჩაიბრუნა.

- გისმენთ, ქალბატონო! - თვალეების ყუყუნით შეუღიღინა ოპტომეტრისტმა, მწერლის არსებობას რომ ვეღარც კი გრძნობდა.

- სათვალე აი, აქ ძალიან მტკენს და არ შეიძლება მისი ცოტათი გაგანიერება?

- ვნახოთ, ვნახოთ!

ხელოსანმა პლასტმასის სქელჩარჩოიან სათვალეს უღელი დაკვირვებით მოუსინჯა. მერე ქალს ცხვირის ძირზე ისე დაუნყო თითების ცაცუნის, რომ თან იდაყ-ვით მკერდზე ეალერსებოდა. უცებ ტუჩები თოფის ლულასავით მოიმრგვალა და სათვალეს თოქმა უღელი ოთხი-ხუთი ხმაურიანი, გახანგრძლივებული შებერვით შეუთბო. მერე მოიკუზა და ორივე მუჭაში ისე მოიმწყ-ვდია, თითქოს წვენი უნდა გამოადინოსო.

- არ გამიტეხოთ!

- გაგიტეხავ და გიზღავ!.. აბა, ახლა გაისინჯეთ!

ქალმა სათვალე ცხვირზე წამოიღო და თავის რამ-დენჯერმე მოხდენილი მიტრიალ-მოტრიალებით ალაპა-რაკდა.

- დე-და-ააა!.. ვეღარც კი ვგრძნობ, სათვალე თუ მიკეთია!.. როცა დამჭირდება, სულ თქვენთან ვივლი! - სათვალე ისევ მოიხსნა და ხმა მოითაფლა, - რა კარგი ოსტატი ყოფილხართ!

- კარგიო?! - თითქოს იწყინა თავგაზვიადებულმა ხელოსანმაც და თავისზე წარმოსადეგ ქალს მდაბიურად გაეჯგვიმა, - თბილისის მთელი ელიტა სუ აქ დაიარე-ბა!.. აი, ცნობილი მწერალი ჩემი მუდმივი კლიენტია!

ქალი უცნაურად შეცმუჯდა და უცებ მოსხიპა.

- რამდენი უნდა გადავიხადო?

- არცრამდენი, ლამაზო!

- არა, არა!..

- არა-მეთქი, მეორედ რომ მომიხვალთ, მაშინ!

- კარგი... დიდი მადლობა! - ხმამინაზეებით ამოთქ-ვა ქალმა და თან მწერალს თვალეები დამნაშავესავით შეაფეთა, - ბოდიში!

და კაბინეტიდან ისევ ხოხობივით გაფრინდა.

- ვააა, რა კაი ქალი იყო! - თვალგაყოლებით ამოი-ოხრა ხელოსანმა.

- კი...ი...ი.

- არა, ბოდიში რაღაზე მოგიხდათ?

- ალბათ, რიგს რომ შემეცილა.

- ააა!

ანდაზა

სტუდენტობის დროინდელმა ერთმა მივიწყებულმა ნაცნობმა მამაკაცმა სრულიად მოულოდნელად ჯემალ მეხრიშვილს ბინაზე დაურეკა, თავი რის ვაი-ვაგლახით შეახსენა და მოჭრით განუცხადა: ზეგ, კვირას მცხეთის რაიონში, ახალნაყიდ აგარაკზე პატარა წვეულებას ვმართავ და მინდა, რომ შენც იქა მყავდეო! რალა დაგიმალო, აქედანვე იცოდე – ჩემს ალალ დისწულს, მეორე კურსელ გოგონას გულზე მწერლობა ამოუჭრია და მისი მოთხრობების გასინჯვა და საერთოდ, მასთან გასაუბრებაც მოგიწევსო!.. მოკლედ, მზად დამხვდი – დილის რვა საათისთვის ჩემი „ტოიოტით“ გამოგივლი, მერე გლდანში გავალთ, ერთგან სამარშრუტო ტაქსით სხვებსაც შევიერთებთ და გზას პირდაპირ იქიდან გავუდგებთო.

აბა, რალა ექნა, გაკვირვებულმა მწერალმა ხათრი ვეღარ გაუტეხა და სტუმრობაზე დაუყაბულდა, ავტომობილით მომსახურება კი შორს დაიჭირა.

– ტყუილუბრალოდ რაზე უნდა ინვალო?!. სანამ შენ ვაზისუბნიდან ჯერ დიღმის მასივში გამოხვალ და მერე აქედან ახლა გლდანში გავალთ, მანამ მეტროთი მე ერთი ხუთჯერ მაინც მოვასწრებ იქ მოსვლას!.. ამიტომ მოდი, დავთქვათ დრო და ადგილი და პირდაპირ იქ შევხვდეთ!

– კარგი, როგორც იტყვი!..

დათქმული კვირადღეც გათენდა. მწერალმა შხაპი გადივლო, წვერი გაიპარსა და მსუბუქად ისაუბმა. მერე თავის გამორჩეულ, ტვიდის ჟილეტიან შარვალ-კოსტიუმში გამოეწყო და გზას გაუდგა. მეტრო „ახმეტელის“ სადგურზე ამოსული, გუმინწინ ნანიშნი კვარტლის კორპუსისკენ ფიქრგართული გაემართა.

შუა აპრილის ალერსიანი, სიცოცხლითა და ამოუხსნელი იდუმალებით სავსე დილა იდგა. ქუჩები ჯერ კიდევ ცარიელი იყო. საგურამოს შტოქედის კალთებიდან თითქოს ერთმანეთში არეული ტყისა და იის გამაბრუებელი სურნელი მოკამკამებდა... მწერალს თავისებური ეჭვი მაინც ბოჭავდა: იმ ქალიშვილს თუ არ აღმოაჩნდებოდა პროზაიკოსის ნიჭის ნატამალი, მაშინ რა წყალსა და ღვარს მისცემოდა, ეს მისთვის რანაირად აქსნა?! ამიტომ ერთი პირობა სინანულიც კი მოერია, ასე ადვილად რომ დასთანხმდა, მაგრამ ისევ თავი გაიმხნევა: რანაირად შეიძლება ახალგაზრდა საერთოდ უნიჭო იყოს?!. არა, ხელნაწერებში მაინც უპოვის მწერლური მიგნების ოქროს ნამცეცებს და სწორედ იმას ჩაეჭიდება!.. ტვინს გაიშრობს და იპოვის! ვინ იცის, იმ გოგონაში იქნებ ქართული პროზის ამომავალი ვარსკვლავი თვლემს და ამის პირველადმოჩენად განგებამ სწორედ მე ამირჩიაო!..

მაგრად დაჭიმული სარეცხის მავთულის რკინის რგოლის უხეშად გამონევის ხმამ უცებ მტარვალურად გაფხრინა დილის სინყნარე.

– ხრხრხრხრიიიგ!..

მწერალი ანგარიშმიუცემლად უკუხტა და თავზე ხელეზნაფარებული, სართულებს შიშით ააცქერდა – აივნებიდან გადმოვარდნილი რალაც არ დამეცესო! მაგრამ ტყუილად დაფრთხა – მესამე სართულზე გაბედვით გადმოყუდებული ერთი ორმოციოდე წლის ლაკარტანა, პირნასი ქალი გემოზე დალაჟვარდებულ თეთრ ზენრებსა და ჩარსავეებს წვალება-წვალებით ფენდა. სისველით შემძიმებულ ჩარსავს მარცხენათი მავთულზე ძლივს აკავებდა, მარჯვენათი კი, რომლითაც რამდენიმე ფერად-ფერადი სარჭი ეჭირა, მუშობდა. კიდევ ერთი, სათადარიგო სარჭი, როგორც ეს, საერთოდ, მოხერხებულ ქალებს სჩვევიათ, პირში ედო.

მწერალი რომ დარწმუნდა, უსაფუძვლოდ შეეშინდიო, საკუთარ თავს დამცინავად გაუღიმა და სწორედ იმავე წამს მათი მზერაც ერთმანეთს შეხვდა და გადაიკვანძა. ღმერთი, რჯული, ეს იყო და ეს, მეტი არაფერი! ანდა, აქ კიდევ სხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო?!

და აქ მოხდა, რაც მოხდა!!!

ემმაკმა უწყის, ამ ქალს უცებ რა მოეჩვენა, რა ბზიკმა უკბინა, რა ემცხეთა, რა ენიშნა, რა წამოაგონდა, რა გაიფიქრა, რა მოეგუნება ან რამ წამოაგზნო – ნახევრად გაფენილ ჩარსავს უეცრად ხელი ცივად უშვა და პირიდან გამოღებული პლასტმასის ბოხვერა სარჭი ჰალსტუხიან უცხო მამაკაცს გაავებით ესროლა.

– ოი, შე გაოხრებულო!.. ოი, შე გათახსირებულო – მაგნარიები შინ გეყოლებია! რიხო!..

მწერალი დამეხილს დაემსგავსა! ტროტუარიდან რამდენიმე ნაბიჯით გადავიდა, გაანჩხლებულს უფრო გარჩევით რომ დანახებოდა. აყუფებულ ქალთან კამათის გაბმა – თანაც მამრის ხმით – მაცხოვრებლებს უფრო გამოშლიდა. ამიტომ ჯენტლმენურად დაეხარა და თუკი არტისტიზმის რაიმე ეცხო, არაფერი დაიშურა – მორჩილი ქედდადრეკა, მხრების გაკვირვებული აჩეჩვა, პირჯვრის გადანერა, თვალებისა და ხელების წრფელი ზეაპყრობა, გულმკერდზე მკლავების მონამებრივი გადაჯვარედინება, მუხლებში მონური ჩახრა, მუნჯური დაფიცება, მუდარა-ვედრების გამოხატვა, რათა მისთვის როგორმე გაეგებინებინა: ქალბატონო, სულ ტყუილად მათრევთ!.. აგერ, მაღალი ღმერთია მოწმე, თქვენ წინაშე სრულებით უდანაშაულო ვარ – დამშვიდდით და დაფიქრდითო!

მაგრამ გაასპიტებული „ქალბატონის“ შეჩერება შეუძლებელი ჩანდა: ის მაინც განაგრძობდა ნიოკობას და სარჭების ქალური დამიზნებით სროლას!..

გაქვავებულმა მწერალმა აღარ იცოდა, რა ექნა! გაქცეულიყო?! მაგრამ ქალს როგორ ან რატომ უნდა გაჰქცეოდა?! ეგეც არ იყოს, ეს ხომ ჩაუდენელი და-ნაშაულისა თუ შეურაცხყოფის აღიარებას დაემსგავსა-

ებოდა! არადა, ხარახურით გამოტენილ თბილისურ აივნებზე ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ თამაზოფუშული, ძირს ბეცურად მაცქერალი ქალები... მალე ნაირფერმანისურიან მამაკაცთა მხეცური სახეებიც გამოჩნდა...

განინმატებულთან მედიდურად გამოაბოტა შავ-მანისურიანმა მამრმა. ქალი მაშინვე აეტმასნა და რალაც შესისინა! ხისსახიანი ვირგლა გაკელაპტრებულ მწერალს პირქუშად გადმოაჩერდა, მერე ტუმბოდან ხელცული თავდაჯერებით აიღო და აივნიდან გავიდა...

გაზაფხულის წმინდა ჰაერს უცებ სისხლის სუნის შეერია!..

იღბლად ზევიდან ერთი ბრეჟნევისდროინდელი ჯაბახანა ბიზონისფერი „მოსკვირი“ მოჩახჩახებდა! მწერალმა აცახცახებული ხელი აუნია, ცხვირშემრუდებულ ღურმიშხანა მოხუც ტაქსისტს მოსხლეტით ჩაუჯდა და სულ ფახფახ-ჩახჩახით გაშორდნენ შეშლილ ადგილს.

ლილი

*მეზობლის გოგომ შეიგვიანა:
ველარ იპოვა
ამწყდარი ლილი...
ლაშა გახარია*

ეჰ, კაცი თუ ყველაფერს ჩაუკვირდება და გულთან ახლოს მიიტანს, სიკვდილამდე სატანჯველს რა გამოუღლევს!

ასეა უბედური ჯემალ მეხრიშვილიც!

აი, სადმე, თუგინდ, მაგალითად, რუსთაველის გამზირზე თავისთვის მიმავალმა შემთხვევით დაინახა, რომ ზედ შუა ტროტუარზე, თვალმოსახვედრ ადგილას ახალთახალი ციდიანი ლურსმანი გდია და კაცის ამალეღვებელი ციმციმ-კამკამი გაუდის! მწერალს საცა უნდა მიეჩქარებოდეს, უცებობისაგან სუნთქვარეული, მოშორებით მიდგება ხოლმე და ცქერად გადაიქცევა: აბა, ერთი, ვინმე თუ აიღებს?!

თქვენც არ მომიკვდეთ! ვის რაში სჭირდება ქუჩის მტვერში მზინავი ერთი ცალი ლურსმანი, მისთვის ვინ დაიკუზება ან სადა და როგორ ჩაიდონ?! მალაზიებში და ბაზრობებზე ნაირ-ნაირი ზომის ლურსმნის მეტი რა იყიდება!.. ამიტომ ყველანი ზედ უსულგულოდ აბიჯებენ ან ალაჯებენ და თავ-თავიანთ საზრუნავზე ეგოისტური ფიქრით გულშესანუხებლად გათიშულნი, სადღაც ანგარიშმიუცემელი შეუპოვრობით მიისწრაფიან!!!

ამის მაცქერალ უბედურ ოზანელს უსამანო მწუხარება ეუფლება და უბოროტო, თეატრალური სიძულვილით ივსება ტროტუარზე მიმომავალი ჭრელი ნახირისადმი! რატომ? რას ჰქვია „რატომ?“ ნუთუ ვერ ხვდებით? თითოეულ მათგანს, ცხადია, სიგიჟემდე ეშ-

იება პრესტიჟული თანამდებობა, კომფორტული, დიდი ბინა, ლატარიაში მილიონისა თუ ავტომობილის მოგება, ედემური აგარაკი, უმდიდრესი მეულლე, ვუნდერკინდი შვილები, ფუფუნება, ტალანტი, პოპულარობა, სახელი, დიდება, ძეგლი, უკვდავება, საიმისო სარისტიანობა კი არავის აქვავია, სანაგვეზე მოხვედრისა და იქ უსახელო სიკვდილისაგან იხსნას ადამიანის შრომისა და გენიის ეს პანია საოცარი შედეგები – ლურსმანი!!!

მხვენელ-მთესველთა შთამომავლის აზრით, აქ მთავარი ის კი არ არის, ტროტუარზე საბედისწეროდ დავარდნილი თუ დაგდებული ის ერთადერთი ლურსმანი გჭირდება, ანდა მომავალში მაინც შეიძლება დაგჭირდეს თუ არა?! რა იცი, ამ ფამტილობისას, რალაც საოჯახო სანამებელში ყელამდე ჩაფლულმა ჩაქუჩიანმა კარის მეზობელმა შემოგაკითხოს და იქნებ სწორედ შენ მიერ მიცემული, ქუჩაში ნაპოვნი იმ ერთი ცალი ლურსმნით გადაბმული გაურანდავი ორი ფიცრის ნატეხის ქვეშ ვილაცამ სული მოიბრუნოს!!!

ნუთუ ეს არ გესმის, ადამიანო?!

ერთი სიტყვით, მწერლის შეხედულებით, აქ მთავარია არა მაინცდამაინც იმ ობოლი ლურსმნის გამოყენება, არამედ მსგავსი საგნის გადარჩენის კეთილშობილური იდეის ქონა – ის ლურსმანი ნაგავსაყარის ღრმა შრეებში ისე რატომ უნდა ჩაიფანგოს და ჩაკვდეს, ვერასოდეს შეასრულოს თავისი წმიდათანმიდა დანიშნულება!!!

მოკლედ, უშედეგო თვალთვალთა და იმედგაცრუებით მისავათებული მწერალი მასისგან აბუჩადაგებულ უდანაშაულო ლურსმანს – მტკაველ-ნახვერიანიც რომ იყოს! – ბოლოს ზეციური საჩუქარით მადლიერებით აიღებს ხოლმე შინ წასაღებად...

ეჰ, რა ლურსმანი და რა სხვა რამ!

ლილი?!

ო, სადმე შემთხვევით ნაპოვნი ლილი ხომ ლირიკულად აღელვებს და აწამებს, მით უმეტეს, თუ იგი მანდილოსნის ტანსაცმლიდან არის აწაწყვეტი – ვინ იცის, ეს ლილი როგორ და რა ვითარებაში ასწყდა!.. აქ მწერალს მაშინვე ფანატიკურად დაეჯერება ხოლმე: ნაპოვნი ლილი უეჭველად ლამაზ ქალს... თუმცა ეს რა იდიოტური მსჯელობაა – განა არსებობენ ლამაზი და ულამაზო ქალები?! თუკი მამრი რიგიანად გაინძრევს ტვინის ძაფებს, ნებისმიერი ქალი თავისებურად ლამაზი და ამაღლეგებელია!!!

ჰოდა, შემთხვევით ნაპოვნი ლილი ნეტავი ქალს სად ეკერა: მკერდზე, საკინძეზე, ბროლის ყელთან, გედის კისერზე, ზედ მუხლებთან, სამაჯგზე, სახელოზე, წელზე თუ... ამიტომ მანდილოსნის ნაქონი, სადღაც ნაპოვნი ნებისნიერი მასალის, ზომის, მოდის, ფორმისა და ფერის ქალის ლილი მწერლისთვის არის არა როგორც სამკერვალო მრენველობის ფურნიტურის ერთ-ერთი ჩვეულებრივი მასალა, არამედ პოეზიის ნამცეცი, ღვთაებრივი საჩუქარი, იდუმალი მინიშნება-მიპატიჟე-

ბა, ვნებიანი აღმფრენის მომნიჭებელი, სამაცდურო გამოცანა და სატანჯველი, მარადიული სულიერი სიჭაბუკის უშრეტი ნექტარი, შემოქმედებითი შთაგონების მასაზრდოებელ ჩანჩქერს ანასხლეტი წვეთანკარა შხევი!.. მაშ, როგორ შეიძლება ამის დაშვება და მოთმენა: უცნობი ქალის აწყვეტილ ღილს უსულგულო ბრბო კამეჩურად თელავდეს, მერე კი მოჩქარე მეეზოვემ თავის ფახფახა აქანდაზს ნაგავთან ერთად შეაგავოს და ქალაქის ახრჩოლებულ ნაგავსაყარზე ჩასამარხავად გაისტუმროს!..

ამიტომ მეხრიშვილმა მანდილოსნის ღილს საზოგადოებრივ ტრანსპორტში თუ ქუჩა-მოედნებზე კი არა, სადმე ტალახში ჩაზელილსაც რომ მოატანოს თვალი, ჩაუცუცქედება, ჩხირით გამოარჩევს, განმენდს და შინ ნაილებს ხოლმე!

ცხადია, ბევრი დაცინვით იტყვის ან იკითხავს: კი მაგრამ, მწერალ კაცს მეტი საქმე არა აქვს!.. ან რაში უნდა გამოიყენოს ქალის იმოდენა ღილები?!

ცხადია, არაფერში! მაგრამ თვითრჯულ ქიზიყელს ასე სწამს: უღმობელი დრო-ჟამი რომ გაივლის, ის კი ცოცხალი აღარ იქნება და მინა გამოხრავს, ქალის ნაირ-ნაირი ღილებით სავსე, მეორე მეუღლის მიერ ოდესღაც ქალაქ რიგაში სამსახურებრივი მივლინებისას ნაყიდი კარამელის უჟანგავი თუნუქის შავპრიალა შედევრული სამი კოლოფი თაობათა მეოხებით საუკუნეებს გაჰყვება! ჰოდა, საქართველოს მომავალი მანანები ღილებს ხელისგულზე წამოიყრიან და სულგანაბულები, სულ თითით გაარჩევენ!.. ბევრი მათგანი ამ განსაცვიფრებელ ღილებს სიხარულით გამოიყენებს და, რაც მთავარია, მწერლის ურყევი რწმენით, სწორუტყუერად დაიდასტურებენ – როგორი ყოფილა მოურეველი ცნობისმოყვარეობით შენისლულ იმ შორეულ ეპოქაში მცხოვრები, ან უკვე სათაყვანოდ მისაჩნევ წინაპარ მანდილოსანთა მოდის კულტურა და შინაარსი!..

რალა ბევრი გავაგრძელო: თბილისში მცხოვრები ახლო ნათესავის წვეულებაზე მწერალს ერთ-ერთი სტუმარი – ახალგაზრდა დოცენტი ქალი გაეცნო. მერე რამდენჯერმე კიდევ მოუხდათ შეხვედრა და მეცნიერი მანდილოსანი მუდამ აღერსიანად ეპყრობოდა! ქალი უკიდურესად წინდახედული აღმოჩნდა. ეს მალე დადასტურდა! ერთხელაც მწერალს ბინაზე დაურეკა და ადამიანურად სთხოვა: სადოქტორო გადავათეთრე და სანამ კომპიუტერზეც ავაკრეფინებდე, თუ სიკეთეს მიზანით, თვალი გადამივლეთ, რამე ისეთი არ გამეპაროსო.

აბა, მანდილოსანს როგორ გაანბილებდა – მწერალი თანაგრძნობით დაჰყაბულდა: მეუღლე თიანეთშია წასული მარტოხელა მამის მისახედად, შინ მარტო ვარ და ხელი არსაიდან შეგვეშლება, მოიტანეთ და ერთად გაეჩარხოთო!

ქალმა უცნაური ჩაცინებით უპასუხა: მაპატიე, ამას რომ ვამბობ – გიცნობ და გენდობი, მაგრამ ქმარი „ჯღანმანიანად ეჭვიანი მყავს“ და რომ გაიგოს, მანდ

ვიყავი, არ ვიცი, რას ჩაიდენსო!

- აბა, როგორ მოვიქცეთ?
- თუ არ შენუხდები, მოდი, ვაკის პარკში შევხვდეთ!
- კეთილი.

ქალმა დაუსახელა შესახვედრი დრო და ადგილი. მეორე დღეს ზუსტად დანიშნულ საათზე შეხვდნენ პარკის ამხეფებულ ცენტრალურ შადრევანთან და მიმყოფრობული კუთხის ძებნას შეუდგნენ.

სიცოცხლიანი დილა იდგა. მაისის გადახსნილი ცა საამოდ კამკამებდა. ჩიტების ხალისიან ჭიკჭიკს მრხეველი სიო ეთამაშებოდა. მომზევდა. ჰაერი თანდათან თბებოდა. აქა-იქ ეტლიანი და უეტლო დედები და ბებიებიც გამოჩნდნენ.

სულ ზევით, ხეივნის განაპირას, ტუიას შეწეულ სქელ ბუჩქნარში ჩადგმული მერხი ქალს უმაღ მოეწონა.

- მოდი, აქ დავსხდეთ!
- როგორც კი დაეშვნენ, მწერალს ენის წვერიდან წამოუფრინდა.

- ოჰო, ღილი! მათ ფეხებთან ისრიმისფერი, მრავალნახნაგა სხივიანი ღილი ეგდო!

ნატყუებული მეხრიშვილი უკვე ისე იქცეოდა, თითქოს მარტოკა ყოფილიყო: ღილი შებერვით აიღო, მუხლზე გაინმინდა და კოსტიუმის ჯიბეში ჩაიგდო!

ძვირფასუნამონაპკურმა, მოთვალმარგალიტებულმა ქალბატონმა სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა. თან გაბანტულ ტუჩებზე თითქოს სიფრიფანა ზიზღიც წაეცხო.

- რად გინდათ, ბატონო ჯემალ?
- მწერალი ახლალა ჩავარდა გულისხმაში, შედარებით უცხო ქალთან რა ჩაიდინა! ამიტომ ცოტა დაიბნა და უნიროდ ესლა ნათქვა.

- რა ვიცი... შემენანა!
- ქალს წარბები ორაზროვნად მიმოუქანდა და მიმტვევბლურად გაელიმა.
- შეგენანათ რა – ბავშვია?!

უკვე არეულმა მწერალმა უფრო უარესი შეცდომა დაუშვა.

- ბავშვიო?! ბავშვი ღილთან რას მივა!
- გადაკალმული წარბები ქალს ახლა კი შუბლზე აასხდა და მოსაუბრეს თვალეში შიშით აუხამხამა.
- რას ამბობთ, ბატონო ჯემალ?

- ჰო, რა გაგიკვირდათ?! – მწერალმა ახლა კი დაძლია დაბნეულობა, – თუ მოვისურვებთ, შეგვიძლია ბავშვის გაკეთებას ახლავე შევუდგეთ, მაგრამ, აბა, ღილი გააკეთეთ!

მოწოლილი ღიმილი ქალმა ენის წვერით თაფლივით მოილოკა და უეცრად წამოტყრეცილი ღანკები მიმზიდველად ჩაეჭიჭნა. მეტყველმა თვალეშმა ამოუხსნელად ჩაუკვესა. ღიმილს რომ მოერია, მუხლებზე კაბა შეისწორა და ცელოფანის ჭრაჭუნა, ლურჯად დასარტყლული პარკიდან ხელნაწერის დასტა სერიოზული სახით ამოიღო, საქმეს დროიანად რომ შესდგომოდნენ.

გკვლელობა სხვა საუკუნეში

ოთარ ჯირკვალშივილი

ძველი ხელნაწერებისა და თეოლოგიური ნაშრომების თარგმანების კოლექციონერი ვარ. ჩემთვის გაუგებარ საიდუმლოზე მინდა მოგიხსროთ, ამისთვის წარმოვადგენ ოდნავ გამხატვრულეულ, რეალურად კი მეტაფიზიკაში გადასულ მეცნიერულ ტექსტს. მაშ ასე, ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში არსებობს ტყის იდეა, ტყე, როგორც ძლიერი ანთროპული პრინციპის აშრიალება ქაოტურ წონასწორობაში. ასევე, გვაქვს ბალანსი, რომელიც ძირითადი ეთიკური და რელიგიური კატეგორიაა.

ჩემს გამირს, რომელიც არსებითად თავად გახლავართ, მუდმივად ერთი უცნაური შეკითხვა უტრიალებს თავში: ვართ თუ არა ქართველები პრაგმატულები მისტიკურ საკითხებში და მისტიკურები პრაგმატულ სფეროში?

მაშინ, როცა მე-7 საუკუნის დასავლეთ ევროპაში ბოლო ფილოსოფოსი, ბედე ცდილობდა ფილოსოფია ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან დაპირისპირებულ ქმედით დისციპლინად წარმოეჩინა, რის გამოც არაერთხელ მოუხდა ცხოვრების წესის შეცვლა, ჩვენს ქვეყანაში უკვე დიდი ხანი იყო გასული, რაც ყველა განსწავლულმა ადამიანმა საკუთარ თავს მეტაფიზიკოსის სახელი ჩამოართვა და ქრისტიანი უწოდა. როგორც ცნობილია, ჩვენთან ლათინური არასდროს არავინ იცოდა და მართლაც, საკვირველი იყო ფაქტი, რომ, სადაც ადრე იყალთოს აკადემიის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობდა, რომელიც ნანგრევებში მწყემსი ბავშვის მიერ შემთხვევით აღმოჩენილ იქნა ბოეციუსის ნაშრომზე „ფილოსოფიით ნუგეში“ (De consolatione philosophiae) კაროლინგი ავტორების მიერ (ერთ-ერთი მათგანი იყო ვინმე Remingius of Auxerre - რემიგიუს აუქსერელი) ლათინურ ენაზე გაკეთებული განმარტებების ქართული თარგმანის მანუსკრიპტი. ხელნაწერი დათარიღდა მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედით, რაც, დამერწმუნეთ, ყოვლად აუხსნელი მოვლენაა. რას არ მივცემდი ამ ხელნაწერში!.. ვინ იყო და სად გაქრა ის ადამიანი, რომელიც 8 საუკუნის წინ ლათინურიდან ქართულად ფილოსოფიურ ტრაქტატებს თარგმნიდა? ამის გარკვევა საქართველოს ისტორიას შეეცვლიდა, თუმცა, როგორც ატყობთ, ჩვენს ისტორიაში არაფერიც არ შეცვლილა...

პირველი ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც შედიოდა სამი ასტროლოგი, ორი სპირიტი, ერთი გადამწერი, ერთი ლექსიკოგრაფი, ერთი ფილოლოგოსი, ერთი რიტორი, ერთი

ისტორიოგრაფოსი და ვინმე ლათინი მთარგმნელი, შეიქმნა მე-17 საუკუნეში მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით. კომისიამ ვერაფერიც ვერ დაადგინა ორი კონკრეტული და ერთი ზოგადი დასკვნის გარდა:

პირველი: ტექსტი არეულ-დარეული და ბუნდოვანია, თუმცა, ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი ხელმძღვანელობდა კაროლინგი ავტორების კომენტარებით ბოეციუსის თხზულებაზე, რაც დასტურდება მისი პერსონაჟების ბედ-ილბალის მკაცრ წინასწარგანსაზღვრულობაში განგების მიერ და ბოროტების ბიბლიური საწყისის სრულ უარყოფაში;

მეორე: ერეტიკული და წარმართული პასაჟების სიმრავლის გამო, რომელიც ქრისტიანული მოძღვრებით არის შენიღბული, ტექსტი იდევენობდა და ნადგურდებოდა ეკლესიის მიერ. სწორედ ამ მიზეზით იგი მოხსენიებული არ არის არცერთ ნუსხაში, კატალოგში და წყაროებში, თითქმის ბოლომდე აღმოფხვრილია თაობათა მეხსიერებიდან და აღმოჩენილი მანუსკრიპტიც, სავარაუდოდ, მხოლოდ მესამედია ორიგინალი ტექსტისა;

და მესამე (დამაბნეველი, ზოგად-მისტიკური დასკვნა): გამოშლის (emanation), უკან დაბრუნების, შერწყმისა და შენახვის უძველესი, დიდი პლატონური კანონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ტექსტის სრული ვერსია დღესაც არსებობს, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდა ხუთი საუკუნის წინ (აღმოჩენილი არასრული ვერსია კი, ჩანს, ეკლესიის ბიბლიოთეკის საიდუმლო საცავებში ინახებოდა), მომავალში სამს ექნება, რომელთაგანაც ერთი შეიშლება, ორი კი ნაადრევად დაასრულებს სიცოცხლეს. თავად ხელნაწერი ბოლო მფლობელთან ერთად განადგურდებოდა...

თითქმის მთელი ცხოვრება დასკვნის ამ ენიგმატურ ნაწილზე ვფიქრობ და მხოლოდ სამი კვირის წინ მივხვდი, სამიდან ვინ იყო

ის ორი ადამიანი, ვისაც ხელნაწერის სრული ვერსია ჰქონდა ისე, რომ არც იცოდა.

ორიდან ერთმა განდობილმა მთელი სიცოცხლე ამ შეკითხვაზე პასუხის ძიებას მიუძღვნა: საბოლოოდ მოკლავს თუ ვერა ამერიკის შეერთებული შტატები ღმერთს და პო-ეზიას? ეს ადამიანი, რომელსაც საქართველოში გავრცე-ლებული სახელი დავითი ერქვა, გადასახადებს არ იხდიდა და ტყის ტრანსცენდენტალურ შინაარსზე ფიქრობდა. არ ვიცი, როდის და როგორ მოხვდა ძველი ქართული თარგმანი ჯერ ჯორჯიის, შემდეგ კი მასაჩუსეტის შტატის ტყეში ერთ-ერთ ტბასთან აშენებულ ქოხში, მაგრამ ფაქტია ამ ხელნაწერის ბნელი ენერჯის გავლენა მემამბოხე ხელდასხმულის ერთად-ერთ ფილოსოფიურ ნაშრომზე და მის ნაადრევად დასრულე-ბულ ბობოქარ სიცოცხლეზე.

როგორც ჩანს, ხელნაწერის გასაგებად ენის ცოდნა არა-ფრის მომცემია. მოგეხსენებათ, თვალები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძველ ტექსტებთან გვაქვს საქმე, მხოლოდ მეო-რადი მნიშვნელობისაა. მთავარი მაინც ხელები, სმენა, აზრო-ბრივი და სენსორული ტელეპათიის უნარია. ტექსტის აღქმა უფრო ბგერითი რხევების შეგრძნებით ხდება, რისთვისაც აუცილებელია ღვთაებრივი იმპულსი და სრული თანხვედრა, განუსაზღვრელი შეერთება შეგრძნებულისა შემგრძნებელ-თან და პირიქით (ყველა კარგი მკითხველი შეშლილია...).

არც ის ვიცი, რა გზით მოხვდა ხელნაწერი მე-20 საუკუ-ნის შვეიცარიის ქალაქ მონტანიოლაში, მაგრამ ჩემი დაკ-ვირვებით, იქაც ერთი განდობილი გამუდმებით წერდა და მსჯელობდა საკითხზე, არის თუ არა ტრამალი ადამიანის ძირითადი იმანენტური სანყისი. გამუდმებით აკვირდებო-და სულის გრადაციას ტყეში და ტყის მიღმა, შედიოდა და გამოდიოდა, მანამ, სანამ თვითმკვლელობა არ სცადა. მოგ-ვიანებით, ვილაც ქალი, რომელიც თამაშის დიდ საფრთხეზე არასდროს დაფიქრებულა, მოკლა კიდეც და საბოლოოდ სიცოცხლე სულით ავადმყოფთა დაწესებულებაში დაასრუ-ლა. თუმცა, ნამდვილისა და არარსებულის ამკარა აღრევის გამო, რეალურად ჩაიდინა თუ არა მან მკვლელობა, დღემდე გაურკვეველია.

მართლაც ამოუხსნელია ძველი ხელნაწერების გავლენის ძალა ადამიანებზე. ჩემს კოლექციაში არის რამდენიმე სრულიად გაურკვეველი მანუსკრიპტი. რაც უფრო გაუგებარ-ია მანუსკრიპტი, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა, თითქოს თითოეული სიტყვის ამოკითხვით, როგორიც არ უნდა იყოს ის, თვითონვე ვწერ, ვქმნი და ვაყალიბებ რაღაც საზრისებს. კითხულობ, ე. ი. წერ. წერ ე. ი. კითხულობ. უამრავი საზ-რისი იზადება, შესაძლოა, ბედიც კი... თუმცა, ფატალიზმის არაფერი გამეგება. ამასწინათ უჩვეულოდ ლამაზი ასოებით შედგენილ ხელნაწერს გადავხედე. უნდა გამოვტყდე, ჩემს კოლექციაში ეს ხელნაწერი მაფორიაქებს ყველაზე მეტად. ქალაღზე, გაურკვეველი ასო-ნიშნების მოხაზულობაში, წმინდა შემთხვევითობის მათემატიკური პრინციპის გამოყ-ენებით, სიტყვების ჩასმა დავინწყე, გამომივიდა შემდეგი:

„ვართ თუ არა ქართველები პრაგმატულები მისტიკურ საკითხებში და მისტიკურები პრაგ-მატულ სფეროში?“ ეს რაღაცით თეფშის დატრიალებას ჰგავდა. შიშისმომგვრელი და გასაოცარია, რომ ქალაღზე გლუვი მოხა-ზულობის ასო-ნიშნებმა მოძრაობა დაიწყო, უცნაურად დაჯგუფდა, შემდეგ გადაადგ-ილდა, შეერთდა, განცალკევდა და პასუხ-იც დაინერა: „აგწონეთ. ღმერთშემოქმედე-ბაში ბაბილონელებს აჯობეთ. მოკვდები!“ ავიღე მანუსკრიპტი, ჩავდე დიდ კონვერტში, დავანერე, „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს“ და სასწრაფოდ სახლიდან გამოვედი (აქამდე თქმა დამავინყდა, ზემო რაჭის სოფელ გლო-ლაში ვცხოვრობ, რომელიც დაბურული ტყით არის გარშემორტყმული, ლამაზი და მისტი-კური ადგილია), ნაშრომი რაიონის ფოსტი-დან გავაგზავნე, თუმცა, კონვერტი თერთმეტ დღეში უკან დამიბრუნდა პასუხით: „ძველ, ცარიელ ფურცლებს ხელნაწერთა ინსტიტუტი ვერ მიიღებსო“. ახლაც წინ მიდევს ეს ხელნაწ-ერი, რომელიც საესეა ლამაზად გამოყვანილი ასო-ნიშნებით. როგორ ვერ წაიკითხეს, ვერც კი დაინახეს, ძალიან გაკვირვებული ვარ! აი, ახლაც შემძლია წავიკითხო, ამ წუთში, ეს რაღაც ღვთაებრივი ინსპირაციაა, ვწერ და ვკითხულობ, ვკითხულობ და ვწერ. სხვისთ-ვის ცარიელ ფურცლებს ვავსებ, თითქოს ვი-ლაცების ბედს ვჭედავ. საზრისებს ვაჩენ. მაშ, ასე, აქ წერია: „არსებობდა ამ მანუსკრიპტის სამი მფლობელი, ხოლო ოთხს ფლობს ეს მანუსკრიპტი. სამი იყო, ერთი არის და აღარ იქნება. ხელნაწერი თავად პოულობდა მფლო-ბელებს, რათა დაუფლებოდა მათ. ის ქაჯე-თის ციხეში დაინერა პოეტის მიერ და მალე სოფლის ტყეში დაინვება. ის თარგმანებაა და არა თარგმანი. ბოლო მფლობელს კარზე დაუკაკუნებენ, მოკლავენ, ხელნაწერს კი დან-ვავენ, რათა ენერჯის შენახვის კანონისა და ჰაერის ძალის მეშვეობით სხვა სამყაროში გა-დაინაცვლოს...“

ხედავთ, წავიკითხე, საზრისები გავამრავ-ლე, ვილაცის ბედიც განვსაზღვრე. ჩემთვის ბოლომდე მაინც გაუგებარია ეს ყველაფერი, ძალიან მარტივად და გასაგებად კი წერია... ახლა გავაგრძელებ, თუმცა კარზე აკაკუნე-ბენ, იშვიათად ვინმეს გავახსენდე, ალბათ ვინმე გზააბნეული მგზავრია, გავაღებ და დავბრუნდები...

- ხო, ეცოტავა, - ვუპასუხე მე.
- რა იყო, ორი თუ სამი შუქნიშანია, რა არ მოეწონა.
- რა ვიცი, ალბათ არ იცოდა ვაკის პარკი სად იყო.
- ვაკის პარკი რანაირად არ იცოდა.
- რა ვიცი, არ იციან ხოლმე ვაკის პარკი, გაგარინის მოედანი, სპორტის სასახლე.
- აბა, რაღას დადიან.
- აბა, მე რა ვიცი.
- მე დავდივარ ხოლმე დილით რვისკენ და ღამე ამ დროისთვის გამოვდივარ.
- საცობებს ერიდები?
- ხო, არ შემიძლია პრობკეპში სიარული, ნერვები მეშლება. ხოდა იმ დღეს დილით ადრე გამოვდივარ და მხვდება ტიპი და აეროპორტში წამიყვანო. ოლონდ ძალიან მეჩქარებაო და ორასი ლარი მომცა ჯარიმებისთვის. ხოდა 50 ისე გადამიხადა. თუ დროზე მიმიყვანო. ხოდა ისე ვიფრინე, კახეთის გზატკეცილზე ორასი არ დამიგდია. ოლონდ იქ ორ-სამ ადგილას კამერებია და თან მანქანაში რადარის ამომცნობი მაქვს. ხოდა, მაგ ადგილებში ვაგდებდი სიჩქარეს.
- მერე, მიასწარიო?
- კი, აბა რა, პროსტა მერე იმას თვითონ გული ერეოდა.
- თან მანქანაც გინყობს ხელს.
- ხოო, ამას ისე ვუვლი, თან 100% ვენდობი.

ამინდსა და ჩემს წნევას შორის კორელაციაა. კორელაცია იმიტომ, რომ არ ვარ დარწმუნებული, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. თუმცა, შესაძლოა, სულაც ჩემი წნევის დავარდნა ინვევედეს ამინდის მკვეთრ ცვალებადობას, რატომაც არა? სამყაროში ერთადერთი, რისი მტკიცებაც შეიძლება, არის ის, რომ არსებობს წონასწორობა. თუ ჩემი წნევა ნორმაზე დაბალია, ე.ი. წონასწორობა რაიმე გზით უნდა აღდგეს, და იქნება ეს გზა ამინდის ცვლილებათ?

შესვენებაზე გამოვედი. საკვები ობიექტები ბევრი არ არის. უფრო ზუსტად, გემრიელი საჭმლის დიდი არჩევანი არაა, ამას ემატება კიდევ ერთი მოთხოვნა - სისწრაფე და ამის გამო ვდგავარ მაკდონალდსში და ჩემს რიგს ველი. ჩემ წინ დაბალი, შეშინებული გოგოა, ალბათ მისთვის პირველი სამუშაო დღეა, ჩემთვის კი ამ თვეში პირველი სამუშაო დღეა, როცა შესვენებაზე გამოსასვლელად და საჭმელად მოვიცალე. ვუყურებ, როგორ იტანჯება, როგორ ავინყდება კეტჩუპი, ხურდა, კოვზი, სანრუპი... ვუყურებ და მის ადგილას გიგანტურ ჩიზბურგერს ვხედავ. საბედნიეროდ, მაკდონალდსის სალაროსთან ხმაურია და ჩემი კუჭის ნანლაფურ-ინსტრუმენტალური სოლო არავის ესმის.

- სალარო თავისუფალია.
- მეც თავისუფალი ვარ.
- ბატონო?

- ორი ჩიზბურგერი, ერთი საშუალო ფრის ერთი საშუალო კოლა ყინულების გარეშე.
- კეტჩუპი, მაიონეზი?
- არა, მაღლობა.
- აქცია გვაქვს (კხამჯ)ურგერის მენიუს თუ იყიდით, საჩუქრად მიიღებთ პატარა ფრის და კოლას.
- რის მენიუს?
- (კხამჯ)ურგერის მენიუს.
- არ მინდა, მაღლობა.
- დარბაზში მიირთმევთ?
- დიახ.
- ხურდა ინებეთ.
- გამაღობთ.
- (საუკუნის შემდეგ)
- გემრიელად მიირთვით და კვლავ გვეწვიეთ.

მეორე სართულზე ოთხკაციან მაგიდას ვპოულობ და ვჯდები. საერთოდ არ მანუხებს სინდისი, არ შემიძლია ახლა ბარის სკამზე ან გახევებულ სკამზე დაჯდომა. მე მინდა სავარძელი, რომელიც მიმიღებს, გამიგებს და დამიყვავებს. 15 წუთში წავალ, 15 წუთი მოიცადონ. პირველ ლუკმას ღმერთის გემო აქვს და უკვე დარბაზის დასათვალიერებლად ვიცლი. ჩემ წინ, ზუსტად იგივენაირ მაგიდასთან, ჩემკენ ზურგით ზის წყვილი. ერთმანეთს აჭმევენ და ყოველი ფრის შეჭმის მერე ერთმანეთს კოცნიან. არ მანუხებს, უბრალოდ, გასართობი არაფერი არ მაქვს და მაინტერესებს, ფრი როდის გაუთავდებათ. მე არა, მაგრამ მოპირდაპირე მხარეს რომ შუახნის ქალია 4 წლის ბავშვით, იმას ნამდვილად ანუხებს. ვითომ, რამდენადაც ასაჯაროებ შენს ურთიერთობას, იმდენად მეტი ადამიანი თვლის, რომ მასში ჩარევის უფლება აქვს? თუ არ არის ამ ორ მოცემულობას შორის კავშირი?

- რა გესიზმრა წუხელ?
- არ ვიცი, ტელეფონზე მესიჯმა გამაღვიძა და არ მახსოვს.
- ვინ გწერს დილაადრიან მესიჯებს.
- ვინ და სილამაზის სალონები და ტექნიკის სახლები. წუხელ საერთოდ საოცრება იყო, მომდის მესიჯი და ასე იწყება: „რას აკეთებ შენი ილღიების სილამაზისთვის? მხოლოდ იპარსავე?“
- reply არ შეგიძლია მაგ მესიჯებზე, ხო?
- არა, სამწუხაროდ.



* * *

ნეტა ვინმე ებმება ამით? ვდგავარ გზაზე და გზის მეორე მხარეს ბიჭები ჩემი მისამართით სახელებს ყვირიან. უი. აი! გაართყეს. მეშიდე ცდაზე. მე მაინც მგონია, რომ რამე ისეთი სახელი უნდა გერქვას, რაც არავის ჰქვია. საერთოდ არავის. ანუ კი, არ უნდა არსებობდეს სახელები, უნდა იქმნებოდეს თითოეული ადამიანისთვის. მაგრამ მერე გვექნებოდა ილუზია, რომ ერთადერთები და განუმეორებლები ვართ და რომ ჩვენნაირი არავინაა. ახლა არ გვაქვს ეგ ილუზია და მეტნაკლებად დაცულები ვართ საკუთარი თავით იმედგაცრუებისგან. საერთოდ არ გვაქვს.

* * *

ზარი დავრეკე, კარი გამიღეს. ქურთუკს ვიხდი, ჩანთას ვიხსნი, ხელებს ვიბან და ჩემს ოთახში ვუჩინარდები. ჩემი ოთახი შუამინუთის შაირია, იმ განსხვავებით, რომ მასში მე ვცხოვრობ. ვიცვლი, კომპიუტერს ვრთავ და ფილმებს ვეძებ, ამ დროს გონების ავტოპილოტი ირთვება და ვერ ვხვდები, საიდან სად აღმოვჩნდი, რომ ვფხიზლდები, რაღაც რუსულ ვიდეოს ვუყურებ და მესმის:

– Думаю, что вам нужно выпить и потрахаться.

– Надо сказать, психотерапевт вы действительно неплохой!

ძალიან ხმამაღლა მეცინება იმის პირობაზე, რომ ოთახში მარტო ვარ. უცებ აქეთ-იქით ვიხედები. ჩემი ოთახიდან ხმა არ გადის. ვიდეოს ყურებას ვაგრძელებ. მერე გაუაზრებლად ვრთავ კომპიუტერს, ვწვები და მეძინება.

* * *

– მომიყვივი რამე.

– რა, ისტორია?

– ხო, აი, რამე ისეთი, თბილი. თორე ბოლო დროს კარგი არაფერი მესმის, სამსახური-სახლი, ცუდი სიზმრები, არც მეგობრების ნახვა მშველის, ვილაპარაკებთ, დავიშლებით. ხანდახან უბრალოდ ვზივარ და ვუყურებ ხოლმე. მერე ტექნიკურად ვიპარები, როცა ყველა თვრება.

– ვიცი, რაც გინდა შენ. შარშან გერმანიაში რომ ვიყავით, მთებში მოინდომეს ბიჭებმა ნასვლა, შორს აღარ ნავსულვართ, ჩავყარეთ მანქანებში კარვები და მთაში ავედით. დავეცით კარავი ტბის პირას, ღამე ცეცხლი გვე-

თო, ვსვამდით. დილით გამოვდივარ კარვიდან და თვალთან თითს ვერ მიიტან, ისეთი ნისლია. და უცებ შორიდან მესმის ყვირილი: „ЁЖИК!!! ЁЁЁЖИИИИИИИИ!!!“

– ვიცი ეგ ანეკდოტი, თქვენ არ შეგმთხვევიათ.

– აბა, ასე უცებ რა მოგიყვე, საუბრის დროს ადვილია და ესე, ჰოპ! და ისტორია გაიხსენე, ეგრე არ ხდება.

* * *

მთავარი სურვილია, თორემ ნებისმიერი უაზრობის აღნიშვნა შეიძლება, მაგ. რომ ძუძუზე ხალი გაქვს, ან რომ არ გაქვს. ან არ ვიცი, ათასი რამის. ასე მოვხვდი ხალხმრავალ გარემოში, რომელიც რაღაც ეგეთს აღნიშნავდა. ჩემი სურვილით მივედი, მციოდა, თუმცა, დალევა არც მიფიქრია. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, რომ სიმთვრალე ცოტა გამათავისუფლებდა, ალბათ დავლევდი, მაგრამ ვიცოდი, რომ იმდენს არ დავლევდი და აზრი არ ჰქონდა. ვიდექი, ვუყურებდი და ვუსმენდი ბიჭს, რომელიც მომწონდა და რომელიც იმ მომენტში არსად არ მიდიოდა. სასმელის და სასუსნავის მომარაგების შემდეგაც ყოველ ჯერზე უკან ბრუნდებოდა, მაგრამ მე ხედმეტად ფხიზელი ვიყავი იმისთვის, რომ მგონებოდა, რომ მასაც მოვწონდი.

ვფიქრობდი კიდევ იმაზე, თუ რამდენად შთამბეჭდავია, ვიდგე ადამიანთან ძალიან ახლოს, ვფიქრობდე მასზე რაღაცას და მას წარმოდგენა არ ჰქონდეს. ასეთ დროს თავი დევიდ კოპერფილდი მგონია. შემიძლია, ვუყურებდე თვალეში და დავუმალლო სპილო. არათუ გავაქრო, არამედ არც კი დავანახო.

სპილო კი არის. მაგრამ კიდევ არის დიდი ტყვიელი. მე შეიძლება წინ დაგიდო სპილო და შენ ვერაფრით ვერ დაინახო. იმიტომ, რომ შენ ისევე შეგიძლია არ დაინახო ის, რისი დანახვაც არ გინდა, როგორც მე შემიძლია არ გაჩვენო ის, რისი ჩვენებაც არ მსურს.

* * *

– რას აკეთებ?

– არც რას, უბრალოდ, არ მძინავს. შენ?

– მეც.

– რატო?

– რავი, აი, ადრე, პატარა რომ ვიყავი, რაღაცნაირად მეამაყებოდა, რომ არ მძინავს, ეტყობა, ღრმა ბავშვობიდან გამომყვა, როცა თავს ძალით ვიფხიზლებდით, რომ დიდებით ვყოფილიყავით. ახლა რაღაც უაზრო რიტუალს დაემგვანა. აი, ხომ ვიცი, რომ ხვალ 7-ზე ან რვაზე მაინც უნდა ავდგე, რომ დროულად მივიდე სამსახურში. მაინც ესე ვზივარ და ინტერნეტში უაზრო სურფინგ-ით ვარ დაკავებული.

– ეგ უკვე იმდენად ჩვევაშია, რომ ვერ უზამ ვერაფერს, მეც ესე ვარ. თუმცა, სულ არ მეამაყება. უბრალოდ მიხარია ხოლმე, როცა გწერ და აქ ხარ.

– ხო, მეც, თან სულ უფრო და უფრო ცოტა ხალხია ღამე



facebook-ზე. მე კიდე, თუ მერხევა, ღამე მერხევა და ამ დროს არავინ არის, რომ ველაპარაკო, მაგრამ ყველაზე ცუდად მაშინ ვხდები, როცა ხდება სასწაული, ღვიძავს ხალხს, მეც ვითომ რაღაცა მანუხებს, მაგრამ ვერაფრით ვერ ვინყებ ამაზე საუბარს. მერე გავა ოცი წუთი, ნახევარი საათი და ტკბილი ძილიო, რომ ვკითხულობ მონიტორზე, აი, მანდ ვხვდები, როგორც უნდა დავინყო ლაპარაკი, მაგრამ გვიანია უკვე.

* * *

ისევ დამაგვიანდა. უფრო ზუსტად, ჯერ არ დამაგვიანებია, მაგრამ ზუსტად 15 წუთში დამაგვიანდება. აზრზე რომ მოვდივარ, კბილებს ისე მწარედ ვიხეხავ, რომ ჯვარისი სისხლისა და ქაფის ნარევისგან ვარდისფერდება. ვიფურთხები და არამარტო სისხლს ვაფურთხებ და არამარტო ნიჟარაში ვაფურთხებ, ვაფურთხებ ყველა იმ რუტინას, რაც ჩემს ცხოვრებაში გაიჭედა. ორი ფილმია, რომელიც მძულს და ორივე ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ხშირად გადიოდა ერთ დროს რუსთავი2-ზე. ერთი არის „ზაზუნას დღე“. ეს უკანასკნელი ხშირადაც რომ არ გასულიყო, იმდენად ხშირად მეორდება ფილმში ერთი და იგივე, რომ ჭირივით მეჯავრებოდა. ახლა კიდე მე თვითონ ვარ გაჭედილი ამ შეკრულ წრეში და ვერაფრით ვერ გამოვეტენე. დღეს პარასკევია. ზუსტად ვიცი, საღამოს რას გავაკეთებ.

* * *

პატარა რომ ვიყავი, თათბირი რაღაც განსაკუთრებული მეგონა. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ თათბირზე ადამიანები უბრალოდ ისხდნენ და საუბრობდნენ. იმას მითუმეტეს ვერ ვიფიქრებდი, რომ თათბირზე შეიძლებოდა, ვინმე დაემცირებინათ ან დაეტუქსათ. ბავშვობის მერე ბევრ თათბირზე ვყოფილვარ, უკვე იმდენად ბევრზე, რომ ველარც ვიხსნებ, რა მეგონა ეს თათბირი. რაღაც იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე აზრების ან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა? ან დავალებების მიცემა? ან თუნდაც „შეხვედრა“, ამ ცნებაზეც უფრო მეტ მოლოდინებს ვამყარებდი, ვიდრე უბრალოდ ადამიანების მიერ ერთმანეთის ნახვა და რაღაც საკითხებზე შეთანხმება. უკვე დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც პატარა აღარ ვარ და ახლა ჩემი გამოცდილებიდან რაიმე კატეგორია რომ ავიღო და სია შევადგინო, ყველაზე გრძელი სია ჩემი იმედგაცრუებებისგან გამოვა.

დღევანდელმა თათბირმა და შეხვედრებმა კარგად ჩაიარა. იმაზე უკეთ, ვიდრე მოველოდი, შესრულების ვადებიც შეამ-

ცირეს და მარწუხებივით მომიჭირეს, ალბათ იმ მიზნით, რომ ცეცხლშენებული წყლის მოლეკულასავით ავმოძრავდე. მათთვის ჯერ არ მითქვამს, რომ ჩემთვის ასე უფრო კომფორტულია.

* * *

- დღეს ვსვამთ?
- დღეს აუცილებლად.

* * *

რამდენიმე ოფლიან ადამიანს შორის გავძვერი და ტუალეტის რიგში ჩავდექი. დერეფანში ორი თუ სამი კარი იყო, მგონი – სამივე ტუალეტის. პირველი, რაც გავიფიქრე, იყო ის, რომ ფეხზე მეკიდა, რომ რიგი იყო, მეორე, რომ ასევე ფეხზე მეკიდა, ვინ იყო ჩემ წინ და ვის უფრო მეტად ეფსმოდა. და აი, მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება-ხოლომე მეტროს ბაქანზე – კარი ზუსტად ჩემ წინ გაიღო და იქიდან ორი ადამიანი გამოვიდა, მათ თავებზე ტუალეტის თეთრი განათების შარავანდედები ედგათ და თვალებიდან ალკოჰოლის სუნი ამოსდიოდათ. არ შემიხედავს მათთვის, ვინც გავწირე და ბაქანზე ჩამომდგარ ტუალეტში შევევარდი. კარი ურდულით გადავკეტე და უნიტაზს დავხედე, როგორც ჩანს, პლასტიკის თავსახურის გაკეთება თავიდანვე არ უფიქრიათ, ისე გაათავისუფლეს კაცებიც და ქალებიც ახდა-დახურვის ყოველდღიური ტანჯვისაგან. ქალაღი ზუსტად ჩემი სამყოფი იყო, ზურგჩანთა არც მომიხსნია, ისე ჩავიხადე და ტრაკი უნიტაზის პარალელურ წრფეებზე გამკვრივებულ ჰაერზე ჩამოვდე. „ჰაერი ლურჯი აბრეშუმი“, – გავიფიქრე და კედლებზე წარწერების კითხვა დავინწყე. იმედი მალე გამიცრუვდა, კედელზე დატოვებული წარწერები ბარის დიზაინის ნაწილი იყო და არა უნიტაზის მომხმარებლების ალკოჰოლური სიზმრები. სახეზე წყალი შევიხსი და სარკეში საკუთარ არაფხიზელ თვალებს მივაშტერდი.

4 არქივი

თაობათა დიალოგი

(ოთარ ჭილაძის და დათო ბარბაქაძის მიმოწერა)

წინამდებარე მიმოწერის გამოქვეყნებაზე ადრეც მიფიქრია, მაგრამ თავს ვიკავებდი ერთადერთი მიზეზით: მისი გამოქვეყნების აზრს ვერ ვხედავდი. ვერ ვიტყვი, ახლა მეტი ოპტიმიზმით ვარ დამუხტული-მეთქი, მაგრამ რაკი სხვადასხვა თაობის ლიტერატორებს შორის კულტურული დიალოგი (და არა ურთიერთგამომყენებლური კომუნიკაცია, რომლის ნაკლებობა არასდროს იგრძნობოდა და არც დღეს იგრძნობა) ყოველთვის უხვია საგულისხმო დეტალებით, ეს ორი წერილიც არ იქნება ინტერესს მოკლებული ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდა მკითხველისთვის. მიმოწერას წინ უძლოდა შემდეგი ფაქტი: 1999 წლის 14 ივლისს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში, ოთარ ჭილაძისთვის გადასაცემად დავტოვე ჩემი ლექსების და ესეების კრებული „შეჯამების უარყოფა“ წარწერით: „ბატონ ოთარს, შეკითხვით და ღირსეული პასუხის მიღების გასარკვევი იმედით“. იქვე აღნიშნული იყო ჩემი ბინის მისამართი. წიგნი შეხვეული იყო აფიშაში, რომელიც მიუთითებდა წიგნის სარეალიზაციო ობიექტებს (ძირითადად, საზოგადოებრივ ტულეტებს). ანალოგიური გზავნილი უფროსი თაობის კიდევ რამდენიმე აღიარებულმა მწერალმაც მიიღო, მაგრამ სწორედ ოთარ ჭილაძე აღმოჩნდა მათ შორის ერთადერთი, რომელმაც უხეშ გამოწვევას დუმილით არ უპასუხა, ანუ იგი ისე მოიქცა, როგორც ძლიერი ადამიანები იქცევიან. ჩემი წარწერის ფორმა რომ არაადეკვატური და ჩემი პიროვნული წყობისთვისაც უცხო იყო, ამაში მალევე გამოვუტყდი ჩემს თავს, მაგრამ ის, რაც ამ ფორმამ შემოინახა, 90-იანი წლების სისასტიკეა: უფროსი თაობის ძლევა მოსილ ლიტერატორთა მიერ იგნორირებული და უარყოფილი, მზაკვრული მავნებლობების მრავალფეროვნებას შეტოვებული ახალი თაობის უხეში, მაგრამ გულწრფელი ხმა. სწორედ ამ ხმამ ააღელვა მაშინ დიდი მწერალი და ამით არის ჩემთვის ძვირფასი მისი პასუხი, რომელიც მანქანაზე ნაბეჭდ სამ გვერდს შეადგენდა და საქართველოს ფოსტით იყო გამოგზავნილი, შტამპით „შეკვეთილი“. 20 აგვისტოს დანერილი ეს წერილი მე მხოლოდ 11 სექტემბერს მივიღე (დღესდღეობით ამ დროს ანდომებს და ზღვეული თუ დაუზღვეველი წერილი გერმანიიდან საქართველომდე მანძილის დაფარვას). მაშინვე ვუპასუხე და შემდეგ გავიცანი კიდევ ჩემთვის ძვირფასი მწერალი. ვისაუბრეთ დიდხანს და – მხოლოდ არსებით საკითხებზე. მაგრამ ეს უკვე სხვა თემა და სხვა სათქმელია.


დათო ბარბაქაძე

ჩემი ძვირფასო დათო!

არ ვიცი, რამდენად სწორად გავიგე თქვენი „შეკითხვა“ – ალბათ ჩემი აზრი გაინტერესებთ თქვენს წიგნთან დაკავშირებით. იმედი მაქვს, ასეა. და თუ მართლა ასეა, ჯერ მადლობას გიხდით ნდობისთვის, მერე კი – ბოდიშს, თუკი ჩემი ცოდნა-განათლებით ვერ შევძლებ თქვენი სურვილის დაკმაყოფილებას. ამას კი იმიტომ ვამბობ, თქვენი ესსეების კითხვისას თითქმის ხელიდან რომ არ გამიგდია უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რაც, რასაკვირველია, უმალ ჩემს გაუნათლებლობაზე მეტყველებს. თუმცა, ჩემი თვალსაზრისით, სიტყვა არ შეიძლება უცხო იყოს. სიტყვა შეიძლება იყოს გაუგებარი, უჩვეულო, უხამსი, ამოუხსნელი, საინტერესო, უინტერესო, მოდალი, მამაცი, ლამაზი, უშნო... მოკლედ, ყველანაირი, უცხო კი – არავითარ შემთხვევაში. თქვენი ნაწარმოებების კითხვისას კი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვების გაუცხოების შეგრძნება მეუფლებოდა, რის გამოც, ცოტა არ იყოს, შეემფოთდი, დავიძაბე, თითქოს ჯადოქრობასთან მქონდა საქმე – მესმოდა, რასაც ვკითხულობდი, მომწონდა კიდევ ცალკეული ადგილები, მაგრამ დავხურავდი თუ არა წიგნს, ყოველგვარი კავშირი წყდება ტექსტთან, არა მხოლოდ ვიზუალური, აზრობრივიც, გრძნობისმიერიც, სულისმიერიც... თითქოს არც არაფერი ყოფილაო. დიახაც რომ ჯადოქრობაა – არსებობს ტექსტი, რომელიც ყველაფერზე მეტყველებს და არაფერს ამბობს – მაგრამ შეგნებულადაა ეს გაკეთებული თუ უნებურად გამოდის ასე, ორივე შემთხვევაში, ისეთი მოვლენის მონმენი ვართ, რომელიც ლიტერატურას შეიძლება ჰგავს, მაგრამ აშკარად განსხვავებული ბუნებისაა.

მიუხედავად ათასნაირი მიმდინარეობისა, თეორიისა, თვალსაზრისისა, სურვილისა თუ აჩემებისა, ლიტერატურის უცვლელი დანიშნულებაა (ყოველშემთხვევაში, ასეა ჰომეროსიდან მოყოლებული დღემდე), აუცილებლად თქვას რაღაცა. რამდენად მნიშვნელოვანია მისი ნათქვამი, ეს სხვა საკითხია. მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა გვესმოდეს, რას გვეუბნება, რას გვაუწყებს, რას გვიმხელს, რას შემოგვჩივის, ბოლოს და ბოლოს.


სიტყვა ერთადერთი და საკმაოდ ბნელი გვირაბია, რომლის მეშვეობითაც სამყაროს ვუკავშირდებით, ჩვენი არსებიდან თავდაღწეულნი, და რომლის მეშვეობითაც ისევ ჩვენ არსებაში ვბრუნდებით მარად ამოუცნობი სამყაროდან. ამჯერად, ეს პროცესი შეფერხდა და, როგორც უკვე აღვნიშნე, შევშფოთდი. სიტყვის უარყოფა თავისთავად დიდი საშიშლეობაა (პირადად ჩემთვის), მაგრამ უარყოფის ამგვარი ფორმა, ესე იგი, გაუცხოება იმისა, რის გარეშეც ყოვლად წარმოუდგენელია არა მარტო ჭეშმარიტი ბუნების გამოხატვა-გამომხეურება, არამედ ელემენტარული ცოდნის მიღებაც, რაღა თქმა უნდა, უკვე „კაცობრიობის მოდგმის აღსასრულის მაუწყებელია“. და მაინც, ეს კი არ არის მთავარი, არამედ – ჩვენი სურვილი: გვინდა თუ არ გვინდა მოხდეს ის, რაც მაინც მოხდება, გვენდობება თუ არ გვენდობება ჩვენ. ესე იგი, მთავარია ვიცოდეთ, რა შემთხვევაში, უფრო სწორად კი, რა მიზნით უნდა მივმართოთ სიტყვას: როგორც წამალს, სიცოცხლის თუნდაც ერთი წამით



გასაგრძელებლად, თუ, როგორც სანამლავს, თუნდაც სულთმობრძავის სიკვდილის დასაჩქარებლად. ეშმაკმა იცის, რა უფრო ძნელია, რა უფრო ღირსეული საქციელია მწერლისა და საერთოდ ადამიანისა. ეს უაღრესად რთული საკითხია და უაღრესად სახიფათოც. ადვილი შესაძლებელია, ერთი გინდოდეს და მეორეს აკეთებდე, თანაც, შენდა უნებურად. მართალი ბრძანდებით: „ყოველ ახალ დღეს ახალი სუსხი ახლავს“ და ახლავს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, ჩვენ რომ ვერ გავკირკვევია, რისი ცოდნა გვსურს და, ცოდნის სურვილს აყოლილნი, პირველ რიგში, ცოდნის წყაროს ვახშობთ, ისევ ჩვენდა უნებურად...

არ ვიცი, რამდენად გასაგებად ვლაპარაკობ, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, ძალიან კარგად მესმის თქვენი. თუმცა, კატეგორიულად არ ვეთანხმები თქვენს სარეკლამო განცხადებას – თქვენი წიგნი ნამდვილად არ იმსახურებს ამას – რაც მთავარია, ამგვარი თვითრეკლამა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილობაა დღეს და ნაკლებად ეფექტურიც, ვთქვათ, ოციან წლებთან შედარებით. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ და ეჭვი არ მეპარება, გუნებაში მაინც დამეთანხმებით როდისმე. დიახ, ადამიანი საკუთარი უმწეობითაა ძლიერი და ჭეშმარიტი მისი სიმდიდრე მისივე სილატაკეა. ხოლო, საკუთარი ნამოღვაწარის აბუჩად აგდებით ბევრს ვერაფერს მიაღწევს. უფრო სწორად, ყველაფერს დაკარგავს, რაც თუნდაც მხოლოდ

საკუთარი უმწეობითა და სილატაკით მოუპოვე-
ბია. ამიტომ არ ვეთანხმები იმ კრიტიკოსებ-
საც, რომლებიც ნებისმიერ ნაწარმოებს ავ-
ტორის მსოფლმხედველობის, ანდა, სულაც
ბილნსიტყვაობის გამო აკრიტიკებენ მხოლოდ.
ეს, ერთი მხრივ, აბნევს ნამდვილ მკითხველს,
მეორე მხრივ კი, ამრავლებს მკითხველის ახალ
სახეობას, რომელსაც „განათლება“ მხოლოდ
იმისთვის ჰყოფნის, მამაკაცის ან დედაკაცის
სასქესო ორგანოს ხალხური სახელწოდება
ამოიკითხოს დამარცვლით. კრიტიკოსი ამა თუ
იმ ნაწარმოების მხატვრულ დონეს, მის ლიტ-
ერატურულ ხარისხს ადგენს, ხოლო, მწერალმა
მის იმედზელა დარჩენილ მკითხველს დედაკა-
ცის ან მამაკაცის სასქესო ორგანო კი არ უნდა
დაანახვოს, არამედ ადამიანური ცხოვრების
მაგალითი. ესე იგი, ხელახლა (უთვალავჯერ!)
„განმარტოს“, რას ნიშნავს საერთოდ ადამი-
ანობა, ვთქვათ, დღევანდელი თვალსაზრისით
– ისევ იმას, რისი არაერთი მაგალითიც უკვე
არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში, თუ, ასე
ვთქვათ, ძველბიჭობამანობისა და ნარკომანო-
ბის საკმაოდ უფერულსა და უსიცოცხლო ნაზ-
ავს, რაც თავისთავად გაუგებრობაა ჩემთვის,
რამდენადაც გაურკვეველია, რას გულისხმობს:
ბავშვის გახრწნას, ბებრის აბუჩად აგდებას,
ლატაკის გაძარცვას, ბრმის გაბრიყვებას,
ხეიბრის დაჩაგვრას, მტრის დუღუკზე ცეკ-
ვას, მოძრაობის ნესების დარღვევას საკუთარ
ქალაქში, უზრდელობას, უვიცობას, უცხოეთში
გადაკარგვას, სამშობლოს ფეხებზე დაკიდებას
თუ მშობლის გაუპატიურებას... ასე რომ, დიდი
შრომა ელის ხვალინდელ ქართულ მწერლობას,
რომლის ერთ-ერთ საყურადღებო წევრადაც
თქვენ წარმოგიდგენიხართ, თუკი, რასაკვირ-
ველია, ნიჭს მოაქცევთ თქვენს ჭკუაზე და
თქვენ თვითონ არ მოექცევით იმის დაუნდო-
ბელ, დაუდგრომელ, დაუოკებელ დინებაში...
ამოუნურავ, მომხიბვლელად მაცდურ წარ-
მოსახვებში... როგორც ნებისმიერი სიმდიდრე,
არასწორად გამოყენებული, ნიჭიც სახიფათოა.
ჩემი აზრით, თქვენ პოეტად ხართ გაჩენილი და
ახლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რამ-
დენად გამართლდება განგების ეს ჩანაფიქრი.
ამიტომ, გიხდით რა მადლობას ერთხელ კიდევ,
პირველ რიგში, გისურვებთ სიმტკიცესა და
კეთილგონიერებას, არა მხოლოდ ამ წერილის
წაკითხვისას, არამედ საერთოდ, ცხოვრებაში.



* * *

ძვირფასო ბატონო ოთარ,
არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ, როგორ გაუწყობთ სიხარუ-
ლის ის განცდა, რომელიც თქვენი პასუხის მიღებამ გამოი-
წვია არა მხოლოდ ჩემი სულის, ჩემი შეგნების სადღეისო
მდგომარეობაში, არამედ – მთელს ჩემს გამოცდილებაში.
ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენს მტკივნეულ, მაგრამ
ფაქტობრივად უბადრუკ საზოგადოებაში, სადაც თაობებს
შორის ღირსეული დიალოგი პრაქტიკულად გამორიცხულია
მრავალი გასაგები და მიუღებელი თუ გაუგებარი და მინც
მისაღები მიზეზის გამო, და სადაც პირადად მე, როგორც ახ-
ალგაზრდა მწერალმა, ვისთვისაც ხელოვნება სუნთქვის ფორ-
მაა, მივმართე ნაწიერი დიალოგის ძიების უკიდურეს, დიახაც
რომ არაკეთილგონიერების ზღვარზე გამავალ ხერხს, რალაც
იმაზე მეტი მოვიპოვე ამ გულწრფელი ძიების ფასად, ვიდრე
საბოლოო ხელისჩაქნევის და გადამწყვეტი მწარე ღიმილის
აქტი იქნებოდა. იქნებ ამიტომაც, მე შევეცდები მაქსიმალური
სიმშვიდით, სიტყვის წინაშე პასუხისმგებლობის ჩემმიერი
გაგების საფუძველზე, არაბუნდოვნად და არაორაზროვნად,
ვისაუბრო ჩემი სიხარულის განცდის შინაარსზე; ჩათვალეთ,
რომ სწორედ ეს არის თქვენს პასუხზე ჩემი პასუხის მიზანი, –
გაგიზიაროთ თქვენს პასუხთან დაკავშირებული ჩემი სიხარუ-
ლის ანუ ჩემი ნდობის, თქვენდამი ნდობის შინაარსი. რა თქმა
უნდა, პირველ რიგში, საკადრისი უნდა მიეზლოს „ინტიმურ“
ფაქტორს: თავხედურ და თავხედური ფორმით დასმულ კითხ-
ვაზე პასუხი გამცა მწერალმა, რომლის შემოქმედება ჩემთ-
ვის, როგორც მკითხველისთვის, განსაკუთრებით ღირებულება;
რომლის რომანებზე (მხედველობაში მაქვს თქვენი პირველი
სამი რომანი) ღამეები მითევია, ცრემლიც მიღვრია; რომ-

პატივისცემითა და გაცნობის სურვილით
ოთარ ჭილაძე
20 აგვისტო, 1999

ლის შემოქმედებამ ჩემი ესთეტიკური გემოვნების, ენობრივი შეგნების, პიროვნული სახის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, და, რაც მთავარია, რაც ამ შემთხვევაში არსებითია, ეს ხდებოდა ჩემი სასკოლო ასაკის იმ პერიოდში, რომელსაც სიმნიფის პერიოდს უწოდებენ და როცა მთლიანად, შესაძლოა გადამწყვეტი ნიშნებითაც კი, ყალიბდება მოზარდის მტკიცე ორიენტირები, მისი მენტალური წყობის ძირითადი მახასიათებლები, მისი შემოქმედებითი მიდრეკილების როგორცაა. მაგრამ, ამჯერად, ჩემთვის არსებითად მნიშვნელოვანია ამ ფაქტის სხვა ასპექტი: უფროსი თაობის ქართველი მწერალი, რომელიც მიღებული წიგნის ალაგ-ალაგ გადაკითხვითაც კი იოლად მიხვდებოდა, რა ტიპის და სიმტკიცის პიროვნებასთან ჰქონდა საქმე, იღებს გამოწვევას და ნაბიჯს დგამს გულწრფელი დიალოგისკენ, აცხადებს უმცროსი თაობის არამორჩილ და არაგახდენილ მწერალთან საუბრის ნებას, რითაც, ფაქტობრივად, ღალატობს ათწლეულობით (თუ მეტი არა) დამკვიდრებულ „კეთილგონივრულ“ ტრადიციას, – მომდევნო თაობებისა თუ პიროვნულ ბედთა დაოკებაზე, გახედვანაზე, მომწყემსვაზე და მორჩილ, ჩლუნგ, ერთგულ ყმებად მათ ჩამოყალიბებაზე უფროსი თაობის ზრუნვას; მრავალფეროვნების სახელით ერთფეროვნების დამკვიდრება-განმტკიცებისთვის მათ მუხლჩაუხრელ გარჯას; განსხვავებულის ნიველირებას ან, აუცილებელი აქტიური რეაქციის შემთხვევაში, მისაღებ ფორმებამდე და წესებამდე ამ განსხვავებულის დაყვანის ვნებას, ამ მიმართულებით ბიუროკრატიული სისტემის გეგმაზომიერ მუშაობას. თუ თქვენი ნაბიჯის ჩემიერი ინტერპრეტაცია მეტ-ნაკლებად სწორია, მაშინ ყველაზე უფრო ლოგიკური უნდა ყოფილიყო, გამოგეთქვათ ჩემი პასუხის მოსმენის სურვილიც, და ასეც მოხდა, – თქვენ ინებთ ჩემი გაცნობა. შესაძლოა, ამ ფაქტმაც წამაქება, – მოსალოდნელი გაცნობისთვის წამემძღვარებინა წერილი და ამჯერად უკვე მთლიანად გამეხსნა, განმემარტა ის მეტაფორა, რომელსაც საუნწყებო აფიშასა და ამ აფიშაში გახვეულ პოეტურ კრებულს შორის მოთავსებული ჩემი შეკითხვა წარმოადგენდა. ამიტომ, ნება მიბოძეთ, დაუყონებლივ საქმეზე გადავიდე.

დავიწყებ იმით, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ: ჩვენ ვართ სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა პიროვნული ბედის, სხვადასხვა სათქმელით ატანილი ადამიანები. ხოლო რაკი ჩემი დაკვირვების საგანი ეს განსხვავებებია და არა ის „ჭუმანური“ პათოსი, რომ ჩვენ, ყველანი, მწერლები, ერთ სათქმელს ვამბობთ, ერთი მიზანი გვაქვს და ა. შ., მსჯელობასაც სწორედ ამ მიმართულებით განვავითარებ. მე ვფიქრობ, ამა თუ იმ კონკრეტული მწერლის ვინაობას სიტყვის წინაშე მისი პასუხისმგებლობის როგორცაა განაპირობებს; არა პასუხისმგებლობა (რაც, თავისთავად, იგულისხმება), არამედ – ამ პასუხისმგებლობის როგორცაა. სიტყვის წინაშე თქვენი და ჩემი პასუხისმგებლობა, დამეთანხმებით, ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც – ის დრო, რომელშიც თქვენი ტექსტები იქმნებოდა და ის დრო, რომელშიც ჩემი ტექსტები იქმნება; ლიტერატურული ურთიერთობების ის წესი, რომელსაც თქვენ ერთგულებით და ლიტერატურული ურთიერთობების ის წესი, რომელსაც მე ვერთგულებ; თქვენი პიროვნული გამოცდილება

და ჩემი პიროვნული გამოცდილება; ნიგნები რომლებსაც თქვენ კითხულობდით და წიგნები, რომლებსაც მე ვკითხულობ (არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, კლასიკურ ლიტერატურას, რომლის ცოდნა ნებისმიერი სერიოზული მწერლის კულტურული ფორმირების ანი და ჰაია). ასე რომ, განსხვავებების მთელი სპექტრია. ნება მომეცით, გკითხოთ: არის თუ არა ეს მნიშვნელოვანი? აქვს თუ არა ამ განსხვავებებს მნიშვნელობა? აქვს თუ არა უფლება ამ განსხვავებულებს, იყონ განსხვავებულები? მხოლოდ მე ხომ არ განვსხვავდები თქვენგან, თქვენც ხომ განსხვავდებით ჩემგან? მხოლოდ ჩემი ტექსტები ხომ არ განსხვავდებიან თქვენი ტექსტებისგან, თქვენი ტექსტებიც ხომ განსხვავდებიან ჩემი ტექსტებისგან? ნუთუ, ეს სულ არაფერს ნიშნავს? ხოლო თუ დროში წინსწრება ან ხარისხისა გადამწყვეტი, მაშინ ხომ ისიც შეიძლება მორიდებით გავიხსენოთ, რომ არც ისტორია იწყება მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლებით და არც კულტურული სივრცე შემოიფარგლება ამ პერიოდის ქართველი მწერლების განსახლების რადიუსით? ლიტერატურას, რარიგ მძიმეც უნდა იყოს ნებისმიერი უმცროსი თაობის ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ ხაზგასმით აღნიშვნა, ქმნის არა თქვენს მიერ მოხსენიებული ზოგადი განმარტება, რომ ლიტერატურის დანიშნულებაა ესა და ეს, ემსახურება ამასა და ამას, და ა. შ., არამედ – ამ დანიშნულებისა და მიზნის სრულიად განსხვავებული, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაციები, ფორმები, რომანები, პოემები, ლექსები და ა. შ. რითაც თქვენ კმაყოფილდებით (ზოგადი, საერთო ნიშნების მითითებით), მე ის არ მაკმაყოფილებს და ეს ჩემი არაორაზროვნების ერთი მთავარი მახასიათებელია. რა თქმა უნდა, მიმართების ამ ორი ვექტორის არსებობას აქვს თავისი მიზეზები (და მიზნები), რომლებიც არ დაიყვანება მხოლოდ თაობათა შორის განსხვავების უწყინარ კონსტატაციამდე. ვიდრე ამ მიზეზებს შორის ამ შემთხვევაში ერთ-ერთ აქტუალურზე ანუ იმაზე ვისაუბრებდე, თუ რას ემსახურა უშუალოდ ჩემი წინამორბედი თაობა და რა შინაარსისაა ჩემი არაკეთილგონიერება, შევნიშნავ ერთ ფუნდამენტურ სხვაობას, რომელიც სევდიანად გამოკვეთს იმ სიუცხოვეს, რომელიც ზუსტად გვიჩვენებს სხვადასხვა გამოცდილებათა შინაგან წყობას და გახსნილობის, ღიაობის განსხვავებულ ხარისხს, შინაგანი სუნთქვის ხასიათს. ეს არის თვით განსხვავებულის დანახვის უნარი; არა

აუცილებლად მიღების და გათავისების, არამედ – გარკვეული ფენომენის (ამ შემთხვევაში – ესთეტიკურის) დანახვის, ამოკითხვის უნარი მისივე შინაგანი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, ამ კანონზომიერებებთან მისი შესაბამისობის საკითხის დასმა, რაც ყოველთვის გაცილებით რთული სამუშაოა, ვიდრე – ტექსტის წაკითხვა, ვერგაგება და განზე განევა, თვალის ერთი გადავლებით ისეთი დასკვნების გამოტანა, რომლებიც შეთვალაიერების აქტივ ვერ მოიპოვება და არცა აქვთ ძალა. განათლებასთან დაკავშირებული თქვენი ირონიის გავლენით ვიტყვი: თქვენი ტექსტების სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მე შემიძლია მათით ტკობა, მათი შინაარსის, მთლიანობის, სათქმელის წაკითხვა; ჩემი ტექსტების სისუსტეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თქვენ ვერ მოახერხეთ მათით ტკობის მიღება, მათი შინაარსის, მთლიანობის, სათქმელის წაკითხვა.

თქვენი პასუხი, ფაქტობრივად, ჩემი ნაწარმოებების კითხვისას სიტყვების გაუცხოების თქვენმიერი შეგრძნების ხაზგასმით დაიწყეთ და ამ შეგრძნების საფუძველზე იმ დასკვნის გამოტანა სცადეთ, რომ ეს ტექსტები არაფერს ამბობენ. საკმაოდ საყურადღებო განაჩენია! უფრო საყურადღებო და საინტერესო კი ის ფაქტია, რომ თქვენ თქვენი შეგრძნებით დაკმაყოფილდით და უფრო შორს წასვლა აღარ ისურვეთ. აი, ამ ფაქტის მიზეზებს მინდა ჩაუვლრმავდე და, იქნებ, ძიების პროცესმა უკეთ გამოკვეთოს, რამდენად ეფექტური და სარგოა ჩემს მიერ მონიშნული თქვენი მეთოდი (ანუ საკუთარ შეგრძნებებზე დაყრდნობით გარკვეული, ერთმნიშვნელოვანი დასკვნების მიღება), ან – სად უნდა ვეძიოთ თქვენი მეთოდის საფუძვლები? ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენ შეგეძლოთ, პირველ რიგში, ჩვენს შორის, როგორც სხვადასხვა პიროვნული და ესთეტიკური გამოცდილებების მატარებელ ადამიანებს შორის, განსხვავებები მოგენიშნათ, ამ განსხვავებების გათვალისწინებით გემსჯელათ და ამ გზაზე ერთხელ მაინც, თუნდაც ხუმრობით, დაეჭვებულებიყავით: იქნებ, არის რაღაც ისეთი, რასაც საკუთარ თავს ჯიუტად უმაღავთ? რისი აღიარებაც ჯიუტად არ გინდათ? იქნებ, ჩემი ტექსტების და ამ ტექსტებში გამოთქმული შინაარსების მიმართ თქვენი დამოკიდებულების სათავეები თვით თქვენი ესთეტიკური დიპაზონის საზღვრებში, პიროვნული ბედისა თუ სოციალური გამოცდილების სიღრმეებში მოგეძიათ (თუნდაც, დაშვების დონეზე). თქვენ სხვა გზა აირჩიეთ, – ირონიას მიმართეთ და საკუთარი თავი გაუნათლებლობაში დაადანაშაულებთ (ვერ გადალახეთ წყენა ვერც იმის გამო, რომ პასუხის გაცემა გთხოვეს რაღაც ისეთზე, რაც არათქვენულია, განსხვავებულია, სულ სხვა ესთეტიკურ-ექსისტენციალური ტრადიციით საზრდობს, და – ვერც იმის გამო, რომ შეკითხვა არამოკრძალებული ფორმით დაგისვეს). ეს, რა თქმა უნდა, ირონია იყო, ვინაიდან თქვენ რომ მართლაც გაუნათლებლობაში ადანაშაულებდით თქვენს თავს, უკრიტიკო არ იქნებოდით იმ დამსახურებული აღიარების მიმართ, რომელიც მოიპოვეთ... თქვენში რომ სხვა შუქზე ამ შემთხვევის დანახვის მოთხოვნილება ყოფილიყო, ეს ირონია არ გაჩნდებოდა. მაშინ ჩემი ტექსტების მიმართ, სულ მცირე, იმ დამოკიდებულებას აირჩევდით, რომელსაც, დარწ-

მუნებული ვარ, თქვენ მოითხოვთ თქვენი ტექსტების მიმართ. არა მგონია, მოგწონებოდათ, მითოლოგიასა და ფოლკლორში ანდა სულაც „ძნელი“ ლიტერატურის სპეციფიკაში ჩაუხედავ (თუნდაც, თავისთავად, ნიჭიერ) კრიტიკოსს ან რიგით მკითხველს ჯადოქრობასა და სათქმელის უქონლობაში რომ დაედანაშაულებინეთ. ნუთუ, ასე სათაკილოა იმ ანბანური ჭეშმარიტების აღიარება, რომ არსებობს არა მხოლოდ ის კონტექსტი (ისტორიული, კულტურული, სამართლებრივი, პიროვნული), რომელშიც თქვენი ტექსტები იქმნებოდა, არამედ – სხვა კონტექსტიც, რომელშიც ჩემი პოეტური, პროზაული თუ თეორიული ტექსტები იქმნება. რა უნდა იყოს შეურაცხმყოფელი, თუ თქვენ ამ კონტექსტს არ იცნობთ, თუ არ შეგიძლიათ ამ სხვა კონტექსტში შექმნილი ამა თუ იმ ნაწარმოებით ტკობის მიღება. ფორმების ამოუნურავ სამყაროში რაღაც ხომ არსებობს ისეთი, რაც შეიძლება თქვენი გაგებისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს და, ამის გამო, არ გაინიროს არაფრისმთქმელობის განაჩენისთვის. ნუთუ, სიტყვასთან ჩემი სიუცხოვის სამტიკვიბლად საკმარისი საბუთი აღმოჩნდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირადად თქვენ გაგიძნელდათ მთლიანობაში ჩემი ტექსტების მოაზრება? მე მესმის, რომ თქვენ მხოლოდ თქვენი შთაბეჭდილება დააფიქსირეთ (თქვენი პირადი ესთეტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე). ამის წინააღმდეგ რა უნდა ჰქონდეს გონებრივი განვითარების თუნდაც დამაკმაყოფილებელ დონეზე მყოფ ადამიანს?! მაგრამ მე ყურადღებას ვამახვილებ სხვა ასპექტზე: იმაზე, რომ თქვენ ეს თქვენი სუბიექტური შთაბეჭდილება ლოგიკურ დასკვნას გაუტოლებთ. ვამბობ, ყურადღებას ვამახვილებ მეთქი და არა – მიკვირს ან მოაცუბს მეთქი, ვინაიდან ამ ფაქტის საფუძვლად მდებარე მიზეზთაგან ერთ-ერთი თვალში საცემი მიზეზი საუბრის, მსჯელობის, განაზრების ავტორიტარულ ცნობიერებაზე დამყარებული წყობაა. თქვენი მსჯელობა აპრიორულად თქვენვე გგულისხმობთ იმ უპირობო ინსტანციად, რომელსაც სიტყვასთან ისეთი იდეალური ურთიერთობა აქვს, რომ თუ მას არ ესმის მავანის სათქმელი, აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ამ მავანს სათქმელი არაფერი აქვს. მეორე მხრივ, ეს არის თქვენივე პიროვნული გაუცხოება განსხვავებულისგან (ოლონდ, დროში თქვენს შემდგომ არსებული განსხვავებულისგან, და არა – თქვენი წინმსწრები განსხვავებულისგან; ეს მნიშვნელოვანი დეტალია); და – რაც ნი-



შანდობლივია, მრავალფეროვნების ქვეცნობიერი შიში, უკეთ, იმის შიში, რომ მრავალფეროვნების ფაქტობრიობას წერტილი არ დაესვა მაინც და მაინც თქვენთან; რომ არსებობს თქვენგან განსხვავებულიც, რომელიც სხვა ტრადიციიდან მოდის (განა, ლიტერატურა, ყველაფერთან ერთად, ურიცხვი ტრადიციის მთლიანობაც არ არის?)... თავის დროზე, თქვენი პროზაც ძნელად საკითხავ ლიტერატურას განეკუთვნებოდა, მაგრამ გავიდა სულ რაღაც ორი ათწლეული და დღეს, როცა მართლაც ე. წ. „ძნელი“ ლიტერატურისკენ მკითხველს გზა გაეხსნა, როცა მუზილი, პრუსტი, ფოლკნერი, ბორხესი, ფრანგული ახალი რომანი და თანამედროვე ინტელექტუალური რომანი თავისუფლად იმოგება და ლიტერატურაზე „აქტიური“ ადამიანებისთვის სასიამოვნო საკითხავია, როცა ფილოსოფიასა და ლიტერატურას შორის რეალური კავშირები ჩვენი მკითხველისთვის უფრო უკეთ გამოიკვეთა, უკვე უხერხულად გამოსჩანს იმის სიძნელეზე საუბარი, რაც ადრე ძნელი ჩანდა... ვითვალისწინებ ჩვენი გამოცდილებების სხვადასხვაობას (რაც აუცილებელს ხდის ბევრი ისეთი საკითხის დაზუსტებას, რაც დასაზუსტებელი არ მექნებოდა ჩემი ან უფროსი თაობის უცხოელ ავტორებთან საუბრისას) და დავაზუსტებ იმას, რამაც უნდა აკრძალოს შესაძლო გაურკვევლობაზე დამყარებული შესაძლო კონტრკრიტიკა: გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ ჩემთვის ლიტერატურა სიძნელის უფრო და უფრო გაუმჯობესებული ფორმების მარათონია; აქ საქმე ეხება მხოლოდ გარკვეული ტიპის და სპეციფიკური ფორმების მქონე ლიტერატურას, რომელშიც – ასევე – სხვადასხვა ესთეტიკური ხარისხის მრავალი ტექსტი იქმნება და როცა, ვთქვათ, ინტელექტუალური რომანის ხარისხის შეფასება სურთ, მას დეტექტივს ან ბულვარულ რომანს კი არა, ისევ და ისევ სხვა ინტელექტუალურ რომანს ადარებენ...

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურის მარადიულობაზე, ნამდვილი ლიტერატურის უკვდავებაზე, ნებისმიერი ტექსტი, რომელიც მერე ხანგრძლივ დროს გადასწვდება ხოლმე, კონკრეტულ დროში, კონკრეტულ გარემოში, კონკრეტულ სოციალ-კულტურულ კონტექსტში იქმნება (და ეს კონკრეტული გარემოებები თავის დაღს ასვამს ნებისმიერი ტექსტის ფორმასაც და შინაარსსაც, რასაც ღირსეული მწერლები არასოდეს მალავენ), ამ ტექსტის დამწერს კი აქვს გამოკვეთილი კონკრეტული ინტერესები, უპირატესობას ანიჭებს ერთ სფეროს, განზე სწევს მეორეს, უარყოფს მესამეს და ა. შ. ამიტომ, მწერლის სათქმელის გასაგებად, სულ მცირე, გარკვეული მნიშვნელობა ნამდვილად აქვს იმ კონტექსტს, რომელთანაც თავის ურთიერთობას არკვევს მწერალი. თქვით გულწრფელად: ორი მკითხველიდან, რომელიც თანაბარი ლიტერატურული გემოვნებით, თანაბარი სულიერებით, გაგების და სერიოზული ლიტერატურის დაფასების თანაბარი ნიჭით ხასიათდება, რომელს მიანიჭებდით უპირატესობას, რომელს ჩათვლიდით, მაგალითად, თქვენი პირველი რომანის უფრო მომზადებულ მკითხველად, – იმას, ვისაც ეცოდინებოდა არგონავტების მითი თუ – იმას, ვისთვისაც ეს მითი უცნობი იქნებოდა? რა თქმა უნდა, თქვენი ზოგადი დასკვნის თანახმად, ლიტერატურასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა გვესმის, რას გვაუწყებს, რას გვეუბნება ლიტ-

ერატურა, მაგრამ, ნუთუ, სულ არა აქვს მნიშვნელობა იმის მზაობის ხარისხს, ვინც ისმენს ამ ნაუწყებს? ნუთუ, სასხვათაშორისოდ მაინც არ უნდა დასვას საკუთარი მზაობის საკითხი ამ დროს მკითხველმა? და თუ არ დასვამს, გულწრფელად თქვით, აღნიშნული ორი მკითხველიდან ვინ უკეთ გაიგებს თქვენს სათქმელს, ვინ უკეთ ჩანვდება თქვენი რომანის შინაარსს?

სიტყვა არ შეიძლება უცხო იყოს, ბრძანებთ, და სავსებით გეთანხმებით. მაგრამ რატომ არ სვამთ კითხვას: ვისთვის არ შეიძლება სიტყვა უცხო იყოს? ჩემი ღრმა რწმენით, თქვენთვის ასეთი კითხვის დასმა მიუღებელია იმიტომაც, რომ ყველა შემხვედრ პრობლემას იმთავითვე ერთადერთი ურყევი, უქვევლი დოქსით უდგებით: თქვენთვის სიტყვა არ შეიძლება უცხო იყოს, ხოლო თუ თქვენთვის სიტყვა უცხო აღმოჩნდა, ეს სიტყვა ყალბია; იგი მხოლოდ რაღაც მსგავსია სიტყვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა სიტყვა. აი, ამას ვუნოდებ სიტყვასთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც ავტომატურად აყალიბებს ადამიანებთან, სტრუქტურებთან, ლიტერატურასთან მიმართების ასეთსავე გარკვეულ ფორმას. ნუ მიწყენთ, თუ სიტყვასთან ურთიერთობის იმ ფორმას, რომელიც თქვენი წერილიდან გამოსჭვივის, ავტორიტარულს ვუნოდებ (გნებათ, საბჭოურს, როგორც ავტორიტარულის ერთ-ერთ გამოვლენას). მე არ ვამბობ, რომ ეს არის უპასუხისმგებლობა. მე ვამბობ, რომ ეს არის პასუხისმგებლობის ის გარკვეული ფორმა, რომელიც უახლოვდება ჩემს მიერ „უზნეობის მსხვერპლში“ გაანალიზებულ და არა დაგმოხილ (როგორც არასწორად გაიგეს) ფორმას. ჩემი რწმენით, სიტყვასთან მწერლის ურთიერთობის შინაარსი (არა კარგი ან ცუდი, არამედ – გარკვეული შინაარსი) მისი ცხოვრების წესში უნაკლოდ მჟღავნდება. და – პირიქით: არსად ისე კარგად არ იჩენს თავს მწერლის პიროვნული ცხოვრების წესი, მისი კონკრეტული ბედი და ნება, როგორც – თაურსიტყვასთან მისი მიმართების ობიექტივირებულ ნაყოფში ანუ ტექსტში. შეიძლება ადამიანმა თავი მოიტყუოს და იფიქროს, რომ ყოფითი პირობითობები წარმავალია, წერილმანია, და რომ მთავარი შემოქმედებაა; რომ მთავარია, ყველა ყოფითი შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას მარადიულში დასამკვიდრებლად, ტექსტის შესაქმნელად, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მწერალს ღმერთი არ პატიობს ასეთ ცრურწმენებს, დაფარული მაინც არ რჩება ასეთი

კომპრომისი: პიროვნულ პასუხისმგებლობაზე თავის არიდება ან ამ პასუხისმგებლობის საკითხის გამარტივება პირდაპირ გავლენას ახდენს შემოქმედების შინაარსზე... ერთი ნიუანსიც: რასაც თქვენ, ჩემთან დაკავშირებით, სიტყვას უწოდებთ, ის სიტყვების ჯამია, სიტყვების მთლიანობაა, წინადადებებია, წინადადებების თანმიმდევრობაა, ერთი სიტყვით, ტექსტია. ტექსტი კი, არც ერთი თავისი მახასიათებლით (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით), სიტყვა არ არის. აზროვნებისა და წერის ჩემული ფორმა თქვენ არ მიიღეთ და ეს, როგორც უკვე ათწლეულებს ალვინშენი, საკმაო საფუძვლად აქციეთ, რომ სათქმელის არქონაში დაგედანაშაულებინეთ (მოგვიანებით შევეცდები, ავხსნა თქვენი ბრალდების არაშემთხვევითი ხასიათი თვით თქვენი ექსისტენციალური, ყოფით-სოციალური ადგილიდან გამომდინარე, და ამას ჩავიდენ ძალიან ფრთხილად, ზომიერებაზე განსაკუთრებული ფიქრით, თითქმის შეფარვით, მაგრამ არა ბუნდოვნად და არა ორაზროვნად)...

ბრძანებით, თქვენი ესეების კითხვისას ხელიდან არ გამიგდია უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ეს კი, რასაკვირველია, ჩემს გაუნათლებლობაზე მეტყველებსო. ნება მომეცით, ამ ირონიის უზუსტობის დასამტკიცებლად, შედარებით ვრცლად შევეხო საკითხებს, რომლებსაც თქვენი შენიშვნა უკავშირდება. დიახ, საქმე ესეებს ეხება, თეორიული ხასიათის ნაშრომებს, ერთგვარ მინიტრაქტატებს, რომლებშიც მაქსიმალურად მჭიდროდ და ლაკონურად გადმოცემულია ჩემი შეხედულებები, დაკვირვებები სწორედ პოეტურ სიტყვასთან დაკავშირებით, გაანალიზებულია სიტყვისა და ენის, პოეზიისა და პოეტური ცნობიერების ურთულესი საკითხები (რა თქმა უნდა, ესეც დავაზუსტოთ, საკითხთა სირთულე გამოკვლევის ღირსებების მაჩვენებელი სულაც არაა); შემოთავაზებულია ჩემი, უშუალოდ ჩემი რამდენიმე კონცეპცია და ნაცადია არა მხოლოდ შოშვლად, იდეების დონეზე თეორი ფურცლისთვის მათი შეტოვება (როგორც მოგეხსენებათ, იდეების და მათი კომბინაციების ნაკლებობას არც ქართული კულტურის ისტორია განიცდის), არამედ – ამ იდეათა მოტივირების მცდელობა. ხოლო რაკი ეს ესეები არ წარმოადგენს სპონტანურ ფილოსოფოსობას ცხოვრებაზე, ადამიანურობაზე, სიკეთეზე და ა. შ. (ანუ, არ წარმოადგენს გაიოლებულ, გამარტივებულ საქმეს), მე უნდა გამეთვალისწინებინა ჩემს მიერ საკვლევ საკითხებთან

დაკავშირებული სხვა ისეთი, ჩემთვის ხელმისაწვდომი გამოკვლევები, რომლებშიც იგივე პრობლემებია დამუშავებული. ჩემი ეს ესეები, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, წარმოადგენს არა ცარიელ სივრცეში ხელების ფათურს, არამედ – კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტულ ავტორებთან და კონკრეტულ შეხედულებებთან დიალოგს და ამ დიალოგში ჩემი საკუთარი შეხედულებების მანიფესტირება-მოტივირებას. ასეთი დიალოგი კი, როგორც იმ ქვეყნებში მოქსენებთან, სადაც მოიგონეს სიტყვები „დიალოგი“, „კულტურა“, „ანალიზი“, „ფილოსოფია“ და ა. შ., შეუძლებელია შესაბამისი ტერმინოლოგიური და კატეგორიული აპარატისა და რიტორიკული მოდელების გამოყენებლად, შესაბამის თემებზე უკვე წარმოებულ განაზრებებთან საკუთარი განაზრებების შეუჯერებლად, ხოლო თუ ამ საქმეს ერთი მკვლევარი უფრო ნათლად და მკაფიოდ ახერხებს, ვიდრე – მეორე, ამის საფუძველზე სიტყვასთან მათი სიშორე-სიახლოვის, სათქმელის ქონა-არქონის საკითხის დასა-მა არ უნდა იყოს მართებული.

თავს უფლებას მივცემ და ვიმედოვნებ, რომ ცოცხად არ ჩამეთვლება არც პროფესიული ფილოსოფიული განათლება, არც – ლინგვისტიკის და სემიოტიკის საკითხების მიმართ თხუთმეტწლიანი სერიოზული ინტერესი, არც – თანამედროვე ევროპულ ფილოსოფოსებთან, ლინგვისტებთან და კულტუროლოგებთან ინტენსიური შინაგანი დიალოგი, რასაც, მერწმუნეთ, ბოროტად სულაც არ ვიყენებ. ნუთუ, ლინგვისტიკური ან ანალიტიკური ფილოსოფიის ტერმინოლოგიაში თქვენი გაუთვითცნობიერებლობა შეიძლება ან თქვენი გაუნათლებლობის ან ჩემი ჯადოქრობის საბუთად ჩაითვალოს? ნუთუ, აუცილებელია იმ ლიტერატორთა მრავალრიცხოვანი სიის ჩამონერა, რომლებიც ერთდროულად მწერლებიც იყვნენ (და არიან) და – ლინგვისტებიც, ფილოსოფოსებიც და სხვა რომელიმე დარგის წარმომადგენლებიც? ნუთუ, მათ არ უნდა ვაპატიოთ მათი პროფესიული გამოცდილების საფუძველზე და გამოყენებით ამა თუ იმ საკითხის ანალიზი?.. თუ, ბოლოს და ბოლოს, თქვენთვის მართლა ასე მკაფიო და გასაგები იქნება და არა მხოლოდ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, არამედ უამრავი სხვა ლექსიკონი და საცნობარო ლიტერატურა არ დაგჭირდებათ პოეტიკისა თუ ლინგვისტიკის, ენის ფილოსოფიისა თუ კულტურფილოსოფიის რომელიმე ავტორიტეტის (და არა, ჩემსავით, სათქმელის არქონის) თუნდაც ყველაზე უფრო მარტივად დაწერილი შრომის გასაგებად (და არა მხოლოდ გადასაკითხად და თავისუფალი, სპონტანური ფიქრებისთვის იმპულსების მისაღებად), მე დავთმობ ჩემს „სიმლეგეს“ და თქვენი შენიშვნის სამართლიანობას გავიზიარებ.

ჩემს ამ სამ ესეში კონცენტრირებულია მთელი ჩემი სულიერი, შემოქმედებითი, პიროვნული გამოცდილება. ამ სამ ესეში მანიფესტირებულია მთელი ჩემი პოეტური სუნთქვის მეტაფიზიკა, ჩემი მსოფლმხედველობის ყველა ძირითადი ასპექტი. ამ სამუშაოს წინ უძღოდა სულ სხვა – წინარესამანიფესტაციო, წინარესაკონცენტრაციო – სამუშაო: 1994 წელს თსუ-ის სააქტო დარბაზში ჩატარებული ლექციების კურსი (11 ლექცია), – როცა თითოეული ლექცია საათნახევარს, ხოლო ლექციის შემდგომ დამსწრე საზოგადოებასთან ბჭობა-კამათი



ორ საათს მაინც გრძელდებოდა ხოლმე (შეგნიშნავ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მწერალი აუდიტორიის წინაშე საკუთარი ლიტერატურულ-ესთეტიკური სისტემით წარსდგა). ამ ლექციების მომზადება კი გამორიცხავდა უპასუხისმგებლობის ქართულ, თქვენთვისაც და ჩემთვისაც კარგად ნაცნობ ფორმებს, და – მინდოდა თუ არ მინდოდა – მოასწავებდა ქართულ სალიტერატურო სამყაროში მწერლის ახალი ტიპის შემოსვლას, პიროვნული და მწერლური პასუხისმგებლობის ახალი ფორმების დამკვიდრებაზე ზრუნვას და პირადი მაგალითით ამ ჩანაფიქრის რეალიზებას (რაკი ცრუ, ორაზროვანი თავმდაბლობის შემოტყვევებით არ გამოვირჩიევი, არც საკუთარ თავზე ასეთი თავხედური საუბარი მერიდება; მით უმეტეს – საქართველოში, სადაც თავმდაბლობისკენ მონოდებას არანაირი სერიოზული კავშირი არა აქვს ზრდილობასთან, ზნეობასთან და კეთილგონიერებასთან; ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ არ მინახავს თავმდაბლობისკენ მომწოდებელი ქართველი მწერალი, რომელიც კულტურაში თავისი უტყუარი მდგომარეობით დაადასტურებდა თავის გულწრფელობას). ნუთუ, მართლა ფიქრობთ, რომ შეიძლება ადამიანს სათქმელი არ ჰქონდეს და ასე გაისარჯოს? საზოგადოება ხომ, განვითარების რა საფეხურზეც უნდა იდგეს, ამ დროს არ ტყუევდება (სხვათაშორის, გარკვეული თვალსაზრისით, მაშინ არც მწერალთა კავშირის წევრები მოტყუებულან; მიუხედავად იმისა, რომ „ლიტერატურულ საქართველოში“ არა მხოლოდ აღნიშნული სალექციო კურსის შესახებ უწყება გამოვაცხეყენე, არამედ – თითოეული ლექციის თემის დასახელებაც, ისინი ანკეცს სულაც არ წამოგებიან; იყო ორად ორი გამონაკლისი: ბ-ნი ჯემალ აჯიაშვილი და ბ-ნი როსტომ ჩხეიძე, რომლებიც ზოგიერთ ლექციას დაესწრნენ)...

მოხდა ისე, რომ ჩემთვის იდეალურ და მისაბამ პიროვნებად და შემოქმედად (ცოცხალთა შორის) იქცა არა ქართულენოვანი ქართველი მწერალი, არამედ – გერმანულენოვანი ქართველი მწერალი. ეს მწერალია ბ-ნი გივი მარგველაშვილი. ჩვენ, შესაძლოა, სხვადასხვა აზრი გვქონდეს მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე, მაგრამ ეს არ არის არსებითი. რატომ იქცა ჩემთვის სწორედ ეს პიროვნება და არა საქართველოს მწერალთა კავშირის რომელიმე ნიჭიერი წევრი ღირსეული და უკომპრომისო ცხოვრების მაგალითად? არა მხოლოდ იმიტომ, რომ განათლებული მწერლის ყველა კრიტიკრიუმს უპირობოდ აკმაყოფილებს. არც – მხოლოდ იმიტომ, რომ მის ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია მხოლოდ მუზის იმედად ყოფნას, ათასგვარ მარაზმულ საქმიანობაში დროის ფლანგვას და ფლანგვის ასეთი „კულტურის“ რაციონალიზაცია-რომანტიზაციას. პირველ რიგში – იმიტომ, რომ ბ-ნი გივი მარგველაშვილს ყოფითი საკითხების მოგვარების მიზნით კომპრომისი არასდროს დაუშვია; მას არასდროს, თავისი ცხოვრების არც ერთ მონაკვეთში, ორაზროვანი ცხოვრებით არ უცხოვრია; არასდროს ჩაუგდია თავი ისეთ მდგომარეობაში, როცა მწერალი იძულებულია, ათასნაირ მდაბიურ ხერხს მიმართოს, ათასნაირი უხეში ხრიკი მოიფიქროს ამა თუ იმ საქციელის გასამართლებლად. კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, რომ ჩვენ, შეიძლება, სხვადასხვა

შეხედულება გვქონდეს ამ პიროვნების შემოქმედებაზე. მაგრამ თუ რაღაცას ნიშნავს გერმანიაში თქვენი რომანების გამოცემის ფაქტი, რაღაცას ისიც ნიშნავს, რომ უმოკლეს დროში იმავე გერმანიის საუკეთესო გამოცემლობებმა ბ-ნი გივი მარგველაშვილის რომანების (თითოეულის მოცულობა 400-500 გვერდზე ნაკლები არაა) პირველი ათეულის გამოცემა უკვე განახორციელეს. და თუ ამ პიროვნების პრეცედენტი თქვენთვისაც მნიშვნელობს, მაშინ აღვნიშნავ, რომ მისი ლინგვისტური და ფილოსოფიური სქელტანიანი შრომები ჩემს ესეებზე (სულ მცირე) ათჯერ უფრო ძნელად საკითხავია. და ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი ჯადოქარია?..

ამის მერე, ნება მომეცით, ერთობ სქემატურად და გამარტივებულად, იმ ესეს ძირითადი სათქმელი მოგანოვოთ, რომელსაც „სიტყვის შეუძლებლობა“ ჰქვია და რომელსაც, თქვენი ინტერპრეტაციის საპირისპიროდ, სიტყვის უარყოფასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ჩემი პოეტური მითოლოგი(კ)ა ეფუძნება ცრურწმენას (ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველა ჩვენი მკაცრად არგუმენტირებული მსჯელობებიც კი ასეთ პირველად, შეუმომებად და რწმენით, შინაგანი ხედვით მიღებულ „ცრურწმენებზე“ დაიყვანება), რომ არსებობს პირველსიტყვა, თაურსიტყვა, ღმერთის სიტყვა, რომელიც მატერიალურ სამყაროში უდანაკარგოდ ვერ შემოაღწევს; მას მერე, რაც სამოთხე უკან მოგვრჩა, დედამიწაზე სრულყოფილი და უნაკლო არც ადამიანი უნახავს ვინმეს და არც – ადამიანის ნამოქმედარი. ასეთივეა ადამიანური მეტყველება და ენა, რომლებსაც პრაგმატული ფუნქციები აკისრია და უალრესად რთული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენება, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად (სხვათაშორის, ენის ცვალებადობის ფაქტობრიობა, დროში მისი მუდმივი ფერისცვალება – და არა განვითარება – ამის მაჩვენებელია). მას, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, საკომუნიკაციო დანიშნულება აქვს. კომუნიკაციას მე მოვიაზრებ, როგორც მოხმარების, პრაგმატულ-უტილიტარული საქმიანობის პროცესში ჩაბმული ადამიანების საქმიანობას (და ასეთ საქმიანობას ვერც ერთი სულიერი, ვისაც საზოგადოებაში ცხოვრება სურს, ვერ გაექცევა). მაგრამ ამ ნაკლებ სამყაროში, ამ კომუნიკაციურ და მოხმარებლურ სივრცეში არსებობს სამოთხის ხსოვნაც, ხოლო ამ ხსოვის მატარებლები, ისევ და ისევ, სამოთხიდან გაძევებული ადამიანები არიან. არ არსებობს

ადამიანი, რომელშიც უჩუმრად ან ხმამაღლა, ეს ხსოვნა არ ღვიოდეს. მაგრამ ადამიანთა ამ მილიარდობით სიმრავლეში დროდადრო ჩნდება პიროვნებები, რომლებსაც აქვთ უნარი, აღადგინონ კავშირი თაურსიტყვასთან და თავიანთ ამქვეყნიურ არსებობას სწორედ შემოქმედებითი, არაუტილიტარული და არასაკომუნიკაციო ფორმებით შეახსენონ ეს სამოთხე, შექმნან ამ თაურსიტყვაზე ნოსტალგიის მყარი ფორმები, მარადიული მეტაფორები: „ოდისეა“, „ფაუსტი“, „ეფემერა“, „ექიმი ჟივაგო“ და ა. შ. მაგრამ ისინი ამას აკეთებენ არა უმრავლესობისთვის, არა სხვებისთვის, არამედ – იმიტომ, რომ თავად გადარჩნენ, არ შეიშალონ; რომ ისინი გამოუთქმელმა არ დაიტანოს, თუნდაც ფიზიკურად არ გაანადგუროს. ჩემს ესეში საუბარია, ვთქვათ, „ექიმ ჟივაგოზე“ ან სხვა რომანზე, როგორც თაურსიტყვასთან დაბრუნების ნყურვილზე და ამ სწრაფვის შედეგად შექმნილ „სიტყვაზე“ (და არა სიტყვაზე), ანუ საუბარი მაქვს „სიტყვაზე“, როგორც, თაურსიტყვის ემანაციაზე (იძულებული ვარ, მაქსიმალურად გავადარებო ამ ესეს შინაარსი, რათა დაგარნმუნოთ, რომ მე მქონდა სათქმელი, და განზე ვტოვებ ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებს). ასე რომ, ჩემთვის პირველადია არა ენა, არამედ – სიტყვა. სიტყვასთან კავშირი აქვთ მხოლოდ პოეტებს („პოეტი“ და „მოლექსე“, მოგეხსენებათ, ცხვადასხვა კატეგორიის ცნებებია): ქრისტეს, ლაო ძის, ვაჟაფშაველას, ფლობერს...

რაც შეეხება „ანტი-შტაინს“ (სადაც დიდ ამერიკელ პოეტს, გერტრუდა შტაინს, საკმაოდ მრავალმხრივ გააზრებული ესთეტიკური მოსაზრებით, მისივე სტილის მიჯნაზე მოქმედი მეტყველებით ვეკამათები), მასში სიტყვისა და ენის დეფინიცია კერძო კვლევის საგანი ხდება; აქ ერთმანეთისგან ვმიჯნავ სექსისა და ეროტიკის სფეროებს; სექსის სფეროს ვახასიათებ და აღვწერ, როგორც ნაკლები არსებობის მოდუსს, პერმანენტული ურთიერთობხმარებისა და ურთიერთდაღადობის, უსახობისა და ჩანაცვლებადობის სფეროს; ხოლო ეროტიკულ სფეროს, ამის საპირისპიროდ, ვახასიათებ, როგორც სულიერით გაშუალებული შეხების, თაურსიტყვისკენ და ღმერთისკენ გულმიპყრობილი ქმედებისა და მოძრაობის სფეროს; ამ ესეში სექსის სამყარო სექსუალურ-გრამატიკულ განზომილებად იწოდება (თუნდაც ბლანკები, საეტიკეტო წარწერები, ოქმები და სარეკლამო აქტები...), სიტყვა კი წარმოდგენილია, როგორც ამ გრამატიკის პერმანენ-

ტული ნგრევა, რომელიც ამ საქმისთვის ირჩევს ერთეულებს ირჩევს, რათა ეს საქმე გამოაჩინოს, შექმნას მყარი, წარუვალი მეტაფორები (პოეტური ტექსტები).

გეორგ თრაქლის შემოქმედების თეორიული გააზრება კი ჩემთვის მხოლოდ საბაბი იყო, რათა მეჩვენებინა მატერიალური, სწორედაც სექსუალურ-გრამატიკული კონტექსტის, არაპოეტური რეალობის მიმართ ჩემი დამოკიდებულება. ჩემთვის უცხოა რეალობის გმობა, გაკიცხვა და ბრალდება ამა თუ იმ ბედის ნგრევის გამო. ეს ყველაფერი – შიმშილი, სიციფე, დევნა, ძალღერი ყოფა – პოეტისთვის მხოლოდ მასალაა, და „მთვრალ ხომალდსაც“, „წმინდა გონების კრიტიკასაც“, „ჯაყოს ხიზნებსაც“ მოვიაზრებ, როგორც მაღლიერებას, გამოხატულს რეალური სინამდვილის მიმართ (რაოდენ ტრაგიკულიც უნდა იყოს „ჯაყოს ხიზნებში“ აღწერილი რეალობა, თვით „ჯაყოს ხიზნები“, როგორც ესთეტიკური მთელი, არის ზეიმი, შემოქმედების ზეიმი, თაურსიტყვის შეუძლებლობის ანუ თაურსიტყვისკენ სწრაფვის შესაძლებლობის დადასტურება). სხვათაშორის, არც ერთი ჩემი საყვარელი მწერალი მატერიალურად უზრუნველყოფილი და დალხენილი არასოდეს ყოფილა... თუმცა, არანაკლები ტკობა განმიცდია იმ ავტორთა ტექსტების კითხვით, რომლებსაც სიცოცხლეში ცივი ნიაფი არ შეხებია...

რაოდენ დასანანია, რომ აფიშამ, რომელშიც ჩემი წიგნი შევფუთე, მხოლოდ იმ აზრისკენ გიბიძგათ, თითქოს ამ ფორმით თვითრეკლამას მივმართე. „ამგვარი თვითრეკლამა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილობაა დღეს და ნაკლებად ეფექტურიც, ვთქვათ, ოციან წლებთან შედარებით“. დაგეთანხმებოდით, ჩემი ასეთი ქმედების მიზანი მართლაც თვითრეკლამა რომ ყოფილიყო. ხატზე დავიფიცებ, რომ თვითრეკლამასთან ჩემს ჩანაფიქრს არაფერი ჰქონდა საერთო. უკვე სამ თვეზე მეტია, ჩემი ეს კრებული სარეალობაციოდ ტუალეტებსა და ხილ-ბოსტნეულის მალაზიებშია გამოფენილი, მაგრამ არც ერთი ნაცნობი ჟურნალისტი ამ აქციის გასახმაურებლად არ შემინუხებია. მიუხედავად იმ ფორიაქისა, რომელიც ჩვენს უბადრუკ სალიტერატურო გარემოში ჩემი სახელის ირგვლივ სუფევს და რომელიც არა იმდენად ჩემი ექსცენტროლობის, რამდენადაც ამ მოკალმე-პოლიტიკოს-პატრიოტ-უსაქმურთა ზნეობრივი ნყობის ზუსტი სურათის მაჩვენებელია, მე ვცხოვრობ ჩუმი და მარტოსული ცხოვრებით და ვცდილობ ვერიდო ზედაპირული ეფექტების დიდოსტატებსაც და ინტრიგების დიდოსტატებსაც. ეს არაა პოზა, არაა მანერა, ეს ჩემი არსებობის წესია. უბრალოდ, მოხდა ისე, რომ სალიტერატურო ურთიერთობების ის წესი, რომლის დამკვიდრებაც პირადი მაგალითით მოვინდომე, მწერალთა კავშირის არც ერთი წევრის ინტერესების სფეროში არ აღმოჩნდა. მაგრამ მე რევოლუციონერთა რიგიდან არ გახლავართ. ამიტომ, ჩავიდინე ის, რაც არც ერთი ოფიციალური ქართველი მოკალმის გულს არ მოეფონებოდა: დავაფიქსირე ჩემი დამოკიდებულება იმ სალიტერატურო რეალობის მიმართ, რომელსაც კბილებით იცავენ ოფიციალური „შემოქმედები“, და გავიარე. ჩემი ეს ქმედება არ ყოფილა ნაკარნახევი ბოღმით, ღვარძლით, ზიზლით. იგი ნაკარნახევი იყო ადამიანების, ლიტერატურის, სიმართლის სიყვარულით. არასდროს არაფერი მქონია გასაყოფი რომელიმე ქართველ

მწერალთან. ჩემთვის, საერთოდაც, უცხოა ბოღმა, ღვარძლი, შური. არა იმიტომ, რომ ძალიან კეთილი ვარ. უბრალოდ, მე მაქვს ბევრი საქმე და ამ ვნებებისთვის არ მცალია... დაეუბრუნდები ჩემს საინფორმაციო აფიშას. ეს აქცია მოკლებული იყო რამენაირ ემპაქობას, თვითრეკლამის სურვილს, ეპატაჟს; ნაკარნახევი იყო იმ ობიექტებში მომუშავე ადამიანებისადმი, ცხოვრებაში ბედით მიჩენილი მათი ადგილისადმი გულწრფელი თანადგომით. ამ აქციით მე აღვნიშნე ჩემს ცნობიერებაში დიდი ხნის წინ გაცნობიერებული ფაქტი: რომ ამ ადამიანების შრომა დიდი შრომაა, ამ ადამიანების დრამა ცხოვრების წინა ხაზზე თამაშდება. ჩემი აქციით მე ამ ხალხთან ახლოს მივედი, გავიცანი ისინი, მათთან ურთიერთობა ჩემთვის საინტერესო გამოდგა. აი, ესაა არსებითი: საინტერესო გამოდგა. მე მათი ბედით ვცხოვრობ, ესაა ჩემი ჩუმი პირადი ცხოვრება, მოკლებული რამენაირი ყვირილის ვნებას. დამერწმუნეთ, იქ უფრო მეტი სინამდისე და სისუფთავა, ვიდრე - იმ მწერალთა კავშირში, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით, რომლის კედლებშიც დღემდე აწარმოებენ ორპარტიულობას სწორედ თქვენი და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მწერლის სახელით. როცა „უზნეობის მსხვერპლს“ ვწვდები, მე ამ სიბინძურისადმი ჩემი პოზიციის ჩვენება მინდოდა და ეს იყო ჩემი სიძარბო. მოხდა ისე, რომ მავანმა და მავანმა ისარგებლა ჩემი ამ წერილით და პოლემიკა სულ სხვა მიმართულებით გადაისროლა. მერე მე მომიხდა (საჭიროდ მივიჩნიე) ამ ერთნაირი უღირსი ომისადმი ჩემი დამოკიდებულების კიდევ ერთხელ დაფიქსირება, ჩემი პოზიციის კიდევ ერთხელ ხაზგასმა. როცა ტუალეტებში ჩემი კრებულები შევიტანე გასაყიდად (მე იქ პოეზია კი არა, წიგნები შევიტანე, მატერიალური საგნები), მინდოდა, პრაქტიკულად გამოემეცადა, რა ხდება, როგორ არსებობენ იქ, სადაც საქმე აქვთ არა სულიერ, არამედ მატერიალურ სიბინძურესთან, როგორია ამ სიბინძურესთან ყოველდღიურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანების ხმა, თვალის ფერი; მე ამ აქციას მას მერე მივმართე, როცა ჩემი პროფესიის ადამიანების თვალები, ხმა და საქციელი ნანახი მქონდა; როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ისინი სიკეთეს და სიძარბოს არ ემსახურებიან, რომ ისინი თავიანთი უგუნურებით, მატერიალურ ყოფაზე სამუდამო მიჯაჭვულობით, აქტიურად ღუპავენ საქართველოს. თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით: „მწერალმა მის იმედზელა დარჩენილ მკითხველს დედაკაცის ან მამაკაცის სასქესო ორგანო კი არ უნდა დაანახვოს, არამედ ადამიანური ცხოვრების მაგალითი“. დამერწმუნეთ, ჩემი ცხოვრების და შემოქმედების კრედიტ სწორედ ეს არის. რატომ დაინერა „ბედნიერი ერი“? რატომ დაინერა „ჯაყოს ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირაძე“? „ტრფობა წამებულთაც“ ამ მიზეზით არის დაწერილი. მაგრამ, ნუთუ, მეტი არაფერი დამინერა? თქვენ ხომ არ ისურვებდით, რომელიმე თქვენი რომანის მთლიანობა მის რომელიმე ეპიზოდზე დაეყვანათ, რომელიმე უბეში სცენის თქვენმიერ აღწერაზე დაყრდნობით დაესკვნათ, რომ თქვენ მხოლოდ ამ ტენდენციას ამკვიდრებთ. თქვენ ხომ ასეთ კრიტიკას პასუხის ღირსად არ ჩათვლიდით. ჩემი შემოქმედებაც ასეთი მიმდინარე მთლიანობაა, და პერმანენტულად შევსებადი ამ მთლიანობის მხოლოდ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია „ტრფობა წამებულთა“.

დაბოლოს, უმთავრესის შესახებ. იმ სათნოებებიდან, რომლებიც მისურვებთ და რომლებიც გულწრფელი მადლიერებით მივიღე, არ შემძლია ჩემი ფიქრი და ტკივილი არ გაგიზიაროთ ერთ-ერთთან დაკავშირებით, რომლის თქვენმიერი განმარტებაც ამ სათნოების თქვენმიერსავე გაგებას უფრო ხელშეწყობს გახდიდა ჩემთვის. საქმე ეხება კეთილგონიერების ცნებას, რომლის მრავალგვარი გაგება და განსაზღვრება მოეპოვება საკაცობრიო კულტურას, მაგრამ რომელიც განსხვავებულ სიტუაციებში მაინც მინიჭებულ განსხვავებულად გაიგება ხოლმე (ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ განსხვავებული გამოცდილების ადამიანები განსხვავებულ შინაარსს დებენ ტევადი მოცულობის ამ ცნებაში). კრიზისულ სიტუაციებში, როგორც იცით, ადამიანები ხშირად კარგავენ ორიენტირებს და მათ ცნობიერებაში ჯერარსულს სასურველი ენაცვლება ხოლმე. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ გარკვეულ სოციალურ (არ მინდა ვთქვა, კულტურულ-მეთქი) ვითარებაში ჯერარსული ისე აღიგვება ხოლმე პირისგან მინისა, რომ ახალ თაობებს ხელისცეცებით, დიდი შინაგანი ძალისხმევით უხდებთ ჯერარსულთან კავშირის აღდგენა. ამის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ჩვენში, არასრულყოფილ, ცოდვილ ქმნილებებში (იქნებ, მხოლოდ მე ვარ ასეთი?) ამ დროს შეიძლება სულ იოლად გაჩნდეს იმის მოთხოვნილება, რომ საგულდაგულოდ გადამაღული ჯერარსის ნაცვლად გაბატონებული უბადრუკობა და სიბეცე, ჩვენს მიერ ნაცოდვილარ-შეკონინებული „რეალობა“ ჩვენს ირგვლივ მყოფებს იდეალურ ინსტანციად თუ არა, მისაბაძი სტანდარტების ერთობლიობად მაინც დაუხსახოთ და ამ გზით გადავმალეთ თვით ეს „რეალობა“. დამეთანხმებით, საქმის ასეთი ვითარება საზოგადოების დიდ ნაწილზე დამლუპველად მაშინ მოქმედებს, როცა მსგავს „კეთილშობილურ“ მოღვაწეობაში ებმებიან მწერლები, სულიერების რაინდები. და - არც მხოლოდ ამ დროს. უფრო - მაშინ, როცა ამ საზოგადოებაში ასწლეულების განმავლობაში დამკვიდრებულია რწმენა სულიერი მთლიანობის შენარჩუნების საქმეში მწერლობის განსაკუთრებული მისიის შესახებ. ჩემი ღრმა (და, ალბათ, უსაფუძვლო) რწმენით, ჩემზე უფროსი და ზეუფროსი თაობის თითქმის ყველა ქართველმა მწერალმა თავისი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჯერარსულის გადამაღვაში და, სულ მცირე, ისურვებდა თუ არ ისურვებდა, პარალელური

აქციის სახით ისიც „მოახერხა“, რომ მომდევნო თაობების ვერც ერთი წარმომადგენელი (ამ შემთხვევაში, მწერალი), რომელიც სადღეისოდ თუ სამომავლოდ შეეცდება თავისი ქცევა, სურვილები და მოთხოვნები კეთილგონიერების იმ გაგებას შეუფარდოს, რომელიც ქრისტიანობაშია მოცემული, სანიშნოდ ვერ გაიხდის უფროსი თაობის წარმომადგენელ მწერალთა ცხოვრებისა და ურთიერთობების, ზნეობრივ ნორმებთან თუ სულიერ ორიენტაციებთან მათი მიმართების წესს, რომელიც შეიძლება მხოლოდ დღეს – სიბნელეში – არ ჩანდეს. თუ აღნიშნულ მწერალთა სიმრავლეში (თუ ფენაში, თუ კასტაში) მწერალთა ოფიციალური კავშირის წევრებს ვიგულისხმებთ, ჯერარსულის წასაშლელად მათი თავდაუზოგავი შრომის უტყუარ დოკუმენტაციას ისე სრულად ვერსად მოვიძიებთ, როგორც – მათი ერთობის მთავარი სალიტერატურო ორგანოს „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდებზე. მოგეხსენებათ, საქართველო მითების და ლეგენდების ქვეყანაა, რეალობა ჩვენში ნაკლებად დაფასებულია და მხოლოდ განსაკუთრებული სისასტიკით უნდა გამოვლინდეს ეს რეალობა, რომ ქართველებს მცირე ხნით მაინც შეახსენოს თავი, მერე კი, მომავალ მკაცრ გამოვლენამდე, სასწრაფოდ მივიწყებას მიეცემა ხოლმე, ხოლო როცა უმრავლესობიდან მეტნაკლებად გამორჩეული ინდივიდები ცდილობენ, მათ (ამ უმრავლესობას) ეს რეალობა არ დაუკარგონ, მაგალითად, ილიას მკვლელობის რეალობა, ჩვენს ისტორიაში მომხდარი სხვა სასტიკი რეალობები, ამ ინდივიდების მეცადინეობა წარმატებით თითქმის არასდროს გვირგვინდება, ამის მიზეზი კი, შესაძლოა (მხოლოდ შესაძლოა?), ის იყოს, რომ თვით ისინი, ეს ინდივიდები, ლალატობენ სიტყვას... საქმით! რაც, დარწმუნებული ვარ, უსწრაფესად აისახება ხოლმე მათსავე მეტყველებაში, მსჯელობის წყობაში, ნაწერებში... სიტყვა მწერალს არ პატიობს ლალატს და სასწრაფოდ ამხელს ხოლმე... სხვათაშორის, თანამედროვე დასავლურ სალიტერატურო კრიტიკაში მთელი მიმდინარეობა არსებობს, რომელიც ამ ლალატის ფორმებს იკვლევს არა სადმე სხვაგან, არამედ – მოღალატეთა ტექსტებში. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ამ მეთოდით ქართველი მწერლების ანალიზი მარტივია, ვინაიდან მათ, თავიანთი ინფორმაციული სიმწირის გამო, წარმოდგენა არა აქვთ ამ ახალ ტექნოლოგიებზე და, განსხვავებით „გაეშმაკებული“ დასავლელი მწერლებისგან, მათი ტექსტები ერთობ ნა-

ივური და „უმანკოა“ ამ თვალსაზრისით (არ დაგიმაღავთ და აქვე შევნიშნავ, რომ პირადად მე, ამ ტექნოლოგიების გათვალისწინებით – და არა მიბაძვით – სადღეისოდ ესწავლობ ე. წ. გაჩუმების, თვალის დახუჭვის, ხმის ამოუღებლობის, წაყრუების, ვითომვერმეწმინდის, ვითომგანზედგომის, ვითომჩაურევლობის ფენომენთა გრძელ რიგს; ვინაიდან ქართულ ნიადაგზე მასალის ნაკლებობას არ განვიცდი, თითქმის უფასოდ მოპოვებული ნედლეულის გადამუშავებით და დახარისხებით ვარ დაკავებული)... ერთი სიტყვით, სწორედ მხილებული ამ სამხილის მოძიება ხდება შესაძლებელი იმ მითების მიღმა, რომლებითაც, როგორც ბურუსით, მოცულია ჩვენში ყველა „დიდი ადამიანი“, ხოლო რაკი ფილოსოფიურ კულტურაზე ორიენტირებული ადამიანი ბრმად და უკრიტიკოდ არავის სიდიადეს არ აღიარებს, მისთვის მსგავს სამხილს ოქროს ფასი აქვს. ამ ჭრილში, „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ათწლეულის (ანუ პოსტკომუნისტური ერის) თითოეული ნომერი უნიკალურია: მის სალიტერატურო ხარისხს, ორიენტაციას, სათქმელს, საფიქრალს, ბრძოლის ხერხებს და მეთოდებს უკვე ხელს აწერს მწერალთა კავშირის თითოეული წევრის თავისუფალი ნება (გაზურჩველად ამ მწერალთა პროფესიული სისუსტე-სიძლიერისა). რატომ თავისუფალი ნება? იმიტომ, რომ ამ ათწლეულის მანძილზე მაინც, მათი ერთობა ნებაყოფლობითია და გაპირობებული არ არის ნაირ-ნაირი სასიკვდილო საშიშროებით, ნებისმიერი საქციელის გამამართლებელი ნებისმიერი მიზეზით, ასე რომ, იდეალური სიზუსტით წარმოაჩენს აღნიშნული ერთობის წევრთა პასუხისმგებლობის ხარისხს. არ ვიცი, კეთილგონიერების თქვენშიერი გაგება რა მანძილით არის დაშორებული ჩემსას, მაგრამ, კეთილგონიერების ჩემშიერი (და, რა თქმა უნდა, უმაღლეს მცდარობასა და გზაბნეულობაზე, თავხედობასა და უფროს-უმცროსობის არცოდნაზე მეტყველი) გაგებით, პიროვნება პასუხისმგებელია იმ ერთობის ნებისმიერ ნაბიჯზე, რომლის ნებაყოფლობით წევრდაც წარმოუდგება საზოგადოებას, ხოლო თუ მისი პოზიცია და ცხოვრების წესი არ თანხვდება ხსენებული ერთობის წევრთა მოღვაწეობის კურსს და სტრატეგიებს, მოვლენებისადმი მათი დამოკიდებულების წესს, ეს პიროვნება მოვალეა, – მკაფიოდ, არაორაზროვნად, არასოფისტურად, არა „სიმბოლურად“ და არა მინიშნებებით დააფიქსიროს თავისი განსხვავებული აზრი და დამოკიდებულება (ოჰ, ეს ბოროტი სიტყვა – „განსხვავება“, – რომელშიც რალაც ერთობ ვერაგულს და მზაკერულს ამოიკითხავს უფროსი თაობის მწერალთა, ე. წ. „მამათა“ შიში) კოლექტივის მოქმედების, მუშაობის, ბრძოლის წესთან. აი, რატომ არის საძნელო და საპასუხისმგებლო საქმე თუნდაც სამ-ოთხკაციანი ოფიციალური სტრუქტურის წევრობა პოსტკომუნისტურ სივრცეში, – როცა იძულებითი ერთობის საჭიროება მოხსნილია და პიროვნებას თავისმართლების ნაირ-ნაირი საშუალება აღარ გააჩნია. მაგრამ ეს საქმე რთულია პასუხისმგებლობისა და კეთილგონიერების ჩემშიერი, მეტად მწირი და უკეთური, არაპოლიტიკურ-არალავირებად-არასტრატეგიულ-არაგამჭრიახი გაგებიდან გამომდინარე, და ის გულისხმობს კოლექტივში შესაძლო გაერთიანებას და მასში დარჩენას არა იმდენად ყველა ძეხორციელისთვის საჭირო სია-



მეთა მიღების ჟინით, რამდენადაც – საკუთარ თავზე გარკვეული ვალდებულებების აღების მიზნით. თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია, განზილებისა და იმედგაცრუების როგორი მდგომარეობისთვის განირავთ ადამიანს, რომელიც მისი ესთეტიკური გემოვნებისა და ეთიკური პრინციპების ჩამოყალიბების საუკეთესო ასაკში რვეულებს ავსებდა თქვენი რომანებიდან გადასონერილი გვერდებით და მერე ამ გვერდებს თავისი კლასიკების წრეში საათობით კითხულობდა და აანალიზებდა, თუ არ დამეთანხმებით, რომ ქართველ მწერალთა ოფიციალური ერთობის წევრთა გადამწყვეტ უმრავლესობას ვალდებულების მაღალი გრძნობა არა მხოლოდ დაჩლუნგებული აქვს, არამედ არც ჰქონია ოდესმე. ბატონო ოთარ, ქართული სალიტერატურო ახალთაობის წარმომადგენელთა „მამებს“ დიდი და რთული შრომა მოუწევთ იმ სიმართლის გასაცნობიერებლად, რომ თუ მათი ცხოვრების წესისგან, მათი ორაზროვანი არსებობიდან რამეს ვერ ისწავლის ახალთაობა, ეს გახლავთ სწორედ კეთილგონიერება. აი, ამ მწარე სიმართლემ დამაწერინა „უზნეობის მსხვერპლი“ და ჩემი ქმედება იმართებოდა კეთილგონიერების იმ გაგებით, რომელიც მწერალთა ოფიციალური ერთობის, ე. ი. მწერალთა კავშირის, გამოცდილებაში არ მოიპოვება. „უზნეობის მსხვერპლი“ ის ხმა აღმოჩნდა, რომლის დისკრედიტირება, მიჩუმათება ან ლინჩის წესით გასამართლება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ წერილს ხელს აწერდა მათგან განსხვავებული ადამიანი (განსხვავებულობის ეს შინაარსი უნდა შეავსოს ჩემმა შემდგომმა ცხოვრებამ იმ პასუხისმგებლობისადმი ერთგულებით, რომელიც „უზნეობის მსხვერპლით“ ოფიციალურად გამოვაცხადე). ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, გულწრფელად ვარ დარწმუნებული, რომ, შესაძლოა, თქვენ ბრძანდებით იმ უმცირესთაგანი, ვისაც ჩემი ეს უხეში და თავხედური სიტყვები გულისგულში გაახარებს და მართლა იმედით აღავსებს...

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ჩემი ურცხვი დაკვირვებით, სწორედ „უზნეობის მსხვერპლმა“ და იმ კამპანიამ, რაც ამ წერილს მოჰყვა, დააბნია და ააფორიაქა ბ-ნი აკაკი ბაქრაძე (ვისი ლექციების მოსასმენადაც, უკვე მე-6-მე-7-ე კლასის მოსწავლე, სკოლიდან ვიპარებოდი), წონასწორობა და კარგად ნაწრთობი სიფრთხილე დააკარგვინა და აიძულა, „უზნეობის მსხვერპლის“ პუბლიცირებიდან სულ რაღაც წლინახევრის მერე მწერალთა კავშირი იმ საბაბით დაეტოვებინა, თითქოს 25 ლარიანი ყოველთვიური პენსია დამამცირებლად და მწერლის მათხოვრული ყოფის დაკანონებად მიეჩნისო. სინამდვილეში, ამ აქტით, თავად მან, საჯაროდ და ოფიციალურად, გამოაცხადა, რომ ზნეობასა და უზნეობას შორის ზღვარი აღნიშნული პენსიის დაწესებამ გააუწო და თუ აქამდე ბ-ნი აკაკი ბაქრაძე მწერალთა კავშირის წევრი ბრძანდებოდა, იმიტომ, რომ იგი მწერალთა კავშირის ვერც ერთ აქამომდელ „ლონისძიებასა“ და „პოლიტიკაში“ უზნეოს და მათხოვრულს ვერაფერს ხედავდა...

აი, ეს ყველაფერიც უძღოდა წინ ჩემს სატყუალეტო ოდისეას, და იგი გამოწვეული იყო ჩემს გულში (და არა ტვინში) არსებულ მრავალ უპასუხო კითხვაზე პასუხის ძიებით ცხოვრე-

ბის კიდევ ერთ ფრონტზე, და ჩემი ეს აქცია მათთან ურთიერთობის ეს მოთხოვნილება, დროში დიდად როდია დაშორებული იმ მწარე გამოცდილებას, რომელიც უფრო ადრე მწერალთა კავშირის ერთ „კეთილშობილურ“ სიცრუესთან, სიყალბესთან ჩემი შეხვედრით და ურთიერთობით შევიძინე. ეს იყო ჩემი ოცდაცამეტწლიანი ცხოვრების შეგნებულ კერიოდში ჩემი ყველაზე უფრო ბრიყული ცრურწმენის შედეგად მიღებული გამოცდილება. ამ ცრურწმენის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ვენდე სიტყვას, ქართველი მწერლების ოფიციალური ერთობის მთავარი ორგანოს გვერდებზე გამოქვეყნებულ განცხადებას, რომელიც სახალისოდ იუნყებოდა, რომ ცხადდება კონკურსი ილია ჭავჭავაძის პრემიის მოსაპოვებლად ბოლო ორ-სამ წელიწადში შექმნილი ნაწარმოებებისთვის, და რომ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი მწერლების საკონკურსო ტექსტები უნდა წარმოადგინონ გამომცემლობებმა, რედაქციებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა, ასოციაციებმა, ცალკეულ ლიტერატორთა ჯგუფებმა... და ამ განცხადებას ვკითხულობდი მე, რომელიც ამ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე მთელი ჩემი შეგნებით ვამტიციებდი და ვასაბუთებდი, რომ ჯერჯერობით არც ერთ ქართველ მწერალს პრემია არ მიუღია, რომ მათთვის ოდესმე მინიჭებული ყველა ე. წ. პრემია, სინამდვილეში, არის ჯილდო (თუ, რა თქმა უნდა, დავეყრდნობით „პრემიისა“ და „ჯილდოს“ არა ძალისმიერ, არამედ ცნებისმიერ განსაზღვრებებს, რასაც ღირსეულად თუ უღირსად დაჯილდოებული ან ჯილდოს მომლოდინე არც ერთი ქართველი მწერალი ნებაყოფლობით არ აღიარებს). დიახ, დამსახურებული, დაუმსახურებელი ან არალიტერატურული დამსახურებისთვის დამსახურებული, მაგრამ მაინც – მხოლოდ ჯილდო. როგორ არ გამაბრვიყებდა ასეთი სენსაციური სიახლე! აი, ამ სიბრყივემ მიმიყვანა მწერალთა კავშირის სამდივნოში, სადაც ჩემი შეცდომა დაუყონებლივ „გაასწორეს“ და ამიხსნეს, რომ პრემიის (პრემიის!) ლაურეატის ადგილი უკვე დაჯავშნულია, და ლაურეატის გვარიც გამანდეს (თქვენი გვარი იქ არავის უხსენებია; მერე, უბრალოდ, იძულებულნი გახდნენ, ეს პრემია თქვენთვის გაეყოს); ამიხსნეს, რომ ჩემი დროც მოვიდოდა და ა. შ. ბატონო ოთარ, თქვენ თუ წამით მაინც ჩააყენებთ თქვენს თავს ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში, იმ ახალგაზრდა ლიტ-

ერატორის მდგომარეობაში, რომელიც მწერალთა კავშირის მჩქეფარე კულისებსმიღმური ცხოვრებისგან, ისე, როგორც მისი სასცენო ცხოვრებისგან, ძალიან შორს დასახლებულა და ხსენებულ სამდივნოში მიღებული პასუხით რალაც მნიშვნელოვან საიდუმლოს ეხება, ვერ გაიგებთ, რატომ უნდა მიმეჩნია შეურაცხყოფილად, სწორედ მწერალთა ამ ძლევამოსილი კასტის, ფენის თუ რალაც ამგვარის – მრავალი საჭიროების ირგვლივ გაერთიანებული წარმონაქმნის – მიერ შეურაცხყოფილად ჩემი თავიც და ის ხალხიც, რომელსაც ქართველი მკითხველი ჰქვია. მწერალთა ასეთი ერთობა ხომ ერთი უზარმაზარი ორატორების პერსონიფიცირებული სიმბოზია, რომელიც თავის ბეზავ მკითხველს, ქართველ მკითხველს, ასე უღვთოდ ატყუებს და აცუცურაკებს, ასე უღვთოდ ამცირებს ამ თავისი ვითომდა უწყინარი საქციელით და ურიცხვი სხვა კეთილგონივრული ორატორებით... გავიდა დრო და „უზუნობის მსხვერპლის“ მერე სულ სხვა დინებით გადასროლილ „პოლემიკაში“ სამდივნომ გაიხსენა ჩემი საკონკურსო ვიზიტი, მკითხველს კი ამ ვიზიტის ყალბი ვერსია წარუდგინა. ერთის მხრივ ლოგიკასთან, ხოლო მეორეს მხრივ ნესიერებასთან ახლომყოფი ნებისმიერი მკითხველი ამოკითხავდა ამ გახსენებულ და „რეკონსტრუირებულ“ ფაქტში ჩემთან დაკავშირებულ რეალურ სიტუაციას თუ ვერა, მწერალთა კავშირის სიმდაბლისა და „კეთილგონიერების“ რამდენიმე სამხილს მაინც, მათ შორის მთავარს: „საპოლემიკო“ სტატიის ამ მონაკვეთიდან ირკვეოდა, რომ სამდივნოს წარმომადგენელმა მართლაც დაუსახელა სტუმარს პრემიის (!) ლაურეატები (არადა, მოგახსენეთ, იქ მხოლოდ ერთი, არა თქვენი, გვარი დასახელებდა, რომელიც მე არსად წამომცდენია ამ სამარცხვინო ჩაშვებამდე) კონკურსის (!) შედეგებამდე დიდი ხნით ადრე, და ახალგაზრდა კაცი, რომელიც საჯაროდ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მივიდა, უკან გააბრუნა... და, მიუხედავად ამ მწარე და ნაღვლიანი გამოცდილებისა, „უზუნობის მსხვერპლი“ არა „წყენამ“ (რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდებზე მართლაც რომ წარუმატებლად დასახელებდა), არამედ ამ შემთხვევისგან დამოუკიდებელი, უშუალოდ

„ლიტერატურული საქართველოს“ გვერდებიდან ამოკითხული შემზარავი რეალობის განზოგადების მოთხოვნილებამ წარმოშვა, და რამენაირ „წყენამდე“ მისი დაყვანა მხოლოდ მწერალთა კავშირის დირიჟორებს შეიძლებოდა მოეფქრებოდათ, ისე, როგორც მხოლოდ ჩემი პიროვნების არმცოდნე ან მცდარად შემფასებელ ადამიანებს შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ჩემი წერილით ისარგებლებდნენ და მწერალთა კავშირს თავიანთ ანგარიშებს გაუსწორებდნენ... ნუთუ, ამის მერე, შეიძლება თბილისის საზოგადოებრივი ტელეტივისკენ მიმართული ჩემი მზერა დეზორიენტირებული ადამიანის ქმედებად ან თვითრეკლამის მცდელობად იქნას მიჩნეული?..


აქ შეიძლება წერტილიც დაისვას. თუ თქვენთვის ღირებულება არა მხოლოდ თქვენი რომანების ნებისმიერი პერსონაჟი, როგორც განსხვავებული, და თქვენი რომანები, როგორც განსხვავებულები, არამედ – სხვა ცოცხალი ადამიანიც, როგორც განსხვავებული, შეუძლებელია ამ წერილმა არ დაგარწმუნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, თქვენს შვილებზე უმცროსი თაობის წარმომადგენლისთვის, რომ სწორედ თქვენთვის გამეზიარებინა ეს ტკივილი, ეს შინაარსი, ეს სათქმელი ჯერ „შეჯამების უარყოფის“ მორთმევით, ხოლო მერე, როცა თქვენი წერილით ჩემთან დიალოგის და ჩემი გაცნობის სურვილი გამოთქვით – ამ საპასუხო წერილითაც. ახლა, როცა ჩემი ეს წერილი უკვე არსებობს, გაცილებით უფრო მშვიდად ვარ, ვიდრე – მაშინ, როცა ჩემი „შეჯამების უარყოფა“ გამოგიგზავნეთ (რომელთან დაკავშირებული ჩემი ამბიციები უზომოდ დიდია, რაც, თუ მხოლოდ ჩემი ილუზიაა, ჩემთან ერთად გაქრება ისევე უწყინრად, როგორც ახლაა). როგორც ჩანს, მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ აქტუალურ მორალურ თუ სალიტერატურო საკითხთან დაკავშირებით შენი მტკივნეული ფიქრების გაზიარებას შენთვის ძვირფასი ადამიანისთვის. ამ პასუხს უდავოდ მოითხოვდა გულწრფელობისა და სერიოზულობის თუნდაც ის წილი, რომელიც ჩემში აუცილებლად არის თქვენი შემოქმედებიდან.

როცა ჩემი ეს პასუხი უკვე არსებობს, შემიძლია მშვიდად და უზომო სიხარულით გამოვთქვა თქვენი პირადი გაცნობის მოკრძალებული სურვილი და იმედი, რომ თქვენ მიერ გამოთქმული საამისო სურვილიც ძალაში რჩება.

სიყვარულით და მოკრძალებით, დათო ბარბაქაძე
12-13.09.1999

ნ. კ. წერილთან ერთად გიგზავნით აქ ნახსენებ საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებული რამდენიმე პუბლიკაციის ქსეროასლს. დარწმუნებული ვარ, მათ წასაკითხად უცხო სიტყვათა ლექსიკონის მომარჯვება არ დაგჭირდებათ. აგრეთვე, გიგზავნით ესსეების კრებულს, რომელშიც თავის დროზე შევიდა „ტრფობა წამებულთა“, და – ჩემი ლექსების ორ სხვა კრებულს.

5 ახალი თარგმანები



პატრიკ ზიუსკინდი

იკულაბითი წვდომა სილრმისა

ერთმა შტუტგარტელმა ახალგაზრდა მანდილოსანმა, რომელიც საკმაოდ კარგად ხატავდა, თავის პირველ გამოფენაზე კრიტიკოსისაგან ასეთი შეფასება მიიღო: „თქვენი ნამუშევრები შესრულებულია ნიჭიერად და შთამბეჭდავად, მაგრამ ჯერ კიდევ გაკლიათ სილრმე“. კრიტიკოსს თავში ცუდი რამ სულაც არ გაუვლია, პირიქით, ეგონა, მუშაობაში ეს უფრო ნაადგებოდა ახალგაზრდა შემოქმედს.

ქალი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა კრიტიკოსი და მისი შენიშვნაც მალე გადავიწყდა. მაგრამ ერთი-ორი დღის შემდეგ, იმავე კრიტიკოსის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ რეცენზიაში ამოიკითხა: „ახალგაზრდა მხატვარი ქალი დიდი ნიჭის პატრონია და მისი ნამუშევრებიც, ნახვისთანავე დიდ მონონებას იმსახურებს და მაინც, სამწუხაროდ, მათ სილრმე აკლია“.

აი, მაშინ კი საგონებელში ჩავარდა მხატვარი, დაიწყო თავისი სურათების თვალთვლა, ძველ საქალაქში აფათურა ხელი. ყველა ნახატს გადახედა, იმათაც, რომლებზეც მუშაობა ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული. შემდეგ ტუშის შუშას თავი მოუხრახნა, ფუნჯები განმინდა და სასეირნოდ გავიდა.

სალამოს სტუმრად იყო მიწვეული. იქ, როგორც ჩანდა, ხალხს ზეპირად დაესწავლა კრიტიკოსის გამონათქვამი და, ირგვლივ გაუთავებლად გაისმოდა ხმები დიდ ტალანტსა და იმ სასიამოვნო შეგრძნებაზე, სურათები ერთი ნახვისთანავე რომ აღძრავდა. თუმცა, ახალგაზრდა შემოქმედის ყურს უკან მდგომთა გადაჩურჩულებაც სწვდებოდა: „სილრმე არა აქვს. ასეა ეს. ცუდი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, არა აქვს სილრმე.“

მთელი შემდგომი კვირა ქალს არაფერი დაუხატავს. კრუხივით ჩუმად იჯდა თავის ბინაში და თავში სულ ერთი აზრი უტრიალებდა, რომელიც ოკეანის რვაფეხასავით შემოჰკვროდა და ყველა სხვა აზრი შთაენთქა: „რატომ არ მაქვს სილრმე“?

მეორე კვირას ისევ შეეცადა რამის დახატვას, მაგრამ უხეირო მონახაზების გარდა, არაფერი გამოსდიოდა. ზოგჯერ უბრალო ხაზის გავლებაც უჭირდა. ისე კანკალებდა, რომ ტუშის ქილაში ფუნჯის ჩანობაც არ შეეძლო. ბოლოს ცრემლმორეულმა შეჰყვირა: „დიახ, მართალია, არა მაქვს სილრმე!“

მესამე კვირას ალბომების დათვალიერება, სხვა მხატვრების ნამუშევრების შესწავლა და მუზეუმებსა თუ სამხატვრო გალერეებში სიარული დაიწყო. კითხულობდა წიგნებს ხელოვნების თეორიაზე. მალაზიაში გამყიდველს სთხოვდა ამ თემაზე ყველაზე ღრმაშინაარსიან წიგნს, რომელიც კი აქ ეგულეობდა. კიდევაც მიიღო ვინმე ვიტგენშტაინის წიგნი, მაგრამ გული ვერ დაუდო.

ქალაქის მუზეუმში გამოფენაზე – „ევროპული ნახატების 500 წლისთავი“ – ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების რიგს

შეუერთდა, რომლებსაც ხელოვნების მასწავლებელი მიუძღოდა. ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთ ტილოსთან, უცებ მას გვერდით დაუდგა და ჰკითხა: „ბოდიშს ვიხდი, იქნებ მითხრათ, ამ ნახატს თუ აქვს სიღრმე?“ ხელოვნების მასწავლებელს სახე მოექცა: „თუ თქვენ ჩემი დაცინვა იფიქრეთ, მაშინ არ გამოგივიდათ, მოწყალეო ქალბატონო!“ – უთხრა მან. კლასს გულიანად გაეცინა. ახალგაზრდა ქალი კი სახლში დაბრუნდა და გულამოსკვნილი დიდხანს ტიროდა.

ამ დღიდან მოყოლებული, ახალგაზრდა მხატვარი სულ უფრო უცნაურად იქცეოდა. მუდმივად სამუშაო ოთახში იჯდა, მაგრამ ვერ მუშაობდა. აბების მიღება დაიწყო, თითქოს ტონუსის ასანევად, მაგრამ განა იცოდა, რატომ იფხიზლებდა თავს? მერე სანოლში დანოლის შიში დასჩემდა, ვითუ ღრმად ჩასძინებოდა, დაღლილი სკამზევე იძინებდა. სმასაც მოუხშორა და მთელი ღამით შუქს ანთებულს ტოვებდა. აღარ ხატავდა. როცა ბერლინიდან რამდენიმე ნახატის შექმნის სურვილით ერთმა მოვაჭრემ დაურეკა, ტელეფონში უყვირა: „მომეშვით! მე არა მაქვს სიღრმე!“ დროგამოშვებით უაზროდ ზელდა პლასტელინს, ხან თითებს ღრმად ჩაასობდა შიგ, ხან პატარა ბურთულაკებს ასორსოლებდა. გარეგნულადაც ძალიან მოეშვა. არც ჩაცმაზე ზრუნავდა და აღარც ბინას უვლიდა.

მეგობრები ნუხდნენ. ხშირად ამბობდნენ: „უნდა ვიზრუნოთ მასზე, კრიზისს განიცდის, რომელიც ან ადამიანური ბუნებიდან, ან ხელოვნებიდან მოდის; ან სულაც ფინანსურია. პირველ შემთხვევაში, ვერაფერს გავხდებით, მეორე შემთხვევაში, თვითონ უნდა უშველოს თავს, ხოლო მესამე შემთხვევაში, შეგვიძლია, ფული შევუგროვოთ, თუმც, შეიძლება იუკადრისოს“. ბოლოს იმით შემოიფარგლნენ, რომ სადმე საქმელად ან წვეულებაზე მიეპატიჟებინათ. ქალი სულ უარზე იდგა იმ საბაბით, რომ სამუშაო ჰქონდა. მაგრამ როდი მუშაობდა, იჯდა თავის ოთახში, რალაცას დასჩერებოდა და პლასტელინს ზელდა.

მართალია, სასონარკვეთილი იყო, მაგრამ ერთხელ მაინც მიიღო მოპატიჟება. იქ ახალგაზრდა მამაკაცს მოენონა, წვეულების შემდეგ სახლში გაცილება და მასთან ღამის გატარება მოუნდა. ქალი სიამოვნებით დასთანხმდა და უთხრა კიდევ, მეც მომენონო, მაგრამ უსათუოდ უნდა გაითვალისწინო,

რომ სიღრმე მაკლიაო. ამის შემდეგ კაცი განზე გადაგა.

ახალგაზრდა ქალი, რომელიც ერთ დროს მშვენივრად ხატავდა, თვალსა და ხელს შუა ნადგურდებოდა. არც ერთად იყო, აღარც სტუმრებს ღებულობდა, უმოძრაობის გამო გასუქდა, ალკოჰოლმა და აბებმა უცებ დააბერეს. ბინა აქოთდა, თვითონ საშინლად მჭახე სუნი სდიოდა.

ქალს მემკვიდრეობით 30000 მარკა ერგო. ამით სამი წელი იცხოვრა. ამ ხნის მანძილზე ერთხელ იმოგზაურა ნეაპოლში, თუმცა, არავინ იცის, ეს როგორ მოხდა. ვინმე თუ რამეს ჰკითხავდა, პასუხად რალაც უაზრო ბგერებს, გაბმულ „ბრბრბრს“ გამოსცემდა.

როგორც კი ფული გამოელა, დაჭრა და დასერა ყველა თავისი სურათი, ტელევიზიის კომპიუტერზე ავიდა და 139 მეტრის სიმაღლიდან გადაეშვა სიღრმეში. მაგრამ ამ დღეს ძლიერი ქარი ქროდა და ასფალტს კი არ დაასკდა, ქარმა მთელ შერეის მინდორზე გადაატარა ტყის პირამდე და იქ ნაძვებში ჩაფლა და იქვე განუტევა სული.

ბულვარული პრესა ხარბად დაენაფა ამ ამბავს. თავისთავად თვითმკვლელობა, შემდეგ საინტერესო საფრენოსნო მიმართულება, ის ფაქტი, რომ საქმე ეხებოდა ერთ დროს წარმატებულ მხატვარ ქალს, რომელიც ამავე დროს ლამაზი იყო – ყველაფერი ეს ხომ დიდი საინფორმაციო ღირებულების იყო. მისი ბინა ისეთ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ იქ „ფერწერული“ ფოტოები გაკეთდებოდა – ირგვლივ ნგრევის ნიშნები, ათასობით ცარიელი ბოთლი, დაფხრეწილი სურათები, კედლებზე პლასტელინის ბურთულაკები და კიდევ – ოთახის კუთხეებში ექსკრემენტები! რისკზე წავიდნენ და თვალში საცემი სათაურისა და სტატიის გარდა, კიდევ ერთი რეპორტაჟი მოათავსეს მე-3 გვედრზე.

სალიტერატურო ნაწილში მოთავსებულ შენიშვნაში, ან უკვე მოხსენიებული კრიტიკოსი ამ საქმესთან მიმართებით აღნიშნავდა, რომ მისი ღრმა რწმენით, ახალგაზრდა ქალს ასე შემზარავად უნდა დაემთავრებინა სიცოცხლე. „ისევ და ისევ, – წერდა იგი, – ჩვენთვის, დარჩენილებისათვის შემამოფოთებელი გარემოებაა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდას ცხოვრებაში თავის დასამკვიდრებელი ძალა არ შესწევს. ვერც სახელმწიფო დაგეხმარება და ვერც კერძო ინიციატივა, როცა საქმე ეხება საზოგადოების ნიაღში ადამიანის გაუცხოებას, თუნდაც, ხელოვნების სექტორში კარგი მრჩეველისაგან განდგომას და ზურგშექცევას. ყოველ შემთხვევაში, ჩანს, რომ მხოლოდ ინდივიდუუმში ძვეს ამ ტრაგიკული დასასრულის მიზეზი. განა მის პირვანდელ, ჯერ კიდევ გულუბრყვილო ნამუშევრებში არ გამოსჭვიოდა ის სახიფათო დაფანტულობა ინფორმაციის მომწოდებელი გამოსახვის ტექნიკით, რომელიც ფერთა არეულობაში, იმ შიგნით ჩაბრუნებულ, სპირალის ფორმით აკვიატებულ აზრებში და იმავდროულად ემოციურად გადატვირთულ ნახატებში იკითხებოდა და ამკარად მიანიშნებდა სიცოცხლეზე უარისთქმას? ანუ, უფრო ცხადად რომ ვთქვა, საბედისწერო და ძალდატანებით – იძულებით წვდომას სიღრმისა?“

AMNESIE IN LITTERIS

(ლიტერატურული ამნეზია)

რა შეკითხვა იყო? აა, ჰო, გამახსენდა: რომელმა ნიგნმა მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება, დაამახსოვრდა, ჩამებეჭდა თავში, შემძრა, სწორ გზაზე დამაყენა ან სულაც კალაპოტიდან ამომადგო?

მაგრამ ეს ხომ შოკის ან ტრავმული განცდის მომგვრელია, რასაც დაზარალებული, უკიდურეს შემთხვევაში შიშნარევ სიზმარში მოჰყავს აზრზე, მაგრამ არა ფხიზელ გონებაზე ყოფნისას და, მით უმეტეს, საჯაროდ წერილობითი მიმართვისას. რაზეც, მე მგონი, ჯერ კიდევ სამართლიანად მიუთითებდა აესტრიელი ფსიქოლოგი (ნეტავი რა ერქვა, ამ წუთას მისი სახელი ამომივარდა თავიდან), თავის მეტად საყურადღებო სტატიაში, რომლის ნაკითხვაც უთუოდ ღირს, მის სათაურსაც გარკვევით ვერ ვიხსენებ, მაგრამ ის ხომ იმ კრებულში დაიბეჭდა, რომლის საერთო სახელწოდებაა „მე და შენ“, ან „ის და ჩვენ“ ან „მე თვითონ“ ან რაღაც ამგვარი (მიჭირს თქმა – „როვოლტის“, „ფიშერის“, „დტვ“-ს თუ „ზურკამპის“ გამომცემლობაში გამოიცა ხელახლა, მაგრამ იმის კი ვიტყვი, რომ გარეკანი მწვანე-თეთრ ან ცისფერ-ყვითელ, ან სულაც მონაცრისფრო-მოლურჯო-მომწვანო ფერის იყო).

ამჯერად, იქნებ სრულებითაც არ არის ეს საკითხი წერილობითი კითხვის პრაქტიკისაკენ მიმართული, არამედ ხელოვნების იმ შემარყვეველ განცდას გულისხმობს, როგორც ეს ცნობილ ლექსშია – „მშვენიერი აპოლონ“... მას რაღაც სხვა ერქვა, სათაური რაღაც არქაული ჰქონდა, „ყმანვილი ტორსო“ ან „უძველესი მშვენიერი აპოლ“ ან რაღაც მსგავსი. მაგრამ საქმესთან ამას არაფერი აქვს საერთო... მაშასადამე, როგორც ამ ცნობილ ლექსშია, ვისი ლექსია... ვისი?... – ამ წუთას ვერც ავტორის სახელს ვიხსენებ, მაგრამ იგი ნამდვილად გამოჩენილი პოეტი იყო, რომელსაც წერილი, ფანტია უღვაშები და ძროხასავით თვალები ჰქონდა. და მან უშოვა ბინა „რიუდე ვარენზე“ იმ მსუქანა ფრანგ მოქანდაკეს (აბა, ახლა მას რა ერქვა?), ბინა რა მოსატანია – ეს სასახლეა პარკით, რომლის შემოვლას ათი წუთიც არ ეყოფოდა! (შესაბამისად ჩნდება კითხვა, რითი ახერხებდა ხალხი მაშინ ამხელა რამის შექმნას) – ყოველ შემთხ-

ვევაში... როგორც ეს ამ საუცხოო ლექსშია გამოსატყულო, რომლის ციტირება მთლიანად გამიჭირდება, თუმცა, მესიერებაში მისი ბოლო სტრიქონები წარუშლელად ჩამებეჭდა, როგორც სამუდამო ზნეობრივი იმპერატივი, რომელიც, სახელდობრ, ასე უღერს: „შენ უნდა შეცვალო შენი ცხოვრება“. ახლა, ერთი ვნახოთ, რომელზე ვიტყვით, რომ ამ ნიგნების ნაკითხვამ შეცვალა ჩემი ცხოვრება. ამ პრობლემისათვის ნათელი რომ მომეფინა, ნიგნების თაროებთან მივედი (აგერ, სულ რამდენიმე დღეა მას შემდეგ) და ნიგნების ყდებს შევაველე თვალი. ასეთ დროს, მაშასადამე ყოველთვის, როცა სპეცილიტერატურის უამრავი ეგზემპლარი ერთ ადგილზე თავმოყრილი და თვალი გიჭრელდება ნიგნების ამ სიმრავლეში, ჯერ თავბრუ მესხმის და თავბრუსხვევის შესაჩერებლად ნიგნების მასაში რომელიმეს, ხელთ რომელიც მხვდება – ვტაცებ ხელს, ისე ვეპყრობი, როგორც ნადავლს, გადავშლი, ვფურცლავ და ვინყებ კითხვას.

მალე ვხვდები, რომ კარგი არჩევანი გამომივიდა, ზედმინევით კარგი. ეს არის უზადო პროზის და ნათელ აზრთა დინების ნიმუში, შეზავებული უაღრესად საინტერესო, აქამდე უცნობი ინფორმაციებითა და საუცხოო მოულოდნელობებით სავსე. სამწუხაროდ, ამ წუთას, როცა ამას ვწერ, ვერ ვიხსენებ ამ ნიგნის სახელწოდებას, არც ავტორის გვარი მახსენდება და არც ნიგნის შინაარსი, მაგრამ, როგორც მალე ვნახავთ, საქმესთან ამას არაფერი აქვს საერთო, უფრო მეტიც: პირიქით, ხელს უწყობს მის ნათელყოფას. მაშასადამე, ეს არის არაჩვეულებრივი ნიგნი, რომელიც ახლა მე ხელთ მაქვს. ყოველი წინადადება აღმოჩენაა და მეც კითხვა-კითხვით მივლასლასებ ჩემი სკამისაკენ, ასევე კითხვა-კითხვით ვეშვები სკამზე, კითხვაში საერთოდ მავინყდება, რატომ ვკითხულობ, მხოლოდ უაღრესად ღირებულისა და სრულიად ახლის შემეცნების წყურვილით ვარ შეპყრობილი. ამ სიხალეს ფურცელ-ფურცელ ვანყდები. დროდადრო ტექსტში მინიმუმები, გასმული ხაზები ან მინდვრებზე ფანქრით მიჯღაბნილი ძახილის ნიშნები – წინამორბედი მკითხველის კვალი, რაც, სხვათა შორის, დიდად არ მეპიტნავება – ამჯერად, ხელს არ მიშლის, რამეთუ ისე მიმზიდველად მიდის თხრობა, ისე ცოცხლად იშლება ამბავი, რომ ფანქრის კვალს ველარც აღვიქვამ და თუ მაინც თვალში მხვდება, მხოლოდ თანახმიანობის გრძნობით ვეგებები, რადგან, როგორც ირკვევა, ჩემი წინამორბედი მკითხველი – არც კი მომსვლია თავში, ვინ შეიძლება ყოფილიყო – ისე ვამბობ, გამოდის, რომ ის ვიღაცა თავის ხაზებს და მინიშნებებს სწორედ იმ ადგილას სვამდა, რომლებიც მე ყველაზე მეტად აღმაფრთოვანებდა. და ასე, ამგვარად, ვაგრძელებ კითხვას ტექსტის აღმატებული ხარისხისა და ჩემს უცნობ წინამორბედთან სულიერი ნათესაობით ორმაგად ფრთაშესხმული, სულ უფრო ღრმად ვიძირები პოეტურ სამყაროში, სულ უფრო მეტად გაოცებული მივყვები იმ საუცხოო ბილიკს, რომელზედაც ავტორს გავყავარ...

ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც უთუოდ მოთხრობის კულმინაცია იწყება და, რომელმაც უნებლიეთ „აუჰ“ ნამომ-

აძახებინა. „აუჰ, რა კარგი მოფიქრებაა! რა მაგარი ნათქვამია!“ წამით თვალებს ვხუჭავ, წაკითხული რომ გავიაზრო, დაბინდული გონება ასე ერთბაშად რომ გამინათა, სრულიად ახალი პერსპექტივა გადამიშალა, ცნობიერებისა და ასოციაციების ახალი ნაკადი გადმომიფინა, თითქოს მართლაც „შენი ცხოვრება შენ უნდა შეცვალოს“ ნესტარი შემესო და ლამის ავტომატურად მიდის ჩემი ხელი ფანქრისაკენ და „შენ ეს უნდა გახაზო“, მიტრიალებს თავში, „ძალიან კარგია“ უნდა დანერო მინდორზე და მსხვილი ძახილის ნიშანი დაუსვა, რამდენიმე სიტყვით აზრთა მოზღვავება ჩაინიშნო, რომლებმაც პასაჟები აღძრა შენში, შენი მეხსიერების გასამტკიცებლად და ავტორის მიმართ რევერანსის ნიშნად, რომელმაც ასე დიდებულად მოგფინა შუქი!

მაგრამ ვაი, როგორც კი ფანქარი მოვიმარჯვე, ჩემი – „ძალიან კარგი!“ რომ მიმენერა, იქ „ძალიან კარგი!“ უკვე ენერა და კიდევ რაა? ის, რის ჩანერასაც მე ვაპირებდი ერთგვარი რეზიუმეს სახით, ჩემს წინამორბედ მკითხველს უკვე დაუტოვებია, თანაც ისეთი ხელწერით, ჩემთვის ერთობ ნაცნობი რომ არის, სახელდობრ, საკუთრივ ჩემი, რადგან ჩემი წინამორბედი სხვა ვინმე კი არ იყო, არამედ თავად მე. თურმე, კარგა ხნის წინ წამიკითხავს ეს წიგნი.

მაშინ უსიტყვო გოდება აღმომხდა. ძველმა სენმა – Amnesie in litteris – ისევ შემახსენა თავი: ლიტერატურული მეხსიერების სრული გაქრობა და შემეცნებისადმი ლტოლვის ამაოებამ, უიმედობის ტალღამ გადამიარა. რისთვის ვიკითხო, კიდევ ერთხელ რისთვის წავიკითხო ეს წიგნი, თუკი ვიცი, რომ მალე არაფერი მემახსოვრება, რაიმეს გახსენების ნიშანწყალიც აღარ დამრჩება? საერთოდ რისთვის ვაკეთო კიდევ რამე, თუ ყველაფერი არარად იქცევა? რისთვის ვიცხოვრო, თუ მაინც მოვკვდები? და მე ვხურავ ამ პატარა, ლამაზ წიგნს, ვდგები და ნაცემ-ნაბეგვივით მივჩანჩალე თაროსკენ და იქ დაწყობილი სხვა ანონიმური, მასობრივი და დავინყე-ბული ტომების რიგში ვჩურთავ.

მზერა თაროს ბოლოს დაწყობილ წიგნებზე შევაჩერე. რა დევს მანდ? ოჰ-ჰო-ჰო: სამი ბიოგრაფია ალექსანდრე დიდის. ერთ დროს მე ესენი ყველა მაქვს წაკითხული. და რა ვიცი ახლა ალექსანდრე დიდზე? – არაფერი. მეორე თაროს ბოლოში აწყვია სრული კრებული ოცდაათწლიან ომზე, მათ შორისაა გოლო მანის ხუთასგვერდიანი წიგნი ვერონიკა ვეჯვუდზე და ათასგვერდიანი ვალენშტაინზე. ყველა სულმო-უთქმელად მაქვს გადაკითხული. და რა ვიცი ახლა ოცდაათ-წლიანი ომის შესახებ? – არაფერი. ღია თაროებს შორის მოთავსებულ დახურულ თაროებზე წინ და უკან გავსებუ-ლია წიგნები ბავარიელ ლუდვიგ II-ზე და მის ეპოქაზე. ეს არათუ წამიკითხავს, მთლიანად მაქვს გადაღეჭილი, მთელი წელიწადი ვამუშავებდი და ბოლოს, ამ თემაზე სამი კინოსცე-ნარიც კი დავწერე. ის კი არადა, ლუდვიგ II-ის ერთგვარი ექსპერტიც კი გავხდი. მახსოვს კი რამე ახლა ლუდვიგ II-სა და მის ეპოქაზე? – არაფერი. სულ მთლად არაფერი. მაშ, კარგი, ლუდვიგ II-ს შემთხვევაში, ვფიქრობ ჩემთვის, ეს ტო-

ტალური ამნეზია კიდევ შეიძლება ასატანი იყოს, მაგრამ, აბა, როგორაა იმ წიგნების საქმე, რომლებიც აი, იქ აწყვია, საწერი მა-გიდის გვერდით, პრესტიჟული ლიტერატუ-რული გამოცემების განყოფილებაში? დამრჩა კი რამე მეხსიერებაში ანდერშის თხუთმეტ-ტომეულიდან? – არაფერი. რაიმე ბიოლის, ვალზერისა და კეპენის თხზულებებიდან? – არაფერი. ჰანდკეს ატომეულიდან? სრულე-ბით არაფერი. აბა, რა ვიცი „ტრისტრამ შენდის“, რუსოს „აღსარების“, ზომეს „გას-ეირნების“ შესახებ? – არაფერი, არაფერი, არაფერი. და აგერ! შექსპირის კომედიები! შარშან, წინა წელს ზედიზედ გადავიკითხე ყველა. რაღაცა ხომ უნდა დამრჩენოდა მეხ-სიერებაში, თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა, ერთი სათაური, შექსპირის ერთი რომელიმე კომედიის სათაური მაინც! – ა-რ-ა-ფ-ე-რი. მა-გრამ, ღმერთო ჩემო, მაშინ გოეთე, გოეთე მაინც, აგერ, ის, მაგალითად, თეთრი წიგნი – „არჩევითი ნათესაობა“, სულ ცოცა, სამჯერ მაინც მაქვს წაკითხული და თავში არაფერი მომდის. ყველაფერი თითქოს ჰაერში გაიფან-ტა. ნეტავ თუ არის ქვეყნად წიგნი, რომელზე-დაც რამე გამახსენდება? აგერ, იქ, ორივე ნითელი ტომი, სქელი წიგნები ნითელი ნაჭ-რის სანიშნით, ისინი ხომ უნდა ვიცოდე, ისინი ხომ ისევე სისხლხორცეულია ჩემთვის, რო-გორც ძველი ავეჯი, წაკითხული მაქვს ისინი, ამ ტომეულებით ვსულდგმულობდი კვირიდან კვირამდე, თანაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, კი მაგრამ, რა არის ეს, რა ჰქვია ამას? „ემ-მაკნი“. ჰოჰო, ასეა. აჰა. საინტერესოა. და ავ-ტორი ვინ არის? ფ.მ. დოსტოვესკი. ჰმ. აუ! მე მგონი, ბუნდოვნად მახსენდება. მოქმედება, როგორც ვიცი, მე-19 საუკუნეში ვითარდე-ბა და მეორე ტომში ვილაცა პისტოლეტით იკლავს თავს. სხვა მეტი არაფრის თქმა შემი-ძლია მის შესახებ.

საწერი მაგიდის სკამზე ვეშვები. რა თავის მოჭრაა, რას ჰგავს ეს! ოცდაათი წე-ლია, ვკითხულობ, ბევრი თუ არა, ზოგი რამ ხომ მაინც მაქვს წაკითხული და იქიდან რაც დამრჩა, ბუნდოვანი მოგონებებია მხოლოდ, ათასგვერდიანი უძლიერესი რომანის მეორე ტომში ვილაცა პისტოლეტით რომ იკლავს თავს. რა ტყუილად მიკითხავს ოცდაათი წელი! ჩემი ბავშვობის, ახალგაზრდობისა და მონიფულობის წლების ასი-ათასობით საათი კითხვას ვანდომებდი, იქიდან კი რა დამრჩა,

რა მივიღე, უსაშველო დავიწყების გარდა. თანაც არა ის, რომ სენი მომშვებოდა, პირიქით, კიდევ უფრო მიმძაფრდება. დღეს, როცა წიგნს ვკითხულობ, სანამ ბოლოში გავალ, დასაწყისი უკვე აღარ მახსოვს. ზოგჯერ მეხსიერების უნარი იქამდეც არ მყვება, რომ მეხსიერებაში წაკითხულის ერთი გვერდი მაინც შევინარჩუნო. და ვწრიალებ, აბზაც-აბზაც, ერთი წინადადებებიდან მეორეზე გადავდივარ. მერე იქამდე მიდის საქმე, რომ ცალკეულ სიტყვებს მაინც გონებით შემიძლია ჩავწვდე, რომლებიც მთლიანად ისევ და ისევ გაუგებარი ტექსტის ბნელეთიდან მოედინება, კითხვის დასრულების მომენტისათვის ჩამოვარდნილი ვარსკვლავით გაიკაშკაშებს, რათა მაშინვე სრული დავიწყების ბნელ ლეთარგიულ ნაკადში ისევ შთაინთქას. დიდი ხანია, პირის გაღებასაც ვერ ვბედავ, ლიტერატურულ დისკუსიებში სირცხვილით თავი რომ არ მომეჭრას. როდესაც მიორიკეს ჰოფმანსტალში, რილკეს ჰოლდერლინში, ბეკეტს ჯოისში ვურევ, იტალო კალვინოს იტალო სვევოსთან, ბოდლერს შოპენთან, ყორყ სანდს მაძამ დე სტალთან ვაიგივებ და ა.შ. როცა რომელიმე ციტატას ვეძებ, რომელიც თითქოს რა უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ გავიხსენო, აგერ, ენაზე მაღვას და მთელ დღეს წიგნების ფურცვლაში ვატარებ, რადგან არ მახსოვს ავტორი, ხოლო წიგნების გადაფურცვლაში, მივიწყებული ავტორების უცნობ თხზულებებში გონება იქამდე მებინდება, რომ ბოლოს ისიც მავიწყდება, რისი მოძებნაც მინდოდა. რანაირად შევძლებდი ამგვარ ქაოსურ სულიერ მდგომარეობაში ჩემი თავისთვის ნება დამერთო და მეპასუხა კითხვაზე – რომელმა წიგნმა შეცვალა ჩემი ცხოვრება? არცერთმა? ყველამ? რომელიღაცამ? – არ ვიცი, არა.

მაგრამ, ჩემს დასამშვიდებლად – ვფიქრობ ასე, სულაც არაა საჭირო კითხვისას (ისევე, როგორც ცხოვრებაში) გზის კარნახი, მიმართულებების ჩვენება და თავგზის ამბნევი ცვლილებებით იქნებ სულაც ვერც ნახვალ შორს. იქნებ კითხვა სულაც შემსრუტავი აქტია, რომლის დროსაც გონება მთლიანადაა ჩართული, მაგრამ ეს შეუმჩნეველად, ოსმოტურად ხდება ისე, რომ პროცესის აღქმა ვერ ხერხდება. ლიტერატურული ნაწარმოებების მიმართ ამნეზიით შეპყრობილი მკითხველი ძალიან კარგადაც იცვლებოდა კითხვის შედეგად, მაგრამ ამას ვერ ატყობდა, რადგან კითხვის დროს მისი ტვინის ის კრიტიკული ინსტანციებიც იცვლებოდა, რომელსაც მისთვის შეეძლო ეთქვა, რომ ის იცვლება. ხოლო იმათთვის, ვინც თვითონ წერს, შესაძლოა, ეს ავადმყოფობა გარკვეულწილად მაღლიც იყოს, დიახ, თითქმის აუცილებელი პირობა, რაც მთრთოლარე პატივმოყვარეობის გრძნობისაგან დაიფარავდა, თითოეული დიდი ლიტერატურული ნაწარმოები რომ შობს და სავსებით გაუმარტივებდა პლაგიატობისადმი დამოკიდებულებას, რის გარეშეც ორიგინალური არ წარმოიშობა.

ვიცი, ეს ყურით მოთრეული, უღირსი და ამაო ნუგეშია და შევეცდები, თავი დავალწიო ამას: შენ არ უნდა დანებდე ამ საშინელ ამნეზიას, ასე მგონია, მთელი ძალისხმევით უნდა შეაჩერო მდინარე ლეთეს ნაკადის შემოდინება, ყელამდე არ უნდა ჩაეფლო ნაწარმოებში, არამედ მასზე უნდა ამაღლდე და უნდა ნათელი, კრიტიკული გონებით ამონანერები აკეთო, იზეპირო, ავარჯიშო მეხსიერება, ერთი სიტყვით: – შენ უნდა – და აქ ერთი ცნობილი ლექსიდან მოვიყვან ციტატას, რომლის ავტორი და სათაური ამ ნუთას არ მახსენდება, მისი ბოლო სტრიქონები კი მუდმივ ზნეობრივ იმპერატივად სავსებით წარუშლელადაა ჩამარხული ჩემს მეხსიერებაში: „შენ უნდა“, ასეა იქ, „შენ უნდა... შენ უნდა...“

მაგარი სისულელეა! ლექსი სულ მთლად დამვიწყებია, მაგრამ არა უშავს, რადგან აზრი კარგად მახსოვს და არსი უსათუოდ ჩემშია. ეს უთუოდ იმის მსგავსი უნდა იყოს, ასე რომ უღერს: „შ-ე-ნ უნდა შეცვალო შენი ცხოვრება!“

გერმანულიდან თარგმნა როზეტა დანელიამ

ეს სიყვარულით, დაო

რეპორტაჟი თურქეთიდან

ვიტოლდ შაბლოვსკი

ვიტოლდ შაბლოვსკი პოლონეთში, 1980 წელს ოსტროვ მაზოვეცკში დაიბადა. ამჟამად ის ვარშავაში ცხოვრობს და მუშაობს. პროფესიით ჟურნალისტი და რეპორტიორია. თავის დროზე მსახურობდა TVN 24-ში, ჟურნალ „Duzy Format“-სა და „Zateta Wyborcza“-ში. ის ვარშავის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. პოლიტოლოგიას სტამბოლშიც სწავლობდა. შაბლოვსკი კარგად იცნობს თურქეთს, ვინაიდან სწავლასთან ერთად ის ამ ქვეყანაში, კერძოდ კი CNN Türk-ში მუშაობდა კიდევ. თურქეთისადმი მიძღვნილი რეპორტაჟისათვის – „ეს სიყვარულით, დაო“ Amnesty International-ის კონკურსზე, რომელიც ადამიანის უფლებების სფეროდანწყველაზე საუკეთესო ნაწარმოებებს გამოარჩევს, ის მედლით – „იმედის კალმით“ – დაჯილდოვდა. 2010 წელს შაბლოვსკი რეპორტაჟისათვის „დღეს აქ ორი გვამი მოცურდება“, – ევროპარლამენტის მიერ დანესებული ჯილდოს მფლობელი გახდა. ამ ჯილდოს ევროკავშირში შემოსული არალეგალური იმიგრანტების ცხოვრებაზე დანერილი საუკეთესო ნაწარმოებს ანიჭებენ.

1.

ჰატიცე პირს ჩადრით იფარავს, თითქოს ეშინია, იქიდან სიტყვები არ გადმოფრინდნენ. ლაპარაკი არ სურს. მას ასეთ თემაზე არასოდეს უსაუბრია. და არც ახლა უნდა ეს.

ვუხსნი, რომ არაფერი არ ემუქრება.

მაგრამ საქმე საფრთხეს როდი ეხება. ჰატიცემ უბრალოდ არ იცის, თუ როგორ მოჰყვეს იმ ყველაფრის შესახებ, რაც მას გადახდა.

აბა, როგორ მოჰყვეს მამაზე? მთელ მსოფლიოში მამებს უყვართ თავიანთი ქალიშვილები.

ჰატიცეს მამას კიმისი მოკვლა სურდა.

აბა, როგორ მოჰყვეს დედაზე? დედამ უნდა დაიფაროს ქალიშვილი საკუთარი სხეულით.

ჰატიცეს დედა კი ქმარს უყვიროდა: „როდის მოკლავ ამ კახპას?“.

აბა, როგორ მოჰყვეს ძმაზე, რომელიც მას სახლში დანით მიუვარდა?

როგორ მოჰყვეს დაზე, რომელთან ერთადაც გაიზარდა და რომელმაც ის არ დაიცვა?



მისი ქმარი, ახმედი ძლიერი რომ არ ყოფილიყო, ის ნამდვილად ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

მათ სახლში ვხვდებით. მოვილაპარაკეთ, რომ თუ არ ექნება საუბრის სურვილი, ძალას არ დავატან.

ჰატიცე აღმოსავლური ფორმის შარვალში მიღებს, თავზე მანდილი აქვს მოხვეული, რომელიც თმას უფარავს. ოცდაორი წლის ახმედს სქელი ულავაშები აქვს, ტანზე ფლანელის პერანგი აცვია. ხუთი წელიწადია, ცოლ-ქმარი არიან. მათი ოჯახი, ისევე როგორც ოჯახების უმრავლესობა, იმ სოფელში ღარიბი იყო. მაგრამ ისინი ძალზე ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

მათ ბინაში დგას ორი სკამი, ტახტი. კედელზე ხალიჩაა გაკრული. უფრო მეტი ვერ მოახერხეს. ბავშვები არ ჰყავთ. ისინი ბაზართან ახლოს ცხოვრობენ, სადაც შეგიძლია, იყიდო ბუსტული, საზამთრო, ყველი და პური. ახმედი იქ მუშაობს, თაფლს ყიდის. მეგობრები ჰყავს, ახალი ცხოვრება დაიწყო.

ძველი ცხოვრება ოთხი წლის წინ დაიწყო, როდესაც ახმედი ჯარში წავიდა. ჰატიცეს ამ დროს ქმრის დეიდასთან უნდა ეცხოვრა. დეიდა ქვრივია, ვაჟთან ერთად ცხოვრობს, ანუ ყველაფერი იდეალურად ეწყობოდა. აღმოსავლეთში ქალი მარტო არ უნდა ცხოვრობდეს, ეს მიუღებელია.

პრობლემა ისაა, რომ ახმედის წასვლის მეორე დღეს ჰატიცეს კარზე მეორე დეიდაშვილმა, აბდულამ დააკაკუნა. მას ეს არ უნდა გაეკეთებინა. ჰატიცემ კარი არ გაუღო.

მაშინ კი წავიდა, მაგრამ მეორე დღეს დაბრუნდა და კარებს ბრაზუნის დაუწყო.

– კარი გამიღე, თორემ ცუდად წავა შენი საქმე – ყვიროდა ის.

ჰატიცე გაქვავდა. არ იცოდა, რა ექნა. ეყვირა? აბდულა თავს მოისულელებდა და ყველაფერს უარყოფდა. დეიდასთვის ეთქვა? ქალს ვინ დაუჯერებდა?

ჰატიცე კარს მთელი ძალით აწვებოდა, რის გამოც აბდულამ უკან წასვლა გადანყვიტა. თუმცა, მეორე დღეს შურისძიება დაიწყო.

2.

როდესაც თვითმფრინავი დიიარბაქირში ეშვება, ვხედავ აქა-აქ მიმოფანტულ ქვებს, თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო.

ამ ვაკე ადგილის საზღვრები მონიშნულია ტიგროსის და ევფრატის ცისფერი ძაფებით, რომლებიც ძველი მესოპოტამიის საზღვრებს შეადგენდნენ. ადრეულ ეპოქებში ხალხი აქ ეძებდა ბიბლიური ედემის ნანგრევებს. აქ, ახლოს, პატრიარქები: აბრაამი და ნოე დაიბადნენ.

საქმეებს, რომლითაც დაკავებულნი ვართ, ახსოვთ ის დრო.

ქალაქში ძველებური შავი აგურით აშენებული კედლები დაყოლებული კარების გავლით შევდივართ. კედელი ათასი წლის წინათ ბიზანტიელებმა ააშენეს. გზისმკვლევს თუ დაუჯერებთ, ის ჩინეთის დიდი კედლის შემდეგ ყველაზე ცნობილია მსოფლიოში. მას ათასობით ტურისტი უნდა ათვალიერებდეს, მაგრამ არ ათვალიერებს. დიიარბაქირს ცუდი რეპუტაცია აქვს. ესაა იმ ქვეყნის დედაქალაქი, რომელიც არ არსებობს – ქურთისტანის. და ხალხის, რომელიც მზადაა, იარაღით ხელში იბრძოლოს იმისათვის, რომ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ ამ ქალაქს დიდი ბიზნესი გვერდს უვლიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქურთებმა შეწყვიტეს ბომბების დადება, ხოლო არმია მიმდებარე სოფლებს აღარ ესვრის, ბიზნესმენებმა მასაც მოაკითხეს. ქალაქში მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მისი მთავარი მოედნისა ბევრ ქვეყანას შემუშრდება. თანამედროვე მაღაზიებისა და ძვირფასი რესტორნების რაოდენობა ყოველთვიურად იზრდება, რამეთუ მოხმარების დემონი უკვე დიიარბაქირშიც დასახლდა.

მხოლოდ პატრიარქის წვერებიანი ბერიკაცები არ იღებენ ამ ყველაფერში მონაწილეობას. სხედან მეჩეთების გვერდით ხეთა ჩრდილში და საყვედურს გამოთქვამენ. მათ არ უყვართ ტელევიზორი, ფიჭური ტელეფონი, ჯინსები, მოკლე კაბები, სკოლა და გაზეთები. მათ არაფერი არ უყვართ, რაც მათ ცხოვრებას მკვეთრი ცვლილებით დაემუქრება. არც ის მოსწონთ, რასაც მათი ტრადიციების შეცვლა შეუძლია.

3.

ყოველ წელიწადს, თურქეთის აღმოსავლეთით, რამდენიმე ქალიშვილს კლავენ. ისინი რაღაც უცნაურ, გაურკვეველ ვითარებაში იხოცებიან. ქალიშვილები ღირსების მსხვერპლნი არიან, ტრადიციისგან განწირულნი, რომელიც ნათესავებს მათი შემარცხვენი ქალის მოკვლას უბრძანებს.

აისე გოკანი, ქურთისტანის ტელევიზიის ჟურნალისტი, ღირსების მკვლელობის შესახებ წიგნს წერს: – აქ კულტურა მამაკაცის ბატონობაზე დამყარებული. მისთვის ყოველი წინააღმდეგობის განწვევა სიკვდილით ისჯება.

აისე ფიგენ ზეიბაკი „კამერიდან“, ორგანიზაციიდან, რომელიც ოჯახური ძალადობის თავიდან აცილებას ცდილობს: – ამ ტრადიციას რამდენიმე ათასი წლის ისტორია აქვს. ის დაუნერული და ძალზე განუსაზღვრელია. ზოგჯერ ოჯახურ ღალატსაც კი პატიობენ, მაგრამ სხვა დროს ქალიშვილს იმიტომ სჯიან, რომ ჯინსით დადის.

– ეგ როგორ?

– სჯიან ქალიშვილებს, რომლებსაც დამოუკიდებლად ცხოვრება გადაუწყვეტიათ. ბოლო წლებში გაჭირვებამ უამრავი ოჯახი სოფლიდან დიარბაქირში გამოაძევა. ამას ხშირად ისეთი სახე აქვს, თითქოს აქ შუასაუკუნეები მოიტანესო. განსაკუთრებით დიდი შოკი ეს ახალგაზრდა გოგოებისათვისაა.

– ანუ?

– ისინი გლობალური სოფლის შუაგულში ხედებიან. ფიჭური ტელეფონი, ინტერნეტი... ხედავენ თანატოლებს, რომლებიც სახლიდან მამაკაცის თანხლების გარეშე გამოდიან, რომელთაც შეუძლიათ კარგად, მოდურად შეიმოსონ, ნაცვლად იმისა, რომ გამუდმებით შარვლებსა და ჩადრში იარონ. ხედავენ თანატოლებს, რომლებსაც კაცი ქორწინებამდე ჰყავთ და მათაც სურთ ასე იცხოვრონ.

ამ დროს მათი მამა გიჟსა ჰგავს. ქალიშვილის გაკონტროლება სოფელში არაა ძნელი. ქალაქში – ღმერთმა იცის, რა შეიძლება მას თავში მოუვიდეს. ხოლო ქალიშვილს, ნაცვლად იმისა, რომ დედამისით სახლში იჯდეს, სურს გასეირნება, სურს ახალი ფეხსაცმელი. ამიტომ ხოცავენ შედარებით თამამ, გაბედულ, გულლია გოგოებს.

ზუსტად იმ დღეს, როდესაც თვითმფრინავიდან მესოპოტამიას ვათვალიერებდი, სანურფაში მამამ ქალიშვილი მოკლა. რატომ? იმიტომ, რომ რადიოში თავის შეყვარებულს ფიჭური ტელეფონით მისალოცი წერილი გაუგზავნა. როდესაც ეთერში მისი სახელი და გვარი გაისმა, მამამ ეს გაიგო და თავი დამცირებულად იგრძნო.

ორი კვირით ადრე, სოფელ სილვანში, ქმარმა ცოლი მოკლა. საზოგადოებაში განაცხადა, რომ ქორნილის დროს ქალიშვილი არ იყო და არც საზოგადოებას გაუმტყუნებია ის.

4.

როდესაც აბდულა ჰატიცეს კარებზე აბრახუნებდა, იმ ადგილიდან ასი კილომეტრის დაშორებით სხვა დრამა თამაშდებოდა. მარდინის ახლოს, სოფელ იალიმში, ოცდათხუთმეტი წლის სემსე ალაკი ორმოცდათხუთმეტი წლის მამაკაცმა გააუპატიურა.

ხალხი ამბობს, რომ სემსე ცოტა თავის ჭკუაზე ვერ იყო. მარდინელი მალაზიის გამყიდველი ჰყვება, რომ მისი გონებრივი განვითარება ჩამორჩებოდა. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, სხვა სახის სიგიჟეა. ქსოვის მასწავლებელი, რომელიც მას იცნობდა, ამბობს, რომ სემსეს გათხოვება არ ენადა. ამიტომ თანასოფლელებს ის გიჟად მიაჩნდათ.

მოდლადეს ჰალილ აკილი ერქვა. ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. ის სოფლის განაპირად ცხოვრობდა.

მისი რუსკედლებიანი სახლის იქით ქვა-ლორლიანი მინდორი იწყებოდა.

სემსე მშობლებთან და ძმებთან ერთად სოფლის ცენტრში, მეჩეთისაკენ მიმავალი ქუჩის პირას ცხოვრობდა. როდესაც ქალი მინდვრიდან სახლში ბრუნდებოდა ჰალილის სახლი უნდა გაეგლო. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ჰალილს ის არ გაუუპატიურებია, ისინი ადრიდანვე ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ძალადობის ზღაპარი სემსემ შეთხზა, როდესაც თავის ორსულობაში დარწმუნდა. ჭორების თვინიერ ვერაფერი ადასტურებს იმას, რომ ეს ამბავი მართლაც ასე მოხდა – ვერც პოლიციის გამოძიება და ვერც ქალთა ორგანიზაციები. ისიც კი უცნობია, ჰალილს სემსე მოსწონდა თუ არა. ერთნი ამბობენ, რომ დიდი ხანია, რაც უყვარდა, სხვები, რომ მას იყენებდა და თან იმედი ჰქონდა, სურვილის შემთხვევაში თავს დაანებებდა, ეს ამბავი ხახვივით შერჩებოდა. სემსეს ვინმესთან რომც დაეჩივლა მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ, გიჟს მაინც არავინ დაუჯერებდა.

როდესაც ქალი დაფხმძიმდა, მისი ოჯახის წევრები ჰალილთან მივიდნენ და განუცხადეს: „ან დაქორწინდები ჩვენს ქალიშვილზე, ან შენც მოგკლავთ და მაგასაც“. კაცს ცოლი ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სემსეს ოჯახი ქორწილს იმამის კურთხევით მოითხოვდა.

საჯარო სამსახურის მოხელის წინაშე შეიძლება ერთ ქალზე იქორწინო, ღმრთის მსახურის წინაშე – ორზე ან სამზე.

ჰალილს ამ წინადადებაზე დათანხმება ენადა, მაგრამ სემსეს ოჯახმა დამატებით კიდევ რამდენიმე ათასი ლირა მოითხოვა. ეს კი ჰალილს უკვე აღარ შეეძლო. ამიტომ სემსეს ძმები ხელცარიელები გაბრუნდნენ.

თუმცა, მათაც და ჰალილმაც იცოდნენ, რომ საქმე ამით არ დამთავრდებოდა. შვილების მოყვარული ოჯახი თავისი ქალიშვილების ღირსებას ყოველთვის იცავს.

5.

თითქმის შეუძლებელია ღირსების მკვლევლობების გენეზისის კვლევა. სავარაუდოა, რომ მისი ფესვები ტომობრივ-თემურ წყობილებაშია საძიებელი. მამას შეუძლია, იმის მიხედვით მიიღოს ბელგა, თუ რამდენადაა მისი შვილი ქალიშვილი. თუ ეს ასე არ აღმოჩნდება, ქმარს მისი გაგდების უფლება აქვს. ასეთი ქალი არა მხოლოდ საკუთარ ოჯახს შეურაცხყოფს, არამედ ოჯახის დანარჩენი წევრების ტვირთადაც იქცევა. მომთაბარე ხალხისათვის იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც ოჯახის სხვა წევრების

შესანახი არიან, დიდი მნიშვნელობა აქვს, ბელგად მოცემულ ფულსაც ასევე. ალბათ ამიტომ, ამტიციებს ბევრი მეცნიერი, დაუნყეს მამებმა საკუთარ ქალიშვილებს ხოცვა.

ხოცავდნენ ასევე იმ ქალებს, რომლებსაც განქორწინება უნდოდათ – ასეთ შეთხვევაში ბელგა უნდა დაებრუნებინათ. კლავდნენ იმ ქალიშვილსაც, რომელიც არ ისურვებდა ოჯახის მიერ არჩეულ კაცზე გათხოვებას.

აისე ფიგერ ზეიბეკი ორგანიზაცია „კამერი“-დან: სემსე ალაკის ტრაგიკულმა სიკვდილმა მთელი თურქეთი აალებლა. მის კუბოსთან ნავიკითხეთ ჩვენი პროგრამა. ყოველ ქალს, რომელიც ჩვენ მოგვაკითხავს, გადარჩენის გარანტიას ვაძლევთ.

- და მერე?

- 2003 წლიდან ასორმოცდაათზე მეტი ქალიშვილი გადავარჩინეთ. თუ ოჯახს საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი ქალიშვილის მოკვლა, ჩვენ ის სხვა ქალაქში გადაგვყავს საცხოვრებლად. ამასთან, მისთვის ცხოვრების სახსარსაც ვეძებთ. ვეხმარებით ახალი ცხოვრების დაწყებაში. მის საცხოვრებელს ფხიზლად ვადევნებთ თვალს, რათა მისმა მშობლებმა თუ ოჯახის სხვა წევრებმა შური არ იძიონ. ბევრ ოჯახს აქვს ამის გაკეთების შესაძლებლობა. ორი წლის წინ ერთ-ერთი თემის ბელადის ქალიშვილი თავის შეყვარებულთან ერთად გაიქცა. ოცი ავტომანქანით გაეკიდნენ მას, ყველა დიდ ქალაქში ეძებდნენ. ბოლოს იპოვეს, მაგრამ მკვლელებს ფანჯრიდან გამოეპარა და დღესაც არ იციან, თუ სად ცხოვრობს.

- კი, მაგრამ, როგორ იგებთ იმას, ოჯახს გადაწყვეტილი აქვს თუ არა ქალიშვილის მოკვლა?

- ფსიქოლოგი გვყავს, რომელიც გვიჩვენებს, დაეჯერება თუ არა იმ ხალხს, რომელიც აცხადებს, რომ ქალიშვილს არაფერს არ ერჩის.

- გპირდებიან?

- ეს საკმაოდ რთული პროცესია. არ შეიძლება, შესვიდე სახლში და განაცხადო: „ხმები მოგვივიდა, ქალიშვილის მოკვლა გაქვთ განზრახული. არ გირჩევთ“. ჯერ ინფორმაციას ვაგროვებთ. თუ ოჯახი რელიგიურია, იმამთან მივდივართ. თუ მამა ფაბრიკაში მუშაობს, დახმარებას დირექტორს ვთხოვთ. ერთხელ ექიმი დაგვეხმარა, რომელიც ქალიშვილის ბეზარს მკურნალობდა. ერთხელ ოჯახთან დანათესავებულ მინისტრს ანკარადან ტელეფონზე დავარეკინეთ. ყველანი არწმუნებდნენ ოჯახს, რომ მოკვლა საჭირო არ იყო და არის პრობლემის გადაჭრის სხვა მეთოდებიც.

- ასეთ შემთხვევაში მშობლები როგორ იქცევიან?

- რამდენიმე დღის წინ, სანხურფას ახლოს, პატარა სოფელ ვინარშეხირში ვიყავი. ოჯახს ქალიშვილის

მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბიძამ ტელეფონით მისწერა: „გიჯობს, თავად მოიკლა თავი, თორემ ტანჯვით სიკვდილი არ აგცდება“. რატომ? იმიტომ, რომ სკოლაში ბიჭი უყვარდა, რომელიც მას ავტომანქანით ატარებდა. ეს კი სოფელში ნარმოუდგენელი ამბავია.

- და შემდეგ?

- ყოველთვის უცნაურად ვგრძნობ თავს, როდესაც ოჯახს მათი საკუთარი შვილის სიცოცხლის შენარჩუნებაზე უნდა დაველაპარაკო. მაგრამ უკვე საკუთარი მეთოდები მაქვს შემუშავებული. ვუხსნი, რომ მეც იქაური ვარ. რომ ჩემს ქალიშვილსაც ჰყავს შეყვარებული და სულაც არ ვფიქრობ ამ მიზეზით მის მოკვლას. ტელეფონით მის ფოტოსაც ვაჩვენებ. ვეუბნები, რომ მათემატიკას კარგად სწავლობს, მაგრამ თურქულ ენაში უჭირს. ამჯერად მამა დამთანხმდა და მოტყდა. დანყო საყვედურები, რომ ქალიშვილმა თურქული უნდა ისწავლოს. რომ მთელი ბოროტება სკოლას მიუძღვის, რადგან რაში სჭირდება ქურთს თურქული.

ყოველთვის ვცდილობ, მათში მიძინებული მშობლიური გრძნობა გავაღვიძო. ვეკითხები, ქალიშვილი დაბადებისას რითი ავადმყოფობდა? პირველად რომელი სიტყვა ნარმოთქვა: დედა თუ მამა? თუ მასში მშობლიური სიყვარულის გაღვიძებას შევძლებ, საქმე უკვე კარგად წავა.

- და მამინ შექელი ეს?

- შემპირდნენ, არაფერს დავუშავებთო. ქალიშვილმაც დაიფიცა, რომ სკოლიდან ყოველთვის უფროს ძმასთან ერთად დაბრუნდებოდა. თუმცა, ეს გარკვეული რისკია. გასულ წელს ჩვენთან ძალიან გახმაურდა აუსეგულ ალფასლანის შემთხვევა. ამ ქალის ქმარი პოლიციელებს შეჰპირდა, რომ ცხოვრებაში მეტად აღარ სცემდა. ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ ცემით სიკვდილამდე მიიყვანა.

6.

რა არის ღირსება? ამ შეკითხვით პროფესორმა იაკინ ერთურქმა აღმოსავლეთ თურქეთის მკვიდრთ მიმართა. პროფესორი მამინ გაეროს „განვითარებისათვის“ პროგრამის ფარგლებში მოხსენების მომზადებულთა ჯგუფში შედიოდა. ეს მოხსენება, სათაურით: „ღირსების მკვლევარების დინამიკა თურქეთში“ ამ თემაზე ყველაზე სრულყოფილი ნაშრომია.

1. „ღირსება, ესაა საბაბი, რისთვისაც ვცოცხლობთ. მის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს“ – ამბობს სანლურფის მკვიდრი ახალგაზრდა ქალი.

2. „შენი ღირსება შენი ცოლია“ – სტამბულელი 25 წლის მამაკაცი. მან სიტყვა „ცოლის“ ნარმოთქმისას სიტყვა ჰელაღინი იხმარა, ანუ არსება, რომლის მიმართაც უფლება გაქვს.



3. „როგორც ამბობენ უფროსები, მამაკაცისათვის ყველაზე ძვირფასი საგნებია ცხენი, ქალი და იარაღი. თუ ქალი გადანყვეტს, გილატოს, ეს ნიშნავს, რომ შენი ღირსება დაგიკარგავს“ – ამას ადანელი 39 წლის მამაკაცი ამბობს.

4. „ღირსება ჩემთვის ყველაფერია... ცოლი რომ მყადეს, ის იქნებოდა ჩემი ღირსება. ჩემი დაც ჩემი ღირსებაა, ისევე, როგორც ჩემი ღვიძლი ნათესავები – ჩემი ბიძაშვილი გოგოები და ჩემი ძალოები. ყველაფერი ის, რაც ხდება ჩემი და ჩემი ოჯახის ირგვლივ, ჩემი ღირსებაა“ – ეს ბატანელი 34 წლის მამაკაცის აზრია.

5. „ღირსეული ქალი მიჯაჭვული უნდა იყოს ოჯახზე და თავის ქმარზე. მან ისეთი არაფერი უნდა გააკეთოს, რაც ხალხში ეჭვს აღძრავს, ისეთი ამბები არ უნდა მოჰყვეს, რომელიც მის სახლში ხდება. ის არ უნდა წავიდეს სახლში და დედას არ უნდა უთხრას: „დედიკო, ქმარი მცემს“, ანდა „განქორწინება მინდა“ – ბატანელი, 25 წლის ქალი.

მაგრამ სიტყვა „ღირსება“ მაინც ყველაზე უკეთ სტამბოლელმა ახალგაზრდა კაცმა დაახასიათა: „როდესაც სიტყვა „ღირსებას“ ვიგებ, ჩემს გონებაში მხოლოდ ქალი წარმოდგება. სხვა არაფერი“.

ანკარელი ლიბერალური ჟურნალისტი: – მათთვის ღირსება ქალის ფეხებზეა ძევს.

პროფესორი ერთურქი შენიშნავს, რომ ყველაზე რადიკალურნი და მკაცრნი ქალების მიმართ თექვსმეტი-ოცი წლის ასაკის ვაჟები არიან.

7.

ყველაფერი ჭორიდან იწყება. მე ამ თემაზე ქურთი რეჟისორი მეჰმედ საით ალფასლანი, სემსე ალლაკის სიკვდილის თაობაზე გადაღებული ფილმის რეჟისორი, მესაუბრა.

ჭორი უეცრად იბადება. ის შეიძლება წარმოშვას უბრალო შეხედვამ ან გაღივებამ, როდესაც ქუჩაზე მამაკაცი გადადის. თუმცა, ზოგჯერ ეს საბაბიც არაა საჭირო. საკმარისია, ერთმა რაღაც სიტყვა თქვას, მერე კი მეორემ დაუმატოს.

ჭორი თავდაპირველად შევარდენსა ჰგავს: მალლა, ჰაერში დაფრინავს. ამ სიმალიდან მას არ ძალუძს, ვინმეს ზიანი მიაყენოს. ზოგჯერ ისე გადაიფრენს, რომ მეტად აღარ გამოჩნდება.

მაგრამ ჭორი ზოგჯერ ფრენას ანელებს და დაბლა ეშვება, ადამიანებამდე, და მათ ბოლმით, ღვარძლით, სევდით, შურით ავსებს. ბოროტი ადამიანები კვებავენ მას, მანამდე, ვიდრე იმდენად არ მოლონიერდება, რომ სოფელზე დაეშვას.

ის მსხვერპლს მხეცივით ეპარება. ამ სანყალმა ჯერ კიდევ არაფერი იცის, თუმცა, მისი განაჩენი უკვე

გამოტანილია – ჭორი, წყევლა, ხანჯალი. მკვლელმა უკვე დანა აღესა.

მნიშვნელობა არა აქვს, ეს ამბავი მართალია თუ არა. ვის მოუვა აზრად, რომ შეამონმოს. მნიშვნელოვანია, რომ ღირსებას ჩრდილი არ მიადგეს¹.

ჭორი სიმართლეზე უფრო მნიშვნელოვანია. სიმართლე ადამიანს სასჯელისაგან ვერ ათავისუფლებს. მნიშვნელოვანი ოდენ ისაა, რასაც ამბობენ.

ამის გამგონეს დიარბაქირის ქუჩებში სეირნობა მიჭირს, უფრო ვინრო შუკებს ვამჯობინებ. აქ ბავშვები ლანჩავარდნილი ფეხსაცმელებით დადიან, მათი დედები კი მთელ დღეს უსაქმურობასა და მეზობლებთან ჭორაობაში ატარებენ. ირგვლივ არაფერი ხდება. და მოულოდნელად ჰორიზონტზე გამოჩნდება მწვანე წერტილი. ის იზრდება, მაგრამ არცერთ ნაცნობ სილუეტს არ ემსგავსება, გონება ეძებს შესაფერის სიტყვას. და პოულობს: ყაბანცი, უცხოელი.

თავდაპირველად ბავშვების ჯგუფს ვხვდები. რალაცაზე კამათობენ, ჩხუბობენ. კანფეტს და დოლარებს მთხოვენ, თუმცა, ამას უფრო ხუმრობით აკეთებენ, ვიდრე იმის იმედით, რომ მათ რამეს მიცემ. რალაც მაინც ხდება და ბოლოს და ბოლოს შეიძლება მოწყენილობის მოკვლა.

მათი დედები ახალგაზრდები არიან, სადღაც ოცი-ოცდახუთი წლის. იცინიან. მათაც არ იციან, მოწყენილობისაგან რა გააკეთონ. სიამოვნებით ისაუბრებენ, მაგრამ ამ ადგილებში საუბარს მამაკაცი იწყებს.

რა უნდა ვუპასუხო მათ გაღივებას? სურვილი კი მაქვს. მიყვარს ასეთი შეხვედრები. მაგრამ ზუსტად ასე წარმოიშობა ჭორი.

შემდეგ ვილაც იტყვის, რომ ერთ-ერთი უფრო ხშირად და უფრო ფართოდ მიცინოდა, ანდა ხუთი წამით უფრო მეტს მიყურებდა. რალაც აბსურდულად გამოთქმული საყვედური, შესაძლოა, ვილაცას სიცოცხლის ფასად დაუფჯდეს. იქნებ ეს გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გამორიცხული არაა, ჩემს გაღივებას ვილაც ემსხვერპლოს. ამიტომ თვალებს ძირს ვხრი და გზას ვაგრძელებ.

8.

ჰატიცეს თავზე ჭორი, როგორც არწივი, ისე ლივლივებდა. ყოველი თურქული სოფლის შუაგულში არის პატარა საჩაიე, სადაც მამაკაცები მთელ დღეს ატარებენ. იქ აბდულამ რამდენიმე კაცს უჩურჩულა, რომ აჰმედს ცოლი ლალატობსო.

– ქმარმა როგორც კი სახლი დატოვა, ქალმა დამპატიყა! დღესაც მასთან მივიდვარ!

¹ ცეზარის ფრთიანად ქცეული ფრაზა გამახსენდა: კეისრის ცოლი ეჭვებზე მალლა უნდა იდგესო – მთარგმ.

სოფლებში, სადაც მთელი დღეების განმავლობაში არაფერი იცვლება, კაცებს უყვართ ასეთი ამბების მოყოლა. რეგიონებში, სადაც ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე, ხალხი განსაკუთრებული ყურადღებით სწორედ უღირსო ადამიანებს უსმენს.

აბდულას მეგობრებს ალტაცება იპყრობთ ამის გაგებისას – ცაპკინ სენი, აბი! – შენ ყოფილხარ, ვინც ყოფილხარ, ძმაო!

შემდეგ კი ამ ყოველივეს თავის ამხანაგებს უყვებიან, ისინი თავისებს. გადის რამდენიმე კვირა და სოფელში ამის მეტი სალაპარაკო არა აქვთ.

მთელი ეს დღეები (და ღამეები) ყოველივე ამის უცოდინარ ჰატიცეს დიდი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა, ისე უნდა გაემაგრებინა კარები, რომ აბდულა მის ოთახში ვერ შესულიყო.

9.

არსად, მთელ მსოფლიოში, ძმას ისე არ უყვარს თავისი და, ბავშვებს – მშობლები, ხოლო მშობლებს – შვილები, როგორც ქურთებს; ყოველ შემთხვევაში, ისინი ასე ლაპარაკობენ. მაშ, როგორღა ხდება, რომ მამები თავიანთ ქალიშვილებს ხოცავენ, ხოლო ქმრები – ცოლებს?

სიყვარულით.

აიტყვენ სურმა, დიიარბაქირის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის პროფესორმა, ამ თემაზე კვლევა ჩაატარა. მან ღირსების მკვლევლობის ჩამდენი ათეულობით პატიმარი მოინახულა. მათი უმეტესობა გისოსებს იქით მთელ დანარჩენ სიცოცხლეს გაატარებს. პროფესორმა ყველას ერთი და იგივე შეკითხვა დაუსვა: -ღირსების მკვლევლობა – ეს არაა აფექტის დროს ჩადენილი, როდესაც ქმარი ცოლს საყვარელთან მიუსწრებს, რევოლვერს დააძრობს და ისვრის. ეს ფრიად გააზრებული პროცესია. თავდაპირველად გვარის უფროსობა იკრიბება, რადგან ეს კლანური სტრუქტურის ფარგლებში ხდება. ლაპარაკობენ მომხდარზე და გადანყვეტილებას იღებენ. შემდეგ ჯალათს გამოყოფენ. მამა ან ქმარი ხშირად განაჩენს არ ეთანხმება, მაგრამ გვარის უფროსობა მათთან კამათშიც კი არ შედის, რადგან შესაძლოა, გეგმები ჩაშალოთ. მომხდარა, რომ ქმარი, რომელსაც არ სურდა ცოლის დასჯა, მასთან ერთად მომკვდარა.

– ეს მკვლევები ვინღა არიან.

– ოჯახის რომელიმე ახლო ნათესავი. ბევრი მათგანისათვის ეს ცხოვრებაში პირველი მკვლევლობაა. ხშირად შოკში ვარდებიან ჩადენილის გავლენით.

– და რას ამბობენ?

– რომ სწორად მოიქცნენ. რომ ოჯახის ღირსების შელახვისათვის სასჯელი სიკვდილი უნდა იყოს.

მთელი საზოგადოება არწმუნებს მათ ამ საქციელის სისწორეში. საყურადღებოა, რომ ის პატიმრები, რომლებიც ამ მუხლით არიან გასამართლებული, ციხეში ირგვლივყოფთა პატივისცემით სარგებლობენ. ჩვენს ანკეტაში ერთი კითხვა ასე იყო ჩამოყალიბებული: „დღეს რას ეტყობი შენს ცოლს/დას/ქალიშვილს?“. ბევრმა არ იცის, რა უპასუხოს. მანამდე მის შესახებ ამბობდნენ: „ის ქალი“. ახლა ეს უშუალოდ მათ ეხებოდა. მათი პასუხი იყო: „ვეტყობი, რომ მიყვარს, რომ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. და ვიცი, რომ მას ესმის ჩემი“.

– და როგორ ხსნის იმას, რაც ჩაიდინა?

– ველაპარაკე ძმას, რომელმაც და მოკლა, რადგან მას ლიცეუმში ბიჭი შეუყვარდა. ნორმალური ბიჭი იყო, ის თავისუფლებისას იმაზე ოცნებობდა, რომ მძლოლი გამხდარიყო. შევეკითხე, ბავშვობის სიყვარულისათვის სასჯელი ნამდვილად სიკვდილი უნდა იყოს-მეთქი? რაზედაც მან ასე მიპასუხა: „მან ჩემი ღირსება შებღალა. ღირსება კი ჩემთვის უმთავრესია“. ვფიქრობ, რომ დღეს ეს მსგავსი მკვლელობების უმთავრესი მიზეზია. სოფლებში, სადაც არც სამუშაოა, არც ფული და პერსპექტივა, ხალხს მხოლოდ ღირსებალა დარჩენია. მათ, რომლებსაც გაუშართლათ, ერთიცა აქვთ, მეორეც და მესამეც, იშვიათად აკეთებენ მსგავს რამეს.

10.

ჰალილმა უკვე იცოდა, რომ ძალადობა ასე იოლად არ ჩაივლიდა და რომ საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. შეეცადა, იმამის მხარდაჭერა მიეღო. ერთნი ამბობენ, რომ იმამმა ის ახლოს არ გაიკარა, სხვები, რომ თავდაპირველად უარი განაცხადა, შემდეგ კი ჰალილთან და სემსეს ძმებთან კაცი გაგზავნა და მათ მორიგებას შეეცადა.

ამასობაში ჭორი სოფელ იალიმის მკვიდრებზე ზემოქმედებდა. ხალხი ამბობდა, რომ სემსემ შეაცდინა ჰალილი. რომ ქალი, რომელსაც მის ასაკში ქმარი არა ჰყავს, ნამდვილად ბოზია. ხოლო რადგან ასეთია, ის უნდა დაისაჯოს.

დროთა განმავლობაში ჭორი ისე მოძლიერდა, როგორც ლომი. სემსეს გვარის კაცები საიდუმლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს და გადანყვიტეს, რომ ქალი უნდა მომკვდარიყო. ყოველ შემთხვევაში, იალიმის მცხოვრებნი ასე ლაპარაკობენ.

მაგრამ ჰალილმა ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც არავინ ელოდა.

11.

თითქმის ყველა ღირსების მკვლევლობა მუსლიმანებისაგან არის ჩადენილი. ეს როგორ მიმართება-

შია ისლამთან? ნუთუ ისლამი მოითხოვს უდანაშაულო ქალების ხოცვას?

ამის პასუხს დიიარბაქირის ოლქის იმამთა პროფესიონალურ კავშირში ვეძებ. კავშირის ევკალიპტივით მაღალი თავმჯდომარე ზაჰიბ გილკურანი მიხსნის, რომ თუ ვინმე თავის ცოლზე ეჭვს მიიტანს, სახლისკენ უნდა გაეშუროს ოთხ სანდო კაცთან ერთად და თუ მას მართლაც მიუხსრებს ასეთ საქმეზე, სასამართლო ქალს სიკვდილამდე ციხეს მიუსჯის.

- ყურანში ერთი სიტყვაც არაა სიკვდილით დასჯის თაობაზე - მეუბნება იმამი ზაჰიბ გილკურანი. მას ამ თემაზე მეტი არაფრის თქმა არ სურს, ამიტომ ჩვენი საუბარი დასასრულისაკენ მიდის. მხოლოდ მცოვან იმამს, რომელიც იქვე ახლოს ზის, სურს რაღაცის დამატება. მას სულეიმან ბაზნაბაზი ჰქვია და თითქმის მთელი სიცოცხლე დიიარბაქირის ახლომდებარე სოფელში მუშაობდა.

- ყველა ქალმა იცის, რომ შეუძლია, ჩემთან მოვიდეს, თუ საფრთხეა იგრძნობს - ამბობს ის. - თუ ქალი საფრთხეშია, ვცდილობ, მის ოჯახს დაველაპარაკო. ზოგჯერ საკმარისია, ამ საქმეში ვინმე ჯანსაღად მოაზროვნე ჩაერიოს, რომ დანაშაული თავიდან იქნას არიდებული. თუ ოჯახი რელიგიურია, მე ყოველთვის მომისმენენ.

- ხოჯა, რას გულისხმობთ?

- აი, მაგალითად, გოგონა გაიქცა თავის ბიჭთან ერთად. „მოვკლავ მაგას“ - ყვირის მამამისი. მე მას ვეკითხები: „კი, მაგრამ, რატომ არ ათხოვებთ მაგ ბიჭზე? მისი ოჯახი ბევრ ფულსა და ცოტა მიწასაც მოგცემთ, ღირსებასაც შეინარჩუნებთ, გავა რამდენიმე წელიწადი და ამ ამბავსაც ყველა დაივიწყებს. თქვენი ვაჟიც მკვლელობისათვის ციხეში არ ჩაჯდება“. და ისინი ამაზე თანხმდებიან. აი, სხვა მაგალითიც: ბიჭმა გოგო გააუპატიურა. მაშინ ეს გოგო ცამეტი წლის იყო. მის ოჯახს არ სურდა ამ ამბის სააშკარაოზე გამოტანა, მაგრამ მალე ყველა ძალღმობა და მამაძალღმობა იცოდა. ვურჩიე, გააყოლეთ გოგო, ბიჭი ციხეში არ წავა და გოგოც პატიოსნებას შეინარჩუნებს მეთქი.

- გაეყოლებინათ? გააუპატიურებლისთვის?

- შვილო, მე მას ამგვარად სიკვდილი ავარიდე. და იცი, რა აღმოჩნდა?

- გისმენთ, ხოჯა...

- მათ ერთმანეთი უზომოდ შეუყვარდათ. გოგო მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ხოჯა, იცი რა ბედნიერი ვარ?!“. მას უკვე აღარც კი ახსოვდა ის, რაც მოხდა.

- ხდება ხოლმე, რომ ასეთი შუამავლობა არა სჭრის?

- იყო ასეთი შემთხვევა. გოგოზე თავისივე ბიძამვილმა იძალადა. ვიდრე მოლაპარაკებები დაიწყებო-

და, გოგო ჩემს სახლში დავაპატიჟე. ნახევარი წელიწადი ჩემთან და ჩემს ცოლთან ცხოვრობდა. ბიჭის მშობლებს ვუთხარი, მეორე ცოლის მოყვანის უფლებას ვაძლევ-მეთქი. მხოლოდ წინდის განსაზღვრის საკითხი რჩებოდა გადასანყვეტი. ბიჭს უნდოდა მისი ცოლად შერთვა. თუმცა, არ იყო იძულებული. ძალზე მდიდარი ოჯახიდან იყო. მამამისს შეეძლო, მისი დანაშაულის სანაცვლო გამოსასყიდი გადაეხადა.

- და რა მოხდა?

- პირველმა ცოლმა საშინელი ამბავი ატეხა. სახე დაიმახინჯა და განაცხადა, რომ მოკვდებოდა და ამას არ დაუშვებდა. გოგოს მშობლებს კი სულაც არ სურდათ ბავშვის გაჩენას დალოდებოდნენ. გატყუეს ჩემი სახლი, მოიტაცეს გოგო და დაახრჩეს.

12.

ჰატიცეს გვარის უფროსობა აბდულაჰის მიერ გავრცელებული ჭორის განსახილველად შეიკრიბა. მათი გადანყვეტილება ურყევი იყო: გოგო უნდა მომკვდარიყო. შეუშვა კაცი ოთახში თუ არა, ამას უკვე მნიშვნელობა არა ჰქონდა, ჭორს უკვე ღრმად გაედგა ფესვები.

ამ დროს ახმედი სამხედრო სამსახურში იყო. მისთვის არავის არაფერი უთქვამს ამის თაობაზე. სასჯელის აღსრულება ჰატიცეს ძმას, მეტინეს დაავალეს.

მეტინე დილით ადრე, მაშინ მივიდა, როდესაც ჰატიცე ძროხას წველიდა. ქალს უკნიდან მიეპარა და ყელზე დანის გამოსმა დაუპირა. მაგრამ ეს მას არ შეეძლო. ბიჭი ხომ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო. ადრე მას პირუტყვი კი დაეკლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს გაცილებით ადვილი ყოფილა, ვიდრე ადამიანის მოკვლა.

ჰატიცემ თავი მოატრიალა და დანით ხელში ძმა დაინახა. მან არ იცოდა, თუ რატომ მოვიდა მის მოსაკლავად. მაგრამ ქალმა ამ რაიონში არც უნდა იცოდეს ამის მიზეზი. ისინი მსგავსი სურათების მონემენი პატარაობიდანვე ხდებიან. ჰატიცემ იცოდა, რომ თუ მისი სასიკვდილო განაჩენი გამოტანილია, მას, ადრე თუ გვიან, მაინც მოკლავდნენ. ამიტომ ის წამოხტა და გაიქცა.

მთელი ძალ-ღონით გარბოდა დიიარბაქირისაკენ. იქამდე კი შვიდი კილომეტრია. თავადაც ვერ იხსენებს, თუ როგორ ჩააღწია ქალაქამდე, სადაც პოლიციის განყოფილებას მიადგა.

პოლიციელი დაინტერესდა, თუ რა მოხდა.

- ჩემ ძმას უნდოდა ჩემი მოკვლა.

- თქვენ საიდან იცით?

- ჩემს უკან იდგა დანით.

- იქნებ დანის თხოვნა უნდოდა?

- არა, საგანგებოდ ჩემს მოსაკლავად მოვიდა.



- რაში გადანაშაულებთ?
- არ ვიცი.

- თუ თქვენ არაფერი ისეთი არ გაგიკეთებიათ, ნამდვილად არ მოგკლავდათ - გაიცინა პოლიციელმა და სახლში დაბრუნება ურჩია.

საბედნიეროდ ჰატიცეს ადრე ყური ჰქონდა მოკრული ორგანიზაცია „კამერას“ თაობაზე. მისი მოძებნა გადანყვიტა.

ეს ადვილი არ იყო. ქალაქში აქამდე მარტო არასოდეს ყოფილა. არასოდეს ცდილა, რომელიმე ორგანიზაციის თუ ქუჩის პოვნას. ვინმესთვის რომ ეკითხა ამის თაობაზე, ეს, შესაძლოა, ცუდად დასრულდებოდა. გოგო მარტომარტო ქალაქში? ეს ხომ ტიპიური სურათი არაა.

როგორღაც შეძლო ამ ორგანიზაციის პოვნა. ფონდის ოფისში მოსამსახურებმა მოუსმინეს მას, თავშესაფრის პოვნაში მიეხმარნენ და შუამდგომლობასაც შეჰპირდნენ.

13.

ბოლო დრომდე ღირსების სიკვდილი ოჯახი საქმე იყო, რომელში ჩარევის უფლება არავის არ ჰქონდა. მაგრამ თურქეთში რამდენიმე მასმედიის კამპანია გაიმართა და პლაკატები შორეულ სოფლებშიც კი გამოიკრა. გარდა „კამერისა“ დიარბაქირში ოცდაათზე მეტი ანალოგიური ორგანიზაცია წარმოიქმნა. ისინი ქალებისთვის დახმარების აღმოჩენას ისახავდნენ მიზნად. დღეს უკვე ყველამ იცის, თუ ვის უნდა მიაკითხოს გაჭირვების დროს.

მთავრობაც ცდილობს, აიძულოს ოჯახები, ქალიშვილები სკოლაში გაგზავნონ. ღირსების სიკვდილი უპირველესად უნიგნურ ქალიშვილებს შეეხოთ. ისინი, ვინც ასე თუ ისე განათლება მიიღო, ახერხებენ მშველელის პოვნას. აქციაში, „ყველა გოგო სკოლაში“, იმამებიც კი ჩაერთვნენ.

მაგრამ ოჯახებმა, რომელთა ღირსებაც შებღალული აღმოჩნდა, სხვა მეთოდებს მიმართეს ღირსების აღსადგენად.

როგორც პროფესორი აიტეკინ სური წერს, ჩვენს რეგიონში საშიშად იზრდება ქალიშვილების თვითმკვლელობების რაოდენობა. მთელ მსოფლიოში ბიჭები უფრო ხშირად იკლავენ თავს. ჩვენთან კი უკვე სხვაგვარი მდგომარეობაა. დავაკვირდით ამ მოვლენას. მარდინში ახალგაზრდა ცოლმა თავში ისროლა ტყვია. მცირე გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ცაცია იყო და მარჯვენა მხრიდან ვერაფრით ვერ მოიხვედრებდა ტყვიას. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქმარმა მოკლა. სხვა დროს ქალმა ზურგში დაიხალა ტყვია.

- ეგ როგორ?
- ის გოგობმა მოკლეს, ხოლო შემდეგ ამ ამბის

გასაღება თვითმკვლელობად უნდოდათ. ან უბედურ შემთხვევად. ქალაქის გარეუბანში ტრაქტორმა გადაუარა გოგოს. „უბედური შემთხვევა“ - განაცხადა ოჯახმა. როდესაც ექიმებმა კარგად შეისწავლეს გვამი, აღმოჩნდა, რომ ტრაქტორს თოთხმეტჯერ ჰქონდა მასზე გადავლილი.

2006 წელს, აისე გუკანმა თითქმის ყველა ახალგაზრდა თვითმკვლელი ქალიშვილის გვამი შეისწავლა. ასეთი შემთხვევის მონმე გავხდი, აცხადებს ის: ახალგაზრდა ცოლი, ვიდრე მოკლავდნენ, რამდენჯერმე მივიდა პოლიციაში და განაცხადა: „ქმარს ჩემი მოკვლა უნდა“. მაგრამ პოლიცია არავითარ ზომებს არ იღებდა და მას კვლავ სახლში აბრუნებდა. მალე მოკლეს კიდევ. წავიკითხე ოქმი: თვითმკვლელობა. პოლიციელებისთვის ხელსაყრელია ასე ჩანერონ, ვინაიდან თავად არიან ამ საქმეში დამნაშავენი. პრობლემა ისაა, რომ ისინიც ამ საზოგადოების წევრები არიან. მართალია, მუნდირი აცვიათ, მაგრამ თავში მათაც ის აზრები უტრიალებთ, რაც ასეთი უბედური ქალების მამებსა თუ ძმებს.

ორგანიზაცია „კამერის“ თანამშრომელი, აისე ფიგენ ზეიბეკი ამბობს, რომ თურქეთის ევროკავშირში შესვლის მოწინააღმდეგეები აცხადებენ: ისინი ქალებს ხოცავენ, ნებას არ დავრთავთ კავშირში შემოვიდნენ. მე კი ვამბობ: არაფერი ისე არ დავგვხმარებია ჩვენს საქმიანობაში, როგორც კავშირში განევრიანების პერსპექტივა. ამან ათობით ქალიშვილს სიცოცხლე შეუნარჩუნა. სწორედაც უნდა შევიდეთ, რათა შევძლოთ ამ უბედურებას შედეგინად ვებრძოლოთ.

14.

იცოდა რა, რომ ოჯახი მას ცოცხალს არ დატოვებდა, სემსე თავის გამაუბატიურებელი ჰალილის ოჯახში გაიქცა. ზოგი ამბობს, რომ ჰალილმა ის მიიღო, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ზოგის აზრით, ასე იმიტომ მოიქცა, რომ უყვარდა. სემსე სარდაფში დამალა, ხოლო ჰალილმა მის ძმებს განუცხადა, რომ წარმოდგენა არა აქვს, თუ სად შეიძლება იყოს სემსე. შემდეგ მან ისეთი გეგმა შეადგინა, რომელიც ორივეს გადაარჩენდა. სემსემ ღამე მინდორში გაატარა. მას სურდა, შარაგზაზე ისე გასულიყო, რომ სოფლისათვის გვერდი აევიღო. იქიდან კი ავტობუსს ან გამვლელ მანქანას მარდინამდე გაჰყვებოდა. ის, თუ შემდგომში ჰალილს რისი გაკეთება ენადა, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიტყობთ.

ზოგი ამბობს, რომ სოფელი ძალღმა გააღვიდა. სხვების აზრით, ვილაცამ სიბნელეში მინდორში მიმავალი ლანდი შენიშნა. ისეთებიც არიან, რომელთა აზრითაც სემსეს ძმები ჰალილის სახლთან იყვნენ ჩას-



აფრებული. ერთ-ერთი ვერსია ნამდვილად სწორია, რადგან შუალამეს მინდორში ბევრი ხალხი მოგროვდა; რამდენი – ამის დადგენა პოლიციამაც ვერ შეძლო. არც ისაა ცნობილი, თუ პირველმა ქვა ვინ ისროლა. მხოლოდ ის ვიცით, რომ თორმეტი თუ თვრამეტი ადამიანი იყო იქ შეკრებილი. ქვები კაცებმა და დედაბრებმა დაუშინეს. მათ შორის პატარა ბავშვებიც ირეოდნენ.

ჰალილი ცდილობდა, სემსე საკუთარი სხეულით დაეფარა. პირველი ის მოკვდა.

როდესაც სიბრაზე დაიცხრო, ხალხი საკუთარ სახლებს დაუბრუნდა.

დილით მინდორში მიმავალმა ჯარისკაცებმა ქვების გროვაში ჩამარხული ორი გვამი შენიშნეს.

15.

სემსე ალაკი მინდორში არ მომკვდარა. მან იცოდა, რომ მის ოჯახს მისი მოკვლის სურვილი ჰქონდა. როდესაც ჯარისკაცებმა მის სხეულს ქვები მოაშორეს, ის კიდევ ცოცხალი იყო. ნაყოფი დაკარგა. უგონოდ, მაგრამ ცოცხალი იყო. სასწრაფოდ დიარბაქირის საავადმყოფოში წაიყვანეს. თუმცა, ყველაფერი ამო აღმოჩნდა. ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლებმა დაკრძალეს. მის დასაფლავებას ოჯახის არცერთი წევრი არ დასწრებია.

სოფელში კვლავ სინყნარე დამყარდა. ამიტომ ვერ მოხერხდა დამნაშავეების დასჯა? სემსეს ძმები კვლავ იალიმში ცხოვრობენ. ჰალილის ცოლი გასულ წელს სტამბოლში გადასახლდა.

ამ ჩაქოლვიდან სამი წლის შემდეგ სოფელ იალიმის მკვიდრებთან სასაუბროდ მივდივარ. ეს სოფელი მილიონიან ქალაქ მადრინის სიახლოვესაა გაშენებული. მის შესასვლელთან მტრედის ქანდაკებაა, ნისკარტში ზეთისხილის ტოტი.

ხალხს ვეუბნებით, რომ ევროკავშირიდან ვართ და მათი ცხოვრების ავ-კარგზე გვსურს გასაუბრება. ძალიან ვფრთხილობ, რადგან რამდენიმე ყურნალისტი სულ ცემა-ტყეპით გააგდეს აქედან. ევროკავშირი კი მათში საეჭვო აზრებს აღძრავს.

კაცები ჩაიზე მპატიჟებენ. ყველა მათგანს შავი, ხშირი უღვაშები აქვს. სოფლის ცენტრში ვსხედვართ და ვმასლაათობთ. იალიმში სოფლელების ათი-თხუთმეტი პროცენტი თუ მსახურობს, დანარჩენები სხედან და ჩაის სვამენ. მათი ნაწილიც მხოლოდ ზაფხულობით, როდესაც მინდორში ბევრი სამუშაოა, მუშაობს. უმეტესობა მთელ დროს საჩაიეში ატარებს.

– ჩვეულებრივ რას აკეთებთ? – ვეკითხები შედარებით ახალგაზრდა, ასე 30-35 წლის ბიჭებს.

– რა უნდა გავაკეთოთ? ვსხედვართ, ჩაის ვსვამთ... მათ მხოლოდ საყველპურო თურქული იციან,

ამიტომ ჩემი თარჯიმანი ქურთულზე გადადის. მათ სახეზე გამოცოცხლება დაეჭვით – სოფლის ყველა მკვიდრი ქურთია. მათ ტელევიზორის ყურებაც კი არ შეუძლიათ, რადგან მადრინის ადგილობრივი მმართველობა სატელიტურ ანტენას ბლოკავს.

– ჩვენ, ასე თუ ისე, ვიგებთ თურქულს, მაგრამ ჩვენი ცოლები – ვერა.

– სხვა რა პრობლემები აქვთ თქვენს ცოლებს? – ვეკითხები.

– სამედიცინო მომსახურების არარსებობა. ექიმები ქურთულად ვერ ლაპარაკობენ, პრეპარატებზე წარწერებიც მხოლოდ თურქულ ენაზეა.

– არც რომელიმე დანესებულებაში შეგვიძლია რაიმე საქმის მოგვარება...

– ძალადობა? ხდება ხოლმე? – ვეკითხები რამდენიმე ქურთ ქმარს. სტატისტიკის მიხედვით თურქეთში ყველაზე მეტად ისინი სცემენ ცოლებს.

ჯერ ცოტას ჩაფიქრდებიან.

– რაც სხვის ოჯახში ხდება, ჩვენი საქმე არაა – იტყვის ბოლოს ერთ-ერთი ბერიკაცი. გამბედაობას ვიკრებ და ვეკითხები: სამი წლის წინ მომხდარმა შემთხვევამ რამე შეცვალა-მეთქი სოფლის ცხოვრებაში? ერთმანეთში თათბირობენ, თუ რომელი შემთხვევა მაქვს მხედველობაში. ბოლოს თანხმდებიან, რომ ჩაქოლვას ვგულისხმობ.

– არა, არაფერი შეცვლილა – მეუბნება ერთ-ერთი ასაკოვანი მამაკაცი.

ასევე მიაჩნია ქსოვის მასწავლებელს, რომელსაც სოფელში აქვს სახელოსნო. ჩვენთან საუბარი მისგან დიდ გაბედულებას მოითხოვს. ყველამ იცოდა, რომ მის სახელოსნოში შევედით.

– ჩემს სახელოსნოში ქალიშვილები გათხოვებამდე მუშაობენ. ქმრის ღირსებას არ შეეფერება, რომ შემდგომში მისი ცოლი მუშაობდეს. ამიტომ ესენი ათიდან თექვსმეტ წლამდე არიან. სემსეს გარდაცვალების დღეს გავიფიქრე, რომ ეს ამათთვისაც მძიმედ გადასატანი იქნებოდა და გადავწყვიტე, მათ ამ თემაზე გავსაუბრებოდი.

– მერე?..

– ფრთხილად შევეკითხე: „ალბათ შოკში ხართ-მეთქი მომხდარის გამო?“ და იცით, მათ რა მიპასუხეს: „ეგ ბოზი ღირსი იყო“.

– ასე რატომ ფიქრობენ?

– იმიტომ, რომ შინაბერა იყო, და რადგან გააუპატიურა, ნამდვილად აცდუნა კაცი. ჩემს მოსწავლეებს ასეთი აზრებითა აქვთ გონება გაჟღენთილი.

– რა შეიცვალა სემსეს სიკვდილის შემდეგ?

– ხალხი თავის თავში ჩაიკეტა. მთელი თურქეთი იალიმს, როგორც მკვლელთა სოფელს, ისე მოიხსენიებდა. ეს პირველი ჩაქოლვის შემთხვევა იყო თურ-



ქეთო ბოლო ათწლეუმი. პრესა წერდა, რომ ყველასა აქვს ხელი სისხლში გასვრილიო.

16.

როდესაც ახმედი სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა, ჰატიცემ ორგანიზაცია „კამერის“ თანამშრომლებს თხოვა, რომ მას გასაუბრებოდნენ.

ახმედს ეს არ ენადა. ოჯახმა მას უთხრა, რომ მისი ცოლი სხვა კაცთან ერთად გაიქცა.

როდესაც გაიგო, რომ მთელი ეს დრო ქალთა თავშესაფარში ცხოვრობს, „დაბრუნდესო“ – თქვა.

და ჰატიცე დაბრუნდა.

მამას, დედას და ძმას თავი ისე ეჭირათ, თითქოს საქმის კურსში არ იყვნენ. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ რძალს აბდულასთან ეძინა. ისიც კი არ უკითხავთ, თუ სინამდვილეში რა მოხდა.

სიდერ-სიმამრმა და გვარის უფროსმა ახმედს ცოლის მოკვლა უბრძანეს. მაგრამ ახმედმა დაუჯერა ცოლს და ამის წინააღმდეგი წავიდა.

ამით მან ხალხის თვალში ღირსება დაკარგა. მეფურნეს მისთვის პურის მიყიდვა აღარ უნდოდა, საჩაიეს მეპატრონეს თავი ისე მოჰქონდა, თითქოს ვერც ამჩნევდა, ხოლო სოფელები მას აღარც კი ესალმებოდნენ.

– ისე ხარ, თითქოს აღარ არსებობდე – ამბობს დღეს ახმედი – ერთხელ საჩაიეში შევედი და თავად დავისხი ჩაი. საჩაიეს მეპატრონე მოვიდა და ჭიქა გადამიქცია. დედაბრები ჩემს დანახვაზე იფურთხებოდნენ. პურის საყიდლად ქალაქში რვა კილომეტრზე უნდა წავსულიყავი. ჩემმა ძმებმა კი გადანყვიტეს ჩემს ცოლთან ერთად მეც მოვეკალი.

ამ პერიოდში აბდულაში თითქმის ყოველდღე ურეკავდა და ეუბნებოდა, რომ მისი გახდებოდა, თუ ამქვეყნად არა, იმქვეყნად მაინც.

ახმედმა და ჰატიცემ გადანყვიტეს, მოვლენების განვითარებას არ დალოდებოდნენ. ქალთა ორგანიზაციამ მათ ბინა უშოვა დიიარბაქირში. ცოტა ფულიც ასესხა, რომელიც ახმედმა მალევე დააბრუნა. ძალიან მშრომელი ადამიანია.

ქალაქში გადასვლიდან რამდენიმე დღეში ისინი თავიანთი ნივთების ასაღებად სოფელში წავიდნენ. ჰატიცემ ვილაცას დიქტოფონიც სთხოვა. ელოდებოდა, რომ აბდულა დაურეკავდა.

დაურეკა. ეუბნებოდა, თუ როგორ პოზიციებში უნდა დანოლილიყო მასთან და რომ ამის საშუალება სხვებსაც ჰქონდათ, რადგან ის ბოზი იყო.

ჰატიცე მას შეხვდა.

– რატომ ავრცელებ ამბავს, თითქოს ჩემთან ცხოვრობდი? მე ხომ სახლში არ შემიშვიხარ?! – ჰკითხა მას. აბდულა იცინოდა.

– და მერე რა? შენ მოგკლავენ, მე ვიცოცხლებო. თუ მოვინდომებ, შენს მშობლებსაც დაეხოცავ – ამინებდა ის.

მეორე დღეს ჰატიცემ ჩანანერის ასლები გააკეთა. ახმედმა ისინი თავის და ცოლის მშობლებს გაუგზავნა.

რამდენიმე დღეში მათ დაურეკეს, ბოდიში მოიხადეს და უკან დაბრუნების ნებართვა მისცეს. თქვეს, რომ ახლა ყველაფერი ნათელიაო.

მაგრამ ჰატიცეს და ახმედს უკვე აღარ ენადათ სოფელში დაბრუნება. იმ დღიდან არცერთი აღარ დალაპარაკებია მშობლებს.

სოფელში დღემდე მხოლოდ აბდულა ცხოვრობს.

18.

თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგონა შუა სცენაზე დგას. ნაღვლიანი შეჰყურებს მაყურებელს და მათ, ვინც სცენაზე მის სიახლოვესაა. დროდადრო რომელიმე მათგანი წინ წარსდგება და თავის ამბავს ჰყვება.

თეთრ სამოსში ჩაცმული ქალი სემსე ალაკია. საიქიოდან ახალი დაბრუნებულია და თავის მიმდევრებს უსმენს.

– ჩემო გოგო, რატომ არ გადაგარჩინე? – ტირის დედა – დამიჯერე, ძალიან მინდოდა! ამის ნება ჩვენმა ძველმა ტრადიციამ არ მომცა. ამის ნება არ მომცა იმის შიშმა, რომ ისინი მეც მომკლავდნენ.

– ჩემო დაო, არ იფიქრო, ცუდი ადამიანი ვარ – სინანულით აღიარა ძმამ – იმიტომ მოგკალი, რომ ვალდებული ვიყავი. რადგან მეტისმეტად ღარიბები ვართ, რათა ჩვენი ღირსებისათვის გადაგვხადა. ციხეშიც კი დარწმუნდნენ, რომ კეთილი გული მაქვს. ამიტომ გამათავისუფლეს...

მკვლელი ძმა რეჟისორმა და სცენარისტმა მეჰმედ საით ალფასლანმა ჩაწერა. მან მსახიობებთან ერთად მთელი აღმოსავლეთ თურქეთი შემოიარა. სემსეს შესახებ სცენას ხშირად უჩვენებდნენ პატარ-პატარა დასახლებებში.

– საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა. ერთნი სიხარულისაგან ხტიან, როდესაც დედა ყვირის: „მოკალით, დაიმსახურა სიკვდილი!“. არიან ისეთებიც, რომლებიც ცეკვავენ და ხტიან იმ დროსაც კი, როდესაც მსხვერპლს ქვებს ესვრიან. მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ იმამი ამბობს: „ნუ მოკლავთ. ალაჰი კრძალავს კაცის კვლას“...

პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილმა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია

ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ხუთ ნომინაციაში გაიცემა:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითო ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები;

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა;

წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ;

გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.

მოკლე სიას ჟიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საზეიმო დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;

- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვანოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge;

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

**ქურნალი „ახალი საუწყა“ 2015 წლის ბოლომდე
შეზიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე**

თითო ნომრის ფასი – 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებოძლის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

989055341
2025010033

56595

629679

NEW

8486-4E1D NSSI
2025010033
989055341



989055341